**მოსე ჯანაშვილი**

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

**დ ე დ ა - ქ ა ლ ა ქ ი**

# ტ ფ ი ლ ი ს ი

**ქ უ თ ა ი ს ი**
ღამბაშიძის სტამბა Тип. Гамбашидзе
**1899**

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

დედა-ქალაქი

ტფილისი

ათინა, რომი, ბაბილონი, მცხეთა, ბაღდადი, ტფილისი... მარტო ამ სახელების გაგონება ჩვენს მეხსიერებაში აშლის ხოლმე აუარებელ მოგონებას კაცობრიობის წარსულიდან. და ეს განა არა იმისთვის, რომ ამ ქალაქებში „ღ მ ე რ თ ნ ი ღ მ ე რ თ ო ბ დ ე ნ და მეფენი „მეფობდენ “, რომ მათ ეჭირათ მთელის სახელმწიფოს სამართი საჭე და რომ მათი სიძლიერე ანუ სისუსტე, ბედნიერება ანუ უბედურება მოასწავებდა თვით სახელმწიფოს აღყვავებასა და ანუ დაცემა-დაძაბუნებას! ამიტომაც, ისტორია რომელიმე სამეფოს დედაქალაქისა არის იგივე ისტორია მთელის სახელმწიფოსი.

წარსულ დრო-ჟამთა წყვდიადში იკარგება ქართველ ერის ზოგიერთ ქალაქების დასაბამი. პირველსავე



ქართველებთან ერთად, მრავალთა საუკუნეთა უწინარეს ქრისტეს შობისა, ჩნდებიან დაბა–ქალაქნი: ქართლი (არმაზი), მცხეთა, უფლისციხე, ოძრხე, ეგრისა (ბედია), ქუთაისი, ჰერეთი (ხორნაბუჯი იორ–ალაზნის შესართავთან), ორბისი (სამშვილდე), მტკვრის-ციხე ('შემდეგ ხუნანი გატეხილ ხიდთან დებედა-მტკვარზე) , დედაციხე, ბოსტან–ქალაქი (რუსთავი ყარაიას), გაჩიანი (სანადირო ქალაქი სომხითში), ბერ (ჩელეთი, შილდა), თუხარისა („სპერის

მდინარეზე, რომელ არს ჭოროხი“), წუნდაზ (ჯავახეთში), არტანი (ძველად ჰური და შემდეგ ქაჯთა ქალაქი), ურანისა და კასპი.

მესამე-მეოთხე საუკ. ქრ. წინად ამათ მიემატნენ კიდევ: დიმნა და შორაპასი (ააშენა ფარნავაზმა), ხერთვისი, კოლა, ნელქარი (ნენქარი = ნეკრესი). მცხეთა ამ დროს „დიდი ქალაქი“ იყო და მისს უბნებად ითვლებოდნენ: სარკინე (სარკინეთის მთის სიმაგრე), ციხე-დიდი (ძეგვის ახლოს), ზანავი და თვით ქალაქი ქართლიც, რომელსაც ეწოდა არმაზი და საცა იყო უმთავრესი სალოცავი ქართველებისა – საფლავი ქართლოსისა და აგრეთვე ღმერთნი არმაზი, გაცი და გაიმ.

ქართლ (არმაზ)-მცხეთა ქართლოსის დროითგანვე „თავადობდნენ “ საქართველოში, და ეს თავადობა (რელიგიური და პოლიტიკური უპირატესობა) შერჩა მას მეექვსე საუკუნის ნახევრამდე და ამ დროიდგან კი მისი „თავადობის ერთი წილი – პოლიტიკური უპირატესობა – მიითვისა ტფილისმა.

„ქართლის ცხოვრება“ ტფილისის აშენებას ვახტანგ გორგასალს მიაწერს. მას ეთანხმება ზეპირთქმულობაც: მთელი არე-მარე ტფილისისა ტყით მოცული ალორთაარიო თეთლვალნივლლ3თიდ> თ
იყოო. ერთ დღეს ამ ტყეში ვახტანგ გორგასალი ნა-



დირობდაო. მისმა მწევრებმა ხოხობი ააფრინესო. მისი ქორი ხოხობს გამოედევნაო და ორთავე ფრინველნი მალე გადიკარგნენო. მეფე მხლებლებითურთ ქორის საძებნელად წავიდაო. ბევრი ძებნის შემდეგ ნახეს, რომ ქორი და ხოხობი ჩაცვივნულან ერთ წყაროში და ჩახარშულან. ქორი, თურმე, ისეთის სისწრაფით დასცემოდა ხოხობს, რომ ჰაერში თავი ვეღარ შეემაგრებინა და ბრჭყალებში შებოჭილ ხოხობითურთ ძირს წამოსულიყო და ხსენებულ წყაროში ჩავარდნილიყო. ეს არე-მარე მეფემ კარგად დაათვალიერა და ნახა, რომ ამ შვენიერ ადგილას იყო მრავალი წყარო: გრილი, ტფილი და ცხელი, და ყველას გოგირდის სუნი სდიოდა. მეფეს უთხრეს, ამ წყაროებს სამკურნალო თვისება უნდა ჰქონდეთო. ვახტანგს მოეწონა წყაროებიცა და მათი ადგილ-მდებარეობაც, ააშენა ქალაქი და სახელად, ტფილი წყლების გამო, ტფილისი უწოდაო.

მართალია, რომ ტფილისს სახელი სითბოსაგან დაენათლა. ცნება „თბილს“ უწინდელი ქართველები გამოსთქმიდნენ ნაირნაირად: ტფილი, თბილი (და შეუმოკლებლად კი ტიფილი, თიბილი). და ამიტომ ვამბობთ

და ვსწერთ „ტფილისი“, „თბილისი“. გარნა თვით ქალა-
ქის აშენებისას და შემდეგ ამისა კიდევ კარგა ხანს ეს
სახელი შეუმოკლებლად ყოფილა ხმარებული და „ტიფ-
ლისი“ რქმევია. და ეს მტკიცდება მით, რომ მეექვსე
საუკუნეში ბერძენთა მწერლები საქართველოს დედა-
ქალაქს უწოდებენ ტიფლის-ად, და შემდეგში ასრევე
უწოდებენ ამ ქალაქს არაბნიცა და თურქნიც (თათარ-
ნი). სჩანს, დასაწყისში ქართულადაც „ტიფლისი“ ყო-
ფილა. ვისგან, თუ არა ქართველებისგან ისწავლიდნენ
უცხოელნი ამ სახელს? და რომ „ტიფილი“ (იგივე



„თიბილი“), რომლისაგანაც წარმოსდგა „ტიფილისი“
(„თიბილისი“), შემდეგმი შემოკლებულა და ტფილ
(თბილ)-ად გამხდარა, ეს მტკიცდება ამ სიტყვის სვა-
ნურ-მეგრულ გამოთქმითაც: მეგრულად „ტიბუ” და
სვანურად „ტებდი“ (და აგრეთვე „ათვი“ თბილს ნიმ-
ნავს *).

რაიც შეეხება თქმულებას, რომ, ვითომ, ტფილისი
პირველად აეშენეებიოს ვახტანგ გორგასალს, ეს სარ-
წმუნო არ უნდა იყოს. ქართლის ცხოვრებაში ვპოუ-
ლობთ საბუთებს ჩვენის აზრის დასამტკიცებლად.

ტფილისი იხსენიება ფარნავაზის დროიდგანვე (ფარ-
ნავაზი მეფობდა 302  237 წლ. ქრ. წინად). მისს ცხო-
ვრებაში სწერია: „საერისთავო ხუნანისა არის ბერდუ-
ჯის მდინარითგან ტფიდისამდე და გაჩიანამდე, რომელ
არს გარდაბანი“ (გვ. 31); და კიდევ ამის წინად: „მცხე-
თოსმა ააშენა მცხეთა და დაიპყრა ქვეყანა ტფიდისითგან
და არაგვითგან ზღვამდე სპერისა" (გვ. 20).

ტფილისი იყო საზღვარი მცხეთისა და ხუნანის
სასპასპეტოებისა· გრდანი (გლდანი), ლილო, მარტყო-
ფი ხუნანამდე იწოდებოდა გარდაბანად. და ამ გარდა-
ბნის მხარეს იყო (და არის) ნაწილები ტფილისისა
ისანა, კალა და შემდეგში კუკიაც.

ქართლის ცხოვრებაშივე ვკითხულობთ: „მოვიდეს
სპარსნი სომხითს და მოაოხრეს. შემოვიდეს ქართლს.
სპარსთა ერისთავმა ააშენა ტფილისი კართა შორის ცი-
ხედ მცხეთისა“. ვარაზ-ბაკურ მეფემ (370 – 394 წ.)

---

*) ნუ გვეუცხოება პროვინციალური სიტყვები. აი თუნდა
მეგრული „წყარი“, რომელიც ნიშნავს წყალს. ჩვენებური
„წყარო“ და მეგრული „წყარი“ ერთი და იგივეა.

სპარსთა ერისთავს ხარკის ძლევა აღუთქვა. და ამის შემდეგ სპარსებმა მეფეს გადასცეს „ციხე ტფილისისა“ და წავიდნენ“ (ქ.-ცხ. გვ. 106).

ამ დროითგან ტფილისს, როგორც სტრატეგიულს სიმაგრეს, ემატება მნიშვნელობა. სპარსნი საქართველოს ასაოხრებლად რომ მოდიან, პირველად სცდილობენ ფეხი მოიკიდონ ტფილისში.

ვახტანგ გორგასლის პაპის დრომდე ქართლი სპარსთა ერისთავის „განსაგებელი იყო“ (გვ. 108), ხოლო ეს ერისთავები განაგებდენ აგრეთვე რანსა და მოვაკანს (იქვე). ქართველთა მეფეები ებრძოდენ მათ და ერთ-ერთ ამ ბრძოლაში მოოხრდა ტფილისიც. ხოლო ვახტანგი რომ ტახტზე ავიდა, სპარსთა ყაენი კელავ შემოესია საქართველოს. იბრძოლეს დიდხანს. მეფე გამაგრებულ იყო მცხეთაში. „ქართლის ცხოვრება“ ამბობს (გვ. 134): „ოდესმე განვლიან ფონი მტკვრისა და შეიბნიან ფონსა ზედა ტფილისისასა, და რომელსამე დღესა მათ სძლიან და რომელსამე მათ“. ბრძოლა მორიგებით გათავდა. ორნივე მეფენი შეიყარნენ „ველსა ზედა კალისასა, ხოლო ტფილისი სოფელი, და კალაცა მოოხრებულ იყო მაშინ“. მეფეებმა ერთმანეთი მოიკითხეს და  გადასწყვიტეს, რომ „ორთავე ერი (სპარს-ქართველნი) თავ-თავის სჯულსა ზედა გარდაუვალ დაშთეს“.

ამის შემდეგ გავიდა რაოდენიმე წელიწადი და ვახტანგი შეუდგა გაოხრებულ ტფილისის შენებას. „მეფე აშენებდა ქალაქსა ტფილისსა და საფუძველი ოდენ დაედვა“ (გვ. 146), რომ ყაენმა, ხოსრო I-მა (გამეფდა 531 წ.) მოციქულის პირით შემოუთვალა: „მოკვდა მამა ჩემი და მეფედ მყო მე ერმან მისმან... მოვალ მე წინაშე შენსა და შენ წარმიძღვ ჩვენ შესვ-



ლასა ჩვენსა საბერძნეთს და მომეც ასული შენი ცოლად“ (იქვე). მეფემ უარი შეუთვალა. ყაენი გამოემართა საქართველოსკენ. განჯით გადმოვიდა ივრის ხეობაში. მოაოხრა ქიზიყი, ველისციხე და იორზედ დადგა. ვახტანგი გამაგრდა უჯარმაში. მტრები სასტიკად შეიბნენ იორზედ. ვახტანგმა ყაენს მოუკლა შვილი და გაუწყვიტა მრავალი მეომარი, გარნა თვითონაც დაიჭრა. ყაენი იორზედ ვეღარ დადგა და რუსთავს მივიდა. იქითგანაც აიყარა, მოაოხრა ტფილისი, არმაზის არემარე და სამცხით კარნუ ქალაევს (არზრუმს) წავიდა. იგი შიშობდა ბერძენთა იმპერატორი არ შეჰსეოდა უპატრონოდ დარჩენილ სპარსეთს.

მაშასადამე, უწინარეს ჟამს ტფილისი ყოფილა

სოფელი, შემდეგ იგი ციხე-სიმაგრედ შექმნილა (379 წ.) და მერე ქალაქად ვახტანგ გორგასლის დროს *).

ვახტანგის შვილი დაჩი სცდილობდა გაედიდებინა ტფილისი. მან „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი და, ვითარ ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ“. (ქართ.-ცხ., გვ. 150). „და დაჩის დროსვე ტფილისს კაცნი დასხდებოდეს და მათ წმიდაჲ ეკკლესიაჲ (სიონი) აღაშენეს“ **).

მეფე ბაკურის დროს საქართველოს თავს დაატყდა დიდი უბედურება: სპარსთ თვისი უფლება დაამკვიდრეს ქართლსა, სომხითსა, სივნიეთსა და გუასპურაგანს და

*) ვახტანგ გორგასლის ცხოვრება, საქართველოს ისტორიის მკვლევართაგან ქორონიკონის არევისა გამო, ზღაპრულ ამბად მიაჩნიათ „ქართლის ცხოვრების“ მტრებს. მისი ისტორია საკმაოდ გამორკვეული გვაქვს და ცალკე დავბეჭდავთ.

**) სამი ქრ. ე. თაყაიშვილისა, გვ. 30.



ბაკური რომ მოკვდა, სპარსელებმა ქართველებს არ მისცეს ნება ჰყოლოდათ თვისი მეფე. ამიტომ ბაკურის შვილნი გამაგრდენ კახეთის მთიულეთს და მათნი მონათესავე მფლობელნი კლარჯეთის კლდეებში. ამასთანავე თვისთვისად განდგნენ ერისთავნი და ხარკს აძლევდნენ სპარსთა მეფის ორმუზდ IV-ის (579 – 591 წ.) შვილს ქასრე II ამბარვეზს (591 – 628 წ.), რომელსაც ეპყრა რანი და მოვაკანი. ამ უბედურ დროს „მცხეთაჲ ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდნებოდა“ (სამი ქრ., გვ. 34).

შემდეგ ამისა საქართველოს ტახტი რომ იპყრა გურამ ბაგრატიონმა, „ტფილისის მკვიდრთ იწყეს ეკკლესიის გება. ნახევარსა იქმოდა ყოველი ერი და ნახევარსა ერისთავნი“ *) (სამი ქრ., გვ. 34). ქართ.-ცხ. გვ. 164). „გურამმან ს გმნაახლა საფუძველი ტფილისის სიონისა, ხოლო შემდგომად გურამისა განასრულეს აღშენებაჲ ტფილისის სიონისა: ნახევარი ერთმან ვინმე ქვრივმან დედაკაცმან და ნახევარი ყოველმან ერმან“.

სტეფანოზ I-ის ჟამს ტფილისი უკვე ისეთი დიდი და ვრცელი ქალაქი იყო და ისეთი ძლიერი ციხე ჰქონდა, რომ იგი იტევდა დიდძალს ხალხსა და ჯარს, და შეეძლო კარგა ხანს გაჰმაგრებოდა ძლევა-მოსილს მტერს – საბერძნეთის იმპერატორს ერეკლეს. სომხის

*) სუმბატის ქრონიკაში სწერია: „გურამისა – ზე ტფილისისა მკვიდრთა ეკკლესიისა გებად იწყეს, რომლისა ნახევარსა ყოველი ერი აშენებდა და ნახევარსა ერთი ვინმე დე-

დაკაცი“ ( სამი ქრ., გვ. 45). თეიმურაზის ვარიანტით, „გუ-
რამმა განაახლა საფუძველი ტფილისის სიონისა“ (იქვე,
გვ. 46).



მწერალი უხტანესი ამბობს, რომ 595 წ. უკვე ტფი-
ლისი იყო უდიდებულესი სატახტო ქალაქი საქართვე-
ლოისა, იგი იყო სასწაულებრივ შენებული, საუცხოვო
და შესანიშნავიო *).

ამავე დროს სპარსეთში მეფობდა იგი ქასრე II
ამბარევზი, რომელსაც მომხრეობდა სტეფანოზი. მიზეზი
სპარს-ბერძენთა ომისა ის იყო, რომ ქასრემ დაიპყრო
მთელი მცირე აზია და ეგვიპტე, გაჟლიტა 90,000 სუ-
ლი ქრისტიანე და თვით საბერძნეთსაც მუქარა შესთ-
ვალა. მხნემა და ძლიერმა ერეკლე იმპერატორმა დიდ-
ძალი ლაშქარი გადმოსხა მცირე აზიას და ზედიზედ
დაამარცხა ქასრე. მერე იგი წამოვიდა ალბანისაკენ და
დაიზამთრა მუღამს (625 წ.). გზა-და-გზა მან შემუსრა
ცეცხლის-მსახურთა ტაძრები. ქრისტიანე ერნი სიხარუ-
ლით ეგებებოდნენ ერეკლეს. მეორე წელიწადს იგი
შეესია სპარსეთს და თავზე კაკალი დაამტვრია მტრებს,
მაგრამ შიგ შუაგულს სპარსეთში შესვლა ვერ გაბედა,
უკან დაიწია, გამოვლო ტიგრ–ევფრატის ხეობანი და
ფაზისს მოვიდა და შეიერთა ხაზართა ლაშქარი და მათი
ხაყანი ზიბელი, რომელსაც თავის ასულის ევდოკიას
სურათი აჩვენა, რადგან იგი იმპერატორს სიძედ უნდო-
და. ერეკლე და ზიბელი მოადგნენ ტფილისს. აქედგან
ერეკლე 70,000 მეომრით შეესია სპარსეთს, დაამარცხა
ქასრე, რომელიც გადააყენა მისმავე შვილმა სიროესმა
და თვითონ გამეფდა. გაქცეული ქასრე შეიპყრეს და
ციხეში ამოჰხადეს სული.

ამ ამბებს, მოთხრობილს მსოფლიოს ისტორიკოსის
ჰიმბონის მიერ (ტ. 4, გვ. 509  5224), უფრო დაწვრი-

---

* Сборн. свѣд. О Кавк. т. стр. 271.



ლებით გადმოგვცემენ ქართველთა და სომეხთა მემატი-
ანენი.

ქართლის ცხოვრებით, სპარსთა მეფე ქასრემ რომ
დაიპყრო მეცირე აზია და იერუსალიმი და წარიტაცა
„ძელი ცხოვრებისა“, მაშინ სტეფანოზი განუდგა ბერ-
ძნებს და მიემხრო ქასრეს. იმპ. ერეკლე დიდი ჯარით
წამოვიდა პირდაპირ საქართველოსკენ და შემოვიდა

სამცხეს, მოვიდა აწყვერს და თაყვანი სცა იმ ხატსა, „რომელი წმ. ღვთის-მშობელს გამოესახა და მიეცა მოციქულის ანდრიასათვის და მას მოესვენა და დაესვენებინა მცირესა ეკდერსა შინა აწყვერს“ (ქართ.-ცხ. გვ. 166). სტეფანოზს გაემაგრებინა ციხე-ქალაქნი და მტერს მოელოდა ტფილისში. კეისარმა გამოვლო ქართლი და მოადგა ქალაქს. სტეფანოზი, „მხედარი ქველი და შემმართებელი დღეთა ყოველთა გამოვიდის კართა ქალაქისათა და ებრძოდის ბერძენთა“. ერთს შეტაკებაში დასჭრეს სტეფანოზი და მოჰკლეს. ერეკლემ აიღო ტფილისი, ხოლო ციხის-თავი გაუმაგრდა მას და მაღლიდგან შემოჰყივლა: „ვაცისა წვერნი გასხენ და ვაცბოტისა კისერ გაქვს“. ერეკლე ფრიად განრისხდა და სთქვა: „ამ კაცმა ბასრობით მიწოდა ვაცბოტად, გარნა არა არს მისი სიტყვა ცუდ“. მერე მოატანინა წინასწარმეტყველის დანიელის წიგნი და ამოიკითხა შემდეგი ადგილი: „გამოვიდეს ვაცი დასავლისა და შემუსრნეს რქანი ვერძისა აღმოსავლისანი“ *). ამ წინასწარმეტ-

*) შატბერდის კრებულში სწერია: „უხმო ციხისთავმან კალაჲთ ტფილისისათა მეფე ჰერაკლეს ვაცბოტობით“ (სამი ქრ. გვ. 35), ხოლო სუმბატის ქრონიკაში: „... გასხენ წუერნი ვაცისანი და ვაცბოტისანი“ (იქვე, ტვ. 46). სუმბატის



ყველებამ გაახარა კეისარი და იმედი მისცა, რომ გამარჯვება მას დარჩებოდა. მაგრამ რადგან თვითონ ეშურებოდა სპარსეთში შესასვლელად, ამიტომ მოიწვია ბატონიშვილი ადარნასე, ერისთავი კახეთისა, მას მისცა ტფილისი და მთავრობა ქართლისა და უბრძანა აეღო ტფილისის ციხე. ადარნასეს შემწედ უჩინა ჯიბღა და თვითონ წავიდა გარდაბანს. ადარნასემ და ჯიბღამ გატეხეს ციხე ქალაქისა და დაატყვევეს ციხის-თავი, რომელსაც პირი გაუვსეს დრაჰკანით, მერე ტყავი გაჰხადეს და მიაწიეს ერეკლეს გარდაბანს.

აქვე დავურთავთ ცნობას ამავე საგნის შესახებ კაღანთ კათვაწიდან, რადგან ეს მემატიანე იძლევა ზოგიერთ წვლილს, რომელსაც არ იხსენიებენ სხვა წყარონი.

ჩრდილოეთის კავკასიის მთიულნი თავის ხაყანის ჯიბუს წინამძღოლობით არბევდენ მეზობლად მდებარე ქვეყნებს. ერეკლემ ზავი შეჰკრა ჯიბუსთან და მოიწვია იგი წინააღმდეგ ქართველთა. ამის შემდეგ მძვინვარე მდინარის ტალღამ გადმოხეთქა და მოედვა საქართველოს; მტრები შემოერტყნენ და მიესივნენ გაყვინიზებულსა, სააღებ- მიცემოსა, სახელოვანსა და დიდებულ

ქალაქ ტფილისს. შეიტყო-რა ყოველივე ესე იმპერა-
ტორმა ერეკლემ, შეაგროვა ყოველნი ძალნი თვისის
ძლიერებისანი და დაუყონებლივ მოვიდა თავის მო-
კავშირესთან. მათ ძღვნები შესძღვნეს ერთმანეთს და მე-
ტად გაიხარეს. აქ უნდა გენახათ შიში და ზარი იმ
კაცთა, რომელნიც შემწყვდეულნი იყვნენ ციხეში;

---

ქრ.: „აღმოვიდეს ვაცი დასავლისა და შემუსრნეს რქანი აღ-
მოსავლიასა ვერძისანი“ (იხ. დაბადება, დან., თ. 8, გვ. 3 – 6).



უბედურება უბედურებაზედ ატყდებოდათ. შეიტყო-რა
ხოსრომ (ქასრე II-მ) ორთა ხელმწიფეთა მოსვლა, იე-
რიშის მიტანამდე მოაწია შემწყვდეულებსა და ქალაქს
ხელოვანი და მხნე მებრძოლი, თვისი სპასპეტი შარგა-
პაგა და მასთან 1000-მდე რჩეული მხედარი თვისთა
ამალის კაცთა და დარაჯთაგან. ქალაქის მკვიდრთ,
დაინახეს-რა მათდა მეშველად გამოგზავნილნი ძლიერნი
და ხელოვანნი მეომარნი, გამხნევდნენ და დაცინვა და-
უწყეს ორთავე მეფეებს. თუმცა იგინი ხედავდნენ უამ-
რავ ლაშქრობას ჩრდილოეთისას და დასავლეთისას, რო-
მელნიც მთებსავით ჩასდგომოდნენ ქალაქს გარეშემო;
აგრეთვე ხედავდნენ ოთხთვლიან მანქანებს და სხვა
ფილაკავნებს, (გამოგონილს რომაელთა ოსტატებისა-
გან), რომლებითაც იგინი ნიშან-ამოღებით სტყორცნი-
დნენ ციხის კედლებს და აყრევინებდნენ დიდრონ ქვებს;
თუმცა იგინი ხედავდნენ დიდრონსა ნავტიკებს, გატე-
ნილებს ქვითა და ქვიშით, რომლებითაც მტრები აგუ-
ბებდენ მტკვარს და წყალს ქალაქში აბრუნებდენ,
გარნა, მეუხედავად ამისა, იდგნენ უშიშრად, ერთ-ურთს
ამხნევებდნენ და მტრების მიერ დანგრეულ კედლებს
ხელახლა აშენებდნენ და ამაგრებდნენ. ორივე მეფის
ლაშქარი რომ დაძაბუნდა, უკუქცეულ და ქანც-გაწ-
ყვეტილ იქმნა, და არა მცირედი რიცხვი მათი ქვეითის
ლაშქრისა გასწყდა ბრძოლაში. მეფეთ დაიწყეს თათბირი
და ამბობდნენ: „რად უნდა დავღუპოთ ჩვენი ჯარი;
მართალი არ არის განა, თუ შევკარით ძლიერი, მისს
სახლსაც წარვსტყვენით, ვითარცა გვსურს. მაშინ დიდ-
მა და მოსისხლე იმპ. ერეკლემ მოისაზრა და მოახერხა,
თუ რა უნდა ექმნათ, და უთხრა კაცსა, მისდამი საშვე-
ლად მოსულსა: „დაბრუნდი ჯარითა შენითა მშვიდობით



ქვეყანასა შენსა ამ წელიწადსა, ვინაიდგან ვხედავთ

მოღალულობასა შენსა. შენ ძალ არ გიძს სიცხესა ამა ზაფხულისასა მიაწიო ასურეთის ქვეყანამდე, საცა არის სპარსეთის დედა ქალაქი ტვიგრისის მდინარეზედ. მეორე წელიწადის დადგომისას, გაივლიან-რა ცხელი თვეები, დაუყონებლივ მოდი აქავე და ჩვენ შევასრულებთ ჩვენს სურვილს. მანამდე მე არ დავიშლი ბრძოლას სპარსეთის ხელმწიფესთან და არ დავაცდი თავზარი არ დავცე მისთა ქვეყანათა და ქვეშევრდომთა, და მანამდე ვიხმარ ე მმაკობას, ვიდრე მას არ მოჰკვლენ მისინივე“. ქალაქის მკვიდრთ შეიტყეს-რა, რომ მტერნი დაღალულან და უკუნქცევა განუზრახავთ, უმეტესად გაგულისდნენ და თავისივე დასაღუპავი თამაში მოიგონეს: მოიტანეს დიდი გორა, გამოსახეს მასზედ სახე გუნთა მეფისა, – ალაბი სიგრძით და ალაბი სიგანით; წამწამების მაგიერად გაუკეთეს რაოდენიმე მოკვეთილი ტოტი; წვერის ადგილი გაატიტვლეს საზიზღრად; ნესტოები წყრთის სიგანისა გაუკეთეს, ტუჩზედ აქა-იქ ჩაურჭეს ბიღი. განა ვის შეეძლო ეცნო იგი (მახინჯი)! მოიტანეს ის და დასდეს ციხის კედელზედ პირდაპირ მტრისა და ყვიროდნენ: „აი, თქვენი ხელმწიფე, დაბრუნდით და თაყვანი ეცით მას, ეს ჯებუ ხაყანია!“ და ხელში იღებდნენ ლახვრებს და სჩხვლეტდნენ და ჰგმირავდნენ გოგრას; ასრევე დასცინოდნენ და ყბად იღებდნენ მეორე მეფესაც, რომელსაც გაჰკიოდნენ: „შენ ხარ საძაგელი და მამათმავალიო“. ამის გამგონე მეფეები ბრაზით სკდებოდნენ, მრისხანებდნენ, ჯავრს გულში იკლავდნენ, თავს აქნევდნენ და ფიცულობდნენ, რომ ყველა თვისს ქვეშევრდომებს ამოსწყვეტენ, და ჯავრს კი არ შეარჩენენ მტერს იმ შერცხვენისათვის,



რომელიც მიაყენეს მათ. და ორნივე მეფენი გაბრუნდნენ და მუქარით წარვიდნენ. (გვ. 107 – 109).

(ქასრეს მოკვლის შემდეგ)... უცბად მოუბერა ძრიელმა ბორიამ და ეცა დიდსა აღმოსავლეთის ზღვასა. გამოვიდა ველური ჩრდილოეთის ნადირი (ქაზარეველნი და მათი მეფე) სისხლის მწოველის თავის შვილით შადითურთ. მან უწინარეს ყოვლისა პირი თვისი მიუბრუნა საქართველოსა და ქალაქ ტფილისს, და მასში წინანდელ ვაშკაც კაცთაგან არავინ დაუხვდა და ჰპოვა მოხერხებული დრო მაგიერი მიეგო მისის გაწბილებისათვის. როდესაც იგი გარს შემოერტყა ქალაქს და ბრძოლით შეავიწროვა მოქალაქენი, მაშინ ესენიც თავს დაესხნენ მას და გამწარებულად იბრძოლეს ორი თვე, თუმცაღა ამაო იყო მათი ბრძოლა წინააღმდეგ მოწევ-

ნულის სასიკვდილო გარდაწყვეტილებისა. შიში მათის სისხლის დაქცევისა, რომელიც უკვე მოვლინებულ იყო, ფრიად ჰქენჯნიდა მათ. მაშინ დაიღრიალა საშიშარმა ნადირმა, ტყვე ჰყო და ანუ წყალსა შინა დაახრჩო მრავალნი მდაბიონი, ტყენი აღავსო ნადირითა და ჯარი თვისი ნაძარცვით. იძრეს მახვილნი თვისნი და ერთად მიესივნენ კედლებს და მთელი ეს სიმრავლე აირია, გადალახა ართმანერთი, ამაღლდა კედლებსა ზე, და შავმა ჩრდილმა დაჰფარა უბედურნი მკვიდრნი ქალაქისანი. შემაერთებელნი კავშირნი დასწყდათ, მკლავები დაუძაბუნდათ; იგინი დამარცხებულ იქმნენ, განშორდენ კედლებს, გარნა ბევრნი მათგან, ვითარცა ჩიორანი, მომწყვდეულნი მონადირეთა გალიაში, ვერ მივიდნენ თვის სახლებში, რომ მიეტანათ თავზარდამცემი და სამწუხარო ამბავი და ებრძანათ თავიანთ საყვარელ ცოლებისათვის დამალულ იყვნენ და ანუ



ეზრუნათ ნაშობთა თვისთათვის. მშობელთა არ ეცალათ ეფიქრათ მესახებ თვისის მშობლიურ მოვალეობისა. პირიქით, ერთურთს ეჯახებოდნენ და სცდილობდნენ თავშესაფარი ეშოვნათ სახლთა სახურავებზე ანუ განჯინებმი. გარნა მრავალნი ჩაიმალნენ წმ. ეკკლესიათა აკლდამებში და მიეყრდნენ წმიდათა წმიდანის კვარცხლბეკს. ოხვრა და გმინვა დედათა ისმოდა ისე, ვითარცა ბღავილი ურიცხვ ცხვართა ფარისა. მათ ფეხდაფეხ მისდევდნენ მომკალნი უწყალონი, რომელთა ხელნი რუებრ ადენდენ სისხლს, ხოლო ფეხნი სჭყლეტდენ წაქცეულთა გვამებს. როდესაც შესწყდა ხმაურობა, გმინვა და კვნესა და როდესაც აღარც ერთი აღარ დარჩა ცოცხლად, მაშინ მხოლოდ სცნეს მტერთა, რომ მათნი მახვილნი გაძღნენ. მაშინ მოიყვანეს ორნი მმართველნი, რომელთაგან ერთი იყო სპარსთა მეფის მოხელე და მეორე ქალაქის ადგილობრივი მკვიდრთაგანი, ქართველთა მთავართა შთამომავალი. შეიპყრეს იგინი და მიჰგვარეს მეფე ხაყანს და ამან უბრძანა თავისიანებს თვალები დაეთხარათ ტყვეთათვის, რადგან მათ, მეფის გამოსაჯავრებლად მისი სურათი გამოსახეს უთვალებოდ, და შემდეგ იგინი დაახრჩო დიდის ტანჯვით, და გააძრო მათ ტყავი, რომელიც გამოაქნევინა და გაავსებინს თივით და ჩამოჰკიდა ციხის კედლებზე. მტერმა გაძარცვა მთელი ქალაქი, საყდრები და სახლები, შეაგროვა დიდძალი და უთვალავი ტალანტი ოქრო და ვერცხლი და წავიდა თავის ქვეყანაში, ხოლო თვისი შვილი შადი წარგზავნა აღოვანიას (ალბანია) (იქვე,

გვ. 119 – 120).

ხაზართა მეომარნი, ტფილისის დარბევის შემდეგ, ისე გამდიდრდენ, რომ ხმარობდენ მხოლოდ „ვერცხ-



ლის ფიალებსა და დოსტაქნებს, ოქროთი დაფერილებს“ (იქვე გვ. 126).

ჯერ ყველა ეს ამბები არც კი დაწყნარებულიყო, რომ არაბები შემოესივნენ მცირე აზიასა და იქიდგან სომხეთსა და საქართველოს. ქაზარეველნი და საქართველოს ერნი ამაოდ ებოძოდნენ არაბებს. მოავიას ბრძანებით ჰაბიბი, მოსლემას შვილი, 638 წ. იჭერს დოვინს, ნახჭევანს, ვაია-ძორს და ტფილისს, საცა აყენებს მაჰმადიანთა მეციხოვნეთ. ტფილისი არაბთა მოხარკე ხდება. იგივე არაბნი იპყრობენ ხუნანს, გარდაბანს, სამცხეს და შავშეთს. 717 წელს საქართველოს იმონავებს იეზიდი, მოადგილე ხორასნის მმართველის სულეიმანისა. 731 წელს ხალიფა ჰიშამი, ნაცვლად თავის ძმის მოსლემისა, მხედართმთავრად კავკასიაში ნიშნავს მერვან ბენ მოჰამედს (მურვან-ყრუ). ამავე წელიწადს (731 წ.) ხაზარნი აოხრებენ ტფილისს. ამის მიზეზად შეიქმნა არჩილ მოწამის შვენიერი ასული შუშან. ამ შუშანის ცოლად შერთვა მოინდომა ქაზარეველთა ხაყანმა და თვისი სურვილი განუცხადა არჩილის შვილებს იოანესა და ჯუანშერს. ამათ უარი შეუთვალეს, რადგან „არა ინებეს შეგონება დისა თვისისა წარმართისაგან“. ხაზართა მეფემ იწყინა. თვისი სპასპეტი ბლუმან დიდის ჯარით ჩამოგზავნა კახეთს, საცა ერთს ციხეში შეფარებულ იყვნენ ჯუანშერი და შუშან. ციხე მტრებმა აიღეს, დაატყვევეს ორთავე ბატონიშვილნი, წამოვიდნენ და დაეცნენ ტფილისს, რომელიც შემუსრეს საფუძველითურთ 731 წ. და დარიელისკენ გასწიეს. შუშანმა წარმართის ცოლობას სიკვდილი ამჯობინა. ბეჭედში აქვნდა სამსალა. დარი-



ელას რომ მიაწიეს, ამოწოვა სამსალა და მოკვდა.

შემდეგ ამისა მურვან- ყრუ შედის კახეთში, ამარცხებს ალანებს 735 წ. ხაზარებს 737 წ. და ლეკებს 739 წ. (ვახუშტი, გვ. 114, შენ. 1).
ამავე დროდგან შემოდი" საქართველოს სახელწოდება ჯურზ, ჯორზან.

786 წ. 6 იანვარა ქალაქ ტფილისს დაედგა ნათელი წმ. აბოს, მოწამებრივის გვირგვინისა. ამ რიცხვს,

დღესა პარასკევსა, არაბთ საპერობილითგან გამოიყვა-
ნეს აბო, ურმით მიიყვანეს მეტეხის ციხის ძირს, ავ-
ლაბრის მეორე ხიდთან, „ადგილსა, რომელსა ეწოდე-
ბის საღოდებელ, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა
მის ქალაქისათა და მუნ გარდამოიღეს იგი ურმისა მისგან
და დადვეს იგი ქუ̂ჩ̂ყანასა და მოიღეს თივა და შემა და
ნავთი და დაასხეს გუ̂ამსა მას ზედა წმიდასა. და აღაგზ-
ნეს ცეცხლი და დაწ̂უნე ხორცნი მოწამისანი ადგილსა
მას, რომელ არს აღმოსავლეთით ციხესა ქალაქისასა,
რომელსა სადილეგო ჰრქვიან, პირსა ზედა კლდისასა,
კბოდესა მტკვრისასა, რომელი განვლის აღმოსავლით
ქალაქსა“. (სამოთხე, გვ. 346).

აშოტ კურატპალატის ჟამს (787 – 826 წ.) რაო-
დენათმე მოუძლურდნენ არაბნი. აშოტმა თვისი უფ-
ლობა განამტკიცა, „სახლად მისა იყო ტფილისი და
ბარდავი“ (განჯა) და „ტფილისს არღარავინ დარჩა სარ-
კინოზთაგანი, თვინიერ ალიშუაბის ძისა“.

ხოლო 788 წ. აშოტი და აფხაზთა მეფე თეოდო-
სი შეებნენ კახეთის მთავარს გრიგოლს, რომლის მომ-
ხრე იყვნენ ტფილისის ამირი ალიშუაბის ძე, მთიულ-
ნი და წანარნი. შეიბნენ ქსანზედ. აშოტმა გაიმარჯვა.
მას დაემორჩილა ქვეყანა კლარჯეთიდგან ქსნამდე. მაგ-



რამ მალე არაბეთით მოვიდა ხალილ იზიდის ძე და მან
ხელახლა დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი. აშო-
ტი გაიქცა, მაგრამ მტრებმა დაამარცხეს იგი და დაჰკ-
ლეს არტანუჯის პეტრე-პავლეს ტაძარში.

ალი შუაბის ძის შემდე ტფილისში ამირობდა სა-
ჰაკი ისმაელის ძე. მერმე მოვიდა მოჰმედ ხალილას ძე.
მას არ დაემორჩილა ტფილისის ამირა საჰაკი. მოჰმე-
დმა ქართლის მეფედ დასვა ბაგრატ აშოტის ძე და მის
შემწეობით შეება საჰაკს სოფელ რეხას. საჰაკს შეეწივ-
ნენ კახეთიდან გარდაბანელნი. სასტიკი ბრძოლა მოხდა.
ვერც ერთმა მხარემ ვერ გაიმარჯვა. მოჰმედი აიყარა
და ბარდავს წავიდა.

ამის მცნობმა ამირა მუმლმა ბაღდადელმა დიდის
ჯარით გამოგზავნა ბუღა თურქი, რომელმაც აღაოხრა
სომხითი და მოადგა ქ. ტფილისს, „რამეთუ არა მორ-
ჩილობდეს“ და მოჰკლა ამირა ტფილისისა საჰაკ და შე-
მუსრა ტფილისი და დაწვა ცეცხლითა და მოაოხრა
ყოველნი არენი მისნი. ამ ბუღამ თავზარი დასცა
მთელს კავკასიას, მაგრამ იგი ბაღდადსვე დაიბარეს და
მის ადგილას ხალიფამ ამირად დასვა მოჰამედ ხალილას
ძე, ამის შემდეგ ისე შიხის ძე, მერე აბრაჰამ, შემდეგ

იგივე მოჰამედ, მერე გაბლუც, რომელიც შეიპყრა მე-
ფე გურამმა და წარგზავნა საბერძნეთს. ამის შემდეგ
საქართველოს სვე-ბედი და მასთან ტფილისისაც, თუმ-
ცა აქ ამირები კიდევ უფლობდენ, დიდს წარმატებაში
შევიდა (ქართლ. ცხ. გვ. 191).

ზემორე ხსენებულ საჰაკის მოკვლის შესახებ მემა-
ტიანე თომა არწრუნი სწერს: *) „ამირა საჰაკს არაბთ

* Сборн. свѣд. т. VI, стр. 274.



შესწამეს ღალატი. არაბთ ეგონათ საჰაკი სცდილობს
დამოუკიდებლობა მოიპოვოსო. ამიტომ ხალიფამ გა-
მოგზავნა სისხლის მწოველი ბუღა თურქი. არაბთა
ლაშქარი მოადგა ტფილისს, აიღო იგი და ცეცხლი
წაუკიდა. ცეცხლი სწრაფად აბრიალდა, რადგან შენო-
ბანი ხისა იყო. ამირა საჰაკმა წამოისხა წავის ტყავი,
ხელში დაიჭირა კვერთხი, გამოვიდა ქალაქის იმ კარე-
ბიდან, რომელიც იყო სამშვილდისკენ მიმავალს გზა-
ზედ, მაგრამ იგი შეიპყრეს და წარუდგინეს ბუღას. სა-
ჰაკის ცოლმა, შეიტყო-რა თვისის ქმრის შეპყრობა,
მოინდომა ეშველა მისთვის. იგი მეტად ლამაზი იყო
და ძღვნებითა და თვისის სიმშვენიერით მოხიბლა ბუ-
ღა. მისს ქმარს მიენივა სიცოცხლე, მაგრამ დროებით.
ბუღა ეტრფიალა საჰაკის ცოლს და მოინდომა მეუღ-
ლედ დაესვა იგი. ამიტომ მან უბრძანა თავის ჯალა-
თებს მოეკლათ საჰაკი. საჰაკს თავი გააგდებინეს. შემ-
დეგში ბუღა მოკლულ იქმნა საჰაკის ცოლის მიერ“.

არაბებმა თვისის მფლობელობის ჟამს ფრიად შებ-
ღალეს ზნეობა ტფილისის მკვიდრთა. თ. არწრუნი
ამბობს, რომ უადგილოდ მიმაჩნია წერილობით აღვ-
ნიშნო ყველა უსამართლობა ამ ქალაქისა და მისნი
ბოროტებანი, რომელნიც გარდაემეტა სოდომისა და
იერიქოსას. (იქვე, გვ. 274).

არაბთა მწერლების თქმით ტფილისს „ჰქონდა
თვისი ობსერვატორია. ეს ობსერვატორია, ალბად, ცი-
ხეში, კალაში, იყო. ტფილისი კავკასიის მხრივ მესამე
ქალაქად ითელებოდა: ბარდა, დარუბანდი, ტფილისი.
ეს ქალაქი შემოზღუდული იყო ორის გალავნით და
შეფენილი იყო მტკვრის აქეთ-იქით მაღლობებზე. მდი-
ნარის ერთს ნაპირას სცხოვრობდნენ „ურწმუნონი“



(ქრისტიანენი), რომელთა ტაძრების გუმბათებიდან მო-

ისმოდა ზარის რეკა; მეორე ნაპირას ესახლნენ მაჰმადიანნი და მათის მიზგითებიდგან მოლები იწვევდნენ „მართლ-მორწმუნეთ“ სალოცავად. სახლების ბანები ერდო-ერდო მიყრილიყვნენ მთის ფერდობებზე. გოგირდიანი ცხელი წყლის წყაროები შეადგენდნენ ქალაქის სიმდიდრეს. ამ აბანოებით სარგებლობდნენ მხოლოდ მაჰმადიანნი. თფილისს ჰქონდა საკმაო აღებ-მიცემა. ტფილისიდგან გაჰქონდათ: თაფლი, ხორბალი, ხალები, მატყლეულის ნაქსოვები, გაპენტილი ბამბა, ბარგის საქონელი და მონები“. (იქვე. გვ. 274).

ბაგრატ III-ის გამაერთიანებელის ჟამს (980 – 1014 წ.) საქართველო მეტად ძლიერდება. მემატიანის სუმბატის (მე-XI საუკ.) სიტყვით (სამი ქრ., გვ. 65), ბაგრატ „ეუფლა ტაოს, მამულსა თვისსა, და დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობელობითა ჯიქეთიდგან ვიდრე გარანგეთამდე, ხოლო ადარბადაგანი (ადრიბეჟანი) და შარვანი (შირვანი) მოხარკე ყო სომხითისა ხელმწიფებითა და... მოიყუანა კლარჯეთის მეფენი სუმბატ და გურგენ, პატიმარ-ყუნა იგინი ციხესა შინა თმოგვისასა და აღიხუნა ქუეყანანი მათნი“. ტფილისის ამირად მარტო აჩრდილი-ღა დარჩა წინანდელის ამირობისა.

1038 წ. ბაგრატ IV-მ ალყა შემოარტყა ტფილისს, ქალაქის მკვიდრთ გაუჭირდათ შთაკეტილ ქალაქში ცხოვრება და განიზრახეს ქალაქის კარები გაეღოთ მეფისათვის. ტფილისის ამირმა გააკეთებინა ტივები, რომ გაქცეულიყო განჯას. მაგრამ ბოროტმა კაცებმა შუღლი ჩამოაგდეს მეფესა და მის წარჩინებულ თანამოღვაწის ლიპარიტ ორბელიანის შორის. ამიტომ



ბაგრატმა ამირად ტფილისისა იგივე ამირა დაამტკიცა და თვითონ განშორდა ქალაქს. მალე მოკვდა ტფილისის ამირა და მოქალაქეთ მოიწვიეს მეფე ბაგრატი და გადასცეს მას ქალაქის კლიტენი. მეფე „შევიდა ტფილისს და დაჯდა სახლისა საამიროსა და დაიპყრა კალა-ტფილისი, ხოლო ისანი არა მოსცეს და ბრძოდნენ ძლიერად“. ამ დროს მეფეს ეწვია კახეთის მეფე გაკი თავის ლამქრით. ბაგრატი მათ დაუხვდა ისნის ველზედ, „ითაყვანნა იგინი და განუტევნა მშვიდობით“.

ამავე ხანებში მეტად განძლიერდნენ თურქნი, რომელთაც დაიპყრეს მთელი მცირე აზია და საქართველოს აღმოსავლეთ-სამხრეთი ქვეყნები. თურქთა სულტანი არფასარანი უგრძნეულად შემოვიდა საქართვე-

ლოში, დაიპყრა თრიალეთი, აიღო ახალქალაქი და ანისი. მას მიემხრნენ განჯის მთავარი ფადლონი, კახეთის მეფე აღსართანი და შემოჰყვნენ ქართლს (1068 წ.). სულტანი დადგა სოფელ კარბს და მერე იქიდგან წამოვიდა, დაიპყრა ტფილისი და მისცა იგი ფადლონს, და თვითონ წავიდა განჯისაკენ. მას ჰყვანდა 500,000 მეომარნი (ქართ. ცხ. გვ. 231), რომელნიც აოხრებდენ ქართლს. მისი დაბრუნების მიზეზი ის იყო, რომ ბაგრატმა შემოირიგა იგი. გაზაფხულის ჟამს აღელდა მტკვარი ისე, რომ წყალი ვეღარ ეტეოდა მის კალაპოტში. დიდწყლობამ წალეკა მტკვრის ნაპირები, და მტრის აქ დარჩენილ მეომართაგან მრავალი დაახრჩო. ამავე დროს ფადლონი მეტად განლაღდა, გაამპარტავნდა და უსჯულოებას მიჰყო ხელი, იწყო „ტფილისის სიახლესა სადამე გამოყვანებასა ხელოსანთასა“. მეფე ბაგრატი მოვიდა აფხაზეთიდან და დადგა დიდგორს,



საზაფხულო აგარაკს. ფადლონმა არად ჩააგდო მეფის დიდგორს დგომა, შეჰყარა 33,000 მეომარი, მივიდა ტფილისს და დადგა ველსა ისნისასა. აქ დასტოვა თვისი კარვები და თვითონ შეესია ქართლს და რბევა დაუწყო. ბაგრატმა წარგზავნა თვისი მხედრობა შესაპყრობად მტრისა. ფადლონი დამარცხდა და ტყვე-ქმნილ იქმნა. იგი „გასვეს ძელსა“ და დაიპყრეს ტფილისი, ვსაცა „გაამირებასა ლამობდა შიგან ქალაქს მდგომ ვინმე“, ბაგრატმა ტფილისი მისცა სითლარაბს, რომელიც დმანისს იდგა და თვითონ დაისაკუთრა ციხენი: რუსთავი, ფარცხისი, აგარანი, გრიგოლ-წმიდანი და ქავაზნი და მიიღო 44,000 დრაჰკანი და დაიტევა მძევალნი (ფადლონის ძმის-წული და განჯის სამნი თავადნი). (გვ. 233). გარნა ფადლონი სულტანის მიერ წარმოგზავნილ ალხაზის შუამდგომლობით განათავისუფლა მეფემ და გაისტუმრა განჯას. მაგრამ ფადლონმა არ მოისვენა. ბაგრატი რომ იმერეთს იყო, ფადლონი მივიდა და დაიპყრა ციხენი ქავაზნი და აგარანი. განრისხებული მეფე გადმოვიდა ქართლს. მისი შვილი გიორგი დიდის ჯარით დაეცა ფადლონს, დაამარცხა იგი, მიჰყვა გაქცეულ მტერს, მიადგა განჯას, დაიპყრა იგი და „აღიღო ტყეე და ნატყვენავი ურიცხვი“ (გვ. 233).

ტფილისის აღება ციხეებიანად წილად ხვდა დავით აღმაშენებელს. პირველსავე დღეს თვისის ქალაქში შესვლისას მეფის ბრძანებით ჩამოახრჩეს 500 მაჰმადიანი. ეს მეფე გულჩვილი კაცი იყო და პატივით ეპყრობოდა ყველა ტომის კაცს, და თუ 500 მაჰმადიანი ჩამო-

ახრჩობინა, ეს ალბად იმიტომ, რომ თავზარი დაეცა
და შეეშინებინა საქართველოს მოსისხლე მტერნი, რო-
მელნიც არბევ-აქცევდნენ, ჟლეტავდნენ და აწიოკებ-



დენ ერს, გაუმაძღარ მკალსავით სძოვდნენ მის ნაყოფ-
ნაშრომს. თუ რაბამ დიდი უნდა ყოფილიყო მაშინდელი
ქართველი კაცის ზიზღი და მძულვარება მტრისადმი,
საჭიროა მოკლედ და ქრონოლოგიურად აღვნუსხოთ
ის ბრძოლანი, რომელიც გადიხადა მეფე დავითმა, ვი-
დრე იგი აიღებდა ტფილისს.

დავითი რომ გამეფდა (1089 წ.), მტრებს მაშინ
იჭირათ ასისფორნი, კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავ-
შეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, ჭყონ-დიდი,
ტფილისი, მუხრანი, რუსთავი, აგარანი, სამშვილდე,
რანი, შაქ-შირვანი. მათვე ივანობის დღეს (1080 წ.)
დაეწვათ ქუთაისი, არტანუჯი და კლარჯეთის უდაბ-
ნონი.

1105 წ. მეფე დავითმა დაამარცხა განძის ათაბაგი,
დაიპყრა და შემოიერთა კახეთი.

1110 წ. აიღო სამშვილდე და ძერნა.

1115 წ. მუხნარი (მუხრანი).

1116 წ. თებერვალს კლარჯეთი ბასიანამდე და
კარნიფორამდე.

1117 წ. ციხე გიში (ნუხი) და შირვანის ქალაქი
ქალაძორი.

1118 წ. დაიპყრა რახსის (არეზის) ქვეყანა, აგრე-
თვე ლორე და აგარანი (ივლისის თვეში) და მეორე
დღეს ცის-კარი.

1120 წ. 14 თებერვალს შემუსრა თურქთა ძალი
ბოტორას , იქიდგან წავიდა და აიღო შარვანის ქალაქი
ყაბალა, მერე 7 მაისს დაიპყრა შარვანი არაბია-ლი-
ჟათით ქურდევანამდე და შიშტლანთამდე; ნოემბრის
თვეში მეფემ მოსრა თურქნი აშორნას და სევგელამეჯს
და „არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა“.



1121 წ. მარტის თვეს მეფემ ამოსწყვიტა თურქ-
მანნი მტკვარსა, გაგსა და ბერდუჯს მორის მდგომა-
რენი; ივნისის თვეში მეფემ დაიპყრა არაბია და ბარ-
დავი (განჯა); აევისტოს 18 სამი საათის ბრძოლაში
დავით მეფემ შემუსრა თურქთა ურიცხვი ლაშქარი და და-
იპყრა თრიალეთი, მანგლისი და დიდგორი.

1122 წ. მეფემ აიღო ტფილისი.

1123 წ. მაისს დაამარცხა თურქთა სულტანი და წაართვა შამახია და შემუსრა რანის სულტანი აღრუნ-ღული; ივნისის თვეში აიღო გულისტანი.

1124 წ. მარტს აიღო დმანისი; აპრილის თვეში დაამარცხა შაბურან დარუბანდელი და წაართვა ციხენი ღასანი და ხოაზაონდი; მაისს დაიჭირა სომხითის ციხენი გაგი, ტერონაკალი, ქავაზიანი, ნორიბედი, მანასგომნი, ტალინჯაქარი; ივნისს განვლო ჯავახეთი, კოლა, კარ-ნიფოლი, ბასიანი სპერამდის და აქაურობაში დაშთე-ნილი თურქობა მოსრა და ტყვე ჰყო; გამოვლო ბუიათა-ყური და დასწვა ოლთისი; მოვიდა და დადგა ბოჟა-ნას-წყაროზედ; აგვისტოს 23 წავიდა ანისის ასაღებად და დაიპყრა იგი.

ყველა ამ ომების დროს მეფემ ამოჟლიტა, დაახ-ლოვებით, 600,000 სული მაჰმადიანი, და ამდენი კაცის ცოდვა ედება თვით მათ სულთნებს, რომელნიც და-ვითს დაცინვით იხსენიებდენ, „ტყვეთა მეფედ“ ჰხადო-დენ, ქართველთა გვარტომის გაქრობასა და ძირიან-ფესვიანად ამოგდებას ემუქრებოდნენ.

შორს-მხედველმა მეფემ ტფილისზე იერიში მიი-ტანა მხოლოდ მაშინ, როდესაც დაიპყრა მის გარეშე-მო მდებარე ძლიერი ციხეები და სიმაგრენი, რომელ-



ნიც ზურგს უმაგრებდენ და გაჭირვების ჟამს შველოდ-ნენ ხოლმე.

ამ სახით, ტფილისი განთავისუფლდა მტერთაგან 1122 წელს და 400-ის წლის მონების უღელი განაგ-დო. ქართველთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა მის გამო, რომ მათ დაუბრუნდათ დედა-ქალაქი, შვენიერი ტფილისი. მტრების მფლობელობის ჟამს ტფილისის ქართველობა დიდს შეწუხებაში იყო. მემატიანე ამბობს (ქართ. ცხ., გვ. 254), რომ „ქალაქი სავსე იყო სისხ-ლითა ქრისტიანეთათა; ოდესმე ჰყვიან ღავღავი და თვინიერ მიზეზისაცა მოსრნიან რაოდენნი ჰყოვნიან ქრისტეანენი; ხოლო ოდესმე ქარავანსა თანა შემოყო-ლილთა თურქთა ზედა განსცნიან შემომავალ-გამომა-ვალი ქრისტეანენი და ტყვეობად სიკვდილსა მისცნიან, და ესრეთ ისვროდა ქვეყანა მრავალჟამ“. ესრეთი ყოფა ქრისტეანეთა ეძვინებოდა სულსა დავითისასაო, დასძენს მემატიანე (გვ. იგივე) და მოგვითხრობს, რომ ერთხელ დიდი ქარავანი შემოვიდა ტფილისს. ქარავანი განჯისა იყო. მას მოჰყვნენ მრავალნი თურქნი. მათი ნახირი მოეფინა ავლაბრიდან ლოჭინამდე. მეფე იდგა ავჭა-ლას, 15 კაცი წარგზავნა ლოჭინს და უბრძანა მოე-

ტაცნათ და მოესრათ მტერთა ნახირი, მათ ეგრე ჰყვეს. მტრებმა შეუტიეს. 100 თურქი მოეწია ნახირის მომ-ტაცებელთ. სასტიკად შეიბნენ. ამ დროს მეფე წიგნს ჰკითხულობდა. შეიტყო-რა ხმაურობა, წიგნი დასტოვა, შებრძანდა ცხენზე და „მსწრაფლ შთაბრიალდა ვითარ-ცა არწივი და დააბნია ვითარცა კაკაბნი, გაჟლიტა მტერნი, რომელთაგან მცირე ნაწილმა ძლივს შეასწრო ქალაქს.

რაც კი ქალაქში მაჰმადიანობა დარჩა, იმათ პა-



ტივით ეპყრობოდა დავით მეფე. არაბთა მწერალი ალ-აინი ამბობს: „მაჰმადიანებმა დავითს სთხოვეს ქრისტიანები ჩვენთან ერთად აბანოში ნუ შემოვლენო და შეურაცხ-ყოფას ნუ მოგვაყენებენო. დავითმა ესრეთი თხოვნა შეუსრულა მათო. მეფე დავითი და მისი შვილი დი-მიტრი ყოველდღე მეჩითში იარებოდნენ და ისმენდენ სამეფო ლოცვას და ყორანის კითხვასაო. მეფე უხვად აჯილდოებდა მაჰმადიანთა მოძღვრებსა და ქადაგებსო. მან ტფლისში ააშენა ქარვასლები და სადგურები მო-ქადაგეთა, მოლათა და მგოსანთათვის, რომელთაც ულუფასაც უნიშნავდაო. თუ ამათგან ვინმე ტფილისის დატოვებას მოისურვებდა, მეფე გულ-სავსებით ხელს უმართავდა და მგზავრებს ფულს აძლევდა. მაჰმადიანთ უფრო მეტს პატივს სცემდა მეფე, ვიდრე თვით მათნი მთავარნიო * (ვახუშტი, გვ. 185, შენ. 1).

დავითის დროს ვის ხელში იყო ტფილისის ვაჭ-რობა, არა სჩანს; მხოლოდ მემატიანე გაკვრით მოიხ-სენიებს (გვ. 249), რომ 1121 წელს ე. ი. მაშინ,

---

*) ქართ, ცხ.: „აღაშენა დავითმან ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შვენიერსა, რამელსა შინა შეკრიბნა ძმანი თვითო სახითა სენითა განცდილნი, და მოუმზადა მათ ყოვე-ლივე სახმარი  უნაკლულოდ და უხვებით და განუჩინნა შესა-ვალნი და საღვაწნი; ხოლო თვით მივიდის, მოიხილნის, მო-იკითხნის და ამბორს უყვნის თვითოვეულსა, ჰფუფუნებდის მამებრ, სწყალობდის და ჰნატროდის, განამხნეობდის; მონასა ხელითა მისცის მათ ცხედრებს, სამოსლებსა და საგებელთა, ოქროსა კმასაყოფელსა; განაგის ყოველი საქმე მათი დიდად შვენიერად და ღვთის მსახურებით“. ახასიათებს დავითს მემატიანე ჯერ ტფილისის აღების წინად.



როდესაც ქალაქი ისევ თურქმანთ ეჭირათ, ტფილისი-სა, განჯისა და დმანისის ვაჭრებმა, დავითისაგან შევიწ-როებულებმა, შეიღებეს ზოგმა პირი და ზოგმა ხელები

და წავიდნენ წინაშე თვისის სულთნის და მიუთხრეს
მას თვისი გაჭირება.

დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა ტფილისში, საიდგანაც მისი გვამი წაასვენეს და დაასაფლავეს გელათს. (ვახუშტი, გვ. 187).

გიორი მესამისა და მისის ასულის თამარ მეფის დროს ტფილისი დიდს წარმატებაში შევიდა, მოშენდა და ლამაზად მოეწყო. ქალაქის განდიდებასა და გაშვენებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მეფენი აქ სცხოვრობდენ. აქვე იყო საცხოვრებელი ბინა საქართველოს დიდებულთა, დარბაზისეულთა, სეფე-წულთა, მოხელეთა და ლაშქართა; აქედგანვე მეფენი გაისტუმრებდნენ ხოლმე ლაშქარს დასაპყრობად სხვა და სხვა ქვეყანათა და ერთა, და ყოველი გამარჯვება მტრებზე ქალაქს ავსებდა აუარებელის სიმდიდრითა: ტყვითა, ძროხითა, აქლემ- ჯორითა, ოქრო ვერცხლითა, თვალ-მარგალიტითა, ხალებითა და ფარდაგებითა და სხ. და სხ. ამისა გამო ქალაქის ვაჭრობაც ფრიად გაჩაღებული იყო. ტფილისის მოვაჭრეთ საქონელი შეჰქონდათ შიგ საქართველოს დაბა-სოფლებშიაც და მეზობლის ქვეყნებშიაც: ოსეთს, ყიბჩაღს, ჩაჩანს, დაღისტანს, ჩერქეზს და სხვ. რომ ესრეთი დამოკიდებულება ჰქონდა ტფილისს გარეშე მდებარე ქვეყნებთან, ამას ნათელს ჰფენს ის გარემოება, რომ თამარისათვის ქმრის ჩამოსაყვანად ყიფჩაღეთიდგან, წარგზავნეს ქალაქის მკვიდრი და დიდებულ ვაჭართაგანი ზანქან ზორაბაბელი, რომელმაც,



უეჭველია, საქართველო-ყიფჩაღეთის სამხედრო გზა უფრო კარგად იცოდა, ვიდრე სხვათ.

1189 წ. თამარი აღეიდა ტახტზედ და ეკურთხა მეფედ. გვირგვინი რომ დაადგეს თამარს და ხმალი შემოარტყეს, შეიქმნა საერთო სიხარული, „ჰკრეს სპილენძ-ჭურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა და იყო ზარი და ზეიმი ქალაქსა შინა. თაყვანი სცეს, დალოცეს და ადიდეს“.

ტფილისში მეფის სასახლე იყო ისანს (მეტეხის ციხეში), რომელიც გადმოჰყურებდა მთელს ქალაქს. მკვიდრთა სახლები შეფენილი იყო მტკვრის მარჯვნივსა და მარცხნივს აღმართებსა და გორაკებზე. ძლიერი ციხის როლი გადავლებული იყო მეტეხის გორაკისა და მტკვრის გაღმა სოლოლაკის მთის მწვერვალებზე, საიდგანაც ჩამოდიოდა ანჩისხატის ეკკლესიამდის და მტკვრამდის. სოლოლაკი, ვანქი, მთაწმინდა, ვერა, კუკია, ჩუღურეთი და ავლაბარი ციხეს გარეთ

იყვნენ. სოლოლაკი გაშენებული იყო ბაღ-ვენახებით. ვერა, კუკია, ჩუღურეთი, შორეული ავლაბარი და, ნავთლუღი ქალაქის ნახირთა საძოვრად და ნაფუძვრებად ითვლებოდა. ყველა ამ ადგილებში მხოლოდ აქა-იქ მოჩანდნენ თითო-ოროლა ეკკლესიები. კუკიის ბოლოს დიდუბმი იყო მეფეთა სასახლე და იქეე საყდარი ღვთის მშობლისა. თამარ მეფემ ამ ტაძარში დაიწერა ჯვარი და აქვე გადიხადა თვისი ქორწილი. ეს მოხდა 1193 წელს.

ქორწილის დღეს დიდუბეში შეიყარა დიდძალი ხალხი, ლაშქარი, დიდებულნი, ხელის უფალნი, სამღვ-დელონი და საერონი. თავდარიგის მიმცემი იყო თა-მარის მამიდა რუსუდანი, ქვრივი ხვარასნისა და ერა-



ყის სულთნისა. ჯვრის წერის შემდეგ ლხინი გაიმართა „სრასა დიდუბისასა, სანახებსა ტფილისისასა. ქორწილი ქმნეს შესატყვისი და შემსგავსებული ხელმწიფობისა და შარავანდედობისა მათისა“. ერის შესაქცევად და გა-სართობად მოწვეულნი იყვნენ მსახიობნი, მგოსანნი და მუშაითნი. ერი დიდს შვებასა და ლხინს მიეცა. ყვე-ლას უხაროდა, რადგან დღეს მათს დედოფალს ცხოვ-რების ამხანაგი გაუხდა, დღეს მათ მიენიჭათ ახოვანი ხელმწიფე დავით სოსლანი ბაგრატიონი. უხაროდათ ობოლთაცა, გლახაკთა და ქვრივთაც, რადგან იგინი ნუგეშინის-ცემულ და გამდიდრებულ იქმნენ; უხარო-დათ მოვალეთაც, რადგან იგინი განთავისუფლებულ იქმნენ ვალებისაგან; უხაროდათ სამღვდელოთაც, რად-გან ხელმწიფე ნეფე-პატარძალმა ეკკლესიებს მიანიჭეს აურაცხელი საბოძვარი; უხაროდა ლაშქარსაც, ვინა-იდგან მათ ჰპოვეს საიმედო წინამძღოლი და სპასალართ-სპასალარი.

ქორწილის შემდეგ ორნივე „მნათობნი“ , ორნივე „მზენი განმანათლებელნი ყოველთანი“, შემოვიდნენ ტფილისს და დასხდნენ „ტახტსა ბედნიერსა".

ამავე ქორწინებას ასრე აღწერს საერო ლექსი:

საქართველოს დედოფალი, დედა ქართველისა თამარი,
სიმშვენიერით მოსილი, ამომავალი მზის დარი,
დავით სოსლასის მეუღლე, რომელს უმშვენა მან მხარი;
დიდუბეში იქორწისა, სადაც რომ საყდარი არი;
ნადიმობა გაუმართა, – მოიწვია თვისი ჯარი;
ასი სული ცხვარი დაკლა და ორასი ნიშა-ხარი;
ლურჯი სუფრა გაუშალა, იქნებოდა ასი მხარი;
ქვრივ-თალებსა უწყალობა ოქრო-ვერცხლი დიდი ძალი.

ახლა, როდესაც თამარს გამოუჩნდა პატრონი და საქართველოს დიდი ხელმწიფე, ძნელი იყო ისეთი განდგომილების მოხდენა, როგორც ესა ჰქმნა ამას წინად „ჯორის სახედ ორ-გონება“ ყუთლუ-არსღანმა, რომელმაც მიიბირა უაზნონი, დაიდგა „კარავი ველსა ისანისასა, სანახებსა საგოდებელსა“, და ჰფიქრობდა აქედგან თავისუფლად და დამოუკიდებლად ემართა ერი. ამასთანავე მან მიიჩემა ამირსპასალარობა და „განემზადა სომეხთა მეფისა ადგილას ლორეს დაჯდომა“. (ქ. ც., გვ. 281). თამარმა შეაპყრობინა იგი, გარნა მისნი მომხრენი გარს შემოადგნენ ისანს და სცდილობდნენ, რათა გააშვებინონ ყუთლუ-არსღან და არა მიუშვან ვნებად მისსა. თამარმა არ ინდომა დაღუპვა „ჯორის გონება“ კაცისა და მისთა მომხრეთა. მან ორთა დიოფალთა პირით ყუთლუს მოსთხოვა მორჩილობა. მეამბოხენი დაწყნარდნენ, მოვიდნენ წინაშე თამარისა და დავრდომით თაყვანი სცეს მას, და მისცეს პირი ერთგულებისა. ის ორნი დიოფალნი იყვნენ: ერთი ხვაშაქი ცოქელი, დედა ქართლის ერისთავის რატისა და მეორე კარავ ჯაყელი, დედა „აწ მყოფთა“ სამძივართა.

შემდეგ ამისა დაჯდა თამარი საყდართა ზედა ზეამაღლებულთა და იურვა ქვეყნის საქმეთათვის და გაამწესა ვაზირნი, სპასპეტნი, ამირ სპასალარი, მეჭურჭლეთ უხუცესი, მსახურთ უხუცესი, ამილახორი, ჩუნჩერახი (მზარეულთ უხუცესი), ერისთავნი.

დიდს ლაშქრობისას ქართველთა ჯარი შეიყრებოდა ხოლმე ქალაქსა და მის სამხრეთის მხრივ ტაბახმელამდე, ყარაღაჯამდე და ბერდუჯამდე (მდინ. დებედა). ჯარი რომ თავს მოიყრიდა, ატყობინებდენ თამარს, რომელიც მიბრძანდებოდა-რა სალაშქრო ბანაკს, ლო-



ცავდა ჯარს და ისტუმრებდა საბრძოლველად. ძლევამოსილის ლაშქარის დაბრუნებისას თამარი უხვდებოდა ჯარს ტაბახმელასა და აგარონს. იკითხავდა ყველას ცალკ-ცალკე და იწვევდა ქალაქში. თუ ტყვეთა რიცხვი და დავლა-ალაფი დიდი და უზომო იყო, ყველასა და ყოველივეს ჩაარიგებდნენ ხოლმე დიდუბის ველზედ ტფილისიდგან ავჭალა-გლდანამდის და შემდეგ მათ დასახედავად გამობრძანდებოდა თამარ დედოფალი. აი მაგ. შანქორის ომიდან (1195 წ.) რომ დაბრუნდა ლაშქარი, მაშინ ამ დიდუბის ველზედ ქალაქის კარიდგან გლდანამდე გამოფენილ-ჩარიგებულ დაწყობილი იყო

დროშა ხალიფასი, შემდეგ ათაბაგისა, მერე ტყვენი 12,000, ავაზა 40, ცხენი 20,000, ჯორი 7,000, აქლემი 15,000, ყოველი კიდებული; ხოლო „სხვათა სიმდიდრეთა და საჭურჭლეთა, ოქროთა და ლართა ვინმცა უძლო აღრიცხვად“. ყველა ამის დახედვის შემდეგ დაბრუნდნენ ქალაქს ყოველნი მოქალაქენი, აღსავსენი ოქროთი და სამკაულითა, მრავალ-სახე ჭურჭლითა, თვალითა პატიოსნითა და უსასყიდლო მარგალიტითა, ჯაჭვითა, მუზარადითა, ხმლითა, ფერად-ფერად ნაქსოვითა, ოქრო-ქსოვილითა, მრავალლ-ფერ სურნელითა, სპილენძითა. და კიდევ იმდენი დარჩა, რომ „სეფენი აზნაურიანი“ ანაკოფიიდან გულის-ტანამდე აღივსნენ ტყითა რჩეულითა და საგანძურნი აღევსოთ ოქროითა და ურიცხვითა პატიოსნითა ქვითა. ხან და ხან ტყვე იმდენი მოჰყავდათ, რომ ტყვე კაცი იყიდებოდა ნალისა და ჩამჩის ფასად, ხოლო თვალი პატიოსანი იმდენი მოჰქონდათ, რომ მას არა თვლიდნენ, არამედ „სარწყავით რწყვიდნენ“.

– 33 –

ქალაქში მოტანილ ალაფით თამარი აშენებდა და ამკობდა სასახლეებს და ტაძრებს, დედოფალი დიდს საბოძვარს იმეტებდა პალესტინას, სინას, შავ-მთას, ათონს და სხ. ტაძრებისათვის. 1187 წ. თამარმა სულთან სალადინს შეაძლია 200,000 დინარი იმ ჯვარში, რომელიც სარკინოზთ მოეტაცნათ იერუსალიმიდგან და რომელზედაც ჯვარცმულ იყო მაცხოვარი.

თამარს ტფილისს გარეშე ჰქონდა სასახლენი შემდეგს ადგილებში: ნაჭარმაგევს (ეს სასახლე იყო სალხინო და სახაფხულო), თოღას (კახეთში), დედოფლის წყაროს (ქიზიყში), გეგუთს, ანუ ციხე-დარბაზს (ქუთაისის ახლოს), აგარანს (სომხითს), გელათს, ვარძიას (სამცხეში), თამარის-ციხეს (ბათომის ახლოს), ლაზურს (მთიულეთში), ბოჭორმას (ფშავეთში), კოლას (სამცხეში), ცხუმს, ოცხეს (აბასთუმანი), ბეთანიას (ტფილისის ახლო), საცა თამარმა ააშენა ტაძარი, რომლის „გასაოცარი ქანდაკება ამტკიცებს, თუ რა მაღალ ხარისხამდე იყო აღყვანილი მაშინდელი საეკკლესიო. ხელოვნება“, ამბობს ბაქრაძე. *) აი როგორ აგვიწერს თამარის სასახლეს მისი თანამედროვე შავთელი:

„თუ ვუქო სრანი,
მე ამას რანი,
გავლა-ვანისა შემკულობანი,
მტილ-სამოთხენი,
თვალთ სამ-ოთხენი,

ზედ ავაზანთა შექმნულობანი,
კართა სტოვანი,
ერთა სტოლანი,
იპპოდრომისა განხმულობანი,

*) ვახუშტ. გვ. 218.



სიზმრად ლანკანთა,
თანა პინაკთა,
ბადახშნით ხელ-ჰყვეს შექმნულობანი.
ტახტ-საჯდომელნი,
მკამკამებელნი,
სარდიონითა ხურუზმს შემკულნი,
მისაყრდნობელნი,
ძნელ-საცნობელნი,
სამოთხით ნაძღუნი თვით უდნობელნი;
ოქრო-ვერცხლებრივ,
ჰბრწყინავს ცეცხლებრივ,
კედელ-ყურენი ფიქლით ძერწილნი;
ბივრილიონით,
ლიგვრილიონით
ურთიერთობით შორის შთათხილნი.
... გვირგვინოსანსა,
პორფიროსანსა,
უხდების პყრობა სკიპტრისა ხელსა,
ვინც იწყოს რიცხვი,
იქმნას ურიცხვი,
გოარი მათგან დანათვალითა,
რიყე თუალისა,
წინ ნათალისა,
წყალნი მგზებარობს შიგან ალითა;
ჰსჩანს მარგალიტი,
არ თუ ალიტი,
ოდენ ბურთისა საბურთალითა;
აქუს ზარდახჩანი,
მას ხე-ბაღჩანი,
ლუსკუმებრ მათთვის დასაკრძალითა.



იაგუნდისა, სხუა რად უნდისა? ჯამები იყვის ლალ-
ფირუზისა,
იყვის ჭურჭელთა, სხუათ უცხო ფერთა, სიმრავლით
დება თვით ურიცხვისა;
ბევრად ძეს გორი, ერთა საგორი, ზოდი ოქროსა,

მისგან თლილისა;
ისმის მგოსანთა, ვით საფირონთა, ხმანი ებნისა და
წინწილისა.
გუნდ მწყობრი დასი, მას ბევრ ათასი, ჰყავს დიდებულ-
თა დიდ-გვარ თავადთა.
… თვით ბჭეთა ბჭედი, მტკიცე ბეჭედი, მეწდე სიტყუათა
სიმართლისათა,
… სწავლის მოძღუარი, საშვებლის ღვარი, სიწმინდისაა
ცხოვრების თვალი...
სჯულისა ლარი, ქვეყნისა ღარი, გამდიდრებული ფრი-
ად ყოვლითა.
… არ გასტეხს ფიცსა, თვით დანამტკიცსა; ჰე ჰედ
იყოსა ანუ თუ არად.
ერი რჩეული, ნიჭთა წვეული, მისგანვე იქმნეს კეთილ-
სახმარად“...

თამარიცა და მისი მამაც გარდაიცვალნენ ტფილისში. გიორგი მეფემ რომ მიიძინა საუკუნოდ, მაშინ თამარი ისნის სასახლეში მარტოდ მარტო იყო, ხოლო მისი მამიდა რუსუდანი, თამარის გამზრდელი, იყო სამშვილდეს. დიდებულნი და პატრიარქი წავიდნენ და მოიყვანეს რუსუდანი. სასახლეში რომ შემობრძანდა მამიდა, თამარი დახვდა მეტად დაღონებული და ვაებით მტირალი. დაიტირეს მეფე და იგლოვეს ერთს წელიწადს „ბნელსა შინა მჯდომარეთ“.



თამარი ნაჭარმაგევის სასახლეში იყო, რომ გამოაჩნდა რაღაც სენი, რომელმაც ლოგინად ჩააგდო. იგი ტახტზე დააწვინეს და მოიყვანეს ტფილისს, ხოლო აქედგან წაიყვანეს აგარანს მაგრამ ვერც ჰავამა და ვერც მკურნალებმა ვერა უშველეს-რა. თან-და-თან სენი უძლიერდებოდა. იგი ისევ ქალაქს მოიყვანეს და აქ გარდაიცვალა „მზე ქართველთა“ 18 იანვარს 1213 წელს. შეიტყო-რა ერმა მისი განსვენება, ძაძითა და ფლასით შეიმოსა და იგლოვა დიდი დასაკლისი. გვამი მეფისა ჩაასვენეს კუბოში და მიიტანეს მცხეთას და იქ დასდვეს რაოდენიმე დღეს, რათა ერს თაყვანი ეცა საყვარელის დედოფლის ნაშთისათვის. მერმე წაასვენეს გელათს და დაასაფლავეს საგვარეულო სამარხში.

მოგვყავს აქვე თუშ-ფშავ-ხევსურთა მიერ თამარის დატირების ნაწყვეტი ერთ გალექსილ საქართველოს ისტორიიდან:

მოადგნენ თუშ-ფშავ-ხევსურნი მეფისა სახლსა ჩვეულნი,
„გვიჩვენეთ ჩვენი პატრონი!“
შეუძღვნენ, სრასა შევიდნენ, ვით მტერზედ გამარჯვებულნი.
. . . . . .

როს განიცადეს კუბო და ოქროსა ტახტსა დებული,
„რა არსო ესე, რა არსო?“ შეიქმნენ განცვიფრებული,
«იქმნება მეფე ძილად წევს! იყავით დაწყნარებული,
ნურვინ ყაყანებთ, დაჩუმდით, ვიყვნეთო გაჩუმებული!“

„რად არ ასდგები, ბატონო, შენ არ-ხარ ჩვეულ ძილისა.
ამ სიგრძედ შენი ტახტს წოლა ჩვენ არ გვახსოვსო გმირისა,
მოვსულვართ შენნი ერთგულნი; არ მხსოვნნი შენგნით ჭირისა,
ვა-თუ ჩვენ მიერ გწყენოდეს, გვყო მოხსენებად ძვირისა!“
. . . . . .

მოიხადეს თავსა ქუდი, იარაღი შემოიხსნეს,
იწყეს მოთქმა საშინელი, არღავისა დაეკითხნეს…

– 37 –

მოსთქმიან ხმასა მთიულნი, ფანტურით საწყლად სტირიან:
„ვაჰ, ჩვენო ძმანო თუშ-ფშავნო! – უბატონობას ჩივიან, –
«ხევსურნო ციხის ამღებნო! » – ხმა მაღლა ამას ყვირიან, –
აწ ვინა გვიყოს თამარის მაგიერობა! – ყივიან.

„ვაჰ, მთის ხალხნო, ბატონი გვიწყრების, გვწყრების გულითა,
არც ჩვენი ესმის სიტყვის თქმა, გაგვრიდა შორად სულითა,
ხომ ჰხედავთ, ჩვენნო მოძმენო, მეფე არს ჩვენზე ლულითა!
ვიცით, შენს უკან არ ვარგ ვართ, ვიქმნენით ყოვლნი კრულითა!“

„მშვიდობით, დიდო მეფეო, მშვიდობით გმირად მბრძოლო და,
მშვიდობით, ერთგულთ მოწყალევ, მშვიდობით, ობოლთ მზრდე-
ლო და,
მშვიდობით, ბრძენო სიტყვითა, მშვიდობით, მტერთა მკვლელო და!
ვით გესალმებით, არ ვიცით, სად გაქვს საცხოვროდ ბოლოდა!“

„რად ესალმებით, მოყმენო!“ – ურთიერთს ეუბნებოდეს:
«თან წაგვიყვანე, ბატონო, გული შეწთანა გვყვებოდეს,
იქნება მარტოს მტერი გხვდეს, თუშთ ხმა არ გეყურებოდეს.
ჩვენთვინ სირცხვილ არს, ფშავ-ხევსურ რომე არ შენთან კვდე-
ბოდეს!“
„მშვიდობით, თუშთა იმედო, მშვიდობით, ფშაველთ მყვარო-და,
მშვიდობით, ხევსურთ საუნჯევ, მშვიდობით, მტერთა მმზარო-და,
მშვიდობით, არაგველთ ძალო, მშვიდობით, ქსნელთა მძღვარო-და,
ერთობლივ გიორგიელთა, მეცხვარ-მწყემს წინამძღვარო-და!..

საქართველო და მასთან სატახტო ქალაქი ტფი-
ლისი, დამტკბარნი და განდიდებულნი დიდთა მეფეთა
ძლევა-მოსილობით, იმედით შეჰყურებდა მომავალს.
მრავალთა დიდ-დიდთა გამარჯვებათ მოუპოვეს ერს
ქონებრივი და ზნეობრივი ძალა, რწმენა თვისის მარ-
ჯვენისა და თვისის სამშობლოს სიმტკიცისა. ქართვე-

ლთა მეფეებმა აღუფრთოვან ეს სული არა თუ მარტო ქართველებს, არამედ თათარ-არაბთაგან ყოვლად დაჩაგრულ და შევიწროებულ სომეხთაც. ვარდან დიდი ამბობს; „... გიორგი მესამემ დვინი აიღო 1163 წ. და



აქ ნახა, რომ მეჩითების მინარეთებზე ელაგა ოდესმე თათართაგან მოხარშულ ქრისტიანეთა (სომეხთა) თავები. გიორგიმ ამოსწყვიტა მრავალნი მაჰმადიანნი, მათვე ჩამოალაგებინა თავის ქალანი, ოქრო-ქსოვილ ფარჩებში შეახვევინა, კუბოებში ჩააწყობინა და მერე მათვე მუყრებს (ქადაგებს) ზუოგზე წამოჰკიდა ეს კუბოები და ფეხშიშველთ წამოაღებინა ქალაქ ტფილისს (ვახუშტი, გვ. 208. შენ. 3).

ამ გვართა შემთხვევათ არ შეეძლოთ არ აღეფრთოვანათ მრავალ-ტანჯული ერი და მერმისის სასოება არ ჩაენერგათ მის სულ-გულში.

უეჭველია, საქართველოს სამეფო დიდ იმპერიად შეიქმნებოდა და ტფილისი ამ იმპერიის სასაყდროდ გახდებოდა, თუ კიდევ ასიოდე წელიწადი მაინც თავისუფლად ყოფილიყო. როგორც ვუწყით, ტფილისის აღებიდან (დავით აღმაშენებლის მიერ) ვიდრე მის გაოხრებამდე ჯალალედდინისაგან გავიდა სულ 104 წ. (1122 წლიდან 1226 წ.) და ამ დროს განმავლობაში საქართველოს საზღვრებად შეიქმნა: კასპიის ზღვა, დარუბანდი, დაღისტანი, ჩაჩანი, ყიბჩაღეთი, ჩრდილო ოსეთი, ჩერქესი, ჯიქეთი, ტრაპიზუნტი, საცა თამარმა დააარსა ცალკე იმპერია და მისცა იგი ალექსი კომნიანოსს, კარნუ ქალაქი (არზერუმი), კარი (ყარსი), დვინი, ანისი და არეზის მარცხენა მხარე კასპიის ზღვამდე; ასე რომ ამ საზღვრებში ქართველთა მეფეებმა შემოჰკრიბეს მრავალნი სამეფო-სამთავროები, რომელნიც ბაგრატ მესამემდე ცალ–ცალკე სცხოვრობდენ, და ამ გაუქმებულ სამთავრო-სამეფოების გვირგვინოსანთა უფლება თავიანთ ხელმწიფებას შეჰმატეს. ეს გაუქმებულნი სახელმწიფონი იყვნენ: აფბაზეთი ( შემო-



უერთდა საქართველოს 985 წ.), ტაო და კლარჯეთი, კახეთ-ჰერეთი, ჩრდილო სომხეთი, ადრიბეჟანი, ბარდა, შაქი, შარვანი, დარუბანდი, და თუმცა კავკასიონის მწვერვალი შეიქმნა მიჯნად საქართველოისა, გარნა კავკასიონის ჩრდილოეთ მხარეს მოსახლე ერთაც ჰქონდათ საეკკლესიო და საპოლიტიკო დამოკიდე-

ბულება ქართველებთან.

დიახ, უმეტესი განდიდება მოელოდა ტფილისსა და საქართველოს, მაგრამ მონგოლებმა (თათრებმა) აღარ დააცალეს.

სულ მცირე ხანს (თამარის სიკვდილის შემდეგ) იშვებდა საქართველოს მეფე ლაშა გიორგი მეოთხე სულ რაოდენიმე წელიწადს „მხიარულითა პირითა ლაშა მოვლიდის სამეფოსა თვისსა: გარდავიდის აჯამეთს განსაგებელად საქმეთა, ნადირობდის ცხუმს და აფხაზეთს, და განაგნის საქმენი, სთველთა შთავიდის ტფილისს, საზამთროდ დადგის დუინს სომხითისას, ზაფხულით აღვიდის თავად მტკვრისად და დადგის კოლას, და მოვიდიან მის წინაშე მოხარკენი". (ქ. ცხ., გვ. 341)...

აზიის შუაგული – ჩინეთსა, ციმბირსა და კასპიის ზღვას შორის – ძველადგანვე ითვლებოდა აკვნად მწყემს ურდოებისა – თათართა (მონგოლთა ანუ გუნთა), ოსმალთა (თურქთა) და სკვითთა. იგინი იყვნენ ბრიყგვნი, უმეცარნი, სჭამდენ ცხენის უმს ხორცს, სცხოვრობდნენ კარვებში, ხოლო ლაშქრობის დროს მთელის თავისის ბარგი–ბარხანითა და ცოლ-შვილით აიშლეზოდნენ ხოლმე და საომრად წავიდოდნენ: ჩინგის-ყაენმა (1206 – 1227 წ.) შეჰყარა რამდენიმე მილიონი თათრობა და თურქმანობა და გაემართა მთელის მსოფ-



ლიოს დასაპყრობად. 1210 – 1214 წელს მათ დაიპყრეს 90 ქალაქი ჩინეთისა და მათ შორის სატახტო ქალაქი პეკინიც. 1218 – 1224 წელს 700,000 მონგოლი მიესია ხორაზმის სასულთანოს, გაჟლიტა 160,000 ხორაზმელი. სულთანი მოჰამდედ გაიქცა, მაგრამ მალე დაიღუპა კასპიის ზღვის კუნძულზედ; ხოლო მონგოლებს დარჩათ ოტრარი, კოგენდი, ბუხარა, სამარყანდი, ხორაზმი, ჰერითი, მერვი, ნიშაბური, ბალხი, ყანდაარი და ხორასანი. მოჰამდის შვილი ჯელალედდინი სასტიკად შეება მონგოლებს, მაგრამ დამარცხდა და გაიქცა. მცირე ხნის განმავლობაში (1227 – 1295 წ.) მონგოლებმა დაიპყრეს მთელი აზია და ევროპის უმეტესი ნაწილი და თავზარი დასცეს აღმოსავლეთსა, დასავლეთსა, სამხრეთსა და ჩრდილოეთს.

ჯელალედდინის დამარცხების შემდეგ ჩინგისხანის შვილებმა გამოსწიეს დასავლეთისკენ, შემოუარეს კასპის ზღვას, გადმოიარეს მდ. ვოლგაზედ და დარუბანდის კარით საქართველოს შემოესივნენ (1120 წ.) და დაიწყეს სომხითის აოხრება. ლამა გიორგიმ შეჰყარა

90,000 მეომარი და თავს დაესხა ბერდუჯის (საგიმის) ნაპირას დაბანაკებულ მტერს. ქართველნი იძლივნნნ, გამოიქცნენ და მოვიდნენ ტფილისს მწუხარენი. მტერი დაედევნა მათ, მოაწია სამშვიდლომდე და უკანვე გაბრუნდა და შეესია ადრიბეჟანს, და 1222 წ. ისევ შემოება ქართველობას, რომელთაც გაუჟლიტა 30,000 მეომარი *) და შემდეგ ამისა დარუბანდის კარით წა-

*) კ. პ. პატკანოვი. Исторія монголовъ по армянск. источникамъ, გამოც. 1-ლი, გვ. 2 – 3, 70. კირაკოსის თქმით მონგოლთა პირველი შემოსევა საქართველოში მოხდა 1121 წ.



ვიდა ყარაყორუმს, მონგოლთა სატახტო ქალაქს, რომელიც შუაგულს აზიაში იყო.

ამისთანა უბედურებამ მთელი საქართველო და მასთან ერთად ტფილისიც დიდს მწუხარებაში ჩააგდო, რადგან საქართველოს „დროშა უძლეველი დავით აღმაშენებლისაგან აქამომდე, ძლეულ იქმნა“. ამ მწუხარებამ თან გადიტანა ლამა გიორგი (13 იანვ. 1223 წ.) და გამეფდა მისი დაჲ რუსუდანი.

გარნა დამარცხებული ჯელალედდინი ისევ შეება მონგოლებს, მაგრამ ძლეულ იქმნა და 140,000 კაცით გამოიქცა ჩვენკენ. სპარსეთი დაემორჩილა თათრებს. ჯელალედდინი შემოვიდა ადრიბეჟანს, აიღო განჯა და იქიდგან შემოესია სომხითს (24 იანვ. 1225 წ.) და დაიწყო რბევა და ოხრება ქვეყნისა. რუსუდანმა 70,000 მეომარი ჩააბარა იოანე მხარგრძელს და წარგზავნა მტრის წინააღმდეგ. მტერი იდგა მდ. გარნისზედ და მას შეება ქართველების მეწინავე რაზმი, რომელსაც მეთაურობდნენ შალვა და იოანე ახალციხელნი. შენივთდა ომი ფიცხელი და სასტიკი. ქართველების მეწინავე რაზმი იძლია; შალვამა და იოანემ სთხოვეს იოანე მხარგრძელს მოშველება, მაგრამ მოღალატე სპასალარმა არ უშველა და გამოიქცა. ჯელალედდინმა გასწყვიტა მოწინააღმდეგენი და შემოუთვალა რუსუდანს: „ცალკ-ცალკე

გზა და გზა იგინი ჟლეტავდნენ ხალხსა, პირუტყვსა და ძაღლებსაც კი. მათ მოაწიეს ტფილისამდე და გაბრუნდნენ შამქორისაკენ. ლაშა შეება მათ ხუნანს, მაგრამ დამარცხდა. თათრებმა მოხვეჭეს ალაფი და წავიდნენ თავიანთ ურდოში, რომელიც იყო ბარდავსა და ბელაქანს, საიდგანაც იწყეს ქვეყნის რბევა-ოხრება (იხ. II გამოც. იმავე ისტორიისა, გვ. 1 – 3).

ვერ მოვერევით თათრებს, შევერთდეთ და ერთად ვბრძოთ“. მაგრამ რუსუდანმა იცოდა, რომ ჯელალ-ედდინს საქართველოს გაძლიერების სურვილი კი არა ჰქონდა, არამედ აქ მეფობა უნდოდა, ამიტომ უარი შეუთვალა. ჯელალედდინმა სომხითის რბევა-აოხრობით და მამაკაცთა ჟლეტით გამოვლო სომხითი და მოადგა ტფილისს, რომელიც ფრიად გაემაგრებინა დედოფალს და თვითონ იმერეთს წასულიყო. ჯელალედდინი ვერ აიღებდა ამ ქალაქსო, დასძენს მემატიანე, თუ შინა-გამცემი არ გამოჩენილიყოო. ამ დროს ქალაქში იყო სპარსელთა რაზმი, რომელმაც შინა-გამცემლობა იკისრა და მტერს ქალაქის კარი გაუღოო. ყაენი შემოგიდა ქალაქში 9 მაისს 1226 წ. და... დალეწა შენობანი, გაჟლიტა 100,000-მდე ქრისტიანე ერი (ამათ შორის 70.000 სული იყო. ქალაქის მუდმივი მკვიდრი მოსახ-ლე და დანარჩენი სოფლებიდან შემოხიზნული), ჩამო-აგდო სიონის გუმბათი, ზედ ტახტი დაადგა და იქიდ-გან უყურებდა ქალაქის ქუჩა-შუკებში რუებრ მომდი-ნარე სისხლის ნაკადულებს; ხოლო ეს არ იკმარა დიდმა „მეფემ“, სიონის ღვთის-მშობლის ხატი პირაღმა და-აგდო ავლაბრის ხიდზედ და რომელი ქრისტიანიც არ დააფურთხებდა მას და ფეხით არ გასთელავდა, მას თავს აგდებინებდა და მტკვარში ჰყრიდა. ტფილისის განად-გურების შემდეგ ყაენმა შეუსია ჯარი კახეთს, ქართლ-სა, სამცხესა, ანისსა და ააოხრა. სპარსნიო, ამბობს კირაკოსი, არა თუ ტფილისში, არამედ ყველგან სა-სირცხოს ტყავებს სქრიდნენ მამაკაცებს, დედაკაცებს აუპატიურებდნენ, ეკკლესიებსა და სახლებს ანგრევდნენ, ჯვრებსა და ხატებს ლეწავდნენ“ (გვ. 8).

ჯელალედდინი საქართველოს აოხრებაში იყო გარ-



თული, რომ შემოესმა, თათრები მოდიანო. იგი წავიდა ადარბადაგანს და შემწეობა ითხოვა ხალიფასაგან. მაგ-რამ თათრების სიახლოვემ შეაშინა და ისევ ტფილისი-საკენ გამოემართა. რუსუდანმა შეჰკრიბა დიდი ჯარი და ტფილისიდან ბოლნისს წარგზავნა და თავს დაასხა იქ მდგომარე მტერს. პირველი გამარჯვება ქართვე-ლებს დარჩათ, მაგრამ მეორე შებმაზედ იძლივნენ და გამოიქცნენ. მტერი შემოვიდა ტფილისს (1229 წ.) და რაც გადარჩენოდა შეუმუსრავი, მეჰმუსრა *). გარნა მტაცებელს ყეენსაც ფიალი მალე გაექვსო სამსალითა. 1230 წ. მონგოლებმა ალყა შემოარტყეს განჯას და აიღეს 1225 წ., შემდეგ 1226 წლის ზაფხულს შემოე-სივნენ საქართველოს. ჯელალი გაიქცა ტფილისიდან

ყარსისაკენ, მაგრამ მას დაეწივნენ მონგოლნი ბასიანს, მისი ჯარი გაიფანტა, იგი მარტო დარჩა და მოკლულ იქმნა მწყემსისაგან. თათრები გამობრუნდნენ, მოაოხრეს ვალაშკერტი, ხლათი და მოვიდნენ განჯას (1227 წ.) და დაიპყრეს დარუბანდს აქეთი ქკეყნები: შარვანი, მუღამი, ყაბალა, ჰერეთ-კახეთი, სომხითი. რუსუდანი ტფილისს ვეღარ დადგა და ქუთაისს წავიდა, ხოლო გოჭა მუხა-ძეს „ამცნო, უკეთუ მოვიდნენ თათარნი, მოსწვი ტფი-ლისი, თვინიერ პალატისა და ისანთა, რათა სადგომად არღარა იპყრან, ვითარ ხვარაზმელთა“, და მუხაძემაც შეასრულა ბრძანება დედოფლისა: მოახლოვდნენ-რა თათარნი, „მოწვა სრულიად ქალაქი და თვით პალატი

---

*) ნისავი ამბობს, რომ ჯელალდის მიერ მეორედ ტფი-ლისის აღების მიზეზი ის იყოო, რომ მის მიერ ტფილისის გამგედ დაყენებულს შერფულ-მულქს ქართველები აუჯანყდნე-ნო (ვახუშტი, გვ. 228, შენ. 1).



და ისანნი, და ესრეთ მოოხრდა ქალაქი ტფილისისა“.

თათარნი შემოვიდნენ ქალაქს და იწყეს მისი შე-ნება, ხოლო მათი რაზმები, „მსგავსად მკალთა“, მოე-დვნენ ლიხს აქეთს საქართველოს – კახეთს, ქართლს, სომხითს, სამცხეს, ჯავახეთს, არტანს, კოლას, ტაოს, კლარჯეთს, ანისს და დვინს და ნაცარტუტა აადინეს ქვეყანას. გაიჟლიტა იმდენი ქრისტიანი, რომ მათი მოკლული გვამით გაივსო „ყოველნი ალაგნი: ქალაქ-ნი, სოფელნი, ველნი, ტყენი, მთანი და ჴევნი, თვი-ნიერ სიმაგრეთა, და თუ სადამე დარჩომილ იყო ასე-თი ალაგი, სავსე იყო ტყებითა და გოდებითა“. „მამა-დედანი ხედვიდეს მოკლულთა შვილთა და შვილნი მამა-დედათა მკვდართა მდებარეთა, სხვანი ძმათა და ნათესავთა და დათა თვისთა იავარად წარსხმულთა, ცოლთა და შვილთა და ყოველსა სიმდიდრესა მათსა წინაშე მათსა განბნეულსა. ესეოდენნი ზარნი იქმნეს თათართაგან, რომელ უმრავლესნი ქართველნი ციხეთა და მაგართა ადგილთა დაუტეობდეს და შეივლტოდეს ყოველნივე კავკასიად, მთიულეთს“ და სხ. ამისთანა ყოფამ სრულიად დაარღვია საქართველოს ერთობა: რუსუდანი იმერეთს გამაგრდა, „ძლიერნი ერისთავთა ერისთავნი“ (ამერეთისანი) ცალკ-ცალკე განდგნენ და ანუ სრულიად მოოხრდნენ. შველასა და შეწევნას არ-საიდგან მოელოდნენ, რადგან საქართველოს გარეშემო თათრებს ეჭირათ და თვით ბიზანტიასაც ფრიად უჭირ-და, ვინაიდგან მთელს მცირე აზიას გაუბატონდა სულ-ტანი ყიასდინ, ქმარი თამარისა, რუსუდანის ასულისა,

რომელიც დღე-დღეზე მოელოდა თათართა თავს-დასხ-
მას. საქართველოს სახსნელად და ჭირთა სალხინებლად
ერთიღა საღსარი იყო დაშთენილი – შერიგება და და-



ზავება თათრებთან. ეს ზავი კიდეც შეიკრა. რუსუდა-
ნის ძე დავითი, მონგოლთაგან ნარინად (სეფის პირად)
წოდებული, გამოცხადებულ იქმნა მეფედ საქართვე-
ლოისა, და მიეცა მას ტფილისი და სამშვილდე. რუ-
სუდანი ჩამობრძანდა ტფილისს, მიეგებნენ მას წარჩი-
ნებულნი მისნი და „ესრეთ კვალად ეგო სრული სამე-
ფოჲ ბრძანებასა ქვეშე რუსუდან დედოფლისა".

გარნა რუსუდანის ხელმწიფობაში იყო მხოლოდ
აჩრდილი მეფობისა, ვინაიდგან ქვეყანას ჰმართავდნენ
და განაგებდნენ თათართა ნოინნი, განჯას დაბანაკე-
ბულნი. რუსუდანის ძე დავითი ნოინებმა წარგზავნეს
ყარაყარუმს მანგუყაენის წინაშე, რათა სამეფო იერ-
ლაყი (სიგელი) მიეღო. მისგან რუსუდანის ასული
თამარი ქმრის ძალმომრეობითა და გვემით იძულებულ
იქმნა გათათრებულიყო. რუსუდანის ძმის წული დავითი
ყიასდინ სულტანს ჩაეგდო ორმოში და უკვე ხუთის
წლის განმავლობაში მზის სინათლე არ ენახა. უნუგე-
შოდ დარჩენილი დედოფალი „ნაღვლითა და ტირი-
ლითა მწარედ ილეოდა“. იგი დასნეულდა და გარდა-
იცვალა ტფილისს, საიდგანაც მისი გვამი წაასვენეს
გელათს და დაკრძალეს სამარსსა „მამათა მათთა“.

უმეფოდ და უნუგეშოდ დარჩნენ ქართველნი.
აღარ იცოდნენ, რა ექმნათ. „თვითოეული თავადი თა-
ვისა თვისისათვის გააგებდა და ზრუნვიდა, თვითოეუ-
ლი მთავარი ერთსა რომელსამე ნოინს (თათართა ბეგ-



ლარბეგს) მიემხრო. ამასთან ნოინებმა გაჰყვეს საქართ-
ველო და დანიშნეს „ბევრის“ (10,000) მთავარნი:
ეგარსლან ბაკურციხელს მიათვალეს ლაშქარი კახეთ-
ჰერეთის, კამბეჩიანისა ტფილისიდგან შამახიამდე,
გრიგოლ სურამელს ქართლი, გამრეკელსა თორელს
ჯავახეთი და სამცხე არზრუმამდე, ცოტნე დადიანსა
და რაჭის ერისთავს „ყოველი იმერი სამეფო“, ვარამ
გაგელს სომხითი. ამის შემდეგ ნოინებმა წაასხეს ქარ-
თველნი და თათარნი და წავიდნენ ალმუთის დასაპყ-
რობად. ეს ომი შვიდს წელს გაგრძელდა. ამასობაში

ზემორეხსენებული ეგარსლან, „კაცი საკვირველი და მხედრობისა ცოდნითა აღსავსე, ესრეთ განდიდნა, კნინღა და მეფობისა სახელისა დებადმდე, და ყოველი ქართველი ნათესავი ბრძანებასა მისსა ჰმორჩილებდეს, ვითარცა მეფესა და თვით ყოველნი მთავარნიცა და დიდი და პატიოსანი შანშე მანდათურთ-უხუცესი და ვარამ გაგელი“.

შამს მყოფ თურქმანთ შეიტყეს რა ქართველთა ჯარის წასვლა ალმუის და უმეფოდ დარჩენა საქართველოს, 60,000 მეომრით შემოესივნენ ვალაშკარს და იწყეს მისი რბევა-ოხრება. მანდატურთ უხუცესმა შანშემ შეჰკრიბა 30,000 მეომარი, დაეცა მტრებს, სძლია, და განაბნია. ეს ომი ის იყო გათავდა, რომ სამესხეთოს



შემოესია ეზინკის სულტანი ურიცხვის ლაშქრით, მოვიდა ბანას, შემოესია ოლთისს. შავშელნი, კლარჯნი, კოლა-არტანელნი და ციხისჯვარელი და სამცხის სპასალარი ყვარყვარე 10,000 მეომრით შეებნენ მტერს და სახელოვანად გაიმარჯვეს. (ამ სახელოვანს ომს უწოდეს „ბანის ჯვარი“).

ქვეყნის გაჭირებას ბოლო აღარ უჩანდა. ამ შფოთით აღსავსე დროს ქართველთა მთავარნი შეითქვნენ, შეიყარნენ კოხტის-თავს (ჯავახეთში), და მოინდომეს სამშობლოს განთავისუფლება. ეს მთავარნი იყვნენ: შანშე ჯაყელი (ყვარყვარე სპასალარის მამა), ეგარსლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყვარყვარე, შოთა–კუპრო, თორელი გამრეკელი, სარგის თმოგველი, ამერნი და იმერნი. გარნა ნოინებმა შეიტყეს და შეიპყრეს შეთქმულნი, ხოლო ამათ თავი იმართლეს ცრუ ჩვენებით: „ჩვენ ამად შევიყარენით, რომ განვაგოთ თქვენი ხარკიო“. მათაც შეიწყნარეს ესრეთი განმარტება და განათავისუფლეს შეპყრობილნი.

მოთავე ქართველებმა საჭიროდ დაინახეს მოეჯყვანათ ლაშას ძე დავითი და მეფედ დაესვათ. ამიტომ ქარმაღან ნოინს მოახსენეს: ნარინ დავითი წარგიგზავნიათ ყარაყურუმს, დედოფალი რუსუდან გარდაგვეცვალა, უმეფოდ დავშთით, ერთურთს ავეშალენით და, ვეჭობთ, რომ ვისმე დავემორჩილოთ, თუ არა ჩვენთა მეფეთა შთამომავალს. ხოლო ლაშას ძე დავითი პატიმრად ჰყავს სულტანსა ყიასდინს. გთხოვთ იგი გამოიხსნათ და გაამეფოთ ჩვენზედა“. ქარმაღანმა შეუსრულა თხოვნა. შკიდს წელიწადს ჯურღმულს მწყვდეული დავით სოსლანი მოიყვანეს საქართველოს; მას სიხარუ-

ლით მიეგებნენ ყოველნი, გარდა ეგარსლან ბაკურციხელისა. ნოინებმა დავითს ვერ დაუმტკიცეს მეფობა და წარგზაენეს მანგუ ყაენის წინაშე ყარაყურუმს, საცა იგი, ნარინ დავითთან ერთად, დაშთა 5 წელიწადს, ხოლო საქართველოში მანგუმ 60,000 მეომრით გამოგზავნა ყაენად თვისი შვილი ულო. ადარბადაგანს მას გამოეცხადნენ ყველა ნოინები და ეგარსლანი, რომელსა უკვე „უმეტეს მეფისა მორჩილებდენ ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი“.

მალე მანგუ ყაენი მოკვდა და ყარაყურუმს გახელმწიფდა მისი შვილი ყუბულ-ყაენი, რომელმაც ორთავე დავითები გამოუგზავნა ულუ-ყაენს და შემოუთვალა, რომელსაც გნებავს, იმას მიეცი საქართველოს მეფობა და გინდ ორივენი გაამეფეო. ულომ უკანასკნელი არჩია, მეფობა დაუმტკიცა მათ და წარმოგზავნა ქართლს. იმერნი და ამერნი მიეგებნენ მათ ალტაღს, თაყვანი სცეს, მოიყვანეს და დასვეს იგინი „ტახტსა მამათა მათთასა ტფილისს“. მეფენი ძმურად ეპყრობოდნენ ერთმანეთს, მსახურებდენ ულო-ყაენს და ხარკს აძლევდნენ მას. მეფეთა შორის უპირატესობა დავით სოსლანს ეკუთვნოდა; პირველად იმისთვის, რომ იგი იყო ლაშას ძე და მეორეთ იმიტომ, რომ იგი დავით ნარინზე უხუცესი იყო. ულუ ყაენს უფრო უყვარდა სოსლან დავითი, რომელიც ქართველთა ჯარით ალმუთს წარგზავნა. ნარინ დავითი ყაენმა დაიბარა ბარდავს, მაგრამ იგი გაიქცა იმერეთს, სადაც სიხარულით მიიღეს და გაამეფეს ქუთაისს.

თუმცა ტფილისი უმეფოდ დარჩა, მაგრამ იგი ამ დროს ძლიერ გადიდდა და გამშვენდა. დავით მეფე რომ სალაშქროდ წავიდა, აქ დასტოვა „განმგედ“ სა-



მეფოისა და სახლისა თვისისა ჯიქური, რომელმაც ისანს ააშენა სამეფო პალატი „განგებითა დიდითა“; ამის გამგეობის ჟამს „სრულიად სამეფოსა შინა მპარავი და ავაზაკი არა იპოებოდა და თუ სადა გამოჩნ - დის, ძელსა ჩამოჰკიდიან. ამანვე „მხეცის ბუნება“ კაცნი – ფხოელნი „მოხარკე და მეჯორე“ ჰყვნა.

ალმუთის ლამქრობა დასრულდა ბრწყინვალე გამარჯვებით. ქართველთა და თათართაგან შემუსრვილ იქმნა მტერი და მთელი აუარებელი სიმდიდრე მოალაფებულ იქმნა. ქართველნი მეფითურთ დაბრუნდნენ ტფილისს. ყარაყურუმის ყაენის ბრძანებით ამ დროს

მოვიდა არღუნი და მძიმე ხარკი შეაწერა საქართველოს და ამასთან დავით სოსლანის სამეფოს შეაწერა ლაშქარში გამოსაყვანად „ცხრასა გლეხსა სრულისა მიწისა მქონებელსა ერთი ლაშქარს წარმავალი“, და ამ ანგარიშით გამოჩნდა, რომ მეფეს სალაშქროდ უნდა გამოეყვანა 90,000 მეომარი. არღუნმა ხარკის მოსახვეჭად ტფილისში დასტოვა სპარსელი ხოჯა-აზიზი, კაცი უდიერი, და „განაწესა: რაცა განისყიდებოდეს ტფილისსა ასსა თეთრსა ზედა სამი თეთრი საყაენოდ აიღებოდეს“. ხოჯა-აზიზიც ფრიად ერთგულად ასრულებდა არღუნის ბრძანებას და თვით მეფესაც ხარკს ახდევინებდა: „თუ სამზარეულოსა მეფისასა ცხვარი გინა კრავი ისყიდებოდა, მასზედაცა ხორაჯა წაუღიან, რომელსა იგი ტაღმად უწოდდეს“, დასძენს მემატიანე. ესრეთი შევიწროება მეფემ ვეღარ მოითბინა და განიგულა განდგომოდა თათრებს. ამ დროს ყაენმა დავით მეფე დაიბარა სალაშქროდ ეგვიპტის სულტნის წინააღმდეგ. მეფე წავიდა ჯავახეთს და იქ გამოაცხადა თვისი განდგომა; მას მიემხრნენ იქაურნი ქართველნი. ულომ



დაამარცხა ეგვიპტის სულთანი და მოვიდა ყარაბაღს და აქედგან შეუსია რაზმი საქართველოს. თათრებმა განვლეს ტფილისი, წავიდნენ და შეებნენ ქართველებს. მეფე დამარცხდა და წავიდა შავშეთსა და კლარჯეთს და იქიდგან ქუთაისს. ნარინ დავითმა სიხარულით მიიღო იგი. მეფეები მორიგდნენ და შუაზედ გაიყვეს საქართველო. და აგრეთვე გაიყვეს: „საჭურჭლენი ორად, ტფილისი ორად, ქუთაისი ორად, თავად–ერისთავნი ორად, და ესე ვირე ნიკოფსიიდგან დარუბანდამდე“. ულუ-ყაენმა შემოირიგა მეფე დავითი და მისცა მას ტფილისი და ხოჯა აზიზიც ხელში ჩაუგდო.. მეფე მოვიდა ტფილისს და შეირთო ცოლად ჭორმაღან ნოინის ასული ესუქან.

ამ დროს საქართველოში მოვიდნენ (დარუბანდის კარით) ორნი დედაკაცნი – ლიმ და აჩავ და თან მოიყვანეს მრავალნი თავადნი და აგრეთვე მცირე წლოვანნი შვილნი – ფარეჯან და ბაყათარ ოსნი. მეფემ ესენი დაასახლა ზოგი ქალაქ ტფილისში, ზოგი დმანისს და ზოგი ჟინვანს.

ულო რომ მოკვდა, გაყეენდა მისი ძე აბაღა. მას შემოებრძოლა ბერქა-ყაენი დარუბანდისა. მან გადმოვლო შირვანი, კახეთ-ჰერეთი და მოვიდა ტფილისამდე, ააოხრა ქვეყანა და დადგა გარესჯის მთებში. აქ დასნეულდა და დაბრუნდა.

დავით სოსლანის უფროსს შვილს ერქვა გიორგი. იგი იყო ფრიად კეთილი, მხნე და ახოვანი. 18 წლისა რომ შეიქმნა, დასნეულდა და აღესრულა. გვამი მისი დაასვენეს სიონის ტაძარში, დაიტირეს მოქალაქეებმა და სამეფო სახლობამ და მერე წაასვენეს დ დაასაფლავეს მცხეთას. ეს მწუხარება მეფემ ვერ აიტანა და მალე



თვითონაც გარდაიცვალა (1270 წ.) გამეფდა მისი ძე დიმიტრი, თავდადებულად წოდებული, უხვი, მოწყალე. მან განამშვენა და დაამშვიდა ქალაქი ტფილისი. მემატიანე ამბობს, რომ მეფესა „ჩვეულებაჲ აქუნდა: აღიღის საფასე და აღდგის ღამე, და მოვლის ქალაქი და მოიხილნის გლახაკნი, დავრდომილნი და ობოლნი და თვისითა ჴელითა მისცემდის ყოველთა“. მეფემ სასახლეში, ისანს ააშენა მონასტერი – მეტეხთა ღვთისმშობლისა და შეამკო. შემდეგ ტრაპიზონის იმპერატორის ასული მოიყვანა ტფილისს და შეირთო ცოლად, ხოლო თვისი და თამარი მიათხოვა არღუნის შვილს. საქართველოში პურისა და ღვინის მოსავალი დიდი იყო და ქალაქში უხვობა და სიიაფე ყოვლისავე. გარნა სიხარული ხალხს გაუმწარა საშინელმა მიწის ძვრამ, რომელმაც დააქცია საყდარნი, მონასტერნი, ციხენი, სახლნი, კლდენი დაიშალნენ, „მიწა განიპო და წყალი, მსგავსი კუპრისა, აღმოიჭრა; ხენი მაღალნი დაეცნიან და ირყეოდიან“. დაიქცა აწყვერის საყდარი და მცხეთის ტაძარი. სამცხეს მოსწყდა ურიცხვი სული. ილოვა და ზარი იდგა ყოველგან.

აბაღა ყაენმა თათართა და ქართველთა ლაშქარი მეფე დიმიტრითურთ წარგზავნა ეგვიპტეს დასაპყრობად. აქ ისეთი სიგმირე და ძლევა-მოსილობა გამოიჩინეს ქართველებმა და უმეტეს მათმა სარდალმა დიმიტრი მეფემ, რომ განაკვირეს არა თუ მოწინააღმდეგე მტერნი, არამედ თვით მოკავშირე თათარნიც. როცა ლაშქრობიდან დაბრუნდნენ, თათრებმა აბაღა ყაენს მოახსენეს, რომ მეფე დიმიტრი „თენგარიმეთუ ქაურქურბაჲ, ბუღარმეთუ ბუირლაჯი“, რომელიც მონგო-



ლთა ენით ნიშნავს: „ვითა ღმერთი გრგვინვიდეს, ვითა აქლემი ბუღრობდეს“.

აბაღას შემდეგ გაყეენდა მისი შვილი არღუნი. მას განუდგა ბუღა, რომელსაც მიემხრნენ სხვა-და-სხვა ნოინები. არღუნმა მტერნი დაამარცხა და გაჟლიტა

მოწინააღმდეგე ნოინებიც. მეფე დიმიტრისაც მოღალატეობა შემოსწამა და დაიბარა ურდოს. დიმიტრი ფრიად დაღონდა. მოუწოდა ტფილისს მოწინავე ქართველთ და ითათბირა მათთან: „მე შემიძლიან, ეუბნებოდა კრებას მეფე, წავიდე მთიულეთს და თავი ვიხსნა განძვინებულ მტრისაგან. გარნა ამას არ ვიზამ, რადგან თუ გავიქცევი, სამეფოს ამიოხრებს. დეე, დავიღუპო მე და არა მთელი საყვარელი ჩემი სამეფო. თავს ვდებ სამშობლოს სადღეგრძელოდ“. მსმენელნი ტიროდნენ. აბრაამ კათალიკოზმა და ეპისკოპოსებმა დალოცეს მეფე, შეავედრეს ღმერთს და გაისტუმრეს. ყაენი მრისხანედ დაუხვდა მეფეს. გააძარცვინა იგი და საპყრობილეში ჩააგდო. ხოლო თავისი კაცი გამოგზავნა ქალაქს, ააწერინა მეფის ქონება და წააღებინა ურდოში. მეფის სიმდიდრე იყო უთვალავი, უამრავი. ამის შემდეგ მეფე გამოაყვანინა საპყრობილიდგან, აცემინა არგნითა და გადასცა ჯალათებს, რომელთაც წარჰკვეთეს თავი (1289 წ. 12 მარტს). მეფის გვამი ქართველებმა გამოისყიდეს, იმ დროს იქ მყოფ ტფილისის მოვაჭრეებს გამოატანეს. იგი დამარხეს მცხეთას და შეირაცხა წმიდათა შორის.

1289 წ. – 1318 წლამდე მეფობდნენ ვახტანგი II, დავით VII, გიორგი და ვახტანგ III. ამ დროს მონგოლებმა ისე გააოხრეს ტფილისი და ამერეთი, რომ დაუნგრეველი შენობა აღარ დარჩა, აღარსად იყო თესვა,



გახშირდა სვრა და ხოცვა. ქვეყანას მოევლინა ისეთი შიმშილი, რომ „მძორსა არა წმინდასა ურიდად ჭამდეს. სავსე იყვნეს უბანნი, ფოლორცნი, გზანი, მინდორნი, ქალაქნი და სოფელნი მკვდრებითა; ყრმანი მკერდთა დედათა ძუძუთა ლეშკთა წოვდიან“.

ეს ვაება დასრულდა გიორგი ბრწყინვალის მეფობაში (1318 – 1346 წ.). ასი წელიწადი იყო, რაც თათარნი ფლობდნენ საქართველოს (ამერეთს, იმერეთი თავისუფალი იყო მათგან). ამ დროს განმავლობაში საქართველოში მყოფნი მონგოლნი თანდათან დასუსტდნენ, გახრწნეს თვის შორის ერთურთის სიმტკიცე, დაარღვიეს ერთობა, ნოინები და ყაენები ერთურთს გადაეკიდნენ და გადაემტერნენ. ასრე, ამ ბარბაროსებმა თვითვე მოამზადეს ნიადაგი თვისის დამარცხებისა და დაღუპვისა. ოღონდ საჭირო იყო საქართველოს გამოსჩენოდა ნიჭიერი და შემმაერთებელი მეფე, რომ მტერნი შემუსრვილ-იყვნენ და ჩაცვივნულ-იყვნენ იმ თხრილში, რომელსაც იგინი ერთურთსა და დამონე-

ბულ ერთ უთხრიდნენ. ესრეთი მეფეც მოევლინა საქრისტიანოს. და ეს იყო დიმიტრი თავდადებულის შვილი გიორგი, ბექას ასულის ნათელასაგან დაბნელებულ საქართველოს გასანათებლად შობილი.

ნოინებმა რომ მოჰკლეს მუსაილყაენი და თვისთვისად განდგნენ, გიორგი ბრწყინვალემ შემოიკრიბა ლაშქარი, შემუსრა თათართა ძლიერება და გარეკა იგინი საქართველოდგან. მოიწვია სიქართველოს დიდებულნი ცივის მთაზედ დ ურჩნი გაჟლიტა და მათ მაგიერ ერთგულნი კაცნი განამწესა. შემდეგ დაიპყრა რანი, შირვანი, დარუბანდი, ოსეთი, იმერეთ-აფხაზეთი, სამცხე- კლარჯეთი, სომხითი; მოიყვანა მთიულთა ჰაეროვანნი კაცნი ტფილისს და შეუდგინა მათ სამართალი. ასრე, გიორ-



გი მეფემ „სიბრძნე-გონიერებითა თვისითა დაფანტული ივერია კვალად შემოიკრიბნა და დაიმონნა, ვითარცა დავით აღმაშენებელმან, განავსნა და აღაშენნა ქვეყანანი, სჯული და სამოქალაქო წესნი განაბრწყინვა, ეკლესიანი დარღვეულნი აღაშენნა, განაახლნა, რანი, შირვანი და მოვაკანი მოხარკე ჰყო თვისად“. დიდებული მეფე გიორგი გარდაიცვალა ტფილისს (1346 წ.).

მონგოლების საქართველოდგან გარეკის შემდეგ გავიდა 60 წელიწადი და ქალაქი ტფილისი, გამშვენებული და განდიდებული მეფეების მიერ, ისევ გაანადგურა ცნობილმა ლანგ-თემურმა. ამ „მხეცის ბუნება“ კაცის მძვინვარებას საქართველოში გვიხასიათებს მისი ცხოვრება.

„ქართლ. ცხ.“ თქმით თემური გვარტომობით იყო ჩინყიზი სამარყანელი. ჩინგიზთა გვარი შთამომავალი იყო ერთის მდიდარ ქალის – ინყიზისა *), რომელიც უქმროდ და დაუწინდავად მიდგომილ იქმნა და შვა ძე თემური. მამა ახლად შობილისა იყო სული ბნელისა.

გიბბონის სიტყვით, **) თემური დაიბადა სამარყანდის ახლო მდებარე სოფელს ზებზარს; იგი იყო ბერლარის გვარისა; მისი წინაპარი ყარაშარ ნეკიანი იყო ჩაღათაის ვეზირად. იგინი დაუნათესავდნენ მონგოლთა იმპერატორებს ***), ზებზიბარს მათ ჰყვანდათ

---

*) ჩინ-ყიზი, ე. ი. ჩინელი ქალი.

**) Эд. Гиббонъ. Исторія упадка и разрушенія римской имперіи, ч. VII, გვ. 170 და სხვ.

***) ყარაყურუმის ყაენნი: ჩინგისა, ოქრაფა (ოქონთან!, ქუქ, მანგუ, ყუბულ; საქართველთ-საბერძნეთის ყაენნი: ულო,

„თუმანი“ (10,000 ლაშქარი). თემური დაიბადა იმ
დროს (1335 წ., ე. ი. 11-ის წლით ადრე გიორგი
ბრწყინვალის გარდაცვალებისა), როდესაც მონგოლთა
იმპერია აირია, ჩაღათაის შთამოება მოისპო, ემი-
რებმა იწყეს განცალკევება და როდესაც ყაშგა-
რის ხანები გეტებითა და ყალმუხებით შემოესივნენ
მონგოლიას. თემური ჯერ თორმეტი წლისა იყო,
რომ საომრად გამოვიდა, 25 წლისა იყო, რომ შე-
მუსრა გეტები. გარნა მცირე ბრძოლაში მტრებმა გაი-
მარჯვეს, თემური 7 კაცით გაიქცა და 60 დღის გან-
მავლობაში დაწანწალებდა უდაბნოებში. გეტებმა აიკლეს
და შეაძრწუნეს მისი სამშობლო. მან ვეღარ მოითმინა
უდაბნოში ყოფნა და სამშობლოში დაბრუნდა. მას
მიემხრნენ მოგვარტომე ერნი. თემურმა დაამარცხა
მტრები და გარეკა. 34 წლისა იყო თემური, რომ
მთელი ერის „ყურულთამ“ (კრებამ) იგი გამოაცხადა
მონგოლთა იმპერატორად (1370 წელს).

იმავე გიბბონის სიტყვით *) თემურმა დაიპყრა
ქარიზი, ყანდაარი, სპარსეთი ოქსიდგან ტვიგროსის
მდინარემდე და სპარსეთის სრუტემდე. შირვანისა და
ალბანიის მფლობელმა (საქართველოს მეფემ) მას თავი
დაუკრა და მიართვა ფარჩეული, ცხენები და ძვირფასი
ქვები. მან დაამარცხა ედესსის თურქმანნი, რომელნიც
თაყვანს სცემდენ შავს ვერძს. ქრისტიანე ქართველებმა
უარჰყვეს მაჰმადიანობა და ბატონობა თემურისა. თე-

---

ძე მანგუ ყაენისა, აბაღა ულუს ძე, აჰმადა აბაღას ძმა, არღუნ
აბაღას ძე, ქეღთუქონ, არღუნის ძმა, ყაზან არღუნის ძე,
ხარბანდი, ულ ჯათ სულტანი და მუსაით ყაენი.

*) იქვე, გვ. 178.



მურმა სამ გზის ილაშქრა ამ ქვეყანაში და ეს ლაშ-
ქრობა ქართველობაზედ მას ჩაუთვალეს „ყაზავათად“
(საღვთო ომად). მფლობელი ტფილისისა შეიქმნა მის
მოკავშირედ და მეგობრად. დაპყრობილ იქმნა აგრეთვე
ყიბჩაღეთი. ამ ქვეყნის მთავარი თოხთამიში ჩრდილო-
ეთ მონგოლიის მფლობელად დასვა (1390 - 1396 წ.).
ამ თოხთამიშმა უღალატა მას, შეჰყარა მხედრობანი
ბოლგარიისა, ჩერქეზებისა და რუსეთისა და 90,000
კაცით შეესია შუაგულ მონგოლიას და გადასწვა თემუ-
რის სასახლეები. გარნა თემურმა სძლია მას, მივიდა
ყიბჩაღეთს, დაიპყრა ეს ქვეყანა და რუსეთი, გადასწვა
აზოვი, სერად და აშტახ რანი. 1398 - 1399 წელს მან

დაიპყრა ინდოეთი და დაიბანაკა მდ. განგეს ნაპირზედ. აქ დგომისას მიიღო ცნობა შესახებ ქართველებისა და ანატოლიის ერთა აჯანყებისა. ინდოეთი დახარკა, დაბრუნდა სამარყანდს, შეჰყარა ლაშქარი უთვალავი, უამრავი, წამოვიდა დასავლეთისკენ და პირველად ქართველთა ქრისტიანებს დაეცა. ხოლო ქართველების ძალა, აქაური შეუვალი მთები იყო და მაგარი ციხეები. თუმცა ზამთარი იყო, გარნა ყველა დაბრკოლებანი გადალახა თემურის სიმხნემა და რიხიანობამ. ქართველები დაემორჩილნენ მას (1398 წ.) და აღუთქვეს: ზოგმა ხარკის ძლევა და ზოგმა ყურანის რწმენა, გარნა არა მცირედმა ნაწილმა სჯულის ღალატს წამებით სიკვდილი არჩია. საქართველოს მთებიდგან რომ ჩამოდიოდა თემური, ოსმალთა სულთნის ბაიაზეთის ელჩნი გამოეცხადნენ, გარნა ამ ელჩობიდგან არა გამოვიდა რა, და ორის წლის შემდეგ (1400 წ.) შეიბნენ თემური და ბაიაზეთი, რომელთაგან პირველს თავის  სწორი და დარი არავინ მიაჩნდა დედამიწაზე. ხოლო მეორე დარწმუნე-



ბული იყო, რომ მასზე ძლიერი ხელმწიფე არსად იყო. თემური შეესია მცირე აზიას, აიღო ქალაქი სივა (სებასტია) და ცოცხლად დაამარხვინა 4,000 სომეხი. აქედგან ჩავლო ასურეთი, აიღო ალეპპო, რომელიც მოირწყა ადამიანთა სისხლით. კაცთა მოკვეთილ თავებისაგან თემურმა ააგებინა მაღალი გოდლები და კოშკები. ასრე იქცეოდა იგი ყველგან. მანვე დედამიწასთან გაასწორა დამასკი და ხარკად დაადო 10,000,000 ოქრო. შემდეგ აიღო ბაღდადი და ააგო გოდოლი 90,000 კაცის მოჭრილ თავებით. აქედგან იგი ხელახლა შევიდა საქართველოში და მერე 800,000 მეომრით თავს დაესხა ბაიაზეთს, რომელსაც ჰყვანდა 400,000 მებრძოლი და ამას გარდა 40,000 იენგიჩარი და 20,000 ევროპელი. თემურმა დალეწა და მტვრად აქცია მტრის ძლიერება, შეიპყრო ბაიაზეთი და გალიაში ჩასო, ხოლო მთელი მისი ბარგი-ბარხანა და აუარებელი სიმდიდრე ხელთ იგდო. თემურის შვილი-შვილმა მაჰმედმა დაიპყრა მთელი მხარე აზია ზღვამდე. ამ ამბავმა თავზარი დასცა ევროპასა, აზიასა და აფრიკას. თემურმა განიზრახა დაეპყრო მთელი ევროპა, რომლის ხელმწიფენი ძრწოდენ შიშით და მოციქულს-მოციქულზე უგზავნიდნენ თემურს და სთხოვდნენ შეწყალებასა და ხარკის აღებით დაკმაყოფილებას. თემური კი არა ჩქარობდა. მისი სურვილი იყო დაეჭირა მთელი აფრიკა, გიბრალტარის სრუტით გადასულიყო ევროპას, დაე-

მონავა იგი და რუსეთით შინ დაბრუნებულიყო. გარნა ეს ლაშქრობა არ მოხერხდა. ეგვიპტის სულთანი მოწიწებით დაემორჩილა თემურს, გამოუგზავნა სირაქლემები და მრ. ძღვენი, აღუთქვა ხარკის ძლევა, მეჩითებში ლოცვა მის სადღეგრძელოდ და ფულის ჭრა მისის



სახელის ზედ-აღნიშნვით. ევროპიის მაგიერ მან ლაშქარი წარგზავნა ჩინეთის დასაპყრობად, თვითონაც აიბარგა, შევიდა საქართველოში, დააბოლოვა მისი დაპყრობა, იზამთრა არეზის ნაპირას და სპარსეთით შინ დაბრუნდა და გარდაიცვალა 70 წლისა 1405 წელს. ასრეა გიბბონით.

აი, ასეთ ძლიერ ხელმწიფისათვის პასუხი უნდა გაეცა მონგოლთა წინანდელ ყაენებისაგან ახლად განთავისუფლებულ საქართველოს, ახლად-შეკავშირებულ შეერთებულ ქვეყანას; ჯერ ისევ სუსტს საქართველოს უნდა ებრძოლა ლანგ-თემურთან 17 წლის განმავლობაში (1586 - 1403 წ.). მწარე იყო ეს სასმელი, გარნა, სხვებთან ერთად, უნდა შეესვათ მისგან ქართველებსაც. აქ საჭიროა ჩვენი მატიანის სიტყვაც დავურთოთ.

სპარსეთის დაპყრობის შემდეგ თემურმა გამოსწია საქართველოსკენ, შემოვიდა სომხითს, მოსრა ერი, დაანგრია სიმაგრენი, მაადგა კარს (ყარსს), დაანგრია იგი და იქ დაიბანაკა საზამთროდ. ხოლო ზამთარი იყო ფრიად ყინვიანი. ამ დროს საქართველოში მეფობდა გიორგი ბრწყინვალის შვილი-შვილი ბაგრატ V (1360 - 1395). სამცხის ათაბაგი ბექა, მხილველი თემურის ძლიერებისა, განუდგა ბაგრატს, გამოეცხადა თემურს და მორჩილობა აღუთქვა. თემურმა დააჯილდოვა იგი, უკანვე დააბრუნა და უბრძანა, მესხნი ამიერიდგან აღარ ემორჩილებოდნენ ბაგრატსო. ასევე განდგა ვირმელი შურდიას-შვილი, რომელიც ეახლა თემურს და წამოუძღვა მას. ამის გამგონე მეფემ იმერეთს გაგზავნა თვისი შვილი გიორგი, რათა იქაც არ განდგომილიყვნენ. ხოლო თვითონ შეუდგა მცირე კოშკების მაგრებას და



ხალხის დახიზნვას. თვითონ ცოლ-შვილით დადგა ტფილისს და გაამაგრა იგი. ერისთავი ვირშელი შურდიას-შვილი და კათალიკოზი ელიას შევიდნენ ბეხუშის ციხეში „დედაწულითა, ჯოგითა, ცხვრითა, ყოვლითა საყდრის შვილითურთ და ხიზნითა“. თემურს ეგონა,

ბაგრატიც გამომეცხადება და დამემორჩილებაო. რა
სცნა მისი გამაგრება, განძვინდა „მძლავრი იგი ზვავი
და ამპარტავანი“. მოვიდა და გარემოადგა ტფილისს
და თვის სპასპეტებსა და სპასალარებს უბრძანა ბრძო-
ლა ძლიერი და თავის გაწირვა. მეფეს თან-ჰყვა რჩეუ-
ლი ჭაბუკები, თუმცაღა მრავალნი თავადნი წინადვე
თავთავიანთ ციხეებში გამაგრებულიყვნენ და მეფეს არ
ახლდენ. მეფე შეიჭურვა ჯაჭვ-ჭურითა და გამოვიდა
ქალაქ გარედ და შეუტია მტრებსა ისე, ვითარცა „მიე-
ტევების გავაზი გუნდსა წეროთასა და ვითარცა ლომი
მროწეულსა ზროხათასა“. შეიქმნა ომი სასტიკი, მოს-
წყდა მრავალი თათარი, გარნა თემურს ძრა ვერ აქნე-
ვინეს, რადგან მტერს ჰყვანდა ურიცხვი ლაშქარი.
ქართველნი დაიღალნენ და ტფილისის ციხეში შემობ-
რუნდნენ. ასრე იბრძოდნენ ექვსი თვე. გაძნელდა ცი-
ხის აღება. დიდი იმპერატორი იხერხებოდა ჯავრითა.
ბევრის ფიქრისა და ძიების შემდეგ მან უბრძანა, თათ-
რებს გაეკეთებინათ რკინის ჩელტები (ლასტები) და
ჩელტებ აფარებულებს იერიში მიეტანათ ქალაქზე.
თათრებმა ასრე ჰქმნეს. ქართველებმა ვერა გააწყეს-რა.
თათრები შეცვივდნენ ქალაქში და იავარ ჰყვეს ციხეში
მყოფნი, რომელნიმე მოსრეს, რომელნიმე დაატყვევეს
და მათ შორის მეფეცა და მისი მეუღლე ანნაც, ასუ-
ლი ტრაპიზონის იმპერატორის მანუელ III-ისა. მეფე-
დედოფლის შეპყრობისა გამო თემური ფეხზე აღარ



იდგა, მის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. მეფეს
აიძულებდა იგი მიეღო მაჰმადიანობა. მეფეც დამორ-
ჩილდა, მხოლოდ გარეგნობით. თემურმა ქალაქში თავის
ჯარი ჩააყენა და თვითონ წავიდა ყარაიას სანადიროდ.
მეფე-დედოფალიც თან ახლდენ. ნადირობა-განცხრო-
მის შემდეგ წავიდა ყარაბაღს და იქიდგან გამოგზავნა
სპასალარი და უბრძანა დაერღვია ეკკლესია-შენობანი,
გადაებუა დაბანი და სოფელნი. სპასალარიც მოვიდა
(1393 წ.) და მოიცვა ტფილისი და გარემო მისი.
მტერნი არ ინდობდენ ყრმებს, დედებს, მოხუცებულებს
და სამღვდელოთა დასს. ანგრევდნენ ტაძრებს და ცი-
ხეებს. სწვიდნენ მღვდლებს. ამავე დროს გაძარცვეს
მცხეთის სვეტი-ცხოველი და მერე დაანგრიეს სრულიად
ზღუდე პალატებითურთ; შემდეგ დაბრუნდნენ და გზა-
გზა გადაბუგეს ყოველივე, რაც შეხვდათ. აგრეთვე
დასწვეს ქვაბთახევის მონასტერი. აქ იმალებოდნენ მრა-
ვალნი ქრისტიანენი, ბერნი და მონაზონნი. იგინი
გამოიყვანეს, ეჟვნები დაჰკიდეს და აცეკვეს (ამ დროს

ერთმა დედაბერმა წამოიძახა: „ვაი ჩვენს დედაბრობასა, ეს რა გვეჟღარუნებიან!“), შემდეგ შერეკეს ტაძარში და ცეცხლი წაუკიდეს. აქედგან წვითა, ტყვენვითა და ოხრებით ჩაიარეს და მივიდნენ რუისს, დაანგრიეს ციხენი, გოდოლნი და სიმაგრენი და ძირიანად აღმოფხვრეს რუისის ეკკლესია. გაანადგურეს-რა ქართლი, ახლა კახეთს შეესივნენ, შემუსრეს, მოცეცხლეს, დაატყვევეს ერი და წავიდნენ შაქს, საცა იყო ლანგთემური და მიულოცეს გამარჯვება. აქვე გამოეცხადნენ მას ყოველნი კავკასიანნი, ლეკნი, შირვანელნი და გილან-მაზანდარელნი და მორჩილობა აღუთქვეს. გახარებული თემური მეფე ბაგრატს ჰპირდებოდა, თუ მაჰმადიანობას



აიყარა დ შევიდა არაგვის ხეობაში. დაამტვრია და აიღო ციხე-სიმაგრენი და იავარ ჰყო, ხოლო ხიზანი ვერ იპოვნა. აქედგან გაბრუნდა, წავიდა და დაიპყრა სხვა და სხვა ქვეყნები, საიდგანაც საქართველოს შემოუსია თვისნი შვილნი უსეინ, ფირმაჰმედ და ამირ შიხ-აბუ-ბექირ. ამათ აიღეს ერინჯანგის (ალინჯის) ციხე, დაატყვევეს ციხის-თავი და წარუგზავნეს მამას, ხოლო თვითონ მანგლისს მოვიდნენ. გიორგიმ წაჰგლიჯა თათრებს ალინჯის ციხე (1400 წ. და თავზარი დასცა მტრებს. თემურმა შვილები დაიბარა და წარგზავნა ბაღდადის დასაპყრობად. ამ ქალაქის დაპყრობის შემდეგ იგი ისევ საქართველოში შემოვიდა, აიღო ალინჯის ციხე და იქვე დაიბანაკა (1401 წ.) მეფემ აახლა ძმა და მორჩილება გამოუცხადა. თემურმა პატივი სცა მას და გამოისტუმრა, ხოლო თვითონ წავიდა ბარდავს და იქიდგან ისევ მანგლისს მოვიდა. აქ გამოეცხადნენ მას ათაბაგი ივანე აღბუღას ძე, სომხითის, სამცხის და კარის თავადნი. გიორგიმაც მიართვა ძღვენი თავის ძმის კოსტანტინეს ხელით. თემური აიყარა და წავიდა ქურთისტანის დასაპყრობად და იქიდგან განიზრახა საქართველოში შემოსვლა და ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა მისი. მეფემ ისევ აახლა ელი, მორჩილება გამოუცხადა და ფეშქაში მიართვა. თემურმა არც მეფის თხოვნა შეიწყნარა და არც ფეშქაში მიიღო, არამედ მეფეს შემოუთვალა, თუ საქართველოსთვის სიკეთე გსურს, შენ თვითონ გამოცხადდი ჩემ წინაშეო, ხარკი დაიდევ და შენს რჯულზედვე იყავიო. ესრეთი შეთვლილობა წარმოუგზავნა მეფეს და თვითონაც აიყარა

და გამოსწია ჩვენკენ. მის მოსვლამდე მინდერის ჭირ-
ნახული აიღეს ქართველებმა და მეფითურთ სიმაგრეებში
შევიდნენ. თემური ურიცხვის ჯარით ქვემო ქართლი-
დგან შიდა ქართლს შევიდა ოხრებითა, წვითა დაქ-
ცევითა, გარნა ვერსად ადამიანი ვერ ნახა. აქედგან
წავიდა და გარემოადგა ბირთვისის ციხეს, რომელშიაც
გამაგრებულ იყვნენ წარჩინებულნი თავადნი (30) სული.
ციხისთავად იყო ნაზალი და მათვე ჰყვანდათ მრავალნი
აზნაურნი და მსახურნი. საჭმელი, სასმელი მრავლად
ჰქონდათ. ციხე მიუვალს ადგილას იყო და მეტად გა-
მაგრებული. რამდენჯერაც მიესეოდნენ თათართა მეო-
მარნი მეციხოვნეებს, იმდენჯერ გამოცვიოდნენ ხოლმე
შიგნიდან და მუსრს ავლებდენ მტრებს. მრავალი მტე-
რი გაჟლიტეს ერთ მუჭა ქართველებმა. თემური ძრწოდა
შიშითა და ბრაზით. საქმე რომ გაუჭირდა, გარემოიცვა
ციხის არე-მარე და მის გარეშემო მაღალი ციხეები და
კოშკები ააშენებინა. შიგ ჩააყენა თვისი ლაშქარი და
უბრძანა ძლიერად ბრძოლა. ქართველნი უმიშრად
იყვნენ და მტერს დიდს ზარალს აძლევდნენ. ასრე
გაგრძელდა ბრძოლა დიდ ხანს. საუბედუროდ
ძლევა-მოსილებით განლაღებულ მეციხოვნეთ ტალა
(ყარაული) არა ჰყვანდათ ციხის იმ მხრივ, საცა იყო
ციხეში ამოსაძრომი გვირაბი. თემურის ჯარში იყო
ვინმე ბეგიჯან, რომელმაც იცოდა ამ გვირაბის ადგილ-
მდებარეობა. თემურმა გააკეთებინა ბამბეულის თოკი,
ამ თოკით კიბე დააწვნევინა. ეს ბეგიჯანი ღამე აიპარა
კლდეზე და დაწნული კიბის წვერი მოამაგრა გვირაბის
შესავალს. იმავე ღამეს თითო-თითოდ ავიდნენ თემური-
სანნი, შევიდნენ ციხეში და კარები გააღეს. იმავ წამს
თათრები გარედანაც და შიგნიდანაც მიესივნენ ქართ-
ველებს. შეიქმნა ომი ფიცხელი; აბჯართა ცემა-კვეთე-
ბისაგან იდგა გრიალი და ქუხილი. ქართველებმა გაა-



პეს მრავალკეცი რაზმი მტრებისა, გაჟლიტეს ურიცხვი
თათარი, გარნა ამაო იყო მათი ბრძოლა: თათარნი
ბევრნი იყვნენ და საბოლოო გამარჯვება მათი იყო.
ასეც მოხდა. ქართველთა უმეტესობა დახოცეს, და-
ნარჩენნი შეიპყრეს და ხელშეკრულები წარუდგინეს
თემურს, ხოლო მათი უამრავი სიმდიდრე-ქონებანი
მოჰხვეჭეს და მიუტანეს თვისს მბრძანებელს. თემური
მეტად გახარებული იყო. ქართველთა ტყვენი სამარ-
ყანდს გაგზავნა (1402 წ.). ციხეში ჩააყენა თავისი რაზ-
მი მაჰმედის მოთავეობით და თვითონ აიყარა და წავიდა
შამს, შეება სულთან ბაიაზითს, დაამარცხა იგი, შეიპ-

ყრა და ჩასვა რკინის ყაფაზაში. კეისარმა მოართვა თემურს ძღვენი და მისცა ხარჯი. აქედგან თემური მივიდა თურქისტანს, სალმობიერ იქმნა და „ბოროტი იგი ბოროტად წარწყმდა“. მემატიანე ასრე აბოლოებს თემურის ისტორიას: „ შვიდ გზის იავარ-ჰყო საქართველო ბოროტმან და ღვთისა მიერ რისხვეულმან“, რომელიც იმდენად უღვთო და ულმობელი იყო, რომ ჩვილ ყრმებსაც, როგორც უკვე ვსთქვით, არ ინდობდა. ზეპირგადმოცემით, ამ თემურმა ტფილისის აღების შემდეგ შემოაგროვებინა მოქალაქეთა ბავშები, მიწაზე დააყრევინა იგინი და მერე კევრი შეაბმევინა და ამ კევრს გაათელინა მრავალი უსუსური და უმანკო სული. იმ ადგილს, საცა ასეთი კალო გაილეწა, დაერქვა „კალოუბანი“ და აშენდა ეგრედ წოდებული კალოუბნის ტაძარი.

თვალი რომ გადავავლოთ ეხლა მონგოლთა მფლობელობის ჟამს, ჩვენ ვერც კი აღვნუსხავთ იმ დიად ვნებას, რომელიც დაჰმართა მათმა ბატონობამ ქართველებსა და მათს სატახტო ქალაქს. თათრებმა სულ



120 წელიწადი იმფლობელეს საქართველოში (1325 - 1220) + (1402 -1387) = 120 და ამ დროს განმავლობაში:

ა) თამარის აღყვავებული საქართველო (უმეტესად ამერეთი) გალეწეს, გადაბუგეს, გაძარცვეს, გადასთხარეს, გაამიშვლეს, გაავერანეს;

ბ) თამარის დროს მჭიდროდ დასახლებული ერი, რომლის რიცხვი 4 1/2 მილიონი იყო მარტო ამერეთში, ზოგი გაჟლიტა მტერმა, ზოგი ტყვედ წაასხა, ზოგი შიშიანობამ, უსმელ-უჭმელობამ, ყინვა-სიცივემ და მრავალთა, ომიანობის მიერ მოვლენილ უბედურებათ იმსხვერპლეს; და უმეტესად კი დაიღუპნენ ისინი, რომელნიც რჩეულნი და ქვეყნის მარილნი იყვნენ, ესე იგი, მხნენი, ძლიერნი, ახოვანნი, ნიჭიერნი, მწიგნობარნი, უშიშარნი, ერთის სიტყვით იმისთანა გაგებულნი კაცნი და გმირნი, რომელთაც მტერთან ბრძოლა სამშობლოს სადღეგრძელოდ „ლხენად და თამაშად“ მიაჩნდათ.

გ) ზნეობა ერისა შეირყა: თათართა მეოხებით შემოვიდა სოდომური სიბილწე, მოისპო ძმობა, ერთობა, პირიანობა; გახშირდა ორპირობა, ღალატი, განდგომილობა, სიმცონარე, და ასე იყო არა თუ საერო წოდებაში, არამედ, ხშირად, სასულიეროშიაც *).

დ) მეფეთა უზენაესი ხელმწიფება შესუსტდა, და-

ძაბუნდა, დაქუცმაცდა, განაწილდა; დამკვიდრდა და-

*) აი ერთი მაგალითი. დავით მეფის იმერეთში მყოფობისას ბასილი ჭყონდიდელმა და უჯარმელმა ურცხვად შეაგინა მეფის საწოლი: თანაეყო ესუქან დედოფალს და ფრიადი აწყინა სეფეთა ქვეყანისათა. მეფე რომ ტფილისს დაბრუნდა,



მოუკიდებელი ათაბაგობა სამცხისა, თვითმპყრობელობა იმერთა მეფისა, გურიელობა, დადიანობა, დადიშქელიანობა, შარვაშიძეობა და სხ. მოსწყდა საქართველოს ანისი, დვინი, კარი, კარნუქალაქი, დარუბანდი, ლეკეთი.

ე) აშენებული და ერ-მრავალი ქალაქები – ტფილისი და სხვ. დაილეწნენ, დაიწვნენ და მათთან ერთად მოისპო ვაჭრობა და სააღებ-მიმცემო კავშირი მეზობელ ხალხებთან.

ვ) შეიჭამა და გადაშენდა შინაური პირუტყვი, ხვადაგი, ცხენი, ფრთოსანი და სხ. და მათი მოშენება ახლად უნდა დაწყებულიყო.

ზ) გონებითი საზრდო – აუარებელი რიცხვი ხელნაწერებისა მტერმა გადასწვა და ანუ დახივ-დაფხრიწა.

ერთის სიტყვით, მონგოლთა წაშავების შემდეგ საქართველო (ამერეთი) წარმოადგენდა უდაბნოს, საცა მოფანტულ-მიფანტულ და მიყრილ-მოყრილ შენობათა ნამუსრევნი, დაკოდილ–დაკლულ კაცთა ლეშნი და მათ გარეშემო ვაებით მოტირალ და ქანც-გაწყვეტილ ერის გარჯა მკვდართა დასამარხავად, სახლთა და ეკკლესიათა ასაგებად, კარ-მიდამოს მოსაწყობად, სათესად, ბაღვენახთა გასაშენებლად, გადათხრილი არხების შესაკეთებლად და სხ. და სხ.

ასეთი შედეგი აქვს და ექნება უმცროს და ბრიყვ ერის მფლობელობასა და მძლავრობას: იგი უდაბნოდ

მეასმინეს ბასილი და იგი ძელზე ჩამოკიდებულ იქმნა შუა ქალაქში. ხოლო ესუქან დედოფალმა შური აგო და მეფე მოაწამლვინა („ქართ. ცხ.“ გვ, 394, 409).



და ახალშენად აქცევს მოშენებულსა, აღყვავებულსა და პატარძალივით მორთულს ქვეყანას!

დიახ, მონგოლთა ჭრილობა ისეთი ღრმა და პირფართო იყო, რომ საქართველომ ამიერიდგან ვეღარ შესძლო განკურნება, ერთობისა, ძმობისა და მყუდ-

როების დამყარება. იგი, რასაკვირველია, ამას შესძ-
ლებდა, თუ არ გამოჩენილიყვნენ ახალნი მძვინვარე
მპყრობელნი და მათ წინანდელ ჭრილობისათვის ახალი
ჭრილობაც არ მიემატებინათ.

მონგოლთა წაშავების შემდეგ კიდევ გავიდა 60
წელიწადი და ახლა საქართველო აიკლეს სპარსელებმა
და მათ შემდეგ ოსმალებმა. ამ სამოც წელიწადში
(1402 წლიდგან 1463 წლ.) ამერეთი ისევ მოშენდა.
ალექსანდრე მეფემ (1413 - 1442) და მისმა მოხელე-
ებმა ხალხი გამოიყვანეს სახიზნებიდან, ააშენეს სოფ-
ლები, ქალაქები, ციხეები, ეკკლესიები; შემოჰკრიბა
მონაზონნი, მღუდელნი, მგალობელნი; შეეწია თავად-
თა, აზნაურთა, გლეხთა, დიდთა და წვრილთა და მკვდრე-
თით აღადგინა ქვეყანა. მანვე ააშენა მცხეთის სვეტი-
ცხოველი, განამშვენა, შეამკო, უბოძა მამულები, გა-
უჩინა შემოსავალი. დაშოშმინდა ერი, დაწყნარდა,
დაბინავდა. მრავალი ტყვედ წაყვანილი ქართველი გა-
მოისყიდა, მოიყვანა და დაასახლა. აღადგინა აგრეთვე
ტფილისი, რომელსაც შემოავლო გალავანი, გაამაგრა
და ააშენა ახალი სახლები. საზოგადო საქმეების გასა-
კეთებლად მთელს ერს გამოჰქონდა თავისი წვლილი –
ორმოც-ორმოცი თეთრი (= 2 მან.) ყოველს კომლს.
ეს კომლეული ხარკი შემრიღო ალექსანდრე მეფემ
1431. წ. და მანვე ამოჰკვეთა 1440 წ.

ალექსანდრეს ძე გიორგი VIII რომ დაჯდა ტახტზე



(1445 - 1469 წ.), ბიზანტიის იმპერატორმა კოსტანტი-
ნემ (გამეფდა 1448 წ.) ტფილისს გამოგზავნა თავისი
პროტოპრესვიტიარი ფრანცა *) დიდის ამალით – დი-
დებულებითა, მხედრებითა, ექიმებით, ბერებითა და
მგალობელთა გუნდით. აზრი ფრანცას მგზავრობისა
ის იყო, რომ იმპერატორს ჰსურდა დედოფლად მიეყ-
ვანა გიორგი მეფის შვენიერი ასული. ფრანცა რომ
მოდიოდა ტფილისისაკენ, მას ეგებებოდენ დაბა-სოფ-
ლელნი და, თუმცა ბერძული ენა არ ეყურებოდათ,
მაინც აღტაცებით ისმენდნენ მათს მუსიკას. ფრანცამ
ინახულა მეფე, მეფის ასული და დაბრუნდა ტრაპი-
ზონს და ნახულ–გაგონილი მოახსენა იმპერატორს.
ფრანცა მეორე წელიწადს მოვიდა და დაწინდა მეფის
ასული, რომელსაც მამამ მისცა მზითვად 50,000 დუ-
კატი და ყოველ-წლიურ ჯამაგირად განუწესა 5,000
დუკატი. ფრანცამ ამის შემდეგ კოსტანტინეპოლს წა-
იყვანა მეფის მოციქული, რომელიც სიხარულით მი-
იღო იმპერატორმა, „ოქროს სიგელი“ შეადგინა თავის

დაწინდვის შესახებ, ზედ დაასო სამი წითელი ჯვარი
და ქართველს მოციქულს უბრძანა, რომ მომავალის
წლის გაზაფხულს (1453 წ.) პატარძლის მოსაყვანად
საქართველოს გამოვგზავნი გემებსო. ამის შემდეგ გა-
დაეხვია ფრანცას, მადლობა უთხრა და უბრძანა მომა-
ვალს წელს ისევ მოგიხდება საქართველოში წასვლა
იმპერატრიცის მოსაყვანადო. გარნა ეს დაწყობილება
არ აღსრულდა, ვინაიდგან სწორედ იმ წელიწადს, რო-
მელსაც პატარძალი უნდა წაეყვანათ, კოსტანტინეპოლი
აიღო სულთან მურად II-მ და იმპერატორი კოსტან-

*) იხ. გიბბონის ისტორია.



ტინე XII დაიღუპა დიდებული ქალაქის ნანგრევებზე.

გავიდა კიდევ რაოდენიმე ხანი და საქართველოს
ახლა მძვინვარე და დაუძინებელ მტრებად გაუხდნენ
სპარსეთის ყაენები და ოსმალეთის სულთნები.

1463 წელს ასანბეგ ყაენის ჯარმა აიკლო ქართ-
ლი, მეფე გიორგის საგანძურნი წარიტაცა და უკუ-იქ-
ცა. ეს რომ იხილეს მოვაკნელებმა და შირვანელთ,
განუდგნენ მეფეს და ხარკი აღარ მისცეს.

1469 წ. მეფე კოსტანტინე ეკურთხა ტფილისს,
უზუნასან ყაენმა აიღო ტრაპიზონი და 1478 წ. შემო-
ვიდა სომხეთს, გააოხრა იგი; მერე მოვიდა სომხითს,
შემოადგა ორბეთის ციხეს, ვერ აიღო იგი, გამოსწია
და შემოერტყა ტფილისს. კოსტანტინე იძულებულ
იქმნა დაეთმო ქალაქი ყაენისათვის, რომელმაც თვისი
მეომრები ჩააყენა ტფილისის ციხეში და შეესია ქართლს
და დადგა მუხრანს. აქედგან წარგზავნა ჯარი, რომელ-
მაც მოარბია ქართლი, ხერკი, საგურამო და თიანეთი.
ამ დროს ყაენი დასნეულდა, მეფეს დაუბრუნა ტფი-
ლისი, გარდა მისის ციხისა, რომელშიაც სპარსთა მე-
ციხოვნენი იყვნენ, და თვითონ დაბრუნდა სპარსეთს
და მოკვდა. გაყაენდა იაყუბი. სცნეს-რა ყაენის სიკვ-
დილი, ტფილისის მეციხოვნენი გამოვიდნენ და სპარ-
სეთს გადიხვეწნენ. მეფემ აიღო ტფილისი, გორი; მო-
სწყვიდა ყაენისაგან ქართლს დასახლებულნი ელნი.

1486 წ. იაყუბ ყაენი შემოვიდა სამცხეს და შე-
მოუსია ჯარი, რომელნიც თავს დაესხნენ დბანისსა და
ქვეშის ციხეს; მოსტყვენვეს, მოაოხრეს და დაბრუნდ-
ნენ. ქალაქს ვეღარ მოვიდნენ, რადგან იგი ფრიად
გაემაგრებინა მეფეს და ამასთან საბარათიანოს ლაშქა-
რი ძლიერად შეება მათ და მუსრი გაავლო.

1486 წ. იმავე ყაენის სპასპეტი ხალილბეგ შემოვიდა სომხითს, აიღო ციხეები ქაოზიანი და აღჯაყალა, გაამაგრა იგინი და ტფილისს გარემოადგა და ძლიერი ბრძოლა ასტეხა. მეფე კოსტანტინე ამ დროს იმერეთს იყო. იგი მსწრაფლ მოვიდა და საბარათიანოს ჯარით დაეცენ სპარსელებს ჭანდარს და სრულიად მოსწყვიტა იგინი. ტფილისის გარემოდგომილთ თავზარი დაეცათ და გაიქცნენ. კუმისის ბოლოს გადუსწრეს მათ ქართველებმა, მოსრეს და მათი თავები ღობემარგილებზე ჩამოაცვეს. ხალილბეგმა ძლივს მოასწრო გაქცევა.

1490 წ. იყუბის ჯარი კვალად შემოვიდა სომხითს, აიღო კოჟრის ციხე და მოადგა ტფილისს. იბრძოლეს დიდხანს და ვერ აიღეს. შეუსიეს რაზმი ორბეთს, მაგრამ იგინი ამოსწყვიტეს ბარათიანთ. ტფილისის გარე-მდგომნიც გაიქცნენ, მაგრამ ამათგანაც უმეტესობა ამოწყვეტილ იქმნა. მეფემ აიღო აღჯაყალა და ქაოზიანი და ქალაქს დაბრუნდა.

ამავე წელიწადს მეფემ მოიწვია თვის სასახლეში კათალიკოზი, ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი და დაეკითხა მათ: „რაჲ ვჰყოთ განდგომილობისათვის ქვეყანათა და ვითარ მოვაგოთ კვალად მეფობასვე ჩვენსა?“ ითათბირეს დიდ ხანს და დაადგინეს: „ვინაიდგან მტკიცედ სდგან ერთგულობასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა იმერნი და კახნი და კვალად ათაბაგისა სამცხელნი, ამისთვის არ გაგიზრახავთ, მეფეო, ბრძოლასა, რამეთუ თუმცა მრე ვექმნნეთ ერთსა, არღარა მოგვცემს მეორე ნებასა, არამედ ვაცადოთ ჟამი, უკეთუ კვალად აგოს ღმერთმან მეფობასავე შენსა“.

1512 წ. ყაენების ძლევამოსილობის საწინააღმდე-



გოდ სამცხეს შემოვიდა ხონთქრის დიდ-ძალი ლაშქარი, რომ ქართველები არ მიმხრობოდნენ მას, ყაენი შაჰ ისმაილ მსწრაფლ წამოვიდა ტფილისისკენ. მეფე დავითმა (1505-1525 წ.) ერთგულება გამოუცხადა მას, თვისი ძე აახლა და ძღვენი მიართო. ყაენი გაბრუნდა და დაიპყრა დიარბექირი. აქ მას შეება ხონთქარი სელიმ და დაამარცხა.

1522 წ. შაჰისმაილ ყაენი დიდის ლაშქრით შემოვიდა სომხითს, აიღო აღჯაყალა და იქიდგან ტფილისს წარმოგზავნა ჯარით ყარაფილი; მას სხვა ჯარით უკან გამოადევნა ელიასბეგი და თვითონაც ნელა-ნელა

წამოვიდა. მეფე ტფილისიდგან გავიდა თავის ჯარით
და თელეთს შეება ყარაფილს, მრავალნი გაჟლიტა და
დანარჩენნი გაიქცნენ. გაქცეულებს შემოხვდათ ელი-
ასბეგი და უკანვე დააბრუნა და გამოსწია ტფილისის-
კენ. მეფე და მეფის ძე ლუარსაბი სასტიკად შეებნენ
მტერს და პირი აბრუნებინეს. გაქცეულებს დაედევნა
ლუარსაბი და ყათლამი უყო. ამ დროს იაღლუჯიდგან
შემოპარულიყო თვით ყაენი და ზურგის მხრივ მოსდ-
გომოდა ქართველებს, რომელნიც უკვე დაღალულიყვ-
ნენ. შეიქმნა ომი სასტიკი. ქართველები ლომებრ იბრ-
ძოდნენ, გასწყვიტეს მრავალი მტერი, გარნა ბოლოს
იძლივნენ და გაიქცნენ. ყაენი მოადგა ტფილისს, რომ-
ლის საშველად ქართლის ჯარით მოდიოდა მეფე და-
ვით. ყაენმა მოისყიდა ციხის-თავი და აიღო ციხეცა
და ქალაქიც, სადაც შემუსრა ხატნი და ჯვარნი, გაძარ-
ცვა სიონის ღვთისმშობლის ძვირფასი ხატი და მტკვარ-
ში ჩააგდო (ეს ხატი შემდგომად იპოვნა ბატონმან
ლევან ნავთლუღის ჭალაშიო, შენიშნავს მემატიანე),
გასწყვიტა მოქალაქენი და ტყვე-ჰყო; ავლაბრის ხიდის



ყურზედ ააშენა მეჩითი, ციხეში შეაყენა თავისი მცვე-
ლები და მერე წარგზავნა თვისი ჯარი ქართლისა და
სამცხის ასაოხრებლად. გული რომ შეიჯერა ყაენმა,
აიყარა და წავიდა სპარსეთს. ხოლო დავით მეფემ მოს-
რა მის მიერ ქალაქის გარემოს დაყენებული თათრობა,
აიღო ტფილისი (1513 წ.) და გასწყვიტა შიგ მყოფნი
სპარსნი; წავიდა და აიღო აღჯაყალა და გარეკა ყი-
ზილბაშნი.

1536 წ. ყაენი შაჰთამაზ მოვიდა განჯას და იქიდ-
გან მიეპარა ტფილისს, აიღო იგი და გადასწვა. მეცი-
ხოვნენი შეშინდნენ და ციხე გადასცეს ყაენს, რომელ-
მაც ციხეში თავის ჯარი ჩააყენა, ხოლო ქართველნი
მეციხოვნენი გაამაჰმადიანა და უკუ იქცა. დაბრუნდა
რა ყაენი, მეფე ლუარსაბმა (1534-1558 წ.) მოსრა
ყიზილბაშნი და აიღო ტფილისი.

1548 წ. შაჰთამაზი კვალად მოვიდა შირვანს და
იქიდგან ტფილისს, რომელიც აიღო, გასწყვიტა შიგ
დარჩენილნი ქართველნი, ციხეში შეაყენა მრავალნი
მცველნი და დაბრუნდა. მეორე წელიწადს ისევ გამო-
ილაშქრა, შემუსრა კარი, აიღო არტაანი, მოაოხრა
სამცხე, თრიალეთი, საბარათიანო, ბიცხვისი, შემუსრა
გორი, აიღო ვერისციხე, ატენი, საცა დაატყვევა ლუ-
არსაბის დედა და მრ. წარჩინებულთა ცოლნი, წამო-
ვიდა მოვაკანს, ერევანს და სხ. დასვა ხანნი, ბეგ-

ლარ-ბეგნი, სულტანნი და მათ უბრძანა მიშველებოდ-
ნენ ტფილისს, თუ მას დაეცემოდა მეფე ლუარსაბი.
ყაენის წასვლისავე უმალ მეფემ გასწყვიტა ტფილისის
არემარეზე მოსახლე თათარ-სპარსნი და გარემოადგა
ქალაქს. მეციხოვნე სპარსელთ შველა სთხოვეს განჯის
ბეგლარ-ბეგს შავერდის. იგიც წამოვიდა. მას დაეცნენ



ლუარსაბი და მისი შვილი სვიმონი, ამოჟლიტეს და
უკუაქციეს. გარნა მეფემ ჭრილობა მიიღო და აღეს-
რულა (1558 წ.).

მეფე სვიმონი ეკურთხა მცხეთას. გარემოადგა
ტფილისის ციხეს და შეაჭირვა მეციხოვნენი, რომელ-
თაც ყაენმა მოაშველა ჯარი და საქართველოს მეფედ
დანიშნა გამაჰმადიანებული დაუთხანი, ძმა სვიმონ მე-
ფისა. დაუთხანი წამოუძღვა ყიზილბაშებს. მოიშველია
განჯის ხანიცა და ტფილისს შემოვიდა. სვიმონი გა-
მაგრდა დიღომს. დაუთხანი დაეცა მას, მაგრამ იძლია
და შეივლტო ქალაქს (1567 წ.) და სვიმონი გარემო-
ადგა მას და შეაჭირვა. დაუთხანმა შემწეობა ითხოვა
ყარამლუს სპასპეტის უსეინბეგისაგან. უსეინბეგი
შემოიპარა ტფილისს. სვიმონი ავიდა ტაბახმელას. გან-
ლაღებული დაუთხან გამოვიდა ქალაქიდგან და ეკეეთა
სვიმონს სამადლოს, გარნა ძლეული გამოიქცა და შე-
მოიხვეწა ტფილისს; ხოლო სვიმონი ისევ ტაბახმელას
დადგა. დაუთხანმა თვისი გაჭირვება აცნობა ყაენს,
რომელმაც უბრძანა განჯა-შამახიის ბეგლარბეგებს დაე-
ქირავებინათ ჩერქეზნი, ლეკეთის შამხალი და მიშვე-
ლებოდნენ დაუთხანს. ეგრე ქმნეს. დაუთხანი დიდძალის
ჯარით ფარცხისს ავიდა. სიმონი იდგა აწუფისს. მას
უღალატა კახაბერ ყორღანაშვილმა, გაიქცა მტრებთან
და მოუძღვა მათ. სვიმონი მწვავედ შეება მტრებს, ჰკლა,
მუსრა, ჟლიტა და პირი აბრუნებინა. ამ დროს ყორ-
ღანაშვილმა სპარსელთ ანიშნა „აი ეგ არის მეფეო“.
მიესივნენ მას და დაიჭირეს (1569 წ.). სვიმონის ჯარი
გაიფანტა. გამარჯვებული დაუთხან ტფილისს მოვიდა
და ტახტზე დაჯდა, სვიმონი კი წარუგზავნა ყაენს,
რომელმაც იგი ჩასო აღიამუტის საპყრობილეში.



რჯულისა და ქვეყნის მოღალატე დაუთხან რომ
განცხრომაში იყო, არას ზრუნავდა ქვეყნისათვის, სა-
ქართველოს შემოესია ოსმალთა სარდალი ლალაფაშა.
მან გამოვლო სამცხე, ქართლი და მოადგა ტფილისს.

ბიწიერ დაუთხანმა გადასწვა ქალაქი დე თვითონ თავი
შეაფარა მთის სიმაგრეებში. ლალაფაშამ აიღო ტფი-
ლისი, დაიპყრა ქართლი, სამცხე და იმერეთს შეუსია
რაზმი; გარნა ეს რაზმი ამოჟლიტეს იმერლებმა და
ქართლელებმა. ლალაფაშა წავიდა შირვანს, დაიპყრო
იგი, დაბრუნდა და დადგა მუხრანს, ყაენი (ხუდაბანდა)
ამერეთს თავისად რაცხდა და ამიტომ ამ ქვეყნის ბა-
ტონობას ვერ დაუთმობდა სპარსეთის დაუძინებელ
მტრებს, ოსმალებს. გარნა ოსმალთა შემოსევის შიში
თვითონაც ჰქონდა და საქართველოსთვის არა სცალო-
და. ამიტომ ხუდაბანდამ თავის დედას ოთარ შალიკა-
შვილის ასულის რჩევით საპატიმროდან გამოიყვანა
სვიმონი, მეფობა დაუმტკიცა, 9,000 თუმანი განუკვე-
თა, ქართველი ტყვეები მისცა და დაავალა „წადი, სა-
ქართველო დაიპყარ და ოსმალნი გარეკეო“. სვიმონი
წამოვიდა. მას მიემხრენ ქართველნი. დაუთხანი ლალა-
ფაშას შეეფარა და წავიდა სტამბოლს, საცა მოკვდა.
ლალამ ტფილისი საფაშოდ ჰყო, ხოლო გორი სანჯა-
ყად. მერე წავიდა და სამშვილდის სიონი დაანგრია,
ხოლო მისი ციხე გაამაგრა. სვიმონი მოვიდა და აიღო
ლორე, გორი და სხ. ციხენი, გარდა ტფილისისა. ლა-
ლაფაშა მუხრანიდან სამცხეს წავიდა და მის მაგიერ
მოვიდა სინანფაშა, რომელმაც აიღო ლორე, გორი და
და დადგა მუხრანს. მას თავს დაესხა სვიმონი და შე-
მუსრა იგი. ფაშა გაიქცა და ძლივს შეასწრო ტფილისს
(1581 წ.). მეფე ლილოს ავიდა და წარგზავნა რაზმი



ტფილისის ნახირთა წამოსასხმელად. მათ გამოუხტნენ
ოსმალნი, ხოლო მეფე დაეცა მტრებს და ამოჟლიტა
მცირეოდენ ის გარდა! მეფე წავიდა და შეება ლორეს
ფაშას, რომელიც დაამარცხა, უკუაქცია (1582 წ.) და
ლორე აიღო (1 აპრილს). აქედგან მოვიდა ტაბახმელას.
მას დაეცა ტფილისის ფაშა, რომელიც შემუსრა მეფემ
და ტფილისში შეაგდო და თვითონაც მოადგა ქალაქს,
აიღო იგი და რაც ოსმალთა ჯარი იყო, სულ ერთიანად
ამოსწყვიტა (1583 წ.). შემდეგ ამისა მეფემ აიღო სამ-
შვილდეც და ოსმალნი აქაც გაჟლიტა. ამის გამგონე
სულთანმა დიდძალი ჯარი გამოგზავნა. ეს ლაშქარი
დადგა ხატის სოფელს, გარნა სვიმონმა გაჟლიტა
ეს ლაშქარიც, აიღო დბანისი და რაოდენიმე
წლის შემდეგ გორიც (1599 წ.). სულთანმა ახლა ჯა-
ფარფაშა გამოგზავნა უამრავის ლაშქრით. ჯაფარფაშა
დადგა ნახიდურს, სვიმონი საღირაშენს. მტრის ჯარის
დასაზვერავად გამოსული სვიმონ მეფე შეიპყრეს მტრებ-

მა და წაიყვანეს სტამბოლს (1600 წ.).

გიორგი X სვიმონის ძე ეკურთხა მეფედ ტფილისს (1600 წ.) 1604 წ. ტფილისს მოვიდნენ რუსთა ელჩები, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ ქართველთა სეფეწულთაგან ამორჩეული საქმრო ბორისის ასულის ქსენიასათვის და სასძლო მისის ვაჟის თეოდორესთვის. ელი ტატიშჩევი სწერს: „მეფემ მიგვიწვია სასახლეში. მივედით. მიგვიღო დედოფლის პალატში და გვაჩვენა თვისი ასული ელენე, რომელიც იჯდა მარგალიტ მოვლებულ მუთაქაზე. პალატის იატაკი დაფენილ იყო ოქროთი მოქარგულ ხალიჩებით. სეფე ქალის საცმელი იყო ხავერდისა, რომელსაც ოქროს ფერი დასცემდა და



და მოვლებული იყო არშიებითა. მას ეცვა აგრეთვე სხვა საცმელი – ოქსინოსი. თავზედ ეხურა ალისფერ ხავერდის ქუდი, ძვირფას მარგალიტებიან-თვლებიანი. სეფე-ქალის მარჯვენით იჯდა მისი დიდედა, ხოლო მარცხენით დედა. მათი საცმელი ხავერდისა იყო“... ელჩებს მოეწონათ ელენე და მეფეს ეხვეწებოდნენ მოგვეცი წავიყვანოთო. მეფემ უთხრა, ჩემი ქალი ჯერ მცირე-წლოვანია და ამას გარდა ქართველებს ჩვეულებად გვაქვს ქალი არ დავწინდოთ, ვიდრე მთხოვნელი სამგზის მაჭანკალს არ გამოჰგზავნისო.

ლუარსაბ II დროს (1605 – 1616 წ.) ტფილისის მოურავად იყო გიორგი სააკაძე (თარხნიშვილი). ლუარსაბი მეფედ ეკურთხა ტფილისს. მან ამოსწყვიტა (1609 წ.) თათარხანის 80,000 მეომარი. მეფეს გადაემტერა შაჰაბაზ I, რომელიც 1615 წელს შემოვიდა ქართლს, ლიქნით შეიპყრა მეფე, მოიყვანა ტფილისს, ციხეში თავის ჯარი ჩააყენა, მეფე ყარაიას წაიყვანა, ანადირა და იქიდგან წაიყვანა სპარსეთს და ჩასო გულაბყალას და მერე მოაშთობინა (1622 წ.)

1616 წ. შაჰაბაზი ხელახლა ეწვია საქართველოს, აიკლო ტფილისი, ააოხრა კახეთი, ერწო, თიანეთი, დაანგრია ციხე-ქალაქნი, ეკკლესია-მონასტერნი, გაჟლიტა 70,000 სული ქართველი, 100,000-მდე დედაბუდიანად აჰყარა და წარგზავნა სპარსეთს, 30,000 სული კიდევ სხვა დაიღუპა, ყაენმა წაასხა 2,000 საქონელი, 40,000 ცხვარი, დაატყვევა თეიმურაზის დედა ქეთევან დედოფალი და წამებით მოჰკლა (1624 წ.). საჭურის-ჰყვნა თეიმურაზის ორი ვაჟი. ამოჟლიტა გარესჯის 600 მეუდაბნოე. ტფილისში ჩააყენა ძლიერი ჯარი და „ტფილისში“ მეფედ დასვა გამაჰმადიანებული

ბაგრატ († 1619 წ.) და მის შემდეგ სვიმონ-ხანი († 1629 წ.), რომლის დროს სპარსელნი (ცეცხლის წვიმებს აწვიმებდნენ ამერეთზედ. ქართველნი სასტიკად შეებრძოლნენ ყიზილბაშებს: არაგვზედ, სადაც გასწყვიტეს მრავალი მტერი, ქსანზედ, მარაბდას (1623 წ.), საცა ქართველთ დაჰკარგეს 10, 000 მეომარი, ხოლო სპარსთ 18,000.

1634 წ. ტფილისში სპარსთა ჯარით შემოვიდა მეფე როსტომი, ხოლო. 1636 წ. ხონთქარი და ყაენი მორიგდნენ და საქართველო გაიყვეს: ხონთქარს ერგო იმერეთი, საათაბაგო და ქურთისტანის ნახევარი, ხოლო ყაენს ერევანი, ქართლი, კახეთი და ქურთისტანის ნახევარი.

ამ დროიდგან ტფილისი ხდება „სპარსთა ქალაქად“: სპარსთა მეციხოვნე ლაშქარი და აგრეთვე სპარსეთში გაზრდილნი ქართველთა ბატონიშვილები და დიდებულნი ტფილისში ავრცელებდენ ყიზილბაშთა ზნეჩვეულებას, და ეს უცხოეთიდგან გადმონერგილი ზნეჩვეულება ნელ-ნელა ვრცელდება ჯერ ტფილისის მიდამოებში და მერე მთელს ამერეთშიაც. მემატიანე ამბობს: „როსტომმა თვისი კარის გამგენი განაგნა წესსა ზედა ყიზილბაშთასა. მას ჟამსა ქართველნი იყვნენ მხნენი, რჯულ-მტკიცენი, წრფელნი, ვეცხლის უყვარულნი; ხოლო როსტომმა სპარსეთიდან მოიყვანა საქართველოს ტყვენი, გამაჰმადიანებულნი, და ამათით შეერია ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშება, ტყუვილი, ხორც-განსვენება, აბანო, კეკლუცობა უგვანი“ და სხ. ამის დროსვე ქართველებმა მიივიწყეს თვისი მშობლიური საკრავები და შემოიღეს სპარსულები: ნაღარა, ზურნა და სხ.



როსტომმავე ააშენა დანგრეულ-დაქცეული ტფილისი, გაამაგრა მისი ციხე, მეტეხს შემოავლო მაღალი და მკვიდრი გალავანი ბურჯ-კოშკებითა; ისნის სასახლე დაუტევა და თავის საცხოვრებლად ანჩისხატსა და სიონს შორის მტკვრის პირას ააშენა ახალი სასახლე, ხოლო კალაში ჩააყენა სპარსთა ლაშქარი. ავლაბრის ხიდის ყურიდან კალის ციხემდე ააშენა ზღუდე და მით გაჰყო ქალაქი და ციხე. კალის ციხეშიაცა და მეტეხის ციხეშიაც ჩააყენა ყიზილბაშნი. როსტომის წინააღმდეგ შეითქვნენ ზოგიერთნი დიდებულნი და მათ შორის კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე, რომელიც

მეფემ შეიპყრა, დაამწყვდია ტფილისის ციხეში და
მერე გადმოაგდო განჯისკარის კოშკიდან და გადაჩეხა.
ელოდე გადითაგდი გაზისა კ. კო მკიდ გად ეე:ა.

1658 წ. გამეფდა შაჰნაოზი (ვახტანგ V), რო-
მელმა „აღაშენა და განავრცო ქართლი, თრიალეთი,
ტაშირი, აბოცი; ჰმატა რჯულსა ქრისტეანობისასა და
ეკკლესიათა, რამეთუ მცდელობდა როსტომის მიერ
განრყვნილნი ისევ მოეგო კვალსავე თვისსა: ვინადგან
ჟამსა მისსა ზიარება სისხლისა და ხორცისა უფლისა
ჩვენისა სირცხვილად უჩნდათ“… (ქ. ცხ. გვ. 54).

ყაენმა გამოუგზავნა შანაოზს დიდი ფული და
უბრძანა ზღუდე შემოევლო ქალაქისათვის. მეფემ რომ
შეასრულა ეს ბრძანება, ყაენის ბრძანებით აქაურმა
მოხელეებმა ქალაქის კარებზედ ყარაულები დააყენეს.
ამ ყარაულებს მოხერხებულ ჟამს უნდა შეეპყრათ მეფე
და წარეგზავნათ სპარსეთს. მეფე მიუხვდა მათ, გამო-
ვიდა და ქალაქის სამხრით, ასპარეზის თავს, მტკვრის
კიდეზედ აიშენა სასახლე, დასახლდა მასში და ტფი-
ლისში აღარ შევიდა. სპარსელები დარწმუნდნენ, რომ



მეფეს ვერ შეიპყრობდენ მისის სახლობითურთ, გა-
შორდნენ ტფილისის კარებს (გვ. 54).

შანაოზიდგან მოკიდებული ვიდრე ვახტანგ VI-დე
(1658 – 1724 წლამდე) ყაენებმა წყალი აღარ
დაუწმინდეს ქართლსა და კახეთს. მთელი ჩვენი
ქვეყანა ყიზილბაშებმა დააკნინეს, დააქუცმაცეს,
მეფენი გაამაჰმადიანეს, გადაჰკიდეს ერთურთს მება-
ტონენი და მთავარნი, შეაძულეს ქართლი კახეთს და
ორთავეს მიუსიეს ლეკეთი და ადრიბეჟან-შირვან-შა-
კიხის ხანები. ტფილისი მეტად გაამაგრეს და შიგ ჩა-
აყენეს ძლიერი ჯარი, რომელთაც თვალყური უნდა
სჭეროდათ, რათა ქართველნი არ აშლილიყვნენ წინა-
აღმდეგ სპარსთა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს მე-
ფენი მაჰმადიანებად ითვლებოდნენ, გარნა იგინი ახერ-
ხებდნენ იმასაც, რომ მფარველობა გაეწიათ თვის ქვე-
შევრდომ ქრისტიანეთათვის და ეზრუნათ მისის კეთილ-
დღეობისათვის. ამ დროის შესახებ საყურადღებო ცნო-
ბებს გადმოგვცემენ უცხოელთა მოგზაურნი – შარდენი,
რომელიც მოვიდა ტფილისს 1671 წელს, და ტურნე-
ფორი (1701 წ.)

შარდენი სწერს: საქართველოდ ვუწოდებ მთელ
იმ მხარეს ამ ქვეყნისას, რომელიც ექვემდებარება სპარ-
სეთს. საქართველოს დღეს საზღვრავს: ჩერქეზეთი და
მოსკოვი აღმოსავლეთის მხრივ, მცირე სომხეთი დასავ-

ლეთის მხრივ, დიდი სომხეთი სამხრეთის მხრივ და ჩრდ. მხრივ შავი ზღვა და კოლხიდის ის ნაწილი, რომელსაც იმერეთს ეძახიან. ეს მთლად, ჩემის ფიქრით, ის მხარეა, რომელსაც ძველად იბერია ერქვა. ერთ დროს საქართველოდ ითვლებოდა არზრუმსა, თავრიზსა და ტანაისს (მდ. დონი) შორის მდებარე ქვეყანა და ერქვა



მას ალბანია. ეხლა კი იგი დაკნინებულია და შევიწროებული. საქართველოში ბევრი ტყეებია. მთებ შორის მრავალი არის მშვენიერი და გრძელი, გარნა ვიწრო, ხეობებია. საქართველოს შუა უფრო ნაყოფიერია და თანაბარი, ვიდრე მისი გარე ნაწილები. შუაშივე ჩამოუდის მდ. მტკვარი, რომელსაც გეოგრაფოსები უწოდებენ კირუსს, და ანუ კორუსს. მტკვრის სათავე, როგორც მითხრეს, დღე-ნახევრის სავალზეა, კავკასიის მთებში; იგი ერთვის კასპიის ზღვას. ეს მდინარე ყველა სპარსეთის მდინარეებზე სასარგებლოა, რადგარ უფრო დიდს მანძილს ივლის და გამოსადეგია სანაოსნოდ. სპარსთა გეოგრაფოსები საქართველოს გურჯისტანს ეძახიან და ოთხ ნაწილად ჰყოფენ მას: იმერეთად, გურიად, ახალციხის სამმართველოდ, კახეთად და ქართლად, რომელსაც ძველი გეოგრაფოსები ალბანიად უწოდებდნენ. ამათგან სპარსეთის საბრძანებელში მხოლოდ ქართლი და კახეთია. გიორგიონნი თავის თავს ქართველებს ეძახიან. ეს სახელი ახალი არ არის: იგი გვხვდება ძველ მწერლების ნაწერებშიდაც, მაგ. ეპიფანეს წერილებში ქართველები ქარდიანებად მოხსენებულია. საქართველოში ქალაქები ცოტაა. კახეთში უწინ ყოფილა რამდენიმე ქალაქი, რომელნიც ეხლა, ერთის გარდა, დანგრეულებია. ტფილისში მითხრეს, რომ ეს ქალაქები დიდრონები იყოო და მდიდრულად ნაგები. ამასვე აფიქრებინებს კაცს ჯერ ის, რაც კიდევ მთელად დარჩენილა და რაც მათს ნაშთს წარმოადგენს. კახეთს ხშირად არბევენო კავკასიონის გადაღმა მცხოვრებნი ერნი: ალანნი, გუნნი და სხ. და აგრეთვე ამაზონები (ამორძლები).

„ქართლში 4 ქალაქია; გორი, სურამი, ალი და



ტფილისი. გორი პატარა ქალაქია, მდებარებს ორს მთას შორის, მტკვრის ნაპირას, ერთის გორის ძირში, რომელზედაც ციხეა აგებული. ეს ციხე აუშენებია რუსტენ-ხანს (როსტომ მეფე) 40-ის წლის წინად. ცი-

ხეში ბევრი გუშაგი არ არის, სულ 110 კაცია. იგი მეტად მაგარია. ამ ქალაქის სახლები და ბაზარი მიწურებია, მცხოვრებნი ვაჭრები არიან და ამიტომ საკმაო შემლებაც აქვთ. სანოვაგე აქ უხვად არის და იაფია. სურამი უფრო დაბაა, ვიდრე ქალაქი, გორზედ პატარაა, გარნა მისი ციხე დიდია და კარგად აგებული. აქაც ასი მეციხოვნეა.

„საქართველოში კარგი ჰავაა, ხმელი, ზამთარში ძალიან ცივი და ზაფხულში ცხელი. აქ მაისიდან ნოემბრის გასვლამდე სულ კარგი დარები იცის. მიწას მორწყვა უხდება. საქართველო ნაყოფიერი ქვეყანაა. აქ სცხოვრობენ ადვილად და კარგად. აქაურისთანა პური სხვაგან არსად მოდის. ხილი მეტად კარგი იცის და ამასთანავე ყოველნაირი. აქაურისთანა ველური ვაშლი და მსხალი ევროპის არც ერთ მხარეს არ მოდის და აქაურისთანა ბროწეული – აზიაში. რქოსანი და წვრილ-ფეხი საქონელი აქ მრავალია და ძალიან კარგის ჯიშისა. გარეული ღორი ბევრია და ისეთივე გემრიელი ხორცი აქვს, როგორც კოლხიდის ღორს. დაბალი წოდებისანი სულ ღორის ხორცს სჭამენ. კასპიის ზღვასა და მტკვარში მრავლად იჭერენ თევზს. დაბეჯითებით შეიძლება ვსთქვათ, რომ იმისთანა კარგი სანოვაგე, როგორიც საქართველოშია, არსად სხვა ქვეყანაში არ იქნება. არც ისეთი ქვეყანა იქნება, რომ იმდენსა და ისე კარგს ღვინოს სვამდენ, როგორც საქართველოში. აქ ვაზი მაღლარია, როგორც კოლხი-



დაში, ტფილისიდგან ბლომა ღვინო მიაქვთ ყაენისთვის სომხითში, მიდიასა და ისპაჰანს. საპალნე ღვინო ღირს რვა ფრანკი. ასე ფასობს უკეთესი ღვინო, ხოლო ცოტა მდარე არც ამის ნახევარი ღირს. ყველა სხვა სანოვაგეც ძვირი არ არის. აქ ბევრი აბრეშუმი მოჰყავთ, მაგრამ იმდენი კი არა, რამდენსაც მოგზაურები აღნიშნავენ. აბრეშუმის მოვლის ხელი კარგად იციან. აბრეშუმი გააქვთ ოსმალეთსა, არზრუმსა და სხვა ქვეყნებში.

„აღმოსავლეთში ქართველთა ტომი უუმშვენიერესია, და, შემიძლიან ვსთქვა, მთელს ქვეყანაზედაც. აქ არ მინახავს არც ერთი ცუდის სახის ქალი და ან კაცი; ანგელოზივით ლამაზები ბევრი შემხვედრია. ქალების უმეტესი ნაწილი ბუნებითვე ისეთის სიკეკლუცით დასაჩუქრებულია, რომ სხვაგან ვერსად შეხვდებით. აქაურს ქალს თვალი რომ მოჰკრათ, შეუძლებელია არ შეგიყვარდესთ. შეუძლებელია გამოიხატოს ქართველ ქალის მშვენიერ სახე-ტანადობისთანა სახე და ტანადო-

ბა, იგინი არიან მშვენიერნი, თვალტანადნი, წერწეტნი
და კეკლუცნი. იშვიათად შეხვდებით აქ უშნოდ გასქე-
ლებულს ქალს. მათ მხოლოდ ის აუშნოებთ, რომ ფერ-
უმარილს ისმენ.

„ქართველები ნიჭიერნი არიან ბუნებითეე. იგინი
სწავლულები და ხელოვნების მცოდნენი იქნებოდნენ,
თუ სწავლა-ხელოვნებაში მწვრთნელნი ჰყოლოდათ.
იგინი არიან თავაზიანნი, მოსიყვარულე გულისანი,
თავმომწონენი და თავდაჭერილნი. ზნე და ჩვეულება
უმეტეს ნაწილად შეთვისებული აქვთ იმ ერთაგან, რო-
მელნიც გარს არტყიან. ქართველებს მისვლა-მოსვლა
აქვთ მრავალ ხალხებთან. თვით საქართველოში ყველასა
აქვს უფლება იცხოვროს თავის რჯულისა და ჩვეულე-



ბისამებრ, თავისუფლად ილაპარაკოს ამ საგნებზედ და
დაიცვას მათი შეუხებლობა. აქ შეხვდებით სომხებს,
ბერძნებს, ურიებს, ოსმალებს, სპარსელებს, ინდოე-
ლებს, თათრებს, რუსებს, ევროპიელებს. სომხები ბევ-
რი არიან აქ. იგინი ქართველებზე უფრო მდიდრებია
და დაბალის მოხელეების ადგილები უმეტესად სომხებს
უჭერიათ. ქართველები მათზე ძლიერნი არიან, თავმომ-
წონენი, ზვავნი დ მედიდურნი. სარწმუნოებისა, ზნისა და
ხასიათის სხვა-და-სხვაობა არის მიზეზი სიძულვილისა
ქართველებსა და სომხებს შორის. ქართველებსა და
სომხებს ეზიზღებათ ერთმანეთი და არ უნათესავდებიან
ურთიერთს. განსაკუთრებით სომხები მეტად სძულთ
ქართველებსა და თითქმის ისე უყურებენ მათ, როგორც
ევრობაში ურიებს. ქართველების ტანისამოსი სრულიად
წააგავს პოლონურს ტანისამოსს. ქუდებიც ისეთი აქვთ,
როგორიც პოლონელებს, მათი ახალუხი გულჩაღილუ-
ლია და წინა კალთებგაშლილი. ფეხსაცმელი სპარ-
სულს წააგავს. ქალების ტანისამოსი სპარსთა ქალების
საცმელის მაგვარია. დიდკაცობის სახლები და აგრეთვე
ყველა სახელმწიფო შენობანი სპარსულ შენობათა ყაი-
დაზედ არის აგებული. სახლების აგება ადვილდება
სიუხვისაგამო ხე-ტყისა და ქვა-კირისა. ქართველები
სპარსელებს ჰბაძვენ სხდომაში, წოლაში, ჭამა-სმაში.
მებატონეებს დიდი უფლება აქვთ ყმებზედ. იგინი მთე-
ლის თვეების განმავლობაში რამდენიც სურთ, იმდენს
ამუშავებენ ყმებს და არც ჯამაგირსა და არც საზრდოს
აძლევენ. მათ ხელი მიუწვდებათ ყმების ქონებასა, თა-
ვისუფლებასა და სიცოცხლეზედაც კი. ბატონები ჰყი-
დიან ყმების შვილებს და ან მონებად ჰყავთ სახლში.

ქართველ-მეგრელებმა ქრისტიანობა მიიღეს მეორე საუკუნეში.

„ქართველებსა ჰყავთ რამდენიმე ეპისკოპოსი, ერთი მთავარ-ეპისკოპოსი და ერთიც პატრიარქი, რომელსაც კათალიკოზს უწოდებენ. თუმცა მეფე მაჰმადიანია, გარნა აკურთხებინებს ხოლმე ეპისკოპოსებს, როცა ადგილები დაიცლება, და ამ თანამდებობათ თავის ნათესავებს აძლევს. მებატონეებსაც ამგვარივე უფლება აქვთ თავთავიანთ მამულებში. აქაური კეთილშობილნი გარეგნობით უმეტეს ნაწილად მაჰმადიანნი არიან. ეს სარწმუნოება ზოგს იმისთვის მიუღია, რომ მეფის კარის ადგილი ეშოვნა და სახელმწიფო ჯამაგირები მიეღო; ზოგს იმისთვის, რომ თავიანთი ქალები მეფისათვის მიეთხოვებინა და ან დედოფლის კარზედ ფარეშობა ეშონა მათთვის. ვისაც ლამაზი ქალი ჰყავს, სცდილობს რაც შეიძლება ადრე გაათხოვოს; ღარიბი ხალხი უფრო ადრე ათხოვებს თავის ქალიშვილებს, ხანდახან აკვანშივე ჰნიშნავენ ხოლმე. ამას იმიტომ სჩადიან, რომ მებატონეებმა არ მოსტაცონ გასასყიდად.

„კახეთში ეხლა მეფობს შანაოზის შვილი არჩილი, რომელმაც მაჰმადიანობა იმიტომ მიიღო, რომ სამეფო დაეჭირა. არჩილი თავდაპირველად დანიშნული იყო ერთ თავადი შვილის ქალიშვილზედ, მაგრამ იმან თვისი დანიშნული დასტოვა და შეირთო კახეთის მეფის თეიმურაზის ასული ნესტან-დარეჯან. პირველმა დანიშნულმა არჩილს კაცი გაუგზავნა და შეუთვალა, რად შეურაცხჰყავი ჩემი სახელიო. ქალს ჰსურდა სასამართლოსათვის მიემართა, გარნა ამ გზით არა გამოვიდო.-და-რა, რადგან მოწინააღმდეგე დიდის ხარისხისა და გავლენის პატრონი იყო. სასამართლომ რომ ვერ და-



აკმაყოფილა ქალი, ოთხასს კაცს მიუძღვა და საომრად გამოითხოვა მოღალატე. არჩილმა უარი სთქვა და შემოუთვალა: ქალთან ბრძოლა არა მსურსო და ნურც გამოიდებ თავს, თორემ გავამჟღავნებ, რომ ციცი კვეხოლობდა, ვითომ შენ იმას მოწყალე თვალით უყურებდიო. ამ ცილის-წამების გამო ქალი უმეტესად განრისხდა და ახლა ციცის გადაეკიდა და ხმალში გამოითხოვა. მისგან უარი მიიღო. ქალი ჩაესაფრა ერთ ალაგს, დაეცა მას და ოც კაცზედ მეტი მოუკლა. ქალის ძმამაც დაუწყო დევნა ციცის. მეფე და ყველა კარის კაცნი შეეცადნენ შეერიგებინათ მოპირდაპირე-

ები, გარნა ვერას გახდნენ და მისცეს ნება იარაღით გადაეწყვიტათ დავა. საქართველოში, ჩვეულებისამებრ, როდესაც სამართალი ვერ გადასწყვეტს დავას კეთილ-შობილთა შორის და ვერც შეარიგებს მათ, მაშინ ერთ-მანეთთან ბრძოლის ნებას მისცემენ. ბრძოლა ასპარეზ-ზედ იციან. მოწინააღმდეგენი აღსარებას იტყვიან, ეზიარებიან და გადიან საბრძოლველად. ამას ღვთის სამსჯავროსადმი მიმართვას უწოდებენ. ციცი და მო-წინააღმდეგე გავიდნენ მოედანზედ, მაგრამ ჯარის-კა-ცებმა გააშველეს. ქალი თითქმის მოკვდა სირცხვილი-თა და ჯავრით, როდესაც ნახა, რომ მეფის ბრძანებით მისი ძმა იძულებული შეიქმნა შეჰრიგებოდა არჩილსა და ციცის.

„ტფილისი უკეთესი და უმშვენიერესი ქალაქია. იგი დიდი არ არის, გარნა ძლიერ დასახლებულია და გამაგრებული; სძევს მთის ძირში, რომელსაც ჩამოუდის მტკვარი. უმეტესი მტკვრის პირა სახლებისა სალს კლდეზედ აგებულია. ქალაქი შემოზღუდულია შვენი-ერისა და მაგარის კედლით, მხოლოდ მდინარის მხრივ



უგალავნოა. ქალაქი სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ გაწეულია. სამხრეთის მხრივ აქვს დიდი ციხე, რომე-ლიც აგებულია მთის კალთაზე. ციხეში მხოლოდ სპარ-სელები სცხოვრებენ და მეციხოვნედაც მხოლოდ სპარ-სნი არიან. ციხის წინ არის სარბიელი და იგივე მოე-დანიცაა და ბაზარიც. ეს ციხე თავშესაფარ ადგილად ითვლება: ყველა დამნაშავე და ანუ შეუძლებელი მო-ვალე რაკი ამ ციხეში შეეფარება, აღარ მოელის ში-ში. ქართველთა მეფემ ეს ციხე გზად უნდა გაიაროს ხოლმე, როდესაც იგი, ჩვეულებისამებრ, ქალაქ გარედ მიდის ყაენისაგან გამოგზავნილ წერილებისა და ან სა-ჩუქრების მისაღებად. მეფე არასოდეს არ გაივლის ხოლმე აქ ისე, რომ შიში არა ჰქონდეს: ვაჲ თუ შე-მიპყრანო, ვაჲ თუ ციხისთავს საიდუმლო ბრძანება ჰქონდეს ჩემის შეპყრობისაო. სპარსებს ძალიან ჭკვია-ნად დაუწესებიათ, რომ საქართველოს მეფეები და სპარსეთის მირზაჰანები ქალაქ გარედ უნდა გავიდნენ ხოლმე იმის მისაღებად, რასაც ყაენი უგზავნის. ეს ძა-ლიან მოხერხებული ღონეა, რომ ადვილად და უხი-ფათოდ შეიპყრან საეჭვო კაცები.

„ტფილისის ციხე აუშენებიათ ოსმალებს 1576 წ. ამ წელს მათ დაუპყრიათ ეს ქალაქი და მთლად მისი მიდამო მუსტაფა-ფაშის წინამძღოლობით, რომელსაც ვერ გაჰმაგრებია მეფე სვიმონი. მუსტაფა-ფაშამ ხონ-

თქარს სოლიმანს ურჩია, საქართველოში რამდენიმე ციხე ავაგოთ, თორემ უამისოდ ამ ქვეყანას ვერ დავიმორჩილებთო. სოლიმანის ბრძანებით აგებულ იქმნა ციხეები და მათ შორის ტფილისისაც, რომელიც გაამაგრა ასსზედ მეტ ზარბაზნით.

„ტფილისში რამდენიმე ეკკლესიაა, რომელთაგან



6 ეკუთვნის ქართველებს და დანარჩენი სომხებს. დედა–ეკკლესია, სიონად წოდებული, მდინარის პირზედ აშენებული არის შვენიერის თლილის ქვით. ეს ეკკლესია ძველი შენობაა და ჰგავს იმ უწინდელ ტაძრებს, რომლებსაც ხშირად შეჰხვდებით აღმოსავლეთში. შუაგულს აქვს 4 დიდი სვეტი, რომლებზედაც დამყარებულია გუმბათი. ეკკლესიის საკურთხეველი დიდია. შიგნითი მხარე ტაძრის კედლებისა სავსეა მხატრობით. არქიელის სასახლე იქვე ეკკლესიასთან ახლოა. მასში სცხოვრობს ტფილელი. ქართველებს ჰქონდათ ერთი შვენიერი ეკკლესია ქალაქ გარედ. იგი მეფემ თოფის წამლის ბეღლად აქცია. მას ჰქვიან მეტეხი. სომხების უმთავრესი ეკკლესია არის ფაშა-ვანქი, ე. ი. ფაშის მონასტერი, და ესრეთი სახლი იმიტომ დარქმევია მას, რომ იგი ოსმალეთიდგან გამოქცეულსა და ტფილისში გაქრისტიანებულს ფაშას აუშენებია.

„ტფილისში მეჩითი სულ არ არის. სპარსნი ბევრს ცდილან, ბევრჯელ დაუწყიათ მეჩითის აგება, მაგრამ ვერ დაუსრულებიათ: ქრისტიანები მაშინვე იარაღს ხელში იღებდნენ, არეულობას ახდენდნენ თურმე, შენობას ანგრევდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ მეჩითის ამშენებლებს! მეფეებს გულში ძლიერ უხაროდათ ხალხის ამგვარი ამბოხება, თუმცა თავს ისე აჩვენებდნენ, ვითომ არ მოსწონთ ერის ასეთი საქციელიო. მეფეები თუმცა ქრისტიანობას გადუდგებოდნენ ხოლმე და მაჰმადიანობის გავრცელებას ეხმარებოდნენ, მაგრამ ამას მხოლოდ იმიტომ სჩადიოდნენ, რომ მეფობა მოეპოვათ, გული კი ისევ ქრისტიანობისკენა ჰქონდათ.

„ქართველები გაუტეხელი და მამაცი ხალხია. ესენი თავგანწირულად იცვენ თავიანთ თავისუფლებას. რად-



გან იგინი ოსმალებზედაც ახლოს არიან, ამიტომ სპარსები ვერა ჰბედვენ სრულიად ხელი ჩაჰჭიდონ ქართველებს და ნებას აძლევენ დაიცვან თითქმის ყველა გარეგანი ნიშნები თავის რჯულისა: ყველა ეკკლესიის

თავზედ გაკეთებულია ჯვარი, სამრეკლოში ჰკიდია ზარები. საქვეყნოდ და მოურიდებლად ჰყიდიან ღორის ხორცსა და აგრეთვე ღვინოს ქუჩებში. სპარსებს, რასაკვირველია, ჯავრი მოსდით და აღკრძალვა უნდათ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა გაუწყვიათ.

„ამ რამდენიმე წლის წინად სპარსებმა ააშენეს ერთი პატარა მეჩითი ციხეში, იქ, საცა ციხესა და მოედანს შორის მაგარი კედელია. ეს ადგილი იმიტომ ამოურჩევიათ სპარსებს, რომ ხალხს ხშირად დაენახა და შესჩვეოდა როგორც მეჩითსა, ისე მოლებსაც. ქართველებმა ვერ დაუშალეს მეჩითის აგება, რადგან ციხე გამაგრებული იყო, ხოლო როცა მოლა ავიდა მეჩითის თავზე და მუყრი შემოსძახა, ხალხი შეგროვდა მოედანზედ, დაუმინა ქვა მეჩითს და მოლა გადმოიფრინა მაღლიდგან. ამის შემდეგ მოლა ვეღარ ადის სამუყროდ...

„ქალაქმი რამდენიმე კარგი საჯარო შენობებია, დიდრონი ბაზრები, ქვით ნაშენი და სუფთად შენახული. ასეთივეა ქართველებიც, საცა ბინავდებიან უცხოეთიდან მოსულნი. შიგ ქალაქში ცოტა აბანოებია და ხალხი ბანაობს იმ თბილ წყლებში, რომელიც ციხეშია. ამ აბანოების წყალი გოგირდიანია და მეტად ცხელი. დუქნებიც კარგად მოწყობილია, სუფთად შენახული. დუქნები ჩამწკრივებულია მაღლობზე, დიდის მოედნის პირში.

„მეფის სასახლე ერთი უშვენიერესი შენობაა ტფი-



ლისში. სასახლეში არის დიდი დარბაზები, რომელნიც მდინარესა და ბაღებს გადასცქერიან. ბაღები ძალიან დიდრონებია. იქვე არის საფრინვლოები, რომლებშიაც სხვა-და-სხვა გვარ ფრინველებს ინახვენ. აქვე აშენებულია აგრეთვე ერთი მწევარ-მეძებრების სადგომი და ისეთი შვენიერი საქორე, რომ უკეთესი აღარ შეიძლება. სასახლის წინ ოთხ-კუთხი მოედანია, სადაც ათასს ცხენამდის დაეტევა. მოედნის გარეშემო დუქნებია და ბოლოს გრძელი ბაზარი, სასახლის პირდაპირ. შვენიერი სანახავია მოედანი და სასახლის პირი ამ ბაზრის თავიდან. კახეთის მეფის სასახლე ქალაქის ნაპირას არის, რომელიც აგრეთგე ღირს იმად, რომ კაცმა დაათვალიეროს.

„ტფილისის მიდამო შემკულია რამოდენიმე სალხინო სახლით და შვენიერის ბაღებით, რომელთაგან ყველაზე დიდი მეფის ბაღია. ხეხილი ცოტა დგას, ხოლო გავსილია იმისთანა ხეებით, რომლებიც აშვენე-

ბენ ბაღს და ჩრდილსა და სიგრილეს ავრცელებენ.

„ტფილისში არის კაპუცინების სახლიც. იგინი აქ 13 წელიწადია, რაც დასახლდენ. კაპუცინები ექიმებს ეძახიან თავიანთ თავს. და ხალხიც ექიმებს უწოდებს მათ. იგინი ძალიან მიღებულნი არიან, რადგან უექიმობასა და ქიმიას მეტად პატივს სცემენ აღმოსავლეთში. კაპუცინები ჯერ დაბინავებულან ტფილისში და მერე გორში. შაჰნაოზს მათთვის უჩუქებია სახლები გორსა და ტფილისში. მათ მიურთმევიათ მეფისათვის წერილერი პაპისა და კონგრეგაციისა და აგრეთვე მათივე სახელით შვენიერი საჩუქრები. საჩუქრები მიურთმევიათ აგრეთვე დედოფლისათვის, კათალიკოზისათვის და კალის უმთავრეს დიდებულთათვის. ერთი მისსიონერთა-



განი, რომელიც ექიმობაში უფრო დახელოვნებულია, მეფეს ახლავს. საექიმოში მათ აძლევენ ღვინოს, ფქვილს, პირუტყვს, ახალგაზდა მონებს. მათ ნება აქვთ იყოლიონ ცხენები, მონები, მსახურები, ივაჭრონ, ფული სარგებლით გაასესხონ და ისესხონ და სხ.

„12 თებერ. 1673 წ. დილით ერთის კეთილშობილის პირით მეფემ შემომითვალა: ამ კვირა ყოველ დღე შექცევა გვექნება სასახლეში და გთხოვთ შენც მობრძანდეო. რაც კი უკეთესი საცმელი მქონდა, ჩავიცვი და მეფეს ვეახელ. შუადღე მოტანებული იყო, როდესაც სასახლეში წავედი და თან წამომყვნენ კაპუცინების პრეფექტი და მამა რაფიელი. სადილად გველოდნენ. მეფე დარბაზში ბრძანდებოდა, დარბაზი სიგრძით 110 ფუტი იყო, სიგანით 40. სასახლე მტკვრის პირზედ იდგა და მტკვრის მხრივ დარბაზი ახდილი იყო. დარბაზის საროთით ნაკეთებს ჭერს იმაგრებდა რამდენიმე დახატული და ოქროთი მოვარაყებული სვეტი, რომელთა სიმაღლე იყო 35 - 40 ფუტამდე. მთელი დარბაზი შვენიერის ხალებით იყო მორთული. მეფე და დიდებულნი შემოსხდომოდნენ სამს პატარა ბუხარს. ეს ბუხრები და რამდენიმე მაყალი ისე კარგად ათბობდნენ დარბაზს, რომ კაცი სიცივეს სრულებით ვერა ჰგრძნობდა. მეფე შაჰნაოზს მიმსვლელნი ისევე აძლევდნენ სალამს, როგორც ყაენს: ორ-სამ ნაბიჯზედ რომ მიუახლოვდებოდნენ, მუხლს უდრეკდნენ და სამჯერ ზედი-ზედ თაყვანს სცემდნენ. მეფეს სამჯერ დავუკარ თავი მდაბლად, გარნა მუხლი კი არ მოვუყარე. შემდეგ ორმა დიდებულმა მთხოვა დამჯდარვიყავი. მეც დავჯექ პრეფექტთან ერთად.

– 93 –

„მეფეს მივუძღვენი ერთი დიდი საათი ჩუქურთმით ნაკეთებისა და მოვარაყებულის ვერცხლის კოლოფით; ერთი ვერცხლში ჩასმული ბროლის სარკე, ერთი სევადიანი ოქროს პატარა კოლოფი თორიაქის აბებისათვის, ერთი ლამაზად შემკული და დიდის ხელოვნებით გაკეთებული სადოსტაქრო იარაღის ბუდე და შვენიერი და საუცხოვო დანები. როდესაც მივესალმე მეფეს, მას არაფერი ვუთხარი და არც მას უთქვამს-რა ჩემთვის. ხოლო სუფრაზე რომ ვიჯექი, მესუფრის ხელით გამომიგზავნა ოქროს თეფშით ნახევარი ერთის დიდის პურისა, რომელიც მის წინ იდვა, და შემომითვალა, ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა თქვენი აქ ყოფნაო. მეორე თავი საჭმელი რომ შემოიტანეს, მეფემ გამომიგზავნა ღვინო იმ თასით, რომლითაც თვითონ სვამდა. ღვინო ოქროს სევადით მორთულ საღვინეში იდგა, თასიც ოქროსი იყო და გარედგან ლალითა და ფირუზით მოჭედილი იყო. ერთმა კეთილშობილთაგანმა მოგვართვა ეს ღვინო და გვითხრა: „მეფემ შემოგითვალათ: მიირთვითო, იმხიარულეთო, ნუ მოგიწყენიათო“. შემდეგ, მესამე თავი საჭმელი რომ შემოიტანეს, მეფე უფრო დაგვიტკბა. მოიტანეს შემწვარი. მეფემ გამოგვიგზავნა შემწვარი ხოხობი, ორი კაკაბი და ირმის ფეშხა და შემოგვითვალა: „თუმცა ნადირის ხორცზე ღვინო კარგია, გარნა მე მაინც ვუბრძანე, ძალა არ დაგატანონო“. აღარ გავაგრძელებ სიტყვას იმაზედ – თუ რა წესიერება და დიდი მოკრძალება სუფევდა ამ შექცევის დროს; მხოლოდ ამას ვიტყვი: ღვინო ბევრი სვეს, გასაოცარი სიუხვე იყო ხორაგისა, მოჰქონდათ სახსნილოცა და სამარხოც, რადგან სადილზედ პატრიარქი და ეპისკოპოსებიც იყვნენ, რომლებიც ხორცს არასოდეს არა სჭამენ.

– 94 –

„16 თებერვალს 1673 წ. მეფემ მიმიწვია თავის დისწულის ქორწილში. ჯვრის-წერა სასახლეშივე იყო. ჯვრის-წერა თითქმის გათავებულიყო, როდესაც მივედით მე, მამა პრეფექტი და მამა რაფიელი. ჯვარს სწერდენ იმ დარბაზში, რომელშიაც წინა კვირას ჩვენ ვისადილეთ. ძლიერ მსურდა ჯვრის წერის ნახვა, გარნა დარბაზი ქალებით სავსე იყო და ამისათვის კაცებს აღარ უშვებდნენ. დარბაზში იყვნენ მხოლოდ მეფე, მისი ახლო ნათესავები, ქათალიკოსი და ეპისკოპოსები. ქართველებმა ქალებს აუკრძალეს კაცებში ყოფნა მხო-

ლოდ მას შემდეგ, რაც სპარსეთის მორჩილებაში არიან. ეს წესი ჯერ მხოლოდ ქალაქებშია გავრცელებული, ხოლო სოფლებში კი და იმ ადგილებში, სადაც მაჰ-მადიანები არ არიან, ქალები უპირბადეოდ დადიან და სრულებითაც არ ეკრძალებიან ვაშკაცებს და მათთან ლაპარაკს. მაგრამ რადგან მაჰმადიანთ რჯული და ჩვე-ულება თან-და-თან ვრცელდება საქართველოში, ამი-ტომ ქალებს თავისუფლება დღე-დღეზე უფრო აკლ-დებათ. ქორწილი სასახლის აივანში გამართეს. აივნის ირგელივ ტახტები გაემწკრივათ. აივანი დახურული იყო დიდის ჩარდახით, რომელიც ხუთს სვეტზე იდგა. ყოველი სვეტი სიმაღლით იყო 22 ფუტამდე. ჩარდა-ხის ქვემო მხარეს გაკრული იყრ ოქსინო, ხავერდი და ჭრელი ტილო, და ყველა ეს ისე შვენიერად და ხე-ლოვნურად იყო შემკობილი, რომ ლამპრების შუქზედ ისე გეგონებოდათ, თითქო ყვავილებით არის მორთუ-ლიო. ამ დარბაზის შუა იყო დიდი აუზი. იატაკი და-ფენილი იყო შვენიერის ხალიჩებით, 40 დიდი ლამპა-რი ანათებდა აქაურობას. 4 ლამპარი, რომელიც მე-ფის ახლოს იდგა, ოქროსი იყო, სხვები ვერცხლისა.



ყოველი ლამპარი 10 გირვანქიანი იყო. სტუმრები ტახტზედ ისხდნენ. მეფე უფრო მაღალს ტახტზედ იჯ-და. სამეფო ტახტი გუმბათის მსგავსის ჩარდახით იყო დახურული. მეფეს მარჯვნივ თავისი შვილი და ძმები უსხდნენ, მარცხნივ – ეპისკოპოსები. ახალ სიძესაც მე-ფის ახლო ჰქონდა ადგილი. ქორწილში იყო ასიოდე კაცი. მესაკრავენი ძირს ისხდნენ. როცა დავსხედით, ცოდა ხნის შემდეგ კათალიკოზმა შემოიყვანა სიძე, რომელსაც მიულოცეს მისმა მშობლებმა და საჩუქარი მიართვეს, ესევე მოიქცა სტუმრების უმეტესობა: ყვე-ლამ თავის ხარისხის-და-გვარად მიულოცა სიძეს და დაასაჩუქრა ოქრო-ვერცხლის ფულითა და თასებით. ვახშამი ასე დაიწყო: ყველა სტუმრების წინ გაშალეს სუფრები, მერე მოიტანეს პური, ქაღლალდივით თხელი, თითის სისქისა და დაშაქრული. ხორცი მოიტანეს ვერ-ცხლის დიდრონ ლანგრებით, რომლებიც დახურული იყო. ყოველი ლანგარი წონით იყო 50-60 მარკა. ლანგრებს შემომტანნი სეფის კარებში აწყობდნენ, სხვა მოსამსახურეები მიართმევდნენ მესუფრეს, რომელიც საჭმელს ანაწილებდა თეფშებზედ და უბრძანებდათ, სტუმრებს მიართვითო. ჯერ მეფეს მიართმევდნენ ხოლმე და მერე სხეებს – უმცროს-უფროსობის კვალობაზედ. სამი თავი საჭმელი შეზოიტანეს. თითო თავი 60-დე

ლანგრით მოდიოდა. პირველი თავი საჭმელი იყო სხვა-და-სხვა ნაირი ფლავი – ყვითელი, შაქრითა, დარიჩინითა და ზაფრანით შეზავებული, წითელი ბროწეულის წვენით. მეორე თავად შემოიტანეს კუპატები, ყაურმა, შვენიერი მომჟაოდ მოხრაკული ხორცი და სხვ. მესამე თავი იყო შემწვარი. სამღედელოთათვის მოჰქონდათ აგრეთვე თეგზი, კვერცხი და მწვანილი, საკვირველის



წესიერებითა და სიჩუმით მოჰქონდათ საჭმელები. ყველა უთქმელად აკეთებდა თავის საქმეს. ჩვენ სამი ევროპიელი უფრო მეტს ვხმაურობდით, ვიდრე ის 150 კაცი, რომელიც დარბაზში იყო. საკვირველი იყო აგრეთვე სუფრის იარაღი და ავეჯეულობა. სუფრაზედ იყო 120-დე ღვინის სასმური: ბადიები, თასები, ყანწები, კულები, 12 აზარფეშა და სხ. აზარფემები თითქმის ყველა ვერცხლისა იყო. თასები, ბადიები, კულები ზოგი სადა ოქროსი იყო, ზოგი ძვირფასის თვლებით მოჭედილი, ზოგი ვერცხლისა. ყანწები ძვირფასის თვლებით იყო მოოჭვილი. დაილია ბევრი ღვინო თასებითა და ყანწებით. „ალავერდი“ და „იახშიოლ“ გაისმოდა... გათავდა ვახმაბი. შინ წამოვედით. მეფემ შემომითვალა: ძლიერ მსურს ევროპიელები დასახლდნენ საქართველოშიო და გვიბრძანა: თუ აღებ-მიცემისთვის მოვლენ ევროპიელები, გავანთავისუფლებ ყველა გარდასახადისაგანაო და მივანიჭებ ყოველგვარ უპირატესობას, რასაც კი ისურვებენო. ჩემი საბრძანებელია შავ ზღვამდე, დიდი გავლენა მაქვს სპარსეთში, დიდი პატივი ოსმალეთშიო და ამიტომ ევროპიელები ინდოეთში მისვლა-მოსვლისთვის საქართველოზედ უკეთესს გზას ვერ იპოვიანო. თუ ერთხელ სცადეს და ამ გზაზედ გაიარეს, მერე აღარ დასტოვებენ ამ გზით სიარულსო. მე დავჰპირდი, რომ მეფის ბრძანებას შევასრულებ და მისს სურვილს ევროპიელებს გამოვუცხადებ“. *)

---

*) Voyages en Perse autres lieux de I’oruent.



ტურნეფორი, რომელიც იყო საქართველოში 1701 წელს, სწერს *):

ტფილისი – საკმაოდ ვრცელი და კარგად დასახლებული ქალაქია. სახლები აქ დაბლებია და ცუდად განათებული, ხოლო აშენებულია აგურისა, ქვისა და თიხისაგან. ტფილისის გარეშემო შემოვლებული კედ-

ლები ჩვენებურ ბაღების გალავნებზე მაღლობი არ არის. ქუჩები ცუდად მოკირწყლულია. ციხე მაღლობზე სდგას და დაჰყურებს ქალაქს, გარნა თითქმის მთლად დანგრეულია და მაგრობს მხოლოდ რამდენიმე უხეირო ბურჯების შემწეობით. ციხის მცველთ დასი სუსტია და შესდგება მაჰმადიანთაგან, რომელთაც იარაღის ხმარება ცუდად იციან. ციხის წინა სარბიელი, საცა ასწავლიან მხედრობას, ვრცელია და ციხის გარეშე, სხვა შესავალი ქალაქს არა აქვს. მეფის სასახლე, რომელიც ციხის ქვემოა, ყურადღების ღირსია ისევე, ვითარცა ბაღები, მოედანი და ბაზარი… სასახლიდგან ჩვენ წავედით აბანოებში, რომელნიც არა ეგრე შორავენ მას. აბანოებში გამოყვანილია გოგირდიანი თბილი წყაროები; მათში არის მოთბო და ცივი წყალიც. აბანოები სუფთად შენახულია და მოქალაქეთათვის ერთად-ერთს გასართობს წარმოადგენენ. უმთავრესი სავაჭრო ტფილისისა არის ტყავები და ბეწვეულობა, რომელიც გაქვთ სპარსეთსა და კონსტანტინეპოლს არზრუმიდგან. ადგილობრივი აბრუშუმი ტფილისში არ შემოაქვთ, რომ ბაჟი არ გადიხადონ და ადგილობრივვე ჰყიდულობენ მას ტფილისის სომხები და პირდაპირ გზავნიან ზმირნას და ხმელთა-შუა ზღვის ნავთ-საყუდლებში ფრანგ -

* Сборн. свѣд. О Кавк. т. VI, ст. 283 - 285.



თათვის მისასყიდად. ტფილისის მიდამოებიდან და საქართველოს სხვა ადგილებიდან ყოველ-წლივ იგზავნება 2,000 აქლემის საპალნე ენდრო; არზრუმიდან ენდრო შეაქვთ დიარბექირს, საცა მით ღებავენ ფარჩეულობას პოლონელთა ქარხნებისათვის. საქართველო ბევრ ენდროს აძლევს ინდოსტანსაც... ჩვენ ვნახეთ ტფილისის ბაზარიც, საცა ჰყიდიან სხვა-და-სხვა ხილს და მათ შორის ქლიავსა და ფრიად კარგ მსხალს. ჩვენ აგრეთვე ვნახეთ მეფის საზაფხულო სახლი მისის მშვენიერის ბაღით, რომელიც არის იმ გარეუბანს, საიდგანაც გზა მიიმართება ოსმალეთისკენ. საზოგადოდ ტფილისში ბაღები უფრო კარგად მოვლილებია, ვიდრე ოსმალეთში. ტფილისში დაახლოვებით 20, 000 მცხოვრებია, რომელთაგან 14,000 სომეხია, 3,000 მაჰმადიანი, 2,000 (?) ქართველი და 500 რომის კათოლიკენი. ეს უკანასკნელნი სომეხ-კათოლიკენია, რომელნიც ძლიერად მტრობენ დანარჩენ სომხებს... ტფილისში ჩვენ ვცხოვრობდით იტალიელ კაბუცინებთან, რომელნი ძლიელ უყვართ საქართველოში. მათი ხელობა ექიმო-

ბაა. ჩვენ დროს იქ მხოლოდ სამი კაბუცინი იყო და
მათ შორის ორი პატერი... საქართველოს ეკკლე-
სიას განაგებს მიტროპოლიტი, რომელიც ექვემდება-
რება (?) ალექსანდრიის პატრიარქს. სპარსთა მეფეები
ამტკიცებენ ქართველთა მიტროპოლიტებს შეუვიწრო-
ებლად და ამასთან არც ძღვენს იღებენ მათგან. ასრე
არ არის სომხის ეკკლესიის მოთავის (რომელიც ერე-



ვანშია) დამტკიცება. მის დამტკიცებას ყოველთვის
უნდება დიდი ფული და გარეშე ამისა კიდევ ყოველ-
წლიური ხარკი ცვილით, რომელიც იგზავნება სპარსეთს.
საზოგადოდ სპარსთ ეზიზღებათ სომეხნი და უყურებენ
მათ, ისე, როგორც მონათა ფარას, რომელთაც ვერ
შეუჩვევიათ თავისი თავი ომისა და განდგომისათვის.
ყაენის საქართველოზე უფლება იმაზედ მეტი უჯდება,
რასაც ეს ქვეყანა აძლევს მას. ეს იმიტომ, რომ ამ
ქვეყნის შესარჩენად თვის ხელმწიფებაში იძულებულია
მიიმხროს საქართველოს წარჩინებული გვარეულობანი,
აძლიოს მათ დიდი ულუფა, რადგან უამისოდ იგინი
მიემხრობიან თავის მეზობელ ოსმალეთს და გამოუდგე-
ბიან სპარსეთს. მართლ-მადიდებელთა ეკკლესია ხუთია,
4 შიგ ქალაქში და 1 გარეუბანში; სომეხთ აქვთ 7
ეკკლესია; 2 მეჩითია და ორივე ციხეში. მესამე მეჩი-
თი, ციხის გარე მყოფი, გაუქმებულია. ქართველთა
უმთავრეს ეკკლესიას სიონი ჰქვიან. იგი აღმართულია
დაქანებულს კლდეზედ, მტკვრის პირას და ლამაზი და
მკვიდრი შენობაა, სულ თლილის ქვით ნაშენი. იგი
მაღლა სრულდება მშვენიერის გუმბათით. ტფილელი
აქვე სცხოვრობს. ქრისტიანეთა ყველა ეკკლესიას აქვს
ზარები და სამრეკლოები ჯვრებით თავზე. მაჰმადიანი
მუყრები შიშით ვერ იწვევენ მაჰმადიანებს სალოცავად
მეჩითებში: ამ შემთხვევაში მათ ქვას დაუშენდნენ ქრის-
ტიანენი. კაპუცინების ეკკლესია ძალიან პატარაა“.



სწორედ ამ დროს ქართლში მეფობდა ერეკლე I
(ნაზარალიხანი), რომელიც 14 წელიწადს ყაენის კარ-
ზედ იყო და იქ შეეჩვია ყოველგვარ სიბილწეს, შვება-
ლხინს, ლირწად და უშვერად უბნობას და სხ. ამ ნა-
ზარალიხანმა ტფილისი სპარსებს დაუტოვა, თვითონ
სასახლე აიგო ნაგებს, სადაც დროს ატარებდა ნადი-
მობითა და მგოსნით. ქვეყნის მართვა ჩააბარა სპარსებს,
თვისი მოხელეები ჩააყენა ტფილისსა, გორსა და სურამს.

მეციხოვნე ყიზილბაშნი იტაცებდნენ ქართველებს და ჰყიდდენ.

ერეკლეს შემდეგ საქართველოს გამგედ დანიშნულ იქმნა (1703 წ.) ვახტანგ VI სჯულ-მდებელი, რომელმაც ბევრი იზრუნა ქართლის გაშენებისა და ტფილისის გალამაზება-განკარგებისთვის. მანვე შეადგინა სამართალის წიგნი, გამართა სტამბა (1709 წ.) დაბეჭდა მრავალი წიგნი, შეადგინა კომისია შემოსაკრებად საქართველოს მატიანეთა, ქალაქს ააშენა სიონის გუმბათი და სამხრო და აგრეთვე სახლი პატიოსანი მიჭვრიტანისა და ოქროსა ვარაყითა შეთხიზნული. მემატიანე ამბობს: „ოთხშაბათსა და პარასკევსა დაჯდის მეფე სამდივნოსა სახლსა და განაგებდა სამართალსა მცირეთა და დიდებულთა თანა; კვირასა და სამშაბათსა განაგებდა მეჯლისსა, ნახევდის ლხინსა, გასცემდის უშურველსა საბოძვარსა. როცა სამართლისა ლხინისაგან მოიცლის, ინადირის და გავიდის მოედანსა, აბურთის და ესროდენ ყაბახსა“. ვახტანგის ყველა ნამოქმედარს მოკლედ გადმოგვცემს მისი ეპიტაფია:



მე უმცირესმან ძმათაგან, ვახტანგმან სახელ-დებულად,
ვჰქმენ ოთხ წელ მცხეთა, ურბნისი სადგურ-კამარა გე-
ბულად,
ტფილისს სიონი ხელახლა შევძერწე ქანდაკებულად,
ჩემთვისცა სახლი სარკისა, შინ ლხინი მოწონებულად;
სტამბა მოვიღე ვლახეთით, ვამრავლე წიგნთა მელანი,
ქციის რუ სუნანს წავიღე, გაღმითად მოვრწყე ველანი,
მაშავრის რუ რომ ტბას შევრთე, შიგ თევზი ჩავსხი
ყველანი,
ესე მთა მოვინადირე, ვხოცე ირემი, მგელანი;
სამართლის წიგნი დავწერე, მსაჯულს არ უნდ
ცილობა,
ვეფხის-ტყაოსნის თარგმნობა, სხვა წერილთ არ ვსთქვა
ცილობა,
ჩემთანა მყოფთა ჭაბუკთა უქმნია კარგი ზრდილობა.
ბოლოს მიმიღო სოფელმან, სიმდიდრე, მეფეთ შვი-
ლობა! *)

ამ სახელოვან მეფეს ბოლო მოუღო ტფილისის ბრძოლამ (1723 წ.). 1722 წელს ვახტანგი განუდგა ყაენს და მიემხრო პეტრე დიდს, რომელიც სპარსეთს ებრძოდა დარუბანდის მხრით. გაჯავრებულ თამაზ ყაენმა ქართლ-კახეთის სამეფო მისცა გამაჰმადიანებულს კოსტანტინეს (მაჰმადყულიხანს), ერეკლე I-ის შვილს (1723 წ.). პეტრე დიდი ამავე წელიწადს შეურიგდა ყაენს და დაბრუნდა. კოსტანტინე მოვიდა სპარსეთი-

დან და ტფილისის მეციხოვნეებს, რომელნიც სპარსნი იყვნენ, აცნობა ყაენის განკარგულება. მეციხოვნეთ დახშეს ციხის კარი და თოფ–ზარბაზნის სროლა იწყეს.

*) ჟურნ. „ივერის“, გვ. 104.



კოსტანტინემ თვისი ძმა თეიმურაზი (შემდეგ მეფე თეიმურაზ I, მამა ერეკლე II-ისა) კაი ძალი ჯართ შეაპარა მცხეთას და თვითონაც მოადგა ტფილისს და დადგა სეიდაბადს. ვახტანგმა და მისმა შვილებმა ბაქარმა და ვახუშტიმ (შემდეგ ისტორიკოსი, არქეოლოგი, კარტოგრაფი) დაამარცხეს იგი და განდევნეს. გარნა კოსტანტინემ მოიწვია დიდ-ძალი ლაშქარი ჭარელ ლეკებისა, რომელნიც უკვე ფრიად გამძლავრებულ იყვნენ, აღუთქვა მათ ტფილისს აგაკლებინებთო, და უგრძნეულად თავს დაესხა ვახტანგს, რომელსაც, თუ ფეხმარდი ცხენი არ ჰყოლოდა, შეიპყრობდენ კიდეც. ვახტანგი შვილებითურთ გაიქცა გორს. ლეკნი შემოცვივდნენ ქალაქში და იავარჰყვეს იგი, დაატყვევეს მრავალნი, გახრწნეს ქალწულნი, დასწვეს სიონი (1723 წ.). ამავე შემთხვევის შესახებ ჯალალიანცი სწერს: *) «კოსტანტინე შევიდა ქალაქში ლეკთა სიმრავლით. ლეკნი მაშინათვე მოიბნენ ქალაქში და გაჩხრიკეს სახლები, ეზოები, ეკკლესიები, ტაძრების ჭერნი და აკლდამანი. ქალაქი დიდი ხნიდგან არ იყო აოხრებული და მშვიდობით სტკბებოდა ეს უმდიდრესი და შნოიანი ტფილისი; მამაკაცნი შეიქმნენ შრომის-მოყვარე ვაჭრებად, ხოლო მათნი ცოლნი და ლამაზნი ასულნი ფუფუნებით აღზრდილ იყვნენ. იგინი მეუდარებელნი არიან თვისის მორცხვისა და კეთილსათნო ცხოვრებით; სცხოვრებენ მშვენიერსა და მდიდრულად მორთულს პალატებში; ჭურჭელი და სუფრის მოწყობილობა ჰქონდათ ვერცხლისა და არა სპილენძისა. შესახებ მათ მდიდრულად მორთულობისა და შემკულობისა ძვირფას

* Сборн. свѣд. О Кавк, т. VI, стр. 285-286.



ქვებით, – იფიქრე შენ თვითონ, რაოდენადაც მეგიძლიან წარმოდგენა. რაღა ვსთქვა შესახებ ეკკლესიათა სიმდიდრისა და დიდმშვენიერებისა, რომელთაც ჰქონდათ ოქრო-ვერცხლის ჭურჭელნი, შემკულ იყვნენ ოქსინოთი და სხ. საკუთრებით. ყველა ეს, რაც ავწე-

რე, წარიტაცეს ამ ველურ, უღვთო, მსუნაგ, გაუმაძ-
ღარ, ნადირისა და წურბელათა მსგავს ლეკებმა; ამათვე
ტყვედ წაიყვანეს ის ყრმანი და ქალწულნი, რომელნიც
მოეწონათ. გარნა შეიძლება-ღა აღწერა სირცხვილისა
და უპატიურობისა და ვის შეუძლიან აღნუსხოს რაო-
დენობა წარტყვენილისა? თუმცა მეფე კოსტანტინემ
აღუკრძალათ კვლა და ტყვენვა, გარნა ლეკნი არც
მას უგონებდენ და სთხოვდენ დაპირებულს სასყიდელს.
ამიტომ მეფემ მოქალაქეთ გარდაახდევინა 4000 თუმა-
ნი, მისცა ლეკებს და გაისტუმრა».

ტფილისიდგან გაქცეული ვახტანგ მეფე დადგა
ცხინვალს. ამავე დროს ოსმალთ ომი ჰქონდათ სპარ-
სებთან და დაეპყრათ ქვეყანა არზრუმიდგან თავრი-
ზამდე. 1723 წ. გაზაფხულს ოსმალთა 20,000 მეომა-
რი შემოვიდა ერევანს და იქიდგან გამოსწია ტფილი-
სისაკენ. ჯარის წინამძღოლმა ვახტანგს შემოუთვალა:
„მძევლად შენი ნათესავი გამომიგზავნე და მე დაგიმ-
ხობ მტერსო“. ვახტანგმა ოსმალებს მიაგება თვისი ძე
ბაქარი და ძმა იესე. ოსმალნი მოვიდნენ ყურყუთას.
კოსტანტინე შეშინდა, მიეგება ოსმალთ, ჩააბარა ქა-
ლაქის კლიტე და წამოუძღვა. ტფილისი აიღეს ოსმა-
ლებმა, მის ციხეში იენგიჩარნი ჩადგნენ, კოსტანტინე
დაპატიმრებულ იქმნა. ბაქარი თუმცა გაამეფეს, გარნა
ქვეყანას განაგებდა რაჯაბ ფაშა, რომელიც ტფილისს
იჯდა და რომელმაც ეს ქალაქი რამდენიმე ნაწილად



გაჰყო და ყოველი ნაწილი თავის მოხელეს ჩააბარა.
ბაქარს გაუჭირდა აქ ყოფნა, გაიპარა და მივიდა მამას-
თან. ვახტანგი თვისის სახლობითა და დიდ-ძალის ამა-
ლით რუსეთს გადასახლდა. კოსტანტინემაც მოახერხა
საპატიმროდგან გაქცევა და კახეთს მისვლა. გარნა ოს-
მალებმა კახეთიც დაიპყრეს და კოსტანტინესაც თავი
მოსჭრეს ბეჟანბაღს. ქართლის მეფედ გამოაცხადეს ვახ-
ტანგის ძმა იესე, რომელიც „შიიტი“ იყო და ახლა
„სუნი“ გახდა. ოსმალთა მფლობელობა გაგრძელდა
12 წელიწადს. ბუტკოვის სიტყვით *) ოსმალთა მფლო-
ბელობა დამტკიცებულ იქმნა რუს-ოსმალთა ხელ-
შეკრულობით 12 ივნისს 1724 წ. ამ ხელშეკრულობის
ძალით ოსმალეთისად ჩაითვალა საქართველო ტფილი-
სითურთ, აგრეთვე ერევანი, ყაზვინი და თავრიზი.

ოსმალთ ფაშას ისაყს მოუვიდა სულთნის ბრძანება
ტფილისის სიონი მეჩითად აქციეო. ამ ბრძანებას წინა-
აღუდგა ამილახორი გივი, ტფილელი დომენტი და
მრ. სხვანი, დიდი ძღვენი მიართვეს ფაშას და ძლიერ

დაიყოლიეს, არ წაეპილწა ღვეთის სახლი (იხ. ეკლ. მუზ. სიგელი № 733).

1735 წელს სპარსები სასტიკად შეებნენ ოსმალებს და მიიშველიეს თეიმურაზ მეფეც. ამ წელს ნადირმა შემუსრა ოსმალთა ძლიერება განჯას და უკუაქცია. სპარსნი მოადგნენ ტფილისს. ყაენმა ფაშას შეუთვალა: გაგწყვეტავთ, თუ ქალაქი კარს არ გამიღებსო. ამასობაში სულთანმა ზავი შეჰკრა ყაენთან და დაუთმო

*) ბუტკოვი, გვ. 52, 61, 99. სეხნია ჩხეიძე, გვერდი 332.



მას ერევანი, განჯა, ლორე და ტფილისი. ისაყ-ფაშა და მისი შვილი უსუფ-ფაშა (სამცხის ათაბაგნი), რომელნიც ტფილისში იდგნენ, აიყარნენ და ახალციხეს წავიდნენ. მათ ბარგი-ბარხანის წაღებას მოუნდა 300 ურემი. ტფილისს შემოვიდა თამაზ ხანის (ნადირის) სარდალი ალიყულიბეგ, რომელმაც ქალაქს წაართვა 8,000 თუმანი, სახასო სოფლებს 3,000 თუმანი, პური 1,000 ხარვარი (10,000 კოდი). ამის შემდეგ ქალაქში შემოვიდა თვით თამაზხანიც დიდის დიდებით (6 ღვინობისთ. 1735 წა. მემატიანე ამბობს: „თამაზს გაუშალეს მოქალაქეთ ფიანდაზი ციხის კარიდამ ალაყაფის ჩარდახამდის, დადგა ჩარდახში და შიგნით არამი დააყენა“. ქალაქიდან ყაენმა გაუსია ჯარი ქართლს, რომელიც ააოხრეს, დაატყვევეს, დასწვეს, შეაბილწეს ეკკლესია, გააოხრეს შიომღვიმე ხატითა და მორთულობითა, ტყვედ წაიყვანეს 800 კომლი; მოსრეს ყმაწვილნი ეროდეს მსგავსად: ჩჩვილს ჰყრიდნენ, ხოლო „დიდი, რომელიც დავარდის, ცხვირსა და ყურებს აჭრიდიან“. ასრე მძვინვარებდა თამაზი ოკტომბრის 25-მდე და ამ დღეს კი აიყარა ქალაქიდგან და შეესია კახეთს, ჭარს და დადგა მუღამს, საცა მას მიულოცეს გახელმწიფება და იგი იწოდა ნადირშად (9 მარტს 1736 წ.). აქ მყოფობისას ყაენმა ქართლს შემოაწერა 3300 თუმანი, ხოლო ქალაქში უნდა დამდგარიყო 500 მისი ნოქარი ცოლშვილითა და კაც-ცხენ იარაღითა. [4]) თამაზის თანამედროვე და თანამგზავრი სომხეთის კათალიკოსი აბრაამი სწერს [5]): „ტფილისში კიდევ დავრჩი

[4]) სეხნია ჩხეიძე, გვ. 340.

[5]) Сборн. свѣд. О Кавк, стр. 287.

3 დღე, რადგან გაძლიერებულ ყაენს ებრძანებინა აე-
ყარათ 300 კომლი მოქალაქე და გადაესახლებინათ
ხორასანს. აღწერეს 300 კომლი და შეაგროვეს რო-
მელიღაც ეკკლესიაში. ეს საცოდავნი საზარლად სტი-
როდნენ და ყვიროდნენ. ყაენის დიდებულებს ვსთხოვე
გაენთავისუფლებინათ ეს საცოდავნი და მათ მაგიერ აეღოთ
3,000 თუმანი და 3,000 ტომარა პური. ჩემი თხოვნა
შეისმინეს“.

მუღამიდან ყაენი წავიდა ყანდაარს და აიღო იგი
(16 მარტს 1737 წ.), შემდეგ დაიბარა ერეკლე და
გაილაშქრა ინდოეთს, რომელიც დაიპყრა და დაბრუნდა.
ერეკლე დააჯილდოვა და გამოისტომრა. „პატარა კახმა“
ალავერდს მოაწია 13 დეკემბ. ღამის 4 საათზე 1739
წ. ყაენიც მოვიდა და შეესია ლეკეთს დარუბანდის
მხრით, ხოლო თვისის დიდძალის ლაშქრის გამოკვება
დაავალა საქართველოს და ქართლიდგან წააღებინა
300,000 კოდი პური, ამას გარდა ქართლიდგანვე მო-
ითხოვა: ერთგზობისასს 6000 ხარი, რომელსაც განჯი-
დან პური აჰკიდეს და წაიღეს დარუბანდს; 3000 შებმული
ურემი, რომელთაგან ყოველი დატვირთული იყო 200 ლი-
ტრა პურით, კიდევ სხვა წავიდა დაღისტანს; 2,000 ურემი
გაიგზავნა მესამედ. გარნა ეს არ იკმარა ყაენმა. ქართლს
კიდევ შემოაწერა: ქალწული 300, ვაჟი 300, ქვრივნი
ქალნი 300, 500 კომლი მოსახლე და 20,000 ხარვარი
პური (2,000000 ლიტრა). ქვეყანა მთლად გაღატაკდა
და უარი შეუთვალა ყაენს. ნადირშა გაცეცხლდა, გაბ-
რაზდა და საქართველოს აოხრება განიგულა. გარნა ამ
დროს ყარსის მხრით შეესივნენ სპარსეთს ოსმალნი.
ყაენი დაღისტნიდან ყარსისკენ წავიდა. ადრიბეჟანსა,
ახალციხესა და სხ. გამოჩნდენ რამდენიმე კაცნი, რო-



მელთაც თავისი თავი ნადირისაგან მოკლულ ყაენის
მემკვიდრედ გამოაცხადეს. ნადირის საქმე გაიხლართა,
გარნა თეიმურაზ მეფისა და ერეკლეს შემწეობით ყველა
მტრები ყაენმა შემუსრა და თეიმურაზ-ირეკლესაგან
დავალებულ ნადირშამ ქართლის მეფობა უბოძა თეი-
მურაზს და კახეთის ერეკლეს (1744 წ.). მთელი ამე-
რეთი დიდს სიხარულს მიეცა. ქალაქი ტფილისი შეუდგა
მზადებას მისაღებად თეიმურაზის მეუღლის, თამარ-დე-
დოფლის, რომელიც უნდა გადმოსახლებულიყო ტფი-
ლისს თელავიდგან. დიმ. ორბელიანმა ტფილი-
სის სასახლე მოაფარდაგვინა, დედოფლის მისაგებებ-
ლად დაადგინა მოქალაქენი და სამღვდელოთა დასნი.
ერეკლემ ჩამოიყვანა დედა თვისი, მიეგებნენ დედოფალს

ერთა გუნდნი და დედათა ბანაკნი, შეასხეს ქება, და-
უგეს ფიანდაზი, მიართვეს შაქარ-საყნოსელი და მად-
ლობდენ ღმერთსა და ამბობდნენ: „ვინ გამოგვიჩინა
ხსნად ჩვენდა ჭირვეულთა და გვიხსნა მტერთაგან
ჩვენთა!“ მობრძანდა დედოფალი დიდებით და დაბრ-
ძანდა ტახტსა ზედა. მიეგებნენ დარბაისელთა ჯალაბ-
ნი, დაულოცეს ტახტი და დაიწყეს ნადიმი. შეიქნა
მეჯლისი და იყო ლხინი და განცხრომა უზომო. შემ-
დეგ თეიმურაზი მეფედ ეკურთხა მცხეთას (1745 წ. 1
ოკტ.), გარნა სიხარული მალე გაუშხამდა: დასნეულდა
თამარ დედოფალი, რომლის განსაკურნებლად „შემო-
იკრიბნეს აქიმნი ქალაქით ანუ სადა იყვნეს აქიმნი,
ყოველნი მოიწვივნეს, გარნა ამათ ვერა უშველეს-რა,
და გარდაიცვალა სანატრელი თამარ (1746 წ.). მის-
თვის მწარედ იგლოვა ყოველმა სულმა და ბნელსა შინა
ჩაჯდა 15 დღე.

აქვე შემოგვაქვს ტფილისის აღწერა ვახუშტი ბა-
ტონიშვილისა, რომელსაც ამ ქალაქის გეგმა შეუდგე-



ნია 1735 წ. თებერვალს და ტფილისის აღწერა შეუ-
ტანია ქართლის გეოგრაფიასა და ისტორიაში (1744 წ.).

„ტფილისი არს სამი ქალაქი: ტფილისი, კალა
და ისნი. ჰყოფს მტკვარი კალას, ტფილისს და ისნს.
კალას უდის (მტკვარი) ჩრდილო-აღმოსავლით, ტფი-
ლისს ჩრდილოთი და ისნს დასავლით და სამხრით.
ხოლო კალასა და ტფილისს ჰყოფს სოლალაკის წყალი,
რომელი გამოსდის წავკისსა და კოჟრის მთებსა, სამხრით
და აღმოსავლით უდის კალას და დასავლით ტფილისს.
არამედ პირველ იყო დაბა. 27 მეფის ვარზა-ბაკურის
ჟამსა შინა აღაშენა შურისციხე მცხეთისათვის ერისთავ-
მან სპარსთაგან. შემდგომ გორგასალმან დადვა საფუძ-
ველი. დაჩიმ, 34 მეფემან, ქმნა ქალაქად და ტახტად
მეფეთა, და მურვან-ყრუს შემდგომად შემუსრეს ხაზართა
და აღაშენა ამირ აგარიანმან. შემდგომად შემცირებისა
მცხეთისასა და აოხრებისა მისისა, უმეტეს ტახტი იქმნა
ბაგრატოვანთა. ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ,
არს მით აბანონი ექვსნი და დიდშენნი ავაზანნი. მო-
დის მომდინარე ცხელი წყალი. აქ თაბორს ყოფილა
ციხე, არამედ აწ შემუსრვილი არს. აქ დასხნა შასეფიმ
სეიდნი, მისგამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბადს. ყოფი-
ლან ეკკლესიანი დიდშენნი, არამედ აწ შემუსრვილნი
არიან.

„კალას არს ციხე, ნაშენი მაღალს კლდესა ზედა
და ჩამოზღუდვილი სალალაკის-ჴევით მტკვრამდე. სა-

ლალაკის-ხევის კარს უწოდებენ განჯის კარად. მაღალს ციხეში არს ეკკლესია გუნბათიანი წმიდის ნიკოლაოზისა, და სასახლე მეფისა, პალატნი დიდ-დიდნი და შვენიერნი. არამედ დაუტევა 89 მეფემან როსტომ, ჩამოზღუდა კალა ციხიდამ კალას ყურამდე და მისცა სპარსთა (მიერიდგან უპყრავთ მათ), და თავისა თვისი-



სათვის სამეფოდ აღაშენა სიონსა და ანჩისხატს შუა სასახლე, მტკვრის გარდაკიდებით, ყიზილბაშთა რიგისა, ხოლო 94 მეფემან ვახტანგ აღაშენა სახლი შვენიერი, სრულიად სარკისა და მოოქროვილი, დიდ-მხატრობითა, ლაჟვარდითა და მარმარილოს კედლითა; შემუსრეს ოსმალთა.

„არს კალას ეკკლესია გუნბათიანი, დიდი, დიდად შვენიერი, სიონი, წოდებული ღვთის-მშობლისა, რომლისა საფუძველი დასდვა 39 მეფემან გურამ, შემდგომად შეასრულა ქვრივმან ვინმე და მოქალაქეთა, და 41 მთავარმან ადარნასემ, ხოლო აწ დარღვევასა ზედა მიხდილი განაახლა და აღაშენა ძირიდამ გუნბათითურთ 94 მეფემან ვახტანგ. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ტფილისის სამხრით ქციისამდე.

„არს კვალად ეკკლესია ჯვარისა, გუნბათიანი, შვენიერი. განაახლა აწ იმერლისშვილმან.

„არს კვალად ანჩის-ხატი, დიდი, უგუნბათო, კათალიკოზისა; შემუსრვილი აღაშენა კათალიკოზმან დომენტიმ, ძემან ქაიხოსროსამან.

„არს კვალად ეკკლესია ნათლისმცემლისა, რომლის გუნბათი მოარღვია 89 მეფემან როსტომ და სხვით განაახლა 91 მეფემან ვახტანგ.

„არს კვალად დაბალს ციხესა შინა ეკკლესია გუნბათიანი და აწ ცარიელი, და სხვანი გუნბათიანი არიან, – სამი უპყრავთ სომეხთა; უგუნბათო აღაშენა კარის საყდრად 89 დედოფალმან მარიამ. კვალად აღაშენა 94 მეფემან ვახტანგ ორი უგუნბათო. 90 დედოფალმან როდამ აღაშენა ერთი უგუნბათო, კვალად უგუნბათო ოთხი, – აწ უპყრავთ სომეხთა.



„ხოლო ხიდის ყურს აღაშენა მეჩითი შაპ-ისმაილ; 89 მეფემან როსტომ აღაშენა ციხეს გარეთ ერთი, სასახლესა შინა ერთი, და განჯის კართან ერთი. ურუმთ (ოსმალთ) ქორონიკონსა 1727 აღაშენეს სამი, არამედ შემუსრნა შაჰ-ნადირ.

„ისნს არს, კიდესა ზედა მტკვრისასა, კლდესა ზედა, ციხესა შინა, ეკკლესია მეტეხი ღვთის-მშობლისა, გუნბათიანი, დიდშვენიერ-ნაშენი, საარქიმანდრიტო; შემუსრვილი აღაშენა 66 მეფემან დიმიტრიმ; 92 მეფემან ერეკლემ მისცა სპარსთა, და არს უქმად.

„აქ განვალს ხიდი კალიდამ ისნს, ციხიდამ ციხესა. ხოლო ხიდის ყურის სამხრით არს საფლავი წმ. აბოსი, რომელი იწამა სპარსთაგან ტფილისს, ხოლო ისნის ციხე ყოფილ არს დიდი, რომელსა განაახლებდნენ ოსმალნი ქორონიკონსა 1728, და დაშთათ უსრულნი. ისნს არს ეკკლესია ერთი, უგუნბათო, არამედ გუნბათიანი ორი, და უგუნბათო ერთი უპყრავთ სომეხთა. ყოფილან ძველად მრავალნი ეკკლესიანი ტფილისსა, კალასა და ისნს, არამედ აწ შემუსვრილნი არიან.

„კალა მოზღუდა მეორემან შაჰ-აბაზ, პირველ შემუსრვილი. სამხრით მოავლო სალალაკის კლდეზედ, დასავლით ქმნეს ორი კარი, ჩრდილოთ ორი კარი. ზღუდეს გარედ უხმობენ აწ გარეთ-უბანს, სადაცა არს ასპარეზი. აქა არს ეკკლესია გუნბათიანი ორი, უგუნბათო ორი, უპყრავთ სომეხთა, ხოლო უგუნბათო ორი უპყრავთ ქართველთა. კალას არს რომაელთა ეკკლესია ერთი და მონაზონნი. ხოლო აწ უწოდებენ ოთხთავ ქალაქთა ტფილისს, და განყოფით: კალას ტფილისსა, ტფილისს სეიდაბათს და ისნს ავლაბარს, და გარეთუბანი არს ტფილისისა. მსახლობელნი



არიან: ციხესა და სეიდაბადს სპარსნი მაჰმადიანნი, ხოლო ციხეს გარედ უფრო სომეხნი და მცირედ ქართველნი, ქცევა-ზნით ქართულითა. სახლნი ნაშენნი არიან ქვა-ტალახითა და გალესილი გაჯითა, ზოგთა სპარსთ რიგისა, ზოგთა ქართული. არამედ ციხე, ეკკლესიანი და ზღუდენი ქვითკირისანი არიან. ჰავითა არს მშვენი და მხიარული, ერნი მშვენიერნი და მშვიდნი, ქალნი ფრიად კეკლუცნი. გარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი მრავალნი, ყოვლის ხილითა და ყვავილითა სავსე, განა ქალაქი ვიწრო, ფოლორცნი უშვერნი. ზაფხულს ცხელი და არა გაუძლისი, ზამთარ ცივი; გაზაფხულ-შემოდგომა მშვენი და სატრფო. სანადირონი მრავალნი ახლოს, ფრინველთა და ნადირთა.

„ხოლო კვალად დასავლით, იშიტუტრუქის კლდესა შინა, არს მონასტერი მთა-წმიდისა, და აწ ცალიერი.

„ხოლო ტფილისის სამხრ-აღმოსავლით არს ნათ-

ლუხი. მუნ დის ნავთი, კიდესა მტკვრისასა, არამედ წყლის სიახლოვით მრავალი არ აიღების.

„აღმოსავლით ტფილისისა არს ლილო: არა არს მუნ ვენახნი და ხილნი მთობისაგან; და არს უმდინარო წყაროებითა, და ნაყოფიერებს მთურად. ტბანი არიან მცირენი და უთევზონი, მყვრითა (ბაყაყით) სავსე. სხდების წერო და ბატი მრავალი.

„ტფილისის ჩრდილოთ არს მინდორი დიდ-უბისა, რომელსა პირველ ეწოდა ცხენის-ტერფი. ტფილისიდამ მცხეთამდე უწყლო, არამედ მოსავლიანი.

„კვალად ტფილისის ჩრდილოთ არს ლურჯ-მონასტერი, ეკკლესია წმ, გიორგისა, უგუნბათო, დიდი, აწ



ხუცის სამარ. ვერესა ზედა არს ხიდი დიდი ქვიტკირისა; განა ვერე წყნეთამდე წალკოტითა შემკული და მრავალნი. მის სამხრით არს ველი საბურთალისა. ამას შინა ყოფილა რუ ვერიდამ მოტანილი და აწ უმისოდ უნაყოფო არს. მას ზეით არს ტბა ლისისა და მის დასავლით მთა სხალ-დიდისა, კეთილი აგარაკი და შვენიერი ყოვლითა. ამის სამხრით ხეობა დიღმისა... არს წოდორეთამდე ვენახოვან-ხილიანი და მას ზეით მთებრი. სამხრით არს ველი დიდი დიღმისა, უნაყოფო, არამედ ბალახოვანი და ზამთარს იზრდების ცხვართა და ზროხათა სიმრავლენი. ნაქულბაქევს ზეით არს დევის-ნამუხლარი, – კლდე გაჭრილი გზად. მას ზეით მუხადგვერდი. ვერე, რომელსაც წინად ერქვა სკვირეთის მდინარე, გამოდის დიდგორის მთას. იგი ერთვის მტკვარს ჩრდილოთ კერძ ტფილისისა და მის შესართავს ზედა არს ლურჯმონასტერი. ეს სკვირეთის მდინარე არს კოჟრის ჩრდილოთ კერძ. ციზე აზეულასი და აწ კოჟრისა არს თხემსა ზედა კლდისასა. ამ ციხის სამხრით არს სასახლე მეფისა კოჟორი; აღაშენა 89 მეფემან როსტომ, უმეტეს 91 მეფემან გიორგიმ და 94 მეფემან ვახტანგ. დგებოდნენ ზაფხულს მეფენი.

„ტფილისის სამხრით არს კრწანისის გორა და მის გაღმართ ლოჭინის ხევი (ომანის ხევი), გამოღმართ თელეთები, კუმისი და სხ. კუმისი არს დაბა დიდი, ვენახოვანი, ლეღვიანი, ბროწეულიანი, ხილიანი. ამის მინდორსა შინა მოვალს ყოველნი თესლნი, ბრინჯ-ბანბის გარდა;კანაფი უმუშაკოდ სცენდების. მტკვრის კიდეზედ არს ჭალა ყურყუთა (აწ სოღანლუღად წოდებული), ნაყოფიერი ყოვლითავე“...

ზევით შევნიშნეთ, რომ მეფე თეიმურაზმა და მთელმა მისმა სამეფომ თამარ დედოფლისათვის იგლოვეს თხუთმეტი დღეო. ეს ორი კვირა რომ გავიდა, მეფემ განიძარცვა სამგლოვიარო ძაძა და შეირთო ცოლად ანახანუმი, ქვრივი ქაიხოსრო ციციშვილისა, ასული ბეჟან იოთამისშვილისა, ნათესავი ანტონი პატრიარქისა, რომლის სასახლეშიაც იმყოფებოდა იგი. მემატიანე ამბობს: „მიბრძანდა მეფე, ვითა ქორწილის წესი იყო, და წამოიყვანა პატრიარქის სახლით სახლსა დალიჭოვანსა; ჰკრეს ქოსთა, ნაღარათა და სპილენძჭურთა, მორთვნეს ქალაქნი (ტფილისი) და უმეტეს სამყოფი მეფისა მოფარდაგნეს ოქსინოთა ოქრო ქსოვილითა და მოაბრწყინვეს ყოველი ლამპრითა საბრწყინვალოთა, ისხდნენ მგოსანნი და აქებდენ მეფეთ მეფეს თეიმურაზს; იყო ლხინი და განცხრომა რვასა დღესა და იყვნენ ქართველნი მწად ქართულთა ლხინთა გამოჩენისათვის; იყვნეს ყიზილბაშნიცა წვეულნი: ხანები, ათასისთავნი და მოხელენი ხელმწიფისანი (ყაენისა), და მოსწონდათ ყოველი რიგი და ლხინი ქართლისა. განსრულდა ქორწილი აგვისტოს (1746 წ.). ყაენმა გამოუგზავნა თეიმურაზს ქორწილის შემოსაწევრად ოქრო, ვერცხლი ანუ ლარი ურიცხვი (1746 წ.)

ამავე წელს ყაენმა დაიბარა ტფილისში მყოფი ყიზილბაშის ჯარი და მისდა სანაცვლოდ გამოგზავნა 1000 ავღანი და თეიმურაზს შემოუთვალა: „ეს ავღანნი, როგორც ქართლის ჯარი, ეგრე იმსახურეო“. (პაპუნა, გვ. 392 - 393).

ამავე წელს ყაენმა ნადირშამ ქართლ-კახეთს შემოაწერა ხარკად (არბაბი) 200,000 თუმანი და თანაც მეფეებს მოსწერა: „ეს თეთრი (ვერცხლის ფული მზათ



დაიჭირეთ 300,000 ყიზილბაშისთვისაო“. რადგან მრავალ ომებისა და უზომო ხარკების ძლევით საქართველო გაღატაკებულიყო და ამ ფულის გამოტანა მეფეებს არ შეეძლოთ, ამიტომ ნადირშას უარი შეუთვალეს და თვითონ კი აიყარნენ და ქალაქიდგან ანანურ-მთიულეთს გადასახლდენ, რადგან ყაენის შემოსევას მოელოდნენ, ხოლო „მის შიშით ირყეოდა მთელი ქვეყანა“. მეფეებს გაჰყვნენ პატრიარქი, ეპისკოპოსნი, ყოველნი სამღვდელო. დასნი, ქართველნი ყოველნი, რომელნიც „ქალაქსა შინა სახლეულად იდგნენ“; ქალაქის მელიქი აღაც აიყარა სახლით; აგრეთვე მოქალაქესა, რომელსა შეეძლო, უფროსი აიყარა და წავი-

დნენ ანანურს და ყოველნი თავადნი და მოქალაქენი
თეიმურაზს ეახლნენ და მასთან დადგნენ (1747 წ.).

ეს ამბავი რომ მიუვიდა ყაენს, მწვავედ გაჯავრდა,
ჯარები გამოუსია, გარნა გამარჯვების იმედი არა ჰქონ-
და, ამიტომ ლაშქარი უკანვე დააბრუნა, მეფეებს მოს-
წერა მიპატიებია არბაბიო, ქალაქს დაბრუნდით და
ქვეყანას მოუარეთო, და ერეკლე მეფეც გამომიგზავნე,
და რასაც მაგის პირით შემომითვლი, შეგისრულებო.
ყველანი თავ-თავის ბინას დაბრუნდნენ. (პაპუნა, გვ.
395 - 397) და შემდეგ შვილის მაგიერ თვითონ თეი-
მურაზი წავიდა სპარსეთს (10 მაისს 1747 წ.). მეფე
გიდრე ყაზბინს ჩავიდოდა, სპარსეთში არეულობა მოხ-
და და ნადირშა მოკლა მისმავე ძმისწულმა ადილშამ,
რომელიც თეიმურაზის სიძე იყო. თეიმურაზი ახალს
ყაენს ადილშას ეწვია (1747 წ.).

ამ არეულობისაგამო თეიმურაზის ამბავი დიდხანს
არ მოვიდა, ზოგს ეგონა იგი დაიღუპაო. ეს იყო მი-
ზეზი, რომ ვახტანგის VI-ის ძმის იესეს შეილმა აბდუ-



ლა ბეგმა გამოაცხადა: „თუ თეიმურაზი აღარ დაბრუნ-
და, ქართლის მეფობა ჩემიაო“ და მიიმხრო მრავალი
ქართველობა და აგრეთეე ხანები და დიდძალის ჯარით
გამოვიდა თავის საბრძანებლოდან (სამშვილდიდგან), მო-
ვიდა კოდას. ქალაქის ციხის თავიც აღარ მიენდო
ერეკლეს, დაჯდა ციხეში და აღარ ჩამოვიდა ქალაქში
(პაპუნა, გვ. 405). აბდულაბეგმა თავისი ძმაც უსეინ-
ბეგი წამოიყვანა და მოადგა ტფილისს. ქალაქში ომის
მზადებას შეუდგნენ. ანტონი პატრიარქმა მთელის სამ-
ღვდელოთა დასით მოილოცა ქალაქის ყველა ეკკლე-
სიანი, პარაკლისი გადაიხადა, მეფე ერეკლე ჯარი-
თურთ აკურთხა. ამის შემდეგ ერეკლეს ჯარის ერთი
ნაწილით ავიდა თაბორს და მეორე ნაწილი ერეკლეს
წინამძღოლობით ავიდა წავკისს. მტრის ჯარში იყო
ლეკის ჯარი, ავღანთა ჯარი, ყაზახისა და სხვა სახა-
ნოების ჯარები. ქალაქის ციხეს რომ მოადგნენ მტრე-
ბი, ქართველები ორივე მხრიდგან მიესივნენ, შეიქმნა
ომი ფიცხელი და სასტიკი, ასე რომ „თოფის ხმისაგან
აღარა ისმოდა რა და კომლისაგან ჯარი აღარ ჩნდა“.
მალე მტერი დამარცხდა, გაბრუნდა, გაიქცა, ქართვე-
ლებმა კაფვით სდიეს მათ, დახოცეს მრავალი, დააყ-
რევინეს დროშები, ბარგი-ბარხანა (1748 წ. ლაზარო-
ბის წინა დღეს პარასკევს).

ამ ომსა და აბდულაბეგს ასე აგვიწერს ზეპირ-გარ-
დმოცემა:

**პამპელაი შეიკმაზა თოფითა და ჯინჯილითა:**
**უნდა ქალაქსა მივადგე, ამოვხოცო შიმშილითა!**



**ეს რომ ერეგლემ გაიგო, გადაბრუნდა საცალითა.**
**ერეკლემ ხმალსა გაიკრა, საფრები მოამზადაო;**
**შიგ ჩასხა მარჯვე ბიჭები, ესროლა ჩქარა-ჩქარაო;**
**ზარბაზნები დაადევნა, თხებივით დაილალაო;**
**შარშან შემძვრალი ჩირგვებში დღესაც არ გამომძვრა-**
**ლაო.**

თუმცა აბდულაბეგმა ვეღარ გაბედა ქალაქზე გამოლაშქრება, გარნა იგი კაცითა და სურსათით შეეწია ამირ ასლანხანსა და ყაენის უფროს ძმას იბრეიმხანს, რომელნიც უკუუდგნენ ადილშას და მოინდომეს ქართლისათვის თვისი ყმობა დაეკისრებინათ და რომელთაც ტფილისის ციხისთავისათვის მოეწერათ: „ვინც ჩვენი ერთგული ყმა არ იქნება, ციხეს ნუ მიანდობთო“. ამ ამბავზე ციხიდან შეჰქმნეს ზარბაზანთა სროლა, შეიქმნა „შადლუხი“, ციხის კარებიც დაკეტეს, გაამაგრეს მეტეხის ციხეც, ციხის მეიდანთან მტკვრიდან კლდის უბნამდის სულ გააკრეს და საფრები შეჰკრეს. ციხეშივე სპარსთ გარდა იყვნენ ბორჩალუსი და ბაიდრის სულთნები, აბდულაბეგის შვილი აღასი, ყაზახისა და ბორჩალუს ქეთხუდები ცოლ-შვილით.

ერეკლე ამ დროს სამშილდე-ბირთვისის ასაღებად წასულიყო და ეომებოდა აბდულაბეგს. შეიტყო-რა ტფილისის განდგომა, ქალაქს ჩამოვიდა, ფიცხლავ გაარიგა საფრის კაცნი, ჯარი გუნდ-გუნდად გააწყო და შეება მტერს. ცალკე ციხიდგან და ცალკე ქალაქიდგან შეიქმნა ისეთი საზარელი სროლა „ყუმბარა-ზარბაზანთა”, რომ კომლისაგან ციხე აღარ ჩანდა, ხმისა და ხრიალისაგან ქალაქი ირყეოდა. აბდულაბეგი სამშვილდედან უგზავნიდა მეციხოვნეთ პურსა და ღვინოს. ომი გაგრძელდა დიდხანს. ამ გაჭირებულ დროს ერეკლეს უღალატა ქალაქის მელიქმაც: „შესწამეს ქალაქის მე-



ლიქს აღას ღალატი და ციხელების ლაპარაკი, დაიჭირა იგი მეფემ, პატიმარჰყო ცოლ-შვილით ავჭალას, წაართვა მელიქობა და 1000 თუმანი ჯარიმა, გარნა ანტონი პატრიარქის შუამავლობით ისევ განათავისუფლა პატიმრობისაგან, და მელიქობა უბოძა პაპას. (პა-

პუნა, გვ. 409).

ომი თან-და-თან მწვავდებოდა: „ზარბაზანი და ყუნბარა ასე მოდიოდის ქალაქზე, ვითა ცეცხლი წვიმ-სო“; მეტეხის ზარბაზანს ესროდნენ მეფის სასახლესაც, გარნა ვერას „ავნებდიან მყოფთა ქალაქისათა“.

მეფემ გორიდამ მოატანინა დიდი ზარბაზანი (2000 ლიტრის წონით), რომლის გასატენად უნდებოდა 10 ლიტრა ტყვია და ამის შესაფერი წამალი. ეს ზარ-ბაზანი მიუმართეს მეტეხისა და თაბორის ციხეებს, მისი ყუნბარა, რასაც მოხვდებოდა, აქცევდა და მუს-რავდა, მის ხმისაგან ქალაქი ირყეოდა. თუმცა ამ ზარ-ბაზანმა დიდად შეაძრწუნა ციხელები და დიდი ზარა-ლიც მისცა, გარნა იგინი ისევ მედგრად იბრძოდნენ. ამიტომ ეს ზარბაზანი მეფემ წააღებინა სოღანლუღს, მტკვარში გამოატანინა, თელეთზე შემოატარა და თაბორის მთაზე ამოატანინა. იქიდგან მოუმართეს იგი თაბორის ციხეს, იერიშის ჯარიც მოამზადეს, დაიწყეს სროლა და შემდეგ იერიშით მიესივნენ ციხეს, „გადა-ფრინდნენ“ მასში და აიღეს. მტერი შემუსრეს, მისი საქონელი იავარ-ჰყვეს. მეფემ დაასაჩუქრა თვისნი გმირ-ნი, ხოლო ქალაქის ციხეში ჩააყენა თვისი ჯარი, ხო-ლო ციხესა და ქალაქს შორისი კედელი დაანგრია (1748 წ.).

ესრე განთავისუფლდა ეს ციხე და მასთან ქალაქი ტფილისიც სპარსთა დიდი ხნის ბატონობისაგან: 1616



წლიდგან 1748 წლამდე ტფილისის ციხეში იდგნენ სპარსთა მეციხოვნენი და ამ დროს განმავლობაში მხოლოდ 12 წელიწადს (1723 წლიდან 1735 წლამდე) აქ უფლობდნენ ოსმალნი.

თავისუფლებით სტკბებოდა ტფილისი 1748 წლი-დან 1795 წლამდე, ე. ი. აღამაჰმადხანის შემოსე-ვამდე.

ამ 47 წლის თავისუფლების ჟამს (1748 - 1795) ტფილისი ისევ მოშენდა, გაიზარდა, გადიდდა, მოეწ-ყო. ქალაქი გამშვენდა სასახლეებითა და ბაღ-ვენახე-ბითა. გაიმართა აქ სასულიერო სემინარია, სამრევლო სკოლები, სტამბა, თეატრი, საფლურე (ზარაფხანა), ხაზინა, ჯაბახანა, ყუმბარა-ზარბაზნების ჩამოსასხმელი ქარხანა, სიძველეთა დასაცავი სახლი, ქარვასლები, საყდრები და სხ.

აქვე ვურთავთ იოსებ დელაპორტის მიერ შეკრე-ბილ ცნობებს *) შესახებ ტფილისისა, სადაც იგი იყო 1768 წ.

„ტფილისი არა ვრცელი, გარნა ლამაზი ქალაქია. მასში ძალიან კარგი სახლებია – საერო სადგურები და მკვიდრთა სახლები, და, შემიძლიან დავუმატო, პალატები. უკეთესნი კი უცილობლად ისინი არიან, რომელნიც მეფეს ეკუთვნიან. მეფის სასახლეები გაწყობილია მრავალის დარბაზებით, რომელთა ფანჯრები აქვთ მდინარის მხრივა და ვრცელ ბაღების მხრივ. სავაჭრო მოედნები ქვით ნაშენია და სუფთად ინახება. საფრანგეთში, პირ-იქით, სავაჭრო მოედნები აუშნოე-

*) იხ. ქ. ტფილისის სიძველეთ-აღწერა, პლ. იოსელიანისა, (რუსულ.) გვ. 274 – 275.



ბენ უკეთეს და უმთავრეს ქალაქებს. აბანოები ბევრი არ არის და მათ სატფურებს ამჯობინებენ. ეს სატფურები კამარიანებია და აშენებულია ქვით. სინათლე მათში ჩადის ზემოდგან. საბანელნი, რომლებშიაც ჩაწვებიან ხოლმე ადამიანნი, გაკეთებულია თლილის ქვით. ქართველთა სახლებში საკმაო სისუფთავეა. აქ არის ეკკლესიები: 13 მართლ-მადიდებელთა, 7 სომხისა და 1 კათოლიკეთა. საქართველო ისეთი ქვეყანაა, სადაც სცხოვრობენ უმეტესის სიამოვნებით და მცირე ხარჯით. საქართველოში უხვად არის პური, ბაღ-ბოსტნის მოსავალი და ხილი. პური და ხორცი ფრიად გემრიელია და მეტადრე-კი ნადირის ხორცი. კასპიის ზღვა და მტკვარი, რომელიც მთელს ამ მხარეზე მიმდინარეობს, მოჭარბებით იძლევიან ზღვისა და მდინარის თევზეულობას. აქაური ღორის ხორცი ძალიან გემრიელია. ტახიც ბევრია; მათი ხორცი ღორის ხორცზედაც უფრო გემრიელია. ღვინო მეტად კარგია და ხალხი არ იქნება, რომ ქართველზე მეტს ღვინოს სვამდეს.

„აქაურ ფედაკაცებზე უმშვენიერესი არა იქნებარა. განუცვიფრებლად მე ვერ ვუყურებდი მათ. ამ ქვეყანას შეიძლება ეწოდოს სიმშვენიერის სადგური. აქ შეიძლება შეხვდეთ ულამაზო დედა-კაცს ისევე, ვითარცა სხვა ქვეყნებში სრულს ტურფას. ამისთანაებს აქ ყოველს ნაბიჯზე შეხვდებით. მე, რასაკვირველია, არ ვაზვიადებ. ძნელია წარმოიდგინოთ ისეთი შნოიანი მოყვანილობა, სწორე ტანოვანობა, უაღმატებულესად საამური ქცევა და მიხრა-მოხრა, რომელიც მიჰნიჭებიათ ქართველ ქალებს. თქმულებაა, აქაურ ქალის საოცარი სილამაზე საფრხედ გაუხდაო. მაჰმადს, რომ იგი

აქ მოსულიყო. ეს მშვენიერი ქართველი ქალები, თითქოს, იმიტომ ყოფილიყვნენ გაჩენილები, რომ შეეყვარონ სხვებს და სიყვარული აღუგზნონ მათ. ძნელია უცქირო მათ და არ იგრძნო ვნება, როდესაც შეეჩვევი მათს მორთულობას. საქართველოში არსებობს თავისუფალი მსჯელობა შესახებ რჯულისა. აქ არიან სომეხნი, ბერძენნი, ურიანი, ოსმალნი, საარსნი,, ინდოელნი, თათარნი, რუსნი და სხ. ევროპიელნი, გარნა სომეხნი ყველაზე მეტნი არიან. ქართველთა და სომეხთ შორის სუფევს სიმძულვარე, რომელიც წარმოსდგება მათის ზნეთა და ჩვეულებათა განსხვავებისა გამო.

„ტფილისში ასხმენ ზარბაზნებს, ზამბურაკებს და ყუმბარებს, გარნა ესენი ოსმალურზე მდარეა. ამზადებენ თოფის წამალსაც, გარნა ცუდს. უკეთესი ღვინო ქართველთა არის კახური, რომელიც არ ჩამოუვარდება „პონტაკს“.

—

დელაპორტი, როგორც ზემორე ითქვა, ძალიან აქებს მეფის სასახლეს. აი ამ სასახლის აღწერა პლატონ იოსელიანის სიტყვით. ერეკლე მეორის სასახლე ამშვენებდა ქალაქს მის გაოხრებამდე აღამაჰმადხანისმიერ (1795 წლამდე).

პლატონ იოსელიანი სწერს: *) „სასახლეს სახელდობრივ ჰქონდა სიგრძე 65 საჟენი. მისი საფუძველი აღმოყვანილი იყო მდინარის კლდიან ნაპირიდან აგურის სქელ კედლებად. პირველი, ბნელი სართული, დამყარებული კლდეზე, მთლად აგურის კამარა-გადავ-

*) ქ. ტფილისის სიძველეთ-აღწერა, გვ. 246 – 247.



ლებული იყო და ითვლებოდა სასახლის სარდაფადა და საყინულედ. მეორე სართულიც აგრეთვე იყო თაღებიან-კამაროვანი, მაღალ-ფანჯრებიანი აღმოსავლეთის მხრიდან და მისი კედლები გამშვენებულ იყო ლოკოკინებითა, ქვებითა, სარკეებითა და ხეების დახატულ რტოებითა. ამაში ინახებოდა სასახლის საუნჯე, ხალიჩები და სხ. და ერქვა მას სალარო. მესამე და უმთავრესი სართული დანიშნული იყო საცხოვრებლად მეფისა, დედოფლისა და მათის შვილებისა. ამაში დარბაზები და ოთახები იყვნენ 32. ერთს ამ დარბაზთაგანს ათბობდა ბუხარი. დარბაზებს, რომელნიც

გადასცქეროდნენ მტკვარს, ჰქონდათ მაღალი ფანჯრე-
ბი. ამ სადგურის აქეთ-იქით მხარეს მიდგმული იყო
ორი სახლი, ოროლ სართულიანი და სარდაფებიანი.
ყოველი ამათგანი შესდგებოდა 20 ოთახისაგან და მათ-
ში სცხოვრობდნენ დედათა და მამათა ამალა მეფისა
და დედოფლისა. მეფის საჯინიბო მიდგმული იყო
ჩრდილოეთ კედლის ბოლოს, რომელიც მიბჯენილი
იყო მდინარის კლდოვან ნაპირზე.

„სასახლლის წინ, მოედნის შუაში, ამოყვანილი
იყო შადრევანი მარმარილოს ქვით. წყალი მოტანილი
იყო მილით წავკისის მთებიდან. წყალი ამოჩუხჩუხებ-
და მარმარილოსაგან გაკეთებულ ორის ლომის პირით
და მით მოირწყოდა სასახლის ბაღები. თვით ბაღში,
არა დიდს შენობაში, იყო აბანო გოგირდიანის წყლი-
სა. ამ აბანოს წყალი მოდიოდა უმთავრეს ბაზარზე და
სიონის ქუჩაზე თიხის მილებით ტფილისის მინერალურ
წყლების საგროვებელიდან. აბანოს მთელი იატაკი
მარმარილოს ქვებით იყო დაგებული.



„სასახლის სამხრეთით, რაოდენიმე საჟენის სიშო-
რეზედ, იყო ფულის საჭრელი სახლი, რომელიც თვი-
სის ფანჯრებით მდინარეს გადაჰყურებდა. იგი მთლად
კამაროვან-თაღებიანი იყო და კამარებში ჰქონდა სარ-
კმელები.

„ფულის საჭრელ სასახლის დასავლეთით იყო ძვე-
ლინდელი ეკკლესია, გუმბათიანი, წმ. იოანე ნათლის-
მცემლისა. იგი დანგრეულ იქმნა 1824 წ. მისი ადგი-
ლი დღეს უჭირავს სინოდის კანტორის სახლის ჩრდი-
ლოეთ ნაწილს. ამ ტაძრის გვერდით იყო ათ-ოთახიანი
სასტამბო სახლი, სადაც 1709 წლიდგან იბეჭდებოდა
ქართული თხზულებები, – სასულიერო და საერო, ხუ-
ცურადა და მხედრულად.

„მეფის სასახლის სამხრით აღმართული იყო სხვა
სასახლე მეფის ვახტანგ VI, მარმარილოს კედლებიანი,
მოვარაყებული, ლაჟვარდოვანი და მოსარკეკებული. ეს
სასახლე დაანგრიეს ოსმალთ 1725 წ.

„კიდევ იქით სამხრეთისკენ მდინარის ნაპირას იყო
შენობები – ქსენონნი უცხოეთიდან მოსულ სტუმართა
მისაღებად, და სხვა საოჯახო სახლები. სასახლის ახლოს
აშენებული იყო მეჩითი გამაჰმადიანებულ მეფეთათვის.
აქ ინახებოდა ყოველი ადგილობრივი სამუსიკო იარაღი.

„სასახლის წინ, მოედანზედ, იყო საყდარი უფლის
კვართის საოხად. იგი დანგრეულ იქმნა 1804 წ.

„ალაგი, რომელიც ეჭირა სასახლესა და მის

პირდაპირ მზრუნველობაში მყოფ შენობებს, მტკვრის პირ-პირ იყო სიგრძით, დაახლოებით, 160 საჯენი“.

აქ აღწერილი სასახლე ის სასახლეა, რომელშიაც დიდის დიდებით შემოვიდა აღამაღომედხანი 1795 წ., დიდად მოიწონა და, გაკვირვებულმა მისის სიმშვენიე-



რით, სთქვა: „სპარსეთის ხელმწიფე ვარ და ამისთანა სასახლე მეც არა მაქვსო“. *)

ტფილისში იყო აგრეთვე რამდენიმე სხვა სასახ-ლეც, სახელდობრ სეიდაბათისა, მეფე იესესი, მეფის ძე დავითისა, მეფის ძე სვიმონისა, დარია დედოფლისა, გურია-სამეგრელოს მთავრებისა და სხ.

სეიდაბათის სასახლე იყო კალას ძირში, მაღლობზე; დელაპორტის სიტყვით (1768 წ.) „საამო იყო მისი გარემოცა და შიგნითი მორთულობაც. მთელი მისი მაღლობი დაყოფილი იყო ფოლორცებად, სადაც გად-მოსჩქეფდენ ნაკადულები და გადიოდნენ მილები. [1]) იგი დაანგრიეს სპარსებმა 1795 წ. და ეხლა იმ ადგი-ლას ბოტანიკური ბაღია [2])

იესე მეფის სასახლე იყო აშენებული ძველს ნანგ-რევებზე, იქ, სადაც ეხლა ორბელიანთა სახლებია (მი-ხეილის ხიდთან) და მათ წინ ალექსანდრეს ბაღი. იე-სეს სასახლეს ეკუთვნოდა ის ბაღიც, რომელსაც ეხლა ჰქვიან „საინჟინერო ბაღი“. ამავე ბაღში ჰმარხია თვით იესე მეფეც. [3])

მეფის ძის სვიმონის სასახლე (1718 წ.) წმ. გიორ-გის ეკკლესიითურთ გაოხრებულ იქმნა 1795 წ.; იგი განაახლა გიორგი მეფემ. ამავე სასახლეში მარიამ დე-დოფალმა მოჰკლა ლაზარევი და აქვე შეიპყრეს იგი

---

*) ა. ჯ.-ორბელიანი. „მოამბე“ 1895 წ., № VIII, გვ. 161.

[1]) პ. იოსელიანი. ქ. ტფილისის სიძველუთ-აღწერა, გვერდი 250.

[2]) იქვე, გვ. 250.

[3]) იქვე, გვ. 251.



და წარგზავნეს რუსეთს. [4]) წმ. გიორგის ეკკლესია („კარის ეკკლესია“ არქიელის მოედანთან) დღესაც არ-სებობს.

დარია დედოფლის სასახლე იყო ავლაბარში, რომე-ლიც შემდეგში შეისყიდა მიტროპოლიტმა თეოფილაკ-ტემ და მასში მოათავსა სემინარია და სასულიერო

სამრევლო სკოლები. 1821 წელს აქ დააარსეს ფერის-
ცვალების მონასტერი.

გარნა ყველა ეს სასახლენი და თვით ტფილისიც
გაოხრებულ იქმნა ყაენის აღამაპმადხანისაგან 1795 წ.

უმთავრესი მიზეზი ტფილისის აოხრებისა სპარს-
თაგან ის იყო, რომ ერეკლე მეფემ უკუაგდო ყაენის
„ვალიობა“ და რუსთა ხელმწიფის მფარველობა თავს
იდვა. ზევითაც შევნიშნეთ, რომ ოსმალთა სულთანმა
და ყაენმა მთელი საქართველო თვის შორის გაიყვე-
სო (1636 წ.) და ყაენს ხვდა ამერეთიო და სულთანს
იმერეთი და სამცხე. მას აქეთ ყაენები ნიშნავდნენ
ამერეთის მეფეებს, გარნა ეს მეფენი ხშირად ეურჩე-
ბოდნენ ყაენებს და რუსეთის ხელმწიფეს სთხოვდნენ
მფარველობასა და დახმარებას. თვით ვახტანგ VI ხომ
თვისის სახლობითურთ რუსეთში გარდაიხვეწა. შემდეგ
გამეფდა თეიმურაზ II და იგიც მფარველობის სათხოვ-
ნელად პეტერბურღს წავიდა და აშტარხანს მოკვდა.
ერეკლემაც დიდი მეგობრობა გამოუცხადა რუსებს და
ერთხანად მათი მხედრობა, რომელსაც ძლიერ უფრთ-
ხოდნენ ყველა ყაენები, გადმოიყვანა საქართველოში
(1769 წ.) და მანვე დასდო რუსეთთან ხელშეკრულობა
(1783 წ. 24 ივლ.) და რუსის ხელმწიფის მფარველობა

---

[4]) იქვე, გვ. 251.



იტვირთა. ამ ხელშეკრულობამ ფრიად დააღონა სპარს-
ნი, რომელნიც ძველადგანვე თვის დამამხობელ ძლიე-
რებას მოელოდნენ კავკასიონის ჩრდილოეთ მხრიდამ,
გარნა იმ დროს სპარსეთი სუსტი იყო შინაურ ამბო-
ხებათა გამო. ხოლო ეს ამბოხება რომ მოისპო, სპარ-
სეთი დაწყნარდა და ყაენების ტახტი დაიქირა აღა-
მაჰმადხანმა, სპარსთა ელჩები გამოეცხადნენ ერეკლე
მეფეს და სთხოვეს „რუსეთზე ხელი აიღეო“ *) გარნა ეს
ელჩები რუსეთის ერთმორწმუნეობისა და ძლიერების
მოიმედე, მეფემ უიმედოდ გაისტუმრა. [2]) ყაენმა დიდ-
ძალი ჯარი შეჰკრიბა და ისევ ელჩების პირით შემო-
უთვალა ერეკლეს: [3]) „რუსეთის ერთგულობაზე ხელი
აიღეო“. რუსების ერთმორწმუნეობასა და მფარველობა-
ზე დაიმედებულმა მეფემ ყაენის ელჩებს მოახსენა: „არამც
თუ მარტო აღამაჰმადხან თავის ჯარითა, – მთელი აზი-
ის ჯარები რომ მოვიდნენ ჩვენზე, მაშინაც ხელს ვერ
ამაღებინებენ რუსეთის ერთგულობაზედ“. [4]) ყაენმა თვი-
სი ლაშქარი არეზზე გადმოიყვანა და მესამედ გამოუგ-
ზავნა ერეკლეს ელჩი და მოახსენა: „ეს არის არეზში

გამოველ და კიდევ ელჩი გამოვგზავნე და მეც თან მოვ-
დევ ელჩსა. კარგი მეფე ხარ და შენი წახდენა არ მინ-
და, ოღონდ ის ჩემი სურვილი აღმისრულე და ამის და-
სარწმუნებლად ერთ-ერთი შენი შვილი და ერთი შენი
შვილიშვილი გამომიგზავნე მძევლად, მაშინვე გავტრი-
ალდები და წავალ". მეფემ პატიოსანი პირობა და ერთ-

*) ა. ჯ.-ორბელიანი „მოამბე" 1895 წ, № VIII, გვ. 127.
[1]) იქვე, გვ. 127.
[3]) იქვე, გვ. 132.
[4]) იქვე, 132.



მორწმუნეობა არჩია, ელჩი დააჭერინა და ტფილისში
გამოგზავნა. *) ყაენი სწრაფის ნაბიჯით ტფილისისაკენ
წამოვიდა.

რის იმედი ჰქონდა ერეკლე მეფეს, რომ უპასუხოდ
სტოვებდა ძლიერის ყაენის შემოთვლილობას და აპა-
ტიმრებდა მისს ელჩს?

ქვეყნისათვის თავგადადებულსა, რაინდსა და ღვთის-
მოყვარე მეფეს, რომელიც უკვე 77 წლისა იყო, ეგო-
ნა, რომ მისნი მფარველნი უიმედოდ არ დასტოვებენ
და მოაშველებენ 3,000 მეომარს, **) აგრეთვე მოვლენ
25,000 ჭარელნი, რომელნიც ის-ის იყო მეფეს შეუ-
რიგდნენ და შემწეობა აღუთქვეს, 16,000 ქიზიყელნი,
10,000 იმერეთიდგან, 10,000 ქართლიდგან, 10,000
ყაზახ-ბორჩალოდგან; ***) ამას გარდა 40,000 მეომარი
მეფის ბრძანებით უნდა გამოსულიყო ფშავ-ხევსურეთი-
დამ. [4]) გარნა ეს ასრე არ მოხდა. ერეკლეს მოეშველა
მხოლოდ იმერეთის მეფე სოლომონი 2,000 მეომრით
და სხვა არავინ.

რა იყო ამის მიზეზი და რად გაუცრუვდა დამსახუ-
რებულება და მისი იმედები ღირსეულ მეფეს?

მეფემ თვის დამარცხებამდის არ იცოდა ანუ, უკედ

*) იქვე, 134. ბუტკოვი (ტომი მეორე, გვ. 137) ამბობს:
„არეზს გამოსცილღა რა, ყაენმა ერეკლეს შემოუთვალა ჩემს მფარ-
ველობაში დარჩიო, თორემ საქართველოს შემოვესევიო, დამემორ-
ჩილე და ფიცით აღმითქვი, რომ მომცემ იმოდენა ხარკს, რაოდენ-
საც ქართველთა მეფენი აძლევდნენ ყაენებს. გარნა ასრეთი შემოთვ-
ლილობა ერეკლემ უპასუხოდ დასტოვაო".
**) იქვე, გვ. 335.
***) ა, ჯ.-ორბელიანი, „მოამბე", 1895 წ. გვ. 131.
[4]) „მოამბე" 1895 წ., საქართველოს ისტორია გვ. 472.

ვსთქვათ, არ ეჯერებოდა, რომ მის გარემო გაჩენილიყო სხვა-და-სხვა წრე ქვებუდანა კაცებისა; ხოლო ამ ორპირ და ორგულ კაცებს, რომელთაც „ღმერთი სწამდათ“ და იმისი მტრები-კი იყვნენ, ძალა ერეკლეს მეფობისა უკვე მოეკლათ“, მეფემ-კი, როგორც ვსთქვით, არ იცოდა ესა ქალაქის გაოხრებამდის.

რამ დაჰბადა ამ ქვებუდანა კაცების წრეები? – ა) შურმა, გაუტანლობამ და მტრობამ ძმათა შორის და პოლიტიკურად გაუწურთვნელობამ და სახელმწიფო სარგებლობის გაუგებლობამ მათ მიერ, რომელნიც სამმართველო საჭეს ძლიერ ახლოს იდგნენ და ბ) შორსგანუჭვრეტელობამ ერეკლესამ, რომელიც ვერ ამჩნევდა, ანუ, უკედ ვსთქეათ, ამჩნევდა, გარნა ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა, თუ გარეშე მტერნი, მისდამი მეგობრად შემოჩენილნი, როგორ უთხრიდენ მას სამარეს.

ვახტანი VI რომ რუსეთში გადასახლდა, ქართლის ტახტი დაიჭირა თეიმურაზ II, კახეთის ბაგრატიონთა სამეფო დინასტიამ, თუმცა-ღა ეს ტახტი ეკუთვნოდა ვახტანგის მემკვიდრეს ბაქარს და ამის შვილს ალექსანდრეს, რომელსაც რუსის მხედრობაში დიდი თანამდებობა ეჭირა. ამ ალექსანდრეს ქართლში ჰყვანდა მრავალი მომხრე და მათ შორის გივი (შაჰყულიხან ) ამილახვარი, ბატონიშვილი აბდულაბეგ იესეს ძე და სხ. თვით ალექსანდრე ტრიალობდა დაღისტანსა, ადირბეჟანსა, სპარსეთსა და იმერეთში და სცდილობდა ქართლის ტახტი დაეჭირა. ერეკლეს გადუდგნენ აგრეთვე ქსნისა და არაგვის ერისთვები, რომელნიც ერეკლემ დაამხო და მით უფრო გაიმრავლა შინაური მტრები. ყველა ესენი დაწანწალებდენ შინა და გარედ და რევდენ ქვეყანას



და საშიშროებაში აგდებდნენ მას. ყველა ამას ზედ დაემატა ისიც, რომ მოხუცებულმა ერეკლემ 6 მარტს 1794 წელს მთელი სამეფო საბატონიშვილოებად დაჰყო და თავის შვილებს ჩააბარა. ცალკე საბატონიშვილოებად შეიქმნენ ქიზიყი, კახეთი, თიანეთი, დუშეთ-მთიულეთი, ქსანი, გორი, სურამი, ყაზახ-ბორჩალო და სხ. ყველა ბატონიშვილმა გაიჩინა თავისი ამალა და მიმდეგი და მეფურად მოეწყო. საერთო სამეფოზე ზრუნვა ყველამ დაივიწყა. მათ მიხედვით და მათ მიერვე გაყოფილ-განაწილებული თავად-აზნაურობა აგრეთვე აღარ ზრუნავდა საერთო სამშობლოსთვის, მას მხოლოდ აწუხებდა საკუთარი კერძი და კუნჭული. დარია დე-

დოფალი, რომელიც, ბუოტკოვის სიტყვით, *) განაგებდა საქართველოს, სცდილობდა ტახტის კანონიერი მემკვიდრე (გიორგი ერეკლეს ძე) გადაეყენებინა და მემკვიდრეობა დაემტკიცებინა თავის შვილის იულონისთვის. და ამიტომაც დარია დედოფალი არა თუ არ უფრთხოდა აღამაჰმადხანის შემოსევას, არამედ იმედიც ჰქონდა, რომ თუ საქართველო ყაენის უფლობას დაემორჩილებოდა, გიორგი ბატონიშვილის მემკვიდრეობა იულონზე გადავიდოდა. ხოლო თვით აღამაჰმადხანის ჯაშუშებიც, რომელნიც ტფილისში იყვნენ, სცდილობდნენ გაეძლიერებინათ მძულვარება ბატონიშვილთა შორის და თავის მხრივ შემწეობასა და ტახტს აღუთქვამდენ იმას, რომელიც უფრო ცხადად დაამტკიცებდა თავის მემკვიდრეობის კანონიერობას. [2])

ყველა ამას ზედ დაემატა აგრეთვე აქაური მოწი-

---

*) ბუტკოვი, ტ. II, გვ. 336.

[2]) იქვე, გვ. 337.



ნავე სომხების ღალატიც. ამათი მოთავე იყო ოსეფა არღუთაშვილი, რომელიც რუსეთში იყო (და შემდეგ შეიქმნა ეჩმიაწინის კათალიკოსად). ალექსანდრე ბატონიშვილის შემდეგ საქართველოს უმთავრეს მტრად შეიქმნა ეს იოსებ არღუთაშვილი, რომელსაც ტფილისის სომეხთა შორის ჰყვანდა ჩუმი დასი და აგენტები. ამათ კარგად იცოდნენ საქართველოს ავი და კარგი და სამეფო სახლის ვითარება და ბეჯითად, გარნა საიდუმლოდ, მოქმედებდნენ ყველგან, საცა საჭირო იყო. ოსეფა არღუთაშვილის უმთავრეს ჯაშუშად ითვლებოდა არტემ არარაცკი (არარაციანი) და მას ჰშველოდნენ მიმბაში სოლომონ (ოსეფა არღუთაშვილის ძმისწული), მისკარბაში იოსებ ბებუთაშვილი, ქალაქის მელიქი დარჩია ბებუთაშვილი, ამილახვარი ოსეფა ყორღანაშვილი, მდივანბეგი სულხან თუმანიშვილი, ამის ძმა მანუჩარ და სულხანისშვილი შიოშ, იოსებ და ავეტიქა შაღბათაშვილები *). ამათსავე განზრახვასა და მისწრაფებას ემსახურებოდა მაშინდელი ეჩმიაწინის კათალიკოსი ლუკა, რომელმაც აღამაჰმადხანს, საქართველოსკენ გამოლაშქრებულს, მიართვა 100,000 მანათი სამხედრო სახარჯოდ **) და აგრეთვე ყარაბაღის სომეხთა მელიქები მეჯნუნი და აბო. ამ მელიქებს რომ დიდი კავშირი ჰქონდათ ოსეფა არღუთაშვილთან, ეს სჩანს იქიდგან, რომ ამ უკანასკნელმა შეადგინა ამ მელიქების ისტორია და წარუდგინა რუსის მთავრობას 1790 წ., ***)

ე. ი. ორის წლის იმის შემდეგ, რაც მეჯნუნმა და აბომ

*) ა. ჯ.-ორბელიანი, მოამბე, 1895 წ., VIII, გვ. 122 – 123.
**) ბუტკოვი, ტ. II, გვ. 337.
***) იქვე, ტ. III, გვ. 220.



თვისი გარემოება შეატყობინეს გენერალს ტეკელ-
ლის. იგინი სწერენ გენერალს, რომ რუსთა და ქართ-
ველთა გამოლაშქრებამ განჯაზედ ჩვენში იმედები გა-
ნაღვიძაო, გარნა ბურნაშოვის დაბრუნებამ რუსეთს უკი-
დურესს მდგომარეობაში ჩაგვყარაო. თუმცა ჩვენ ძლივს
გამოვახწიეთ და თავსაფარი ვიპოვეთ ტფილისშიო
(1788 წ.), გარნა ჩვენი ცოლ-შვილი იქვე ყარაბაღში
დაგვრჩა ჩვენის მძვინვარე მტრის იბრეიმხანის ხელშიო. *)
აი ეს სულმდაბალი და გაიძვერა მეჯნუნი, რომელიც
ერეკლეს შემოეფარა 1788 წელს და მის ფერხთა მტვრა-
დაც არ მიაჩნდა თავი თვისი, ახლა, 1795 წელს 3 ენ-
კენისთვეს, იგი მოუძღოდა აღამაჰმადხანის მოწინავე
ლაშქარს, რომელსაც შეეფეთა დავით ბატონიშვილი
(გიორგის ძე) და მოუკლა სარდალი. **)

მეფემ არა იცოდა-რა ამისთანა დიდის შეთქმულო-
ბისა და დაიმედებული, რომ დაბარებული ლაშქარი
დროზედ მოვა და იზრუნავს ქალაქის გამაგრებისათვის,
7000 მეომრით წავიდა სოღანლუღს. გადიოდა დღეები
და მეშველი ჯარი არსად იყო. იულონი გორს იყო და
დაუჯდომელს არ იშორებდა, გიორგი ბატონიშვილი
სიღნაღში იჯდა თავის 4,000 გაწურთნულის ჯარით.
მაგრამ ეს ცოტაა კიდევ. სოღანლუღში მყოფ მეფეს აც-
ნობეს, რომ ქალაქის მცხოვრებთა ნახევარი უკვე აი-
ყარაო; მეფე ძლიერ დაღონდა, გარნა მისი დაღონება
უფრო გაორკეცდა, როდესაც მეორე დღეს ნახა, რომ
მასთან მყოფი ქიზიყის სარდალი ზაქარია ანდრონიკა-
შვილი თავისის 2000 მეომრით ღამე გაპარულიყო, და

*) იქვე, გვ. 212.
**) იქვე, გვ. 259.



ეტაცა სამი ფარა ცხვარი და ქიზიყს წასულიყო. *) მი-
უხედავად ამისა მეფე ძლიერად შეება მტრის მოწინავე
ჯარს და სახელოვანად დაამარცხა იგი და დიდი ზიანი
მისცა. ერეკლეს ძლევამოსილებამ ისე გააოცა ყაენი,
რომ მან წარმოსთქვა: „როგორიც ქართველების ვაშ-
კაცობა გამეგონა, იმაზედ უკეთესნი ყოფილანო“. ასრე-

ვე ძლიერად დაამარცხეს მტრები ქართველებმა მეორე
და მესამე დღესაც. ყაენი შეშინდა და თადარიგი ნახა,
რომ აიყაროს და სპარსეთს წავიდეს.

ყველა ეს ამბები მოხდა პარასკევსა, შაბათსა, კვი-
რასა და ორშაბათს. ამავე ორშაბათ ღამეს არტემ არა-
რაციანმა ქალაქიდგან გააპარა ყაენის ელჩი, რომელიც
ერეკლეს ჩაებარებინა მელიქის დარჩია ბებუთაშვილის-
თვის. თელეთებზე გადიყვანა, მიაცილა ყენის ბანაკამ-
დე და თვითონ ისევ შემოიპარა ქალაქში. ელჩმა უამ-
ბო ტფილისის უნუგეშო მდგომარეობა, ერეკლეს ჯა-
რის სიმცირე და ქალაქის გაუმაგრებლობა. ასაყრელა-
და და დასაბრუნებლად გამზადებული ყაენი შემოტ-
რიალდა და ქალაქისკენ წამოვიდა (11 ენკენისთვეს.)
ერეკლემაც გამოსწია ქალაქისკენ და კრწანისის ვიწ-
როები ჩაახერგინა. დღე იყო ნისლიანი. ქალაქში მო-
ვიდა ამბავი, ერეკლე მეფე საშინლად დაამარცხესო.
სოლომონ მეფე, რომელიც ერეკლეს წინადღესვე გა-
მოეგზავნა ტფილისს, აიყარა და იმერეთისკენ წავიდა.
დავით ბატონიშვილი, რომელიც ტფილისის გორებზე,
სოლოლაკის თავს, ტაბახმელისკენ, იდგა 400 კაცითა
და 4 ზარბაზნით, აგრეთვე აიყარა და კახეთისკენ წა-
ვიდა. ყიზილბაშის ერთმა დასტამ ტაბახმელისკენ გა-

*) ჯ.-ორბელიანი, მოამბე, 1895 წ. VIII, გვ. 137.



მოსწია, რომ გზა შეუკრას მეფეს. კრწანისის ვიწროებ-
ში ქართველები დაერივნენ ყიზილბაშებს, დახოცეს
მრავალი და თვითონაც ზედ შეაკვდნენ მათ. მეფეს დარ-
ჩა მხოლოდ 300 კაცი. აბანოებთან რომ ჩამოვიდნენ
მეფე და მისი 300 მეომარი, აბანოებისავე მაღლობზე
გამოჩნდნენ სპარსთა დასტები, რომელთაც შემოტევა
უნდოდათ, მაგრამ ციხიდგან ზარბაზნები დაუშინეს და
შეაყენეს იგინი. მეფემ გამოახწია მტრებს და ქალაქის-
კენ გამოსწია. გარნა იგი ერთგულმა ყმებმა შეაყენეს
ავლაბრის ხიდთან და საგურამოსკენ წასვლა ურჩიეს.
მეფემ გაქუსლა ცხენი, გარნა, ხიდის შუას რომ მიაღ-
წია, შემოატრიალა ცხენი უკანვე და დაიძრა: „ნეტა
სად მივდივარ? წავალ და მეც ჩემ შვილებთან მოვკვ-
დები ამ ქალაქის ხალხში და იმათ ვნებას მე ვერა ვნა-
ხავ“. მაგრამ ივანე მუხრანბატონმა ცხენის ჯილავს ხე-
ლი უტაცა, გამოატრიალა, იქით-აქედგანაც მივარდნენ
ბატონიშვილები ალმასხან და ივანე, ცხენსაც ქიზიყის
მოურავმა მათრახი დაუკრა და საჩქაროდ გაარბენი-
ნეს გულმოკლული ერეკლე მეფე. მაზითის ძირში რომ

მივიდა მეფე, ქალაქიდგან, რომელიც უკვე აეღო მეფეს (12 ენკენ.), დიდის ვაების ხმა მიესმა. მეფემ შეაყენა ცხენი და მწარედ მოთქმა იწყო:

ოჰ ღმერთო, რასა ვხედავ და ან რა მესმის... ნაცვლად თქვენის სიხარულისა, დღეს საშინელება ტრიალებს თქვენზე, ნაცვლად თქვენის უჯავრელის სიმღერისა, დღეს თქვენი მწარე ტირილი ზეცაში ღაღადებს,



ნაცვლად თქვენის მხიარულის საკრავებისა, დღეს ატადის კალოს ხმა მესმის თქვენზედ მოსული; რამთენი თმა-გაწეწილი დედანი და ქალნი წივიან და კივიან ეხლა, ის ხმა შენ არ გესმის, ღმერთო! რამდენი კაცნი ყელ-გამოჭრილი ეყრებიან ეხლა, ამაებს ვერა ხედავ, ღმერთო? ჩემო. ძმებო, ჩემო შვილებო, ჩემო მეგობრებო, ჩემო ამხანაგებო, ჩემო საყვარლებო და ჩემო სასურველნო! მე თქვენთვის უნდა მომკვდარვიყავ და თქვენ ჩემთვის იხოცებით. აბა რიღას მეფე ვარ, რით დაგიფარეთ?

მეფე რომ ასე მოსთქვამს, დანარჩენნი ქართველები უკან უდგნენ და (კრემლით იღვრებოდნენ. ივანე მუხრან-ბატონი ეხვეწებოდა მეფეს დაჩუმებულიყო, გარნა იგი კვლავ მოსთქვამდა:

– რაც განძრახვა მქონდა, იმ დაწყობილებით რომ დავმარცხებულიყავით, ვიტყოდით, ღმერთმა არ ინებაო. და ასე შესაწუხებელი აღარ იქნებოდა, რატომ ღმერთმა გუშინვე ჩემი თავი ომში არ მოაკვლევინა და ეს საშინელი უბედურება მაჩვენა? რა კარგი ბედნიერი სიკვდილი იქნებოდა ჩემთვის! არ ვიცი, ეს ამისთანა უსვინიდისო ღალატი საიდგან რა უნდა იყოს, ვფიქრობ და ვერა გამიგია-რა?

მეფე იმ ღამეს საგურამოში დარჩა და მეორე დღეს ავიდა ანანურს და იქიდგან ბატატაანთკარს, საცა დედოფალი დარია იყო შეხიზნული. მეორე დღეს აქედგან აიყარნენ და ბურდალიანთ კარს ავიდნენ.

აღამაჰმად-ხანმა პირველად მეფის სასახლე ნახა, გაუკვირდა, რომ ქართველთა მეფეს ეს როგორი მშვენიერი სახლი ჰქონიაო. შემდეგ გაძარცვა იგი და დააწვე–ვინა. თვითონ კი წავიდა და „სამშაბათის აბანოში“



იბანა, გამოვიდა და სოღანლუღს წავიდა. ულმობელმა ყაენმა გაანადგურებინა და გააძარცვინა ქალაქი, დაატყვევებინა და ანუ გააჟლეტინა ხალხი. შემდეგ ბრძა-

ნა: საქართველოზედ თარეში წავიდესო. ყიზილბაშნი შეესივნენ ქართლს, იარეს ტირიფონამდის, აიკლეს და მიგოხ-მოგოხეს სოფლები, რომელთა მკვიდრნი მთებში შეხიზნულიყვნენ. შემდეგ დაბრუნდნენ და მივიდნენ სოღანლუღს. კახეთი გადარჩა. სპარსნი ლილოს არ გასცილებიან. ქვეყანა არბიეს ცხრა დღეს და შემდეგ ყაენი აიყარა, რადგან ერეკლეს შიში ჰქონდა, და წავიდა სპარსეთს.

ერეკლემ თვისი სახლობა თელავს გადიყვანა და ტფილისს ჩამოვიდა. შემოფანტული ხალხი მემოჰკრიბა, დააბანაკა და ნუგეშსცა. მალე ქალაქი მოჯობინდა, ტყვეები გამოსყიდულ იქმნენ*)

---

## ტფილისის აღება

(მესტვირული ლექსი)

ნეტარ ქება როგორ ითქმის ამ თბილის ქალაქისაო:
ზამთარი არის ბროლისა, ზაფხული ზურმუხტისაო;
გარს ახვევია ბაღები, ჩარხი უბრუნავს წყლისაო,
შიგ წისქვილები უბრუნავს, გარ-შემოუვლის წყალია;

*) იხ. ა) ა. ჯ.-ორბელიანი, „მოამბე“, 1895 წ, № VIII; ბუტკოვი, ტ. II და III; არქეოგრაფიულ კომისიის აქტები, ტ. I და II; თეიმურაზ ბატონიშვილი, „ივერია“ (1891 წ., №№ ები 51 - 56), „საქართველოს ისტორია“ მ. ჯანაშვილისა, გვ. 470 - 472; პ. იოსელიანი (Описаніе древн. Тифлиса, გვ. გვ. 21 – 22.



ქალაქში აბანოები ბადალი ხმელეთისაო,
ძირიდამ აშენებული აუზები არს ქვისაო,
მაღლიდამ გადაჭედილი წითელი აგურისაო,
გვერდიდამ ფანჯარებია სანათურია მზისაო,
ვინც შევა აგრევე გახდის, როგორც თოვლია მთისაო,
ქალი და რძალი გამოდის, ვითა ყვავილი ხისაო;
დუქნები ბევრი დამართეს, სასხდომი ბაყლებისაო,
ქვეშ ქუჩები დაატანეს, სარბენი არი გზისაო,
წინ ნათხარი ორმოები, ნაგები სარდაფისაო;
ხოის ლაინი ბევრია და ფარჩა ბეზირგნისაო,
საყდარიც ბევრი ააგეს დ თეთრი ქვითკირისაო,
ხატი და ჯვარი შიგ არის, სალოცავია ღვთისაო,
ბერი და მღვდელი ამდენი, როგორც რომ წვიმა წყლისაო;
ხაზინაები აწყვია, მოჭრილი თამაზ ხნისაო; *)
ერეკლე ბატონი იჯდა, ბადალი ხმელეთისაო,

ასტირდა ცა და ქვეყანა: მისთვის არ მოდის დარია,
ხოჯახანი *) წამოვიდა, თერნიდამ მომავალია,
ამდენი ჯარი მოუდის, არ გადასწვდება თვალია,
შიგ და შიგ სარდალი მისცა, მან-კი აართო მხარია;
შუშის ხან წიგნი დასწერა, ერეკლეს გაუგზავნეა,
თავადები დაერჩივენ, ერთად მოაბან მხარია;
საყდრიდამ გამოასვენეს ის დიდი ძელი ჯვარია,
ზოგი მოუკლავს ტყვიასა, ზოგი მიწას შეუჭამია,
ურჯულოს ხელში ნუ ჩაგვყრი, ისევ შენ მოგვეხმარეა,
წინ ერეკლეს გამოუძღვნენ, ვითომ ირემი ხარია,
ასე მოჰქონდა ლაპლაპი, ვით საომარი ხმალია,
თუშეთში რომ შემოვიდა, ცხენს მოიგოგებს ნელაო,

---

*) თამაზხანი, იგივე ნადირშა.
**) ხოჯახანი, იგივე აღამაჰმადხანი.



დაჯდა და წიგნი დასწერა . . .
„ეს რუს ხელმწიფეს მიმირთვით, მან გადიკითხოს ნელაო,
„ხოჯახანი ჩამოვიდა, ქალაქი შეამტვერაო,
მე აქეთკენ მომაქცია, ისევ მიშველე შენაო“.
გადიკითხა რუს ხელმწიფემ, შუბლზედ დაიდვა ხელია:
„ვაი შენ თბილის ქალაქო, რა ძნელი საქმე ჰქენია,
ხაზინაები დაჰკარგე და ოქროები ბევრია.
იანარლებს დამიძახეთ, ჯარი შევყაროთ ბევრია,
ზოგი ბოლოზედ წავიდეთ, დაუმონაოთ მტერია,
ზოგი დარბანზედ გავიდეთ, ორად გავაწყოთ გემია,
ხოჯახანი დავიჭიროთ, ძაღლივით დავსჭრათ ყელია,
ქალაქი დავიმორჩილოთ, სულ საქართველო ჩვენია“.
ეს ამისი გამომთქმელი სიტყვების ჩამომთვლელია,
ყველანი ერთად დაგლოცოსთ, რაც ქვეყანაზედ ღვდელია,
მისი მადლი შეგეწიოსთ მცხეთას რომ ხატი სვენია.

—

## ბრძოლა თბილის-კრწანისში

(ლექსიდამ „ბედი ქართლისა’).

…ბატონს თვის ჯარი კრწანისის მინდვრად
დაებანაკა სპარსთან საომრად;
პატარა კახი აღამაჰმად ხანს
უპირებს შებმას ძლიერს, რისხვიანს.
ამ დროს გამოჩნდა სამხრით მტერი...
დაჰკრეს ნაღარა, გულნი შეზარა,
და მტერთ საომრად ჯარნი შეჰყარა.

ხმა ნაღარისა, ეს ხმა ბრძოლისა
ვით არ აღგანთებს, გმირო ქართლისა!
მხდალსა განამხნევს, მხნეს განაღვიძებს
და მიჯნურსაცა სულს შეუშფოთებს!

– 137 –

შეექმნათ მწარე, ძლიერი ომი:
ვითა ნადირსა მშიერი ლომი,
ეკვეთნენ სპარსთა ივერთ მხედარნი
და მტკვარსა შერთეს სისხლისა ღვარნი!
ორნივ იბრძვიან გამწარებულნი,
ორნივ ომებში გაქეზებულნი;
თამაზ ენისენთ, მოურავის ძე
და იოანნე, კახთ-აბაშიძე,
განუმტკიცებდენ მკლავთა ქართველთა;
მეფის ირაკლის ღვაწლი ყოველთა
შთაუდგამს სულსა ვაჟკაცობისას, –
მაინც ვერ ჰხედვენ ბოლოს ბრძოლისას.
რა ნახეს ქართველთ გაჭირდა საქმე,
მყის ჩაიკეცეს ქუდები თურმე,
ხრმალს ხელი იკრეს მამა-პაპურად
და დაერივნენ  თავისებურად.
    ბინდმა განჰყარა მებრძოლნი მტერნი,
გამარჯვებულნი დარჩნენ ივერნი;
მაგრამ რა მეფე ჯარსა უყურებს,
მას გამარჯვება არღა ახარებს:
ძვირად დაუჯდა იგი ირაკლის!
მრავალთ ყმაწვილ-კაცთ, ნუგეშთა ქართლის,
დასდვეს აქ თავი მამულისათვის…
მეფემ უბრძანა თვისთა მოხელეთ:
„გვიჯობს, რომ ახლავ ქალაქს მივიქცეთ
და ციხე ჩვენი მსწრაფლ გავამაგროთ,
თვარემ ხვალ სიმხნით ვერა გავაწყოთ;
აღა-მაჰმად-ხან რა აქა გვნახავს,
ხომ იცით, ჯარი დიდ-ძალი ახლავს,
და იქნება, რომ ციხეში დავხვდეთ,

– 138 –

ჩვენის ძალისა ფიქრი მიეცეთ“...
    ყველა ეთანხმა ამაზედ მეფეს;
ქალაქს მოიქცნენ იმავე ღამეს
და მსწრაფლ ზღუდენი ნარიყალისა
ექნათ საჭურედ  ჯართა ქართლისა!
    გათენდა დილა მზისა აღმოსვლად,

მაგრამ მნათობმან შუქისა ნაცვლად
ბნელი *) მოჰფინა ტფილისის არეს.
აღამაჰმადხან მოადგა ციხეს,
სამი დღე და ღამ ადგა მას ჯარით,
მაგრამ ვერარა ავნო ვერსაით.
დაღონდა სპარსთა მეფე ბორგვნილი,
და, თურმე, ყოვლით იმედ მიხდილი
ქართლითგან წასვლას დააპირებდა…
მაგრამ იუდა ჟამს ეძიებდა!
აჰა, მან იგი აწ მოიხელთა
და მუხთალისა ანგართა ხელთა
აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი.
მან მტერთ უმსხვერპლა თვისნი მოძმენი!
სცნა რა ირაკლიმ ესე მუხთლობა,
მოყმეთა თვისთა ეზდენ დამცრობა,
მყისვე აღენთო ხელმწიფე-გული,
მტერზედ ამაყად გამზადებული!
მაგრამ ცუდ იყო ყოველი ღონე:
აღამაჰმადხან, კვლავ თავ-მომწონე,
შემოეპარა ციხისა კართა,
და მოევლინა მსწრაფლ ქართველთ ჯართა.

---

*) მოღრუბლული და ნისლიანი დღე იყო 11 სექტემბერს, 1795 წ.



მაგრამ ირაკლიმ უკვე გაქუსლა
მთიულეთისკენ თავისი ცხენი.

(აღა-მაჰმად ხანის დაბრუნების შემდეგ ერეკლე თელა-
ვიდგან გამოვიდა და გამოემგზავრა ტფილისს).

რა მოახლოვდა ქალაქსა მეფე,
დიდხანს უჭვრეტდა ცრემლთა აღმჩქეფე!
პალატნი მისნი გარდმონგრეულან,
სახლნი სამშობლო დანაცრებულან,
მიდამო ჰხედავს უპატრონობას,
აღოხრებასა და ნატამლობას,
დუმილი ჰსუფევს მის არე-მარე,
მხოლოდ ბუტბუტებს მტკვარი მწუხარე...
აღავსო კვალად ერმან ტფილისი,
რა მობრძანება სცნა ირაკლისი;
ქალაქი ისევ ჩქარად აშენდა,
თუმცა სდრინდელს მრავალი აკლდა!... *)

---

*) თუმცა ბუტკოვი სწერს (ტ. III, გვ. 177 და 260, რომ ტფილისში 1783 წლამდის იყო 61,000 მეკომური და ამათგან 1795 წლის შემდეგ დარჩა მხოლოდ 35,000, გარნა ეს შეცდომაა. ამდენ ხალხს ვერ დაიტევდა მაშინდელი ტფილისი, რომელშიაც ტურნეფორის დროს (1701 წ.) იყო 20,000 სული მცხოვრებიᲐ ეს 61,000 მეკომური უნდა ყოფილიყო მთელს სამეფოში, რის საბუთსაც გვაძლევს თვით ბუტკოვი თავის მეორე ტომში (იხ. გვ. 340, სადაც იგი ამბობს, რომ 1783 წლამდის საქართველოში ამერეთში) იყო



ერეკლემ ამის შემდეგაც საჭიროდ არა სცნო სამხედრო სამართლით გაესამართლებინა ქვეყნის ორგულნი და მოღალატენი! ასეთი წინ-დაუხედაობა ხელმწიფე კაცისა სწორედ გასაოცარია! ნუ თუ არარატიანისთანა ვერაგი კაცები კიდევ საცოცხლებელნი იყვნენ, და ისიც მისთვის, რომ ეწერათ ყალბი ისტორიები და მათივე შემნდობელი მეფე გამოეყვანათ ქვეყნის მოღალატედ, რომ ამ სულგრძელ მეფისათვის წამოესხათ ცხვრის ტყაბუჭი და ანანურის ტაძარში მასთან დაესკუპებინათ მისი ღვაწლმოსილი ამალა კი არა, არამედ იგივე გაიძვერა და მატყუარა არტემა!...

———

განისვენა ერეკლემ (11 იანვ. 1798 წ.) და მის შვილების ქიმშპობამ ბოლო მოუღო საქართველოს. ამერეთი შეუერთდა რუსეთს (18 ნოემბ. 1800 წ.)...

———

61,000 მეკომურიო, ხოლო აღა მაჰმად-ხანის მიერ ქალაქის გაოხრების შემდეგ კი დარჩა მხოლოდ 35000 მეკომურამდეო, ხოლო დავით ბატონიშვილის თქმით სპარსთა წაასხეს ტყვედ 10,000 სულიო და ქალაქებში დარჩა 3.000. ქალაქის აოხრებამდის აქ იყო 4,000 სახლი, 1803 წელს კი 2,700 - 3,000-მდეო და მათში 30,000 სულიო.



ვიდრე მოვიყვანდეთ ცნობას ახალ მმართველობის დადგენის შესახებ, საჭიროა გავიცნოთ იმ დროინდელი შინაური ყოფა-მდგომარეობა მთელის ქვეყნისა და ტფილისისა.

1801 წელს ლაზარევი თავის მოხსენებაში ამბობს, რომ ამერეთში (ქართლსა და კახეთში) იყო 40,000 მეკომურიო და თითო. კომლი შესდგებოდა 6 სულისაგანო [1]).

მაშასადამე ამ დროს ამერეთში უნდა ყოფილიყო 240,000 სული. 1783 წელს კი ბუტკოვის ანგარიშით (ტ. II გვ. 340, ტ. III, გვ. 177, 260) ამერეთში იყო 61,000 მეკომური. თუ ყოველი კომლი ისევ 6 სულად ჩავაგდეთ, გამოვა, რომ 1783 წელს ამერეთში ყოფილა 366,000 სული.

ერი იყოფებოდა შემდეგ წოდებად: სამეფო სახლი (50 სული), თავად აზნაურობა, მეფის აზნაურობა, თავადთა აზნაურობა, ვაჭარნი, მოქალაქენი, სამღვდელოება, გლეხობა [2]).

თავადთ ჰქონდათ უფლება მიეღოთ უპირველესი თანამდებობა სახელმწიფოს გამგეობაში მემკვიდრეობით და ჰყოლოდათ საკუთარი აზნაურები. მეფის აზნაურობა მის ამალას შეადგენდა და მათ ეძლეოდათ ათასისთავობა და ასისთაობა. თავადის აზნაურები შეადგენ ენ თავადის ამალას და ლაშქრობის დროს მის ხელქვეშ იყვნენ. [3]). ვაჭრებს ჰქონდათ უფლება მიეღოთ თანამდებობა მეფის სასახლეში. იგინი და მეფის აზნაურნი თანასწორნი იყენენ. ვაჭარნი და მოქალაქენი უმეტეს ნაწილად სომეხნი იყვნენ.

---

[1]) Сборн. матер. для опис. Тифл. губ. გვ. გვ. 9. 15.

[2]) იქვე გვ. 9.

[3]) იქვე გვ. 10.



სასულიერო წოდებაში შესვლის ნება ჰქონდა ყველას, და სასულიერო წოდებაში შერაცხილ თავად-აზნაურს ამასთანავე რჩებოდა ის უფლებაც, რომელიც ჰქონდა საერო წოდებაში მყოფობის დროს. ყველა მონასტერს ჰქონდა თვისი სოფლები და ჰყვანდა თვისნი ქვეშევრდომნი. ხელოსნები დაყოფილიყვნენ ამქრებად და ჰქონდათ ნება დასახლებულიყვნენ ქალაქებში. გლეხები ყმებად ითვლებოდნენ და როგორც ვახტანგ მეფის სამართალი ამბობს, გლეხის „სულის გარდა, ყველა ეკუთვნოდა ბატონს“.

1801 წელს მოხდენილ ანგარიშით მეფის ყოველწლიური შემოსავალი იყო: თათრებზე დადგენილი „მახტა" 3,500. მან., „მახტა“ ტფილისიდამ 4,000 მან., ამას გარდა ტფილისისა და გორის ვაჭარნი, მოქალაქენი და ხელოსანნი ხდილობდნენ: ცოლოსანნი 1 მ. და 20 კაპ. და უცოლონი 60 კაპ., ხიზანთაგან, რომელნიც განბნეულ იყვნენ სხვა და სხვა სოფლებში, იკრიბებოდა 6 ფუთი ხორბალი ყოველ მეკომურისაგან; დამნაშავეებს, ცემატყეპის მაგიერ, მეფე ახდევინებდა ჯარიმას. „სურსათი“ თათართაგან 8,250 მ. და თავადთა და სამღვდელოთა სოფელთაგან 6 ფუთი ხორბალი მეკომურისაგან; ოჯახი რომ იყრებოდა, მეფეს აძლევდა 1/20 ნაწილს თავის ქო-

ნებისას.

უკანასკნელ წლების შემოსავალი: შემოტანილ საქონ - ლიდამ საპალნობით ციხისთავისათვის 100 მან., გორიდამ გატანილ და გორში შემოტანილ საქონლიდამ (მარილიზე, თევზზე, სასწორზე, ღვინოზე, არაყზე და ყასბებზე) 1,100 მან., კახეთიდამ იმავე საგნებზე 1900 მან.; ერთდროული მახტა პურითა და ფულით, რომელსაც ხდილობდნენ ტფილისი და თათრები, 35000 მან.; სურსათი ყაზახიდამ, შამშადილიდამ, ბორჩალოდამ, ბამბაკიდამ, შულავრიდამ 8,350



მან.; ტფილისიდამ 13,200 მან., ბაჟი თამბაქოზედ მთელს ამერეთში 5000 მ,, ტფილისში ნაქსოვ ბამბის ტილოზედ დამღის დასასმელი 3,850 მ., ტფილისში მიტანილ თვზსა და ხიზილალაზედ 1,050 მ., ტფილისის სასწორი 700 მ. ტფილისში მოტანილ ღვინო-არაყზე 3,300 მ., ტფილისის ყასბებზე 3,100 მ., სპილენძის მადნები 10,050 მ., ენდრო 2,300 მ., ტფილისში მიტანილ ტივზე 120 მ., დუქნებზე ადგილის ბაჟი 120 მ., ადგილებზე, რომელნიც ეკუთვნოდნენ ციხეს და რომელზედაც დასახლებულ იყვნენ მცხოვრებნი 120 მან. *)

ამას გარდა ცალკე შემოსავალი ჰქონდათ თავადებსა, ბატონიშვილთა და დედოფლებს.

როგორც უკვე ვსთქვით, 1801 წელს ამერეთშა იყო 50 სული, რომელნაც ეკუთვნოდნენ მეფის გვარეულობას. ყველა ესენი სცხოვრობდნენ თავისის ყმებისაგან აღებულ შემოსავლით, და ამას გარდა ჰქონდათ საბატონიშვილოები.1803 წლის ცნობილ დარია დედოფალს ჰყვანდა 299 მეკომურა (1311 სული) ყმა, რომელთაგან შემოსდიოდა ყოველ წლივ 1495 მან.; მარიამ დედოფალს ჰყვანდა 295 მეკომური (1556 სული) ყმა და შემოსდიოდა 3,366 მ., ვახტანგ ერეკლეს ძეს 2061 მეკომური (12815 სული) და

*) 1784 წელს საქართველოში მოგზაურობდენ ფრანგთა მოგზაურნი, რომელთაც ჰშველოდა ნემეცი იაკობ რეინექსი. იგი მსახურებდა ერეკლე მეფესთან. ეს ფრანგთა მოგზაურნი ერეკლეს შემოსავალს ანგარიშობენ 26,950 გირვანქა სტერლინგად, ხოლო რეინექსის ჩვენებით ერეკლეს შემოსდიოდა: ხარკიდამ (ყოველს მეკომურზე) 610.000 მან., უცხო ქვეყნების მოვაჭრეთა საქონლის ბაჟიდამ 25,000 მან., მადნებიდამ ყოველ წლივ 60,000 მან, ვერცხლი, მადნებიდამ ოქრო – 3,200 მან., ხარკი ერევნიდამ 15,000 მ და სულ 713,000 მან. (იხ. Нов. Обзор., № 3072).



შემოსდიოდა 5,252 მ. და 85 კაპ., იოანე გიორგის ძეს

953 მეკომური (6297 ს.) და შემოსდიოდა 1571 მან., მემკვიდრეს დავით გიორგის ძეს 391 მეკომური (1564 ს.) და შემოსდიოდა 3520 მ., ბაგრატ გიორგის ძეს 295 მეკომური (1510 ს.) და შემოსავალი 1892 მან., იოანეს 295 მეკომური (1748 ს.) და შემოსავალი 916 მან., ალექსანდრე ერეკლეს ძეს 214 მეკომური (1034 ს.) და შემოსავალი 1630 მან., ფარნაოზს 18 მეკომური (196 ს.) და 230 მან. შემოსავალი, თეიმურაზ გიორგის ძეს 41 მეკომური (229 ს.) და 300 მან. შემოსავალი, და კიდევ დავით გიორგის ძეს 21 მეკომური (296 ს.) და 248 მან. შემოსავალი; და საერთოდ ყველას 4883 მეკომური (28,408 ს.) და შემოსავალი 20,351 მან., მაშასადამე ყოველი მეკომური ხდილობდა 4 მ. და 17 კაპ., ხოლო ყოველი სული 72 კაპ. *)

20 ივნისს 1811 წელს იმპერატორ ალექსანდრეს მიერ ხელმოწერილ სინოდის მოხსენებიდამ *) სჩანს, რომ საქართველოში (ამერეთში) არის 13 ეპარქია, 799 ეკკლესია, 746 მღვდელი, 146 მთავარი, 661 დიაკვანი, 6 არქიმანდრიტი, 75 ბერი, 2,218 მეკომური ეკკლესიის კუთვნილი გლეხობა და ამას გარდა 9 საარქიმანდრიტო კუთვნილი გლეხობა 637 მეკომური, საეკლესიო აზნაურობის კუთვნილი გლეხობა – 470 ოჯახი, და უკანასკნელ 470 ოჯახ გლეხობის გარდა დანაშთენ მოყმეთაგან ეკკლესიას დაახლოვებით შემოსდის (სურსათი, ღალა, მახტა და კუ-

*) იხ. Сборн. матер. для опис. Тифл. губ., გვ. 13--14.

**) იხ. Всеподдавѣйшій докладъ Синода Великому Государю, Императору и Самодержцу Всероссійскому (წერა-კითხვის ბიბლიოთ, № 36).



ლუხი): ებარქიებს – 96,360 მან, და საარქიმანდრიტოებს 13,224 მ. და სულ 39,584 მ.

8 მაისს 1802 წელს შეუდგნენ ახალის მთავრობის განწესებას საქართველოში *) (ამერეთში), რომელიც ამიერიდგან უნდა წოდებულიყო „საქართველოს გუბერნიად“ და გაყოფილიყო მაზრებად: გორისა, დუშეთისა, ლორისა, თელავისა და სიღნაღისა. დანიშნულ იქმნენ მთავარ მართებელი და მმართველი, საქართველოს უმაღლესი მმართველობა, რომლის ადგილ-სამყოფად გახდა ტფილისი.

საქართველოს უმაღლესი მმართველობა შესდგა 4 ექსპედიციისაგან: აღმასრულებელ საქმეთა, სახელმწიფო და სამეურნეო საქმეთა, სასისხლო საქმეთა და სამოქალაქო საქმეთა. ყველა ამ დაწესებულებაში დანიშნულ იქმნენ რუსთა და ქართველთა მოხელენი, ხოლო. თავმჯდომარეობა ყველგან რუსებს ერგოთ.

7 მაისს 1802 წელს დიდის ზეიმით, ნაღარისა და საკრავების კვრით გამოცხადებულ იქმნა ტფილისში, რომ მეორე დღეს 8 საათზე გაიხსნება ახალი მმართველობა და დანიშნულ ადვილსა და ჟამს უნდა გამოცხადდნენ მოხელენი, ბატონიშვილნი, თავადნი და საპატიო აზნაურნი.

8 მაისს, დილის 7 საათზე სამჯერ გაისროლეს ზარბაზანი და აგრეთვე კიდევ 8½ საათზე და შემდეგ ამისა ყველა ეკკლესიებში დაიწყეს ზარების რეკა წირვის გადასახდელად, შეიკრიბნენ ყველანი და აგრეთვე საქართველოს მმართველი კოვალენსკი, რომელმაც ორის რუსის მოხელისა და ორის ქართველთა პირით შეუთვალა მთავარმართებელს კნორინგს ყოველივე მზად არისო. კნორინგი დიდის ზეიმით გამობრძანდა, მას წინ უძღოდნენ რუ-

*) იხ. Сборн. матер. для опис. Тифл. губ., გვ. 23 – 30.



სის მოხელენი, ქართველთა თავადნი, გენერალნი; მოვიდა ინახულა შემოკრებილნი და დადგა მაგიდასთან და მიჰმართა ხალხს ზეიმის შესაფერი სიტყვით, რომელზედაც უპასუხა საქართველოს ყოფილ მთავრობის უპირველეს მოხელემ – იოანე ორბელიანმა. შემდეგ წაკითხულ იქმნა სია ყველა ახალ მოხელეთა და მერე ყველანი ერთად გაემგზავრნენ სიონის საკრებულო ტაძარში; წინ მიდიოდა ტფილისის თავი პოლიციის უფროსითურთ და პოლიციის მოხელეებითურთ; მათ შემდეგ 12 თავადნი წყვილ-წყვილად; მერე მთავარმართებელი თვისის ამალითა და გენარლებით; შემდეგ საქართველოს მმართველი ექსპედიციების მოხელეებითა, და გარეშემო მიჰყვებოდნენ ბატონიშვილნი, თავადნი, აზნაურნი; ჯარის ერთი ნაწილი წინ უძღოდა და მეორე კი უკან მიჰყვებოდა. სიონის კარებზე გამოეგებნენ ორნი არქიელნი საკმევლის კმევით. სწირავდა ტფილისის მიტროპოლიტი არსენი. წირვის შემდეგ ქართულადა და რუსულად წაკითხულ იქმნა ახალი დადგენილობა და ამასთანავე მოხელენი დაფიცებულ იქმნენ. შემდეგ უწმინდესმა კათალიკოს ანტონიმ გარდაიხადა სამადლობელი პარაკლისი, წავიდნენ იმ სახლში, რომელიც დანიშნულ იყო სამმართველო სადგურად. აქ რომ მოვიდნენ, კათალიკოსმა აკურთხა წყალი, წმ. წყლით ასხურა პალატნი, საცა იმავე დღეს შესდგა საქართველოს უმაღლესის საბჭოს პირველი სხდომა. ამის შემდეგ კათალიკოსი, უპირველესი სამღვდელოება, მოხელენი, „ბატონიშვილნი და სხვ. მიწვეულ იქმნენ სადილად მთავარმართებელთან. სადილის ჟამს უკრავდნენ მუსიკასა და სცლიდნენ ზარბაზანს.

ახალ მოხელეთა შესანახად გადადებულ იქმნა
80,939 მან, ყოველ წლივ.



იმავე დღეს დაწესებულ იქმნა პოლიციის კანცე-
ლარია ანუ საბჭო ქალაქის პოლიციისა. საბჭოში თავ-
მჯდომარეობდა ციხის თავი, რომელსაც მებჭედ ჰყვან-
და პოლიციის უფროსი. საბჭო მოვალე იყო გაერჩია
მოქალაქეთა თხოვნები, საჩივრები, დაეცვა მშვიდობიანო-
ბა და სიწმინდავე მმართლმადიდებელ ეკკლესიისა, ამას-
თანავე მას უნდა თვალყური დაექირა, რომ კვირა-უქ-
მე დღეებში საწინააღმდეგო არა მომხდარიყო-რა.

ყაზახისა, ბორჩალოსა და ბამბაკის მოურავებად და-
ნიშნულ იქმნენ ქართველთა თავადნი და მათ თანა-
შემწედ რუსნი. ყარაბაღის სომეხნი დაშთნენ გამგეო-
ბასა ქვეშე მელიქებისა. გამოცხადებულ იქმნა სურვი-
ლი, რომ ორივე დედოფლები და ყველა ბატონიშვილ-
ნი, უმეტესად უფრო მოუსვენარნი მათგან, გადასახ-
ლებულიყვნენ რუსეთს, საცა მათ მიეცემოდათ საკმაო
ულუფა. (ბუტკოვი, ტ. II, გვ. 500).

მანიფესტის გამოცხადების შემდეგ შესახებ ქართ-
ლის შეერთებისა რუსეთთან და შემდეგ იმისა, რომ
ახალს მმართველობაში არც ერთი ბატონიშვილი არ
იქმნა დანიშნული, *) ეს უკანასკნელნი გულნაკლუ-
ლად დარჩნენ. ესენი სცდილობდნენ ამბოხება და არე-
ულობა მოეხდინათ საქართველოსა და ტფილისში. მა-
ლე გავრცელდა ხმები, რომ რუსებს ჰსურთ ყველა ქა-
რთველნი რუსეთში გადაასახლონო, საქართველოში კი
ყაზახები დაასახლონო, ორი წლის ხარკი ერთბაშად

*) პირველ მდივანბეგებად განწესებულ იქმნენ: ზაალ ბარათა-
შვილი, იოანე ჩოლაყაშვილი, ეგნატე და სულხან თუმანიშვილნი
და ტფილისის ობერ-პოლიციმეისტერი დარჩო ბებუთაშვილი (Сборн.
свѣд. о Кавказѣ , VI, გვ. 300).



აიღონო და სხ. ამ ხმებმა შეარყია მყუდროება. 1802
წელს შეთქმულთ განიზრახეს ავლაბრის ხიდის დაწვა.
მათ ნავთი წასცხეს ხიდის სვეტებს და წაუკიდეს
ცეცხლი, მაგრამ პოლიციამ დროზედ შეიტყო და ხი-
დი გადაარჩინა გადაწვას. ეს საქმე სხვას არავის მიეწე-
რებოდა, თუ არა დარია დედოფალს, რომელიც სცხოვ-
რებდა ავლაბრის სასახლეში. ამისა გამო ავლაბარში
დააყენეს ერთი დასი ჯარი (ბუტკოვი, ტ. II, გვ. 535,
შენ. 2).

ეს იყო მიზეზი, რომ ყველა დედოფალნი და ბა-
ტონიშვილნი, გარდა ალექსანდრე ერეკლეს ძისა და
ლევან იულონის ძისა, გარდასახლებულ იქმნენ რუ-
სეთს...

—

რუსის მთავრობის დადგენის შემდეგ ტფილისში
მთავარმართებელმა კნორინგმა შეადგინა საპოლიციო
წესდება ტფილისისათვის.

ამ წესდების *) ძალით ტფილისი, საცა მაშინ იყო
2,000 სახლი და მისი უბანი ავლაბარი, საცა იყო
300-ზე მეტი სახლი, გაყოფილ იქმნა 4 ნაწილად და
ყოველი ნაწილი 2 უბნად. ნაწილის გამგედ დანიშნულ
იქმნა თითო იასაული, ხოლო უბნისა – თითო ასისთა-
ვი და 3 ათისთავი; უბნის ქუჩების თავსა და ბოლოს
ღამ-ღამობით უნდა მდგარიყვნენ გუშაგნი, რიგ-რიგო-
ბისად გამოყვანილნი ყველა მცხოვრებთაგან; ქალაქი
და მეტადრე უმთავრესი ქუჩები უნდა განათებულ ყო-
ფილიყო ლამპრებით; ტფილისში დაარსდა პოლიციის
კანცელარია ანუ გამგეობა, რომლის თავმჯდომარედ
დაინიშნა ერისთავი და მებჭედ პოლიციის უფროსი.

*) Сборн. матер. для опис. Тифл. г., გვ. 301.



ამავე წელს (1801 წ.) ტფილისში იწყებს მოქმე-
დებას საგუბერნიო ხაზინა.

2 სექტემბერს 1802 წ. კნორინგი და კოვალენს-
კი, რომელთაც უჩიოდნენ აქაურები უმაღლეს კარის
წინაშე, გაწვეულ იქმნენ რუსეთს და მთავარმართებ-
ლად დანიშნულ იქმნა თავადი ციციანოვი. ახალი მთა-
ვარმართებელი მოვიდა ტფილისში 1 თებერვალს 1803
წ. ამან მოსპო ამბოხება, შეიპყრო დედოფალი, ბატო-
ნიშვილნი დავითი, ვახტანგი და ბაგრატი და გადაასახ-
ლა რუსეთს; 4 ივნისს 1803 წ. მოახდინა პირველი
სათავად-აზნაურო ყრილობა და ამ ყრილობამ პირველ
მარშლად ამოირჩია გარსევან ჭავჭავაძე. [2])

იმავე წელს მოხდა ოფიციალური აღწერა ტფი-
ლისისა და ამ აღწერამ აღმოაჩინა შემდეგი: [3])

ა) ქალაქის პირველ ნახევარს არტყია გარეშემო
ქვითკირის გალავანი, მის შუაში ციხეა ასრევე გამაგ-
რებული.

ბ) ქალაქის ნახევარს ჰქვიან ავლაბარი, რომელ-
საც არტყია ქვითკირის გალავანი და მას აქვს სიმაგ-
რე – მეტეხი.

გ) ქალაქის ორივე მხრე გაყოფილია 4 ნაწი-

ლად: – მუხრანისა, წავკისისა, მთისა და ავლაბრისა; მათში 3,000 სახლია, 20,000-მდე მცხოვრები სხვა-დასხვა სარწმუნოებისა. ეკკლესიანი ქართველთა არის 15, სომეხთა 24, ბერძენთა 1, კათოლიკეთა 1 და მეჩითი 1; დუქნები ფარჩეულობისა 85, საწვრიმალო 68, სა-

[2]) იქვე, გვ. 302.
[3]) იქვვ, გვ. 302.



ხელოსნო. 310, სასანოვაგეო 7წ და ღვინის სარდაფი 40.

გარნა ამ აღწერას წინ უძღოდა დიდი დაბრკოლებანი და ამიტომ შეკრებილი ცნობები არ შეიძლება ჩავთვალოთ იმად, რაც ნამდვილად იყო ტფილისში. ციხისთავი, თავადი სააკაძე სწერს ციციანოვს, რომ ცნობების შემკრებელთ სახლებში არ უშვებდნენო და თვითონ სახლის პატრონები იმის მაგიერ, რომ მართალი ცნობები მოეცათ, წყევლა-მუქარით ეგებებოდნენ აღმწერელთო. და ამიტომ ცნობები შეიკრიბა მხოლოდ შემთხვევით და ფარულადო.

იმავე წლის 3 მარტს ციციანოვმა უბრძანა ციხისთავს სააკაძეს: *) სასტიკად დაცულ იქმნეს ტფილისში სისუფთავე, ვის სახლის წინაც შეინიშნება უწმინდურობა, იმავე სახლის პატრონს დაევალოს მისი გაწმენდა; ყველა დუქნები დაიკეტოს ხოლმე საღამოს 7 სა–ათზე; ქალაქის გარედ გაიმართოს საყასბო და აღკრძალულ იქმნეს ხოცვა საქონლისა შიგ ქალაქში; საყასბოდგან შემოტანილი ხორცი გახვეულ იქმნეს ტილოში, რომ არ მოეცხოს მას მტვერი; ტყავების გამოსაქნელი ქარხნები გატანილ იქმნეს ქალაქის განაპირას. ქალაქის სახლები აშენებულია უწესოდა და ქუჩების შევიწროებით, აღეკრძალოთ ამის შემდეგ შენობათა აგება ჩემ მიერ ნებადაურთველად.

ბუტკოვი ამბობს (ტ. II, გვ. 453): „უნდა ვიცოდეთ, რომ ტფილისი თუმცა ვიწრო არ არის, გარნა მცხოვრებნი არ ბინავდებოდნენ მისის გალავნის გარეთ, შიშისა გამო ლეკთა თავსდასხმისა, მიუხედავად

*) იქვე, გვ. 303.



იმისა, რომ ტფილისში ერთი ოთხ-კუთხე ალაბი სამოსახლო ალაგი ჯერ კიდევ 1805 წელსაც ისყიდებოდა 40 მან. ვერცხლად“.

იმავე 1803 წელს ციციანოვმა გამოუცხადა ქალაქის მცხოვრებთ: საჭიროა ქალაქში იყოს ჯარი, ხოლო ლაშქარი ვერ იცხოვრებს ქუჩებში, მისთვის უნდა გაკეთდეს სადგური; თუ ქალაქელთ არა სურთ სახლებში ჩაიყენონ ჯარის კაცნი, უნდა გამოიღონ 15,000 მან. სადგურის ასაშენებლად. ეს ხარჯი დაეკისრება ყველას ერთნაირად – მდიდარ ვაჭარსა და ისე ღარიბსაც და უპირველეს თავადსაც, რომელსაც სახლი აქვს ქალაქში.

22 სექტემბერს 1802 წელს გახსნილი ორ კლასიანი სასწავლებელი საქართველოს კეთილშობილთა ყრმათათვის ოთხ-კლასიანად გარდაკეთებულ იქმნა 1803 წელს. [2])

ამავე წლის დამდეგს ქალაქში დაარსდა სამკურნალო უწყება, ხოლო 1804 წ. ზარაფხანა და 1805 წ. ფოსტის უწყება და ამავე წელს შეუდგნენ საქართველოს სამხედრო გზის კეთებას. [3])

ამავე 1803 წ. ტფილისში გაჩნდა ჟამი და ქალაქის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი და ქართველთა სამღვდელოება ტფილისიდამ გაიხიზნა. 17 ნოემბერს ქალაქში გაჩნდა დიდი ცეცხლი, რომელმაც 150,000 მან. ზარალი მისცა მცხოვრებთ, და ცეცხლისაგან დაზიანდა აგრეთვე სიონის ტაძარი, რომელსაც დაეწვა 10 დუქანი.

---

*) იქვე, გვ. 304.

[2]) იქვე, გვ. 303.

[3]) იქვე, გვ. 303.



1811 წელს გაუქმებულ იქმნა საქართველოს კათალიკოსობა, ანტონი II გადაასახლეს რუსეთს და საქართველოს ექსარხოსად დანიშნეს გარლაამ ერისთავი.

ამ ვარლაამისა და მთავარმართებლის ტორმასოვის მოხსენებისამებრ უწმინდეს სინოდმა დაადგინა და ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრემ დაამტკიცა *) (30 ივნისს 1811 წ.):

ა) 13 ეპარქიის მაგიერ საქართველოში (ამერეთში) იყოს მხოლოდ ორი ეპარქია – მცხეთისა, ქართლისა, ალავერდისა და კახეთისა, 9 საარქიმანდრიტო შემცირდეს 5-ად.

ბ) მამადმთავარი საქართველოს სამღვდელოებისა იწოდოს მიტროპოლიტად მცხეთისა და ქართლისა, წევრად უუწმ. სინოდისა და ექსარხოსად საქართველოისა.

გ) დაწესდეს დიკასტერია გამგეობასა ქვეშე სა-

ქართველოს სამღვდელოების მამადმთავრისა და მის წევრებად – ეხლაცა და მერმეც – დანიშნულ იქმნენ სქემისანნი და სამღვდელონი.

დ) სასულიერო. წოდების შვილთა აღსაზრდელად გიმნაზიის მაგიერ გაიხსნას სემინარია და აგრეთვე სასულიერო სასწავლებელნი.

ე) არქიელთა, არქიმანდრიტთა, დიკასტერიისა და სემინარიისა და აგრეთვე სასულიერო მოსამსახურეთა ქვრივ-ობლების შესაწევნელად ფული გადადებულ იქმნეს საეკკლესიო ყმათა ხარკიდამ.

---

*) იხ. Всепод. докл. Синода, Держав, Велик. Государю Импер. и Самодержцу Всероссійскому, ხელმოწერილი იმპერ. ალექსანდრეს მიერ 20 ივნისს 1811 წ. (წერა კითხვის ბიბლიოთეკის № 36.)



ვ) საეკკლესიო მიწები, რომელიც რუსის მთავრობის დადგენის შემდეგ განაწილებულ იქმნა, ისევ ეკკლესიას დაუბრუნდეს.

ამავე მოხსენებიდამ მოგვყავს ვარლაამის-მიერ შედგენილი შემდეგი საყურადღებო ხარჯთ-აღრიცხვა: *)

საქართველოს სამღვდელოების მამადმთავარს, მცხეთისა და ქართლის არქიელს, თანაშემწეებითურთ დაენიშნოს 5,000 მ.; წილკნის მთავარ-ეპისკოპოსს გერვასის, გორში მცხოვრებს 1,000 მ., მთავარ-ეპისკოპოსს იოანე ბოდბელს ალავერდის ეპარქიისას 2,500 მ.; დიკასტერიას 1,500 მან,; სასულიერო გიმნაზიას 3,400 მან.; სასულიერო სასწავლებელთ 2,000 მან.; ეკკლესიათა შესაკეთებლად 3,300 მან. ყოველ წლივ; სამადლო სახლთ 2,000 მ.; გორისა და მარტყოფის ეკკლესიათა შესანახადა და გასამშვენებლად 1,000 მ.; 5 არქიელს ულუფა 3,800 მ.; ეკკლესიათა შესანახად 2,860 მ.; ღვთის სათნო სადგური 1,000 მ.; 6 არქიმანდრიტს 6,100 მ.; მონასტერთა ეკკლესიებს 700 მ. და სხვ., და სულ 39,584 მან.

28 დეკ. 1818. წ. უმაღლესის ბრძანებისამებრ საქართველოში დაწესებულ იქმნა ერთი ეპარქია – ქართლ-კახეთისა და ექსარხოსის თანაშემწედ დანიშნულ იქმნა ქორ-ეპისკოპოსი გორისა. 1. იან. 1825 წ. საქართველოში იყო: საკრებულო ტაძარი 11, შტატის სამრევლო ეკკლესიები 311 და საეკკლესიო გლეხთაგან შემოდიოდა 57,500 მანათიდგან 58,000 მანათამდე. [2])

---

*) იქვე; გვ. 4 – 5.

[2]) იხ. წიგნი Истор. Груз. іерархіи. Москва, Синод.

типогр. 1886 წ., გვ. 25, 26, 27, 1811 წელს (იხ. ზევით) საქართველოში იყო: 799 ეკკლესია; 746 მღვდელი, 146 მთავარი, 661 დიაკვანი, 6 არქიმანდრიტი; 75 ბერი და ეკკლესიას შემოსავალი ჰქონდა 39,584 მან.



შენიშვნა. სინოდის მიერ გამოცემულს იმავე წიგნში სწერია, *) რომ საქართველოდ იწოდება ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო და გურია, ხოლო მთელს საქართველოში არის ოთხი ეპარქია: ქართლ-კახეთისა, იმერეთისა, სამეგრელოსი და გურიისა. 1819 წლამდის იმერეთში იყო 4 ეპარქია: ქუთაისისა, გელათისა, ხონისა და რაჭისა, ხოლო შემდეგ ეს ეპარქიები ერთ ეპარქიად ჩაითვალნენ და მამადმთავრად დანიშნულ იქმნა სოფრონი (წულუკიძე), რომელიც 1821 წელს იწერება, რომ იმერეთში არის 15 მონასტერი, 2 საკრებულო ტაძარი, 618 სამრევლო ეკკლესია, 1,808 მეკომური საეკლესიო გლეხი, ერთი სამაზრო სკოლა ქუთაისში და 1 სამრევლო სკოლა ნიკორწმინდის (რაჭაში). – 1819 წ. სამეგრელოში იყო 3 ეპარქია: ჭყონდიდისა, ცაგერისა და ცაიშისა, და მათში 233-მდე ეკკლესია, 2 არქიმანდრიტი, 49 ბერი. – გურიის ეკკლესიას ჰმართავდა ჯუმათელი (და მის შესახებ ჯერ ცნობა არ იყო შეკრებილი).

და, მაშასადამე, მთელს ს საქართველოში იყო ეპარქიები:

ა) ამერეთში: სამთავრო (მცხეთას), ტფილელი, სამთაველი, მროველი, წილკნელი, ურბნელი, ნიქოზელი, ალავერდელი, ნინოწმინდელი, ხარჭაშნელი, ჭერამელი, კაწარელი, რუსთაველი, ნეკრესელი, ბოდბელი, ბოლნელი, მანგლელი, (და ძველად: ქურმუხელი, გიშელი).

ბ) სამცხეში (ძველად): მაწყვერელი, კუმურდოელი, იშხნელი, ანჩელი, მტბევარი, წურწყამელი, წყაროსთაველი,

*) იქვე, გვ. 25.



ერუშნელი, ვალაშკერტელი, ანელი, კარელი, ბანელი, დადაშელი. *)

გ) საკუთარ იმერეთში: ქუთათელი, გენათელი, ვაკე–ლი (ხონის ეპისკოპოსი), ნიკორწმინდელი.

დ) სამეგრელოში: ჭყონდიდელი, ცაგერელი, ცაიშელი.

ე) გურიაში: ჯუმათელი, და სულ 40.

—

## ტფილისის სიწმინდენი და წმიდანი.

### ა) ნინოს ჯვარი.

ცოტაა ქალაქი, საცა არის იმისთანა და იმდენი სიწმიდე, როგორიც და რაოდენიც აქვს ჩვენს დედა-ქალაქს ტფილისს. უპირველესი ამ სიწმიდეთაგან არის წმ. ნინოს ჯვარი. ჭეშმარიტად ეს ჯვარი არის ჩვენი სასოება, ქართველთა ერის სიმბოლო, მისი მეოხება ხანგრძლივისა და გმირულ ცხოვრების განმავლო-

*) ამ ეპარქიათა სია შედგენილია მე XI- XII საუკუნეში (იხ. ბაქრაძისა Археол. путеш. по Гуріи и Адчаріи), და ზოგიერთი მათგან არ იყო გაუქმებული თვით ოსმალთა მფლობელობის ჟამსაც. მაგ, 1556 წ. მტბევრად იყო ხახულარი წყმედიძე საბა: 1637 წ. მტბევრად იყო გედეონ საფრიძე, რომელსაც 1650 წელს სულთანმა უბოძა წოდება იშხნელისა და მაწყვერელის. (იხ. თაყაიშვილის წიგნი „Матер. для исторіи Грузіи, გვ. 7, 11). ჩვენ ხელთ გვაქვს აგრეთვე სიგელები ზოსიმე კუმურდოელისა, იოანე ლასურიძისა კუმურდოელისა, გერასიმე კუმურდოელისა და ზოგიერთ სხვა ეპისკოპოსებთა, რომელნიც მამადმთავრობდა სამცხეში მე-XIV –- XVI საუკ.



ბაში. ეს ის ჯვარია, რომელსაც ეამბორებოდნენ ჩვენნი პირველნი მამანი და დედანი, ეს ის ჯვარია, რომლისთვის თავი თვისი შესწირა წმ. აბომ, ტფილისის სამეუფო პატრონმა, წმ. შუშანიკმა, რომელიც ასაფლავია ტფილისის მეტეხის ტაძარში, წმ. ევსტათი მცხეთელმა, წმ. არჩილმა, წმ. გობრონმა, წმ, დავითმა და კოსტანტინემ, დიმიტრი თავდადებულმა, წმ. ქეთევან დედოფალმა, წმ. ბიძინამ, შალვამ და ელიზბარმა და სხ., მისთვისვე და მასვე მთელი თვისი ცხოვრება შესწირა ყოველმა ქართველმაც, და, ბოლოს, ეს ის ჯვარია, რომელიც გააკეთა სუსტის მცენარისაგან სუსტმა ქალწულმა და გადმოსცა მკლავ-მაგარ ქართველობას, რომელსაც ვერავითარმა საშიშროებამა და მძვინვარებამ ვერ გააგდებინა იგი ხელიდგან, და დღეს ჩვენ, ნეტარ-ხსენებულ მამა-პაპათა შთამომავალნი, მსასოებელნი ვაზის ჯვარისა, იმედით ვგუჭვრეტთ მომავალს...

თუმცა ძველი გადმოცემა გვეუბნება, რომ ჯვარი ვაზისა წმ. ნინოს ჩააბარა ყოვლად წმიდა ღვთისმშობელმა მარიამმაო, გარნა უუძველესს ჩვენს მატიანეში („მოქცევაჲ ქართლისაჲ“) სწერია ესრეთ: „მოვიდა (ნინო), მდინარესა მტკუარსა მოჰყვა და მოვიდა მცხე-

თად, ქალაქსა დიდსა, მეფეთა საჯდომელსა, და იყო
სამ წელ ეგრეთ, ილოცვიდა ფარულად ადგილსა ერთ-
სა, შებურვილსა ბრძამლითა მაყულისაჲთა; და შექმნა
სახჱ ჯუარისაჲ ნასხლევისაჲ და მუნ დაადგრა“,

ამავე მატიანის სხვა ადგილას თვით წმ. ნინო ამ-
ბობს: არმაზით „წამოვედ წინაკერძო დასასრულსა მის
კლდისასა, სადა ძუელ ქალაქი ყოფილიყო, და მას ად-
გილსა ყოფილარს ციხჱ, და მუნ დგა ხჱ მშუენიერი
ბრინჯისაჲ, მაღალი და რტო მაღალი, მოვედ ქუეშჱ



ხესა მას და გამოვინიშჱ ნიში იგი ქრისტეს ჯუარისაჲ.
და ვილოცევდი მუნ ექუს დღჱ“.

სჩანს, წმ. ნინოს კარგად სცოდნია დიდი მნიშვ-
ნელობა ვაზის ნასხლევისა, რომ მისგან გაუკეთებია
ჯვარი ქართველთა მოსაქცევადა და სათაყვანოდ. ქრის-
ტე ამბობს: „მე ვარ ვენახი (ვაზი) ჭეშმარიტი და მამა
ჩემი მევენახე; მე ვარ ვენახი (ვაზი) და თქვენ რტონი;
ვითარცა იგი ნასხლევსა ვერ ხელეწიფების ნაყოფისა
გამოღებად თავით თვისით – უკეთუ არა ეგოს ვენახსა
(ვაზსა) ზედა, ეგრეთვე არც თქუენ, უკეთუ არა დაად-
გრეთ ჩემთანა; რომელი დაადგრეს ჩემთანა და მე მას-
თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი; უკეთუ ვინმე
არა დაადგრეს ჩემთანა, განვარდეს გარე, ვითარცა ნა-
სხლევი, და განჰხმეს, და შეკრიბონ იგი და ცეცხლსა
დაასხან, და დაიწუას“. (იოანე, თ. 15, 1 – 7).

ეს ადგილი სახარებისა წმ. ნინოს მიუკერძებია
საქართველოსათვის, ხოლო ეს ქვეყანა იმ თავითვე ითვ-
ლებოდა სამშობლოდ ვაზისა, რომლის ნაყოფის წვენს
(ღვინოს) ამასთანავე აქვს საღვთო მნიშვნელობა და
ქრისტეს დროიდგან იხმარება წმ. საიდუმლოში.

ვაზის ჯვარის თავგარდასავალი ისეთივეა, როგორიც
იყო ხვედრი და ბედი ქართველთა. წმ. ნინოს მიძინე-
ბის შემდეგ ეს ჯვარი ესვენა მცხეთის სამთავრო ტა-
ძარში. ცეცხლ-თაყვანისმცემელთა შიშისაგამო წმ. შუ-
შანიკმა იგი გადაატანინა ტაოს, აქედგან რამდენიმე
ხნის შემდეგ წაასვენეს სპერს, მერე ჰქონდათ კაპოეტის
ციხეში, ვანანდსა, ყარსსა და ანს. (მცხეთაში ესვენა
175 წლის განმავლობაში, კაპოეტის ციხესა და ვანან-
დაში 459 წ., ყარსში 164 წ., ანში 142 წ). მონ -
გოლებმა რომ ანი აიღეს (1239 წ.), ვაზის ჯვარი



რუსუდან დედოფლის განკარგულებით ეპისკოპოსებ-

მა მოასვენეს მცხეთას. შემდეგ, საქართველოში რომ შიშიანობა შეიქმნა, იგი დამალეს მთიულეთს სამების ტაძარში (ყაზბეგს), მერე ანანურში და არშის ციხეს.

თქმულება არის, რომ, ვითომ, ეს ჯვარი საიდუმლოდ წაიღო რუსეთს საქართველოს მიტრაპოლიტმა რომანოზმა (1749 წ.) და გადასცა ბაქარ ვახტანგის ძეს, რომელიც სცხოგრებდა სოფ. ლისკოვოში. გარნა ბუტკოვი სწერს (ტ. II, გვ. 510), რომ ჯვარი ვაზისა რუსეთში წაღებულ იქმნა მეფე ვახტანგ VI-ს მიერ 1724 წ. და მისმა ერთმა შვილის-შვილთაგანმა იგი უძღვნა იმპერატორს ალექსანდრეს (1801 წ.), ხოლო ამან დაუბრუნა ეს სიწმინდე საქართველოს 1802 წელს. ამ ჯვარის დასახვედრად (როდესაც მოასვენებდენ საქართველოში) შეიკრიბა დიდძალი ქართველობა დარიალიდგან მოკიდებული ტფილისამდის, თვით კათალიკოსი ანტონი და უმაღლესი სამღვდელოება მცხეთას მიეგებნენ ჯვარს, რომელიც მოჰქონდა მმართველს კოვალენსკის. კათალიკოსმა გამოართო ჯვარი და დიდის კრძალვით, შემოსილ სამღვდელოებასთან ერთად, მოიტანა ქალაქს და სიონში შეასვენა.

ჯვარი ვაზისა, რომელიც შეკრულია წმ. ნინოს თმებით, სიგრძით არის 1¼ ალაბი და სიგანით ¾. მისთვის გაკეთებულია ძვირფასი გვადრუცი. თაყვანისსაცემლად მას გამოასვენებენ ხოლმე ტაძარში 14 იანვარს, ე. ი. წმ. ნინოს მიძინების დღეს. თვით გვადრუცზედ შემდეგი წარწერაა: „დედაო ნინო, დედისა ღვთისა ნიჭებულსა ჯუარსა გიმკობ მეფე ვახტანგი, – რომლითა განანათლე ქუეყანა ქართლისა“.



## ჯვარი ვაზისა.

(ნაწყვეტი ვ ორბელიანის ლექსიდამ „ჯვარი ვაზისა“).

. . .
მიდის ასული *)... ხელს უპყრია ჯვარი ვაზისა,
. . .
დედა წმინდასა წილხდომილსა ქვეყანას მიდის.
. . .
ვინ ხარ, ასულო, სით მოხვედი, რა აზრი მოგაქვს?
რაც ხელს გიპყრია, მნიშვნელობა, გვითხარი, რა აქვს?..
ივერის ერნო, უამბორეთ წმინდას ფერხთ მტვერსა;
თქვენში აღაგზნებს ქრისტეს ნათლის წმინდა ლამპარსა!
არა! ვერ იგრძნო წმინდის სიტყვა ერმა ველურმა,
არ განაცხოვლა მისი გული სიტყვამ ციურმა!

წმინდამ ცრემლითა ცას მიმართა, ხელნი შეჰყარა:
ერი ველური, კერპთ მსახური, ღმერთს შეავედრა.
იელა ცამან, იჭექა ცამან,
კვნესით ხმა მისცა დაბლა ქვეყანამ;
შეირყა მიწა, შეირყა ზენა,
ბნელმა მოიცვა ცა და ქვეყანა...
აღდგა გრგვინვითა მრისხანე ქარი,
აენთო ცეცხლით ბნელი ცისკარი,
შეუსვენებლად ცა სჭექს და ელავს,
ჰაერი ცეცხლით და ალით ღელავს,
სეტყვა და მეხი მიწის პირს სცემენ,
მრისხანე ქარნი ხეთ ძირით ჰგლეჯენ,

*) ლექსში აწერილია მოციქულთა სწორის წმ. ნინოს მოსვლა საქართველოში.



ცეცხლის ისართა ცა მიწას ესვრის,
ირყევა მიწა, ბუნება კვნესის...
ცამ მოიკრიფა, რაც ჰქონდა ძალი
და მიწას დასცა ცეცხლი და ალი:
მთანი და ბარნი დასქდნენ, დაიყვნენ,
კერპთ მსახურთ ღმერთნი ქვესკნელს ჩაინთქნენ...
თვის მრისხანობა ცამ შეაყენა,
მზემ უხვის სხივით მორთო ქვეყანა.
წმინდის ფერხთ წინა დაემხო ერი,
წმინდამ მას ჯვარით დასწერა ჯვარი!...
. . .
არა, საუნჯე დიდი რამ დაგვრჩა:
ჯვარი ვაზისა!... მადლი იმ ჯვარის
ჩვენს სამშობლოზედ, ჩვენს ერზედ არის!

### ბ) წმ. შუშინიკი.

აი ეს ნინოს ჯვარი წმ. შუშანიკმა, თავის წამების რაოდენიმე ხნის წინად, მცხეთის ტაძრიდამ გამოასვენა და ჰაზარუვანქის მონასტერში დაასვენა.*) შუშანიკი იყო ცურტავის პიტაშხის მეუღლე და ასული სომხეთის მხედართმთავრის ვარდან მამიკონიანისა (ეს ვარდანი ცეცხლის თაყვანისმცემლებმა აწამეს 451 წ. 2 ივნისს). ვასქენი და მისი ერი მართლმადიდებელნი იყვნენ. მშვენიერის შუშანიკისაგან მას ჰყვანდა სამი ვაჟი და ერთი ასული. იმ დროს სპარსეთის ყაენი იყო თაყვანისმცემელი ცეცხლისა და მოძულე ქრისტიანობისა. საქართველოსა და სომხეთში, რომელიც მაშინ

*) ბაქრაძის ისტორია, გვ. 177.

მართლმადიდებლობას აღიარებდა, ყაენმა გამოგზავნა თავის რჯულის მქადაგებელნი და ლაშქარიც. ვასქენმა უღალატა სამშობლოსა და ქრისტიანობას, ეახლა ყაენს, ცეცხლ თაყვანისმცემლობა ირწმუნა და რანისა და ცურტაეთის მარზაპანად შეიქმნა. მისი განდგომა რომ შეიტყო შუშანიკმა, სასახლე დასტოვა და თავის შვილებით შევიდა ეკკლესიაში, მწუხრის ჟამი მოისმინა, შვილები შეავედრა ღმერთს და მერე დაბინავდა ერთს მცირე სახლში, რომელიც იქვე ეკკლესიასთან იყო. ვასქენი ცურტაეთს რომ მოვიდა, ძლიერ იწყინა, დაიბარა შუშანიკი და იგი არ გამოცხადდა. მაგრამ შემდეგ იძულებით მიიყვანა სასახლეში, ბევრი სცემა, სტანჯა და საპყრობილეში შეამწყვდია. დატყეევებულს დედოფალს წინ ესვენა ნინოს ჯვარი და განუწყვეტლად ლოცულობდა. მისი შვილები ვასქენის ძალმომრეობით ცეცხლ-მსახურებად შეიქმნენ. ფრიად სწუხდა შუშანიკი და მოელოდა თვისის აღსასრულის დღეს. ექვსი წლის განმავლობაში იგი იტანჯებოდა საპყრობილეში. მის სანახავად ქართლიდგან მოდიოდნენ კათალიკოზი სამოელ, აზნაურნი, დიდ-დიდნი სეფე ქალნი, დედანი, აზნაურნი და უაზნონი. მემატიანე იტყვის: „დიდ არს დასაბამი ტანჯუათა მათ წმიდისა შმუშანიკისათა თუჳსა აპანისასა *) მერვესა, დღესა ოთხშაბათსა და მეორედ გვემა მისი აღვსებისა ზატიკსა და კვალად ტანჯვაცა ვარდობის თთუჳსა ათცხრამეტსა და აღსრულებაჲ მისი თთუჳსა ოკდონბერსა ათშჳდმეტსა“. (458 წ.)

წმ. შუშანიკის გვამი დასაფლავებულ იქმნა იქვე ცურტაეთის ტაძარში, საიდგან იგი მოასვენა ტფილისს

*) აპანი – იანვარი.



კათალიკოზმა კირიონმა და დაკრძალა მეტეხის ტაძარში. მისს ხსენებას ქართველთა ეკკლესია დღესასწაულობს 28 აგვისტოს.

## გ) წმ. აბო.

აბო – ქართლს განამშვენებს, ტფილისსა ემზეების,
ნიკოლოზ ტფილელი.

აბო შთამომავლობით იყო არაბი და სცხოვრობდა მე-VIII საუკუნეში. მაშინ საქართველოში მძვინვა-

რებდენ არაბნი. აქაურ არაბებმა თავის ქალიფას ამირა მუმლ აბდილას წინაშე დაასმინეს საქართველოს ერისთავთ-ერისთავი ნერსე, ძე ადარნასე კურატპალატისა. აბდილამ დაიბარა ნერსე და საპყრობილეში შეამწყვდია. ამის შემდეგ გავიდა 3 წელიწადი, აბდილა მოკვდა და ამირობა მიიღო მისმა შვილმა მაჰდიმ, რომელმაც გაანთავისუფლა ნერსე და გამოისტუმრა. მას გამოჰყვა 18 წლის ჯაბუკი აბო, რომელიც იყო „ხელოვანი და კეთილად შემზავებელი სუნელთა და საცხებელთა და სწავლულ იყო მწიგნობრობით სარკინოზთათა“. იგი რომ მოვიდა საქართველოში, გულმოდგინედ შეისწავლა ენა ქართული, ძველი და ახალი აღთქმის წიგნები და შეიყვარა ქრისტე და მისი მსახურება. გარნა აქაურ სარკინოზთა შიშისაგამო აშკარად ვერ აღიარებდა თავის ქრისტიანობას. ეს არაბნი კვლავ გადაეკიდნენ ნერსე მთავარს, რომელიც იძულებულ იქმნა თვისი სახლობა დაეხიზნა აფხაზეთს და თვითონაც გაქცეულ იყო 300 კაცით ოსეთსა და ხაზარეთს, მის ამალაში იყო აგრეთვე აბოც, ხაზარეთში მაშინ



საკმაოდ გავრცელებულიყო ქრისტიანობა და იქ რომ მივიდნენ, აბო გაქრისტიანდა. ხაზარეთიდგან ნერსე გადავიდა აფხაზეთს, საცა აბო მხურვალედ მარხულობდა და ლოცულობდა. აქ დაჰყვეს მათ სამი თვე, მერე შეიტყეს, რომ ამირა მაჰდოს საქართველოს ერისთავთ-ერისთავად დაუნიშნავს ნერსეს დისწული სტეფანოზ გურგენის ძე. ნერსეს ფრიად გაურისხდა და დაბრუნდა სამშობლოში. აბოც მოვიდა ტფილისს და 8 წელიწადი დაჰყო ქალაქში „განცხადებულად ქრისტიანედ“. შემდეგ იგი შეასმინეს ტფილისის ყადს. აბო დაიბარეს სამსჯავროში და ჰკითხეს: «შენ შთამომავლობით არაბი ხარ და რად ქრისტიანობ?» აბომ მოახსენა, რომ ქრისტეს სჯული ჭე შმარიტიაო. ყადმა შეაგდო საპყრობილეში (27 დეკ. 785 წ.). აბო უფრო ფიცხლად შეუდგა ქრისტიანულ წესების აღსრულებასა, უმატა ლოცვასა და მარხვას. ყადმა ეს რომ შეუტყო, განრისხდა და ჯალათებს უბრძანა თავი გააგდებინეთო. ჯალათებმაც წარჰკვეთეს თავი აბოს ყადისავე ეზოში და შემდეგ მისნი ნაშთნი ტომარაში ჩაალაგეს, მიიტანეს ავლაბრის ხიდის ყურთან, ადგილსა საგოდებელსა, საცა იყო სასაფლაო, და დასწვეს (786 წ. 6 იანვარს).

აბო შეირაცხა წმიდათა შორის და მისს სახელობაზე მეტეხის კლდეში გამოკვეთილ იქმნა მცირე სამ–

ლოცველო. *)

*) წმ. აბოს ცხოვრება შედგენილი საბანიძის მიერ მეცხრე საუკუნის დამდეგს, შეტანილია მე-IX საუკ. ხელნაწერებში (საეკლ. მუზ, №№-ები 19 და 98).



## დ) წმ. დავით გარეჯელი.

ქალაქ ტფილისში მოღვაწეობდა აგრეთვე ერთი ათცამეტთა კაბადოკიელ მამათაგანი – წმ. დავითი, რომელსაც სენაკი ჰქონდა იმ კლდეებში, საცა ახლა ცნობილი მთაწმინდის ტაძარია. ქალაქში მოღვაწეობას იგი გაეცალა მისთვის, რომ მას ცილი დასწამეს. ცილის დამწამებელი, როგორც თქმულება გადმოგვცემს, იყო ერთი დედაკაცი, რომელიც სცხოვრებდა იქ, საცა ახლა ქვაშვეთის ეკკლესიაა. ამ დედაკაცს ქმარი არა ჰყვანდა და დაორსულდა კი. მას რომ მხილება დაუწყეს, სთქვა: „დავორსულდი დავითისაგანო“. სამსჯავრომ მიიწვია დავითი ჩვენების ჩამოსართმევად. დავითი რომ მოვიდა, ის დედაკაციც იქვე იყო. დავითმა თვისი არგანი შეახო ორსულ დედაკაცის მუცელს და წარმოსთქვა: „ყრმაო, მე ვარა მამა შენი?“ ყრმამ ხმა მოსცა მუცლიდგან: „არა! მამა ჩემი მჭედელია“. დამსწრეთ ძლიერ გაუკვირდათ და მათი გაკვირვება გაორკეცდა, როდესაც მცირე ხნის შემდეგ ორსული დაწვა და შობა ქვა, რის გამო იმ ადგილს დაერქვა ქვაშვეთი. ხოლო დავითმა აღარ მოინდომა დარჩომა იმ ქალაქში, საცა მას ცილი დასწამეს, ადგა და წავიდა გარესჯის უდაბნოში და იქ იწყო მუშაკობა და მოღვაწეობა. ამისაგამო დავით მთაწმინდელი შეიქმნა დავით გარესჯელად.

—

## ა. ტაძარნი.

ტფილისის ტაძართა შორის ყველაზე უძველესი არის სიონისა და მეტეხის ტაძრები. მათი საძირკველი ჩაიყარა და ბალავერი მო'შენდა მაშინ, როდესაც მეფე ვახტანგ გორგასალმა დააფუძნა ქალაქი ტფილისი, მანამდე ციხედა და სოფლად ყოფილი.. მას შემდეგ ტფილისში აშენდა მრავალი ეკკლესიები, რომელთა მოკლე აღწერას ვურთავთ აქვე მათის დაარსების დრო-

ჟამის მიხედვით.

1. მეტესის ღვთის მშობლის ტაძრის შენება დასრულებულ იქმნა ვახტანგ გორგასლის დროსვე. იგი დაიდგა მეტეხის ციხის შუაგულს, ბეგობზე, საიდანაც მშვენიერად მოსჩანს ტფილისის არემარე. მთელი ბეგობი მთლიანი კონცხია და ამასთანავე მიუდგომელი და მაგარი, რის გამო დარქმევია მას თვისი სახელიც. *) თვით ტაძარი ძველადგანვე ყოფილა სასახლის კარის ეკკლესიად. მასში არა ერთგზის მოუსმენია წირვა-ლოცვა თამარ წმინდას, რომელიც მისვე ახლოს, ისნის სასახლეში გარდაიცვალა. გაახლებულია მხოლოდ ტაძრის გუმბათი, ხოლო დანაშთენი ისევ ვახტანგის დროისაა. ქვის გუმბათი გააახლა

*) სწერენ, ვითომ, მეტეხი იყოს ბერძნული მეტოხოს (Metochos), გარნა ჩვენ გვგონია, რომ იგი წარმომდგარა სიტყვიდამ ტეხა (პურის ტეხა, მტრის გატეხა და სხ.), რომლისაგან დაშთენილა ტეხება (ფ. გ-ჯანიძე, გვ· 112), მტეხი (=მეტეხი).



დიმიტრი თავდადებულმა (1289 წ.) მეფე შაჰნავაზმა ტაძარი სათოფ-წამლედ აქცია (1661 წ.), ხოლო მეფე ერეკლე I (ნაზარ-ალი-ხან) გადასცა იგი ყიზილბაშებს ციხითურთ; ერეკლე II გაამშვენა ტაძარი, გარნა 1795 წ. დააზიანეს იგი ყიზილბაშებმა. მის აღმოსავლეთის კედელზე, გარედან სწერია: ·

მეფე ერეკლემ ეხ ციხე მტერთა წაართო ძალადო;
აიღო ჯუარი ქრისტესი, წინ მიიძღვარა ფარადო.;
დაიხსნა ეკკლესიანი, ახლა აქვს სახლის კარადო;
ღთის მოყვარესა ხელმწიფეს ესე სჭირს ამის გუარადო.
ღუთის სადიდებლად, მეოხედ მეფის ერეკლესია.

1795 წელს, ყიზილბაშების შემოსევის ჟამს, დაიკარგა ტაძრის ხატი, რომლის სამაგიერო გამოგზავნა პეტერბურღიდან ბატონიშვნილმა სალომემ, იულონის მეუღლემ. ეკკლესიისავე ეკუდერში, როგორც ვსთქვით, არის საფლავი წმ. შუშანიკისა.

2. სიონის ღვთის-მშობლის ტაძარი, დედა ეკკლესიაა და სიონად წოდებულია პალესტინის სიონის მიხედვით. ეს სიტყვა (სიონი), რომელიც ნიშნავს კლდეს, ძველადგანვე შეითვისეს ქართველებმა და სიონი უწოდეს აგრეთგე მრავალს ეკლესიებს. *) როგორც ზემოთაც ვსთქვით,

*) სიონის სამშვილდისა (აშენდა 410 – 434 წ.), სიონი ბოლნისისა (408 – 410 წ.), სიონი ერწოისა (668 – 718

წ.), სიონი კავკასიონისა (ყაზიბეგთან, დარიელის ხეობაში), სიონი ატენისა (მის კედელზე დ. ბაქრაძემ ამოიკითხა: „თვესა აგვისტოსა ხუთსა დღესა შაბათსა ქ-სა ოგ (853 წ.) ზედა წელსა სარკინოზისა ტფილისი დაატყვევა ბუღამ და შე-



სიონის საფუძველი ჩაჰყარა მეფე ვახტანგ გორგასალმა, ხოლო მის აშენებას მოუნდნენ მეფენი დაჩი, გურამი და ადარნასე (619 – 639 წ.). ძველი მატიანე სიონის შენობის დასრულების შესახებ შენიშნავს, რომ ამ დიდს ეკკლესიას აშენებდნენ: მეფე გურამის დროს – ნახევარსა ყოველი ერი დ ნახევარსა ერისთავნი; ხოლო ადარნასეს დროს (622 – 628 წ.) – ნახევარსა აშენებდა ყოველი ერი და ნახევარსა ერთი ვინმე დედა-კაცი, და 628 წელს სიონი განასრულეს მკვიდრთა ქალაქისათა.*) სიონი აგებულიყო აგურით, გარნა თლილის ქვით (ალგეთის ქვა) გაახლებულ იქმნა შემდეგს საუკუნოებში. აი მოკლე ნუსხა სიონის თავგადასავლისა: მე-XIII საუკუნეში სიონის გუმბათი ჩამოაგდო ჯალალ-ედინ სულთანმა, ტახტად დაიდგა და მასზე მჯდომარე სიამოვნებდა ქართველთა აღწყვეტის ხილვით. მე-XIV საუკ. ტფილისი შემუსრა და სიონი გააოხრა ლანგთემურმა. 1518 წ. შაჰ-ისმაილმა აიღო ტფილისი, დაანგრია მისნი ტაძარნი და სიონის ღვთისმშობელი მტკვარში ჩააგდო. 1795 წ. აღა-მაჰმად-ხანმა გადასწვა სიონის კანკელი და აღგზნებულ ცეცხლის ბოლმა შემურა ძველი მხატვრობა; ყიზილბაშებმა ამავე დროს შეიპყრეს ტფილელი მიტროპოლიტი დოსითეოზი და მტკვარში ჩაახრჩეს. სიონს ძველად ჰქონდა

---

იპყრა, ამირი სააკა მოკლა და მასვე თვესა აგვისტოსა კვირიაკისა დღესა შაბათსა ვეზირი შეიპყრა კახამ და მე მისი თარხუნი“), სიონი უწერისა, სიონი გარეჯისა (VI საუკ.), სიონი წმინდა ანუ ხინოწმინდა (ქობულეთში), სიონი შილდისა (დაინგრა XI საუკ.), სიონი ჭარისა (ააშენა ლეონ მეფემ 1536 წ.).

*) ე· თაყაიშვილი, სამი ქრონიკა. 34, 36, 45.



ერთი ეკუდერი – პეტრე-პავლესი, რომელიც 1804 წ. მთავარმართებლის ციციანოვის სურვილით ალექსანდრე ნეველისად შეჰქმნეს, ხოლო 1818 წ . სალაროდ; მის მაგიერ ექსარხოსმა თეოფილაქტემ სხვა ეკუდერი მიუშენა სიონს სამხრეთის მხრით. სიონის ძველი კანკელი, როგორც საზოგადოდ ყველა ძველი ეკკლესიისა, ქვისა იყო და დაბალი. შაჰაბაზის შემდეგ (†1628 წ.) ქვის კანკე-

ლის მაგიერ გაუკეთეს ხისა, რომელიც როგორც ვსთქვით, გადასწვეს ყიზილბაშებმა 1795 წ. ახლანდელი მისი კანკელი ანდრიატისაა (თაბაშირისა) და როგორც კანკელი და ისე ტაძრის ყველა მხატვრობა, დახატულია თავადის გაგარინის-მიერ. იატაკი სიონისა დაგებულია მარმარილოს ქვით. ძველად სიონს სამრეკლო ჰქონდა ჩრდილოეთის მხრივ და ორ-სართულიანი, აგებული 1495 წ. ზემო სართული მოაგდებინეს ყიზილბაშებმა 1795 წ. ახალი სამრეკლო, აშენებული 1816 წ., დგას სიონის წინ, სამხრეთის მხრით.

სიონს აქვს ძვირფასი და წმინდა საუნჯეები; მათ შორის ყველაზე შესანიშნავია ა) ნინოს ვაზის ჯვარი, რომელიც უკვე ავსწერეთ, ბ) ტაძრის ხატი – ღვთის-მშობელი; სიონის ძველი ხატი 1522 წ. ყიზილბაშებმა ჩააგდეს მტკვარში, გარნა იგი გამორიყა წყალმა ნავთლუხს, საიდანაც, სპარსელების წასვლის შემდეგ, ისევ მოიტანეს და სიონშივე დაასვენეს. 1724 წ., ოსმალთა შემოსევის ჟამს, ხსენებული ხატი დაიკარგა. მის მაგიერ ბატონიშვილმა გიორგი ვახტანგის (VI-ის) ძემ შესწირა (1762 წ.) სიონს ახალი ხატი ღვთის-მშობლისა, მორთული და მოჭედილი დიდითა და ძვირფასის თვლებით (200-მდე ლალია, 70 ალმასი, 160 იაგუნდი, 90 ზურმეხტი, 70 ფირუზი, 600 მარგალიტი და სხ.); გ) კახეთის ნინოწმინდის სა-



ეპისკოპოსო ტაძრის ხატი წმ. ნინოსი, გადმოტანილი სიონის ტაძარში 1825 წელს. ამ ხატის ქვემო მხარეში ინახება წმ. ნაწილები, იგი მოჭედილია ოქროთი და აქვს 37 მწვანე ზურმუხტი, 28 მარგალიტი, 29 წითელი ლალი, რომლისგან ორი ფრიად დიდია, და ერთი ოთხკუთხოვანი დიდი იაგუნდი. მოჭედილობის ზემოდ არის წარწერა, რომლიდგანაც სჩანს, რომ ეს ხატი ნინოწმინდის ტაძრისათვის შეუწირავს მეფე არჩილს; დ) აქვე ინახებოდა ის ხატი, რომელიც დაიკარგა სპარსთა შემოსევის დროს 1795 წ. ეს ხატი იყო პირი ძველი ხატისა, რომელიც შაჰაბაზმა სხვა საუნჯეებთან ერთად წაიღო სპარსეთს (XVI საუკ.), გარნა 1620 წლის უახლოეს ხანს შეიძინა იგი (ხატი) რუსის ვაჭარმა სტეფანემ და წაიღო კრასნოგორის მონასტერში (არხანგელის გუბერნია), საცა დაშთა აქამომდე. ამ ხატს რუსები „ქართველთა ხატს“ ეძახიან და მის საოხად აშენებულია ტაძარი მოსკოვს (ნიკიტსკოჲს); ამას გარდა საყურადღებოა აგრეთვე ძვირფასი ნივთები: საპატრიარქო გვირგვინი, რომელიც ღირდა 7,000 მ. და რომლისაგან 1830 წ. გაკეთეს მიტრა; ორი მიტრა ალავერდის. ტაძრისა, მოტა–

ნილი ტფილისს- – ერთი 1818 წელსა და მეორე 1820 წ. (ალავერდის საეპისკოპოსოს გაუქმების წელიწადია); მიტრა მროველ ეპისკოპოსისა; მიტრა მანგლელისა (რუსუდანის დროისა), რომელიც ახლა ინახება მოსკოვის მიძინების ტაძარში; მიტრა სამთავროს მთავარეპისკოპოსისა; ქათალიკოსთა ფოსტლები, რომელსაც იგინი იცვამდნენ წირვის დროს, – სიონის ტაძარში ჰმარხიან: სიონის მაშენებელი კურატპალატი გურამ († 600 წ.) რომლის დროს დასრულდა ამ ტაძრის შენობა, იოანე მხარგრძელი, თამარ-დედოფლის სპასალარი, მთავარმარ-



თებელი პავლე დიმ. ციციანოვი († 8 თებ. 1806 წ.), ი, პ. ლაზარევი, რომელიც მოჰკლა მარიამ დედოფალმა 19 აპრ. 1803 წ. და სხ.

სიონის ეპისკოპოსნი: *) ისაკი (496 წ.?), ანტონი თულასძე, მანგლელ ყოფილი (1047 წ.), გრიგორი I (1258 წ.), იოანე I (1413 წ.), იოანე II (1434 წ.), მანგლელ-ტფილელად წოდებული, დავით (1429 წ.), გრიგორი II (1442 წ.), მანგლელ-ტფილელი, ბართლომე (1444 წ.), ქრისანთე (1445 წ.), ნიკოლოზ I (1460 წ.), რომელიც მოხსენებულია პაპის მიერ ბურგუნდის ღერცოგისადმი წარგზავნის წერილში, იოანე III (1462 წ.), აბრამ (14 86 წ.), ფრიად განათლებული კაცი, სიმეონ (1507 წ.) იოანე IV (1518 წ.), დომენტი I (1520 წ.) იოანე V (1541 წ.), ტფილელ-მანგლელი, დანიელი (1577 წ.), ბარნაბა (1599 წ.), იოსებ I (1698 წ.), ნიკოლოზ II (1619 წ.), დომენტი II (1690 წ.), დიონოსე (1621 წ.), ელისე საგინაშვილი (1628 წ.), განთქმული მწერალი და ათონის მოსახილავად წასული (1640 წ.), კირიაკი, ბარნაბა II, იოსებ სააკაძე 1662 წ.), წასული მოსკოვს, რუსთა პატრიარქის ნიკონის გასამართლებლად შეყრილს კრებაზე დასასწრებლად და მოკლული ბაზალეთის ომში (1688 წ.), სიმეონ II (1700 წ.), დომენტი III, ორბელიანი (1701 წ.), ტფილელ-ბოლნელი, ფრიად განათლებული მღვდელ-მთავარი, ნიკოლოზ III (1703 წ. ღვთისმეტყველი, საეკკლესიო საგალობელთა მწერალი და უმთავრესი მებჭე მეფე ვახტანგ VI-ისა, პავლე (1705 წ.), არსენი I (1713 წ.), ევთიმე (1718 წ.), ათანასე ამილახვარი (1749 წ.), რომელიც ვახტანგ მეფეს წაჰყვა

*) Древн. Тифл. გვ. 169

რუსეთს, აშტარხანს არქიმანდრიტობა მიიღო, 1733 წ. მროველობა, 1752 წ. ისევ რუსეთში წავიდა და 1761 წ. მოსკოვს გააწყო ქართული სტამბა, ქრისტეფორე თუმანიშვილი (1762 წ.), ამშენებელი ტფილელების სასახლის მარნისა, რომელსაც აწერია: „ჩვენ თუმანიშვილმან თფილელ მიტროპოლიტმან ქრისტეფორემან ესე ზედაშისა მარანი აღუაშენე. ვისაც ამა მარნიდან ან ზედაშე ან ღჳნო მოგართუასთ, ან ეს წერილი აღმოიკითხოთ, ცოდვისა შენდობა გჳბოძეთ, თქვენც თქუენის ცოდვისა შენდობა გებოძოსთ. წელსა ჩღიბ“; ამავე ქრისტეფორემ განამშვენა საეკკლესიო გალობა; მიქელი (1771 წ.), გერმონე (1784 წ.), რომლის დროს მოღვაწეობდა მღვდელმოძღვარი და განთქმული მქადაგებელი და მთარგმნელი იოანე ოსეშვილი, ეფრემ (1786 წ.), „სირი, ფსალმუნთა მსტჳნავი“, დოსითეოზი (1787 წ.), დარია დედოფლის მოძღვარი და მტკვარში ჩახრჩობილი სპარსთა მიერ 12 ენკ. (1795 წ.), არსენ II ნაიბაძე, ბატონიშვილის აბდულა-ბეგის შვილი, იგი სასულიერო სამართალში მისცეს 1810 წელს და გადააყენეს. მოკვდა 30 ნოემბ. 1812 წ. და ამ დღიდან მოისპო ტფილელობაც.

3. საუდარი წმ. ჯვრისა, აშენებული იმავე დროს, რა დროსაც დაიდვა საფუძველი ქ. ტფილისისა, გაოხრებულ იქმნა ლანგთემურისაგან. ახალი ტაძარი ძველის საძირკველზე აგებულია მე-XV საუკუნეში. იგი ძველადგანვე ითვლება სადგურად იერუსალიმში მყოფ ქართველთა მონასტრების ბერებისა – წმ. ჯვრის მონასტრისა (IV – V საუკ.), წმ. მოციქულის იაკობისა, ძმისა უფლისა და წმ. წინასწარმეტყველის ილიასი (განახლებული დადიანის მიერ მე-XIII საუკ.). ამ ტაძარს მეფე სვიმონმა († 1611 წ.) შესწირა სამღებრო სოფ. დირბს



და სხვა მეფეთაგანაც შეწირული ჰქონდა სოფლები, ყმები და ულუფა, ხოლო მისი წინამძღვარი შემოსავალს უგზავნიდა იერუსალიმის ქართველთა ტაძარს, უფლის საფლავის ტაძრად წოდებულს. აზრი ამ შეწირულობათა და თვით სადგურის დაარსება ტფილისში ის იყო, რომ ამ სადგურის მეოხებით საქართველოს ჰქონდა მუდმივი კავშირი პალესტინასთან. წმ. ჯვრის წინამძღვართაგან ცნობილნი: ა) ნიკიფორე (1635 წ.), რომელიც შემდეგ შეიქმნა მთავარ-ეპისკოპოსად კვიპროსის ვიკვოის მონასტრისა და მოციქულად წარიგზავნა რუსეთის წინაშე მიხეილ თეოდოროვიჩისა და პატრიარქის ფილარეტისა, ბ) პართენი (1678 წ.), რომელიც გაჰყვა რუსეთს არჩილ მეფეს, გ) ათანასე, თანამედროვე ერეკლე II-ისა და შემ-

დეგ პატრიარქი იერუსალიმისა, დ) ბენედიკტე, ბერძულიდამ ქართულად მთარგმნელი წიგნისა „თეადრონ“ და შემდეგ მიტროპოლიტი ბეთლემისა, ე) თადეოზი, ვ) იაკობი, ზ) იეროთეოზი, ᲗᲘ) კესარიოსი, თ) დანიელი († 1859 წ.), ი) პროკოპი, განმაახლებელი ეკკლესიისა 1861 წელს და სხვ. ამავე ტაძარში დასწერეს თვისი მოგზაურობა საქართველოში პატრიარქებმა: ანტიოქიისამ დოსითეოსმა (1520 წლის ახლოსხანს) და იერუსალიმისამ პაისიოსმა (1658 წ.) და დოსითეოსმა 1689 წ.

4. მთაწმინდა არის ფრიად დიდი სათაყვანო ადგილი ქალაქის ყველა მცხოვრებთათვის. მთაწმინდის ტაძარი აღმართულია მთის ფერდობზე და ამ მთასაც ჰქვიან მთაწმინდა. ტაძრიდგან მშვენიერი სახილველია მთელი ქალაქი, იქიდგანვე მოსჩანს ზედაზნისა, მახათისა და სამგორის მთები და აგრეთვე მყინვარი. როგორც ზევითაც ვსთქვით, აქ მოღვაწეობდა მამა დავითი (შემდეგ „გარეჯელად“ წოდებული) და მას ჰქონდა მცირე ეკკლესია,



რომელიც მე-IX საუკ. გაადიდეს დ მონასტრად აღიარეს; ეს უკანასკნელიც განახლებულ იქმნა 1592 წ. დავით და ნიკოლოზ გაბაშვილთა მიერ. გარნა ესეც მოოხრდა და განახლებულ იქმნა 1809 წ. ქვაშვეთის მღვდლის თომა გრიგორიევისაგან. ეს განახლებული ტაძარი კათალიკოს ანტონის ბრძანებით აკურთხა არქიმ. ტრიფილემ 1810 წელს. 1817 წ. გაუკეთდა ვრცელი გზა. ბოლოს გრიგორიევის მიერ აგებული ტაძარიც დაანგრიეს დ მის მაგიერ ააგეს აწინდელი ტაძარი. ერს დიდად სწამს ეს სიწმინდე, რომლის მოსალოცად თავს იყრის ერი ყოველ ხუთშაბათს. დღეობა ტაძრისა მოდის ამაღლების სწორზე. ტაძრის ეხო-ყურეში ჰმარხიან: ა) დავით († 1824 წ.), რექტორი თელავის სემენარიისა, მეტად განათლებული მოღვაწე მე-XVIII საუკ. დასასრულისა, ბ) დიმიტრი ყიფიანი, გ) რუსის გამრჩენილი მწერალი გრიბოედოვი, დ) მისი მეუღლე ნინო, ასული ჭავჭავაძისა და სხ. ტაძრის გვერდზედ მცირე მაღაროა, რომელშიაც გროვდება მთიდგან ნაყინვი წყალი. მთელი მთაწმინდა უტყეო იყო და ტყის გაშენებისთვის მხოლოდ ეხლა ზრუნავენ. მთაწმინდის აღწერას ვასრულებთ ნ. ბარათაშვილის ლექსით:

## შემოღამება მთაწმინდაზედ

„ჰოᲲ მთაწმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი,
დამაფიქვრელნი, ვერანანი და უდაბურნი,
ვითარ აშვენონ, როს მონამენ ცვარნი ციურნი,

ოდეს საღამოს დაჰშმთენ, ამოს, ციაგნი ნელნი!
ვითარი მაშინ იდუმალობა დაისადგურებს შენს არე-მარეს!
რა სანახავი წარუტყვიეს თვალთა მაშინ შენს ტურფას სერზედ მდგო-
მარეს!
ძირს გაშლილს, ლამაზს, ველსა ყვავილნი მოჰფენენ, ვითა ტაბლას
წმიდასა!
და, ვით გუნდრუკსა სამადლობელსა, შენდა აკმევენ სუნნელებასა!

– 173 –

მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი,
და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!
ოჰ, ვით ყოველი ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი, მინაზებული!
ჰე, ცაო, ცაო, ხატობა შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!
აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოის-
წრაფიან!
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!
მე, შენსა მჭვრეტელს მავიწყდების საწუთროება!
გულისთქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაჰშთოს აქ ამაოება...
მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს!
დაფიქრებული ვიდექ სერზედა და, ცათა მიმრთ მზირალს
ტრფობითა,
შემომერტყმოდა მაისის მწუხრი, აღმვსები ნაპრალთ მდუმარებითა;
ხანდისხან ნელად მქროლნი ნიავნი ღელეთა შორის აღმოკვნესოდენ,
და ზოგჯერ ჩუმნი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ!
მთაო ცხოველო., ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება
არა იპოვნოს და არ დაჰხსნას გულსა ვაება,
გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!
ჰსდუმდა ყოველი მუნ არე მარე; ბინდი გადეკრა ცისა კამარას;
მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისა ამარას.
გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალედაც ვით მოქანცული? –
მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოარე, დისკო. გადახრით შუქ-მიბინ-
დული?!
ამ გვარი იყო მთაწმიდაზედ შემოღამება!
ჩი ადგილნო, მახსოვს, მახსოვს, რასაც ვფიქრობდი
მე თქვენთა შორის და ან რასაც აღმოვიტყოდი!
მხოლოდ გული ჰგრძნობს, თუ ვითარი სძღვენით მას შვება!
ჩი საღამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუფეშებლად!
როს მჭმუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარვებლად!
მწუხრი გულისა – სევდა გულისა – ნუგეაშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!

მთაწმინდა დიაღაც რომ „აღუშფოთებს“ სულს ყოველს ქართველს! მთაწმინდა არის მრავალ-საუკუნოვანი მოწამე იმისი, თუ ვითარ ბედმან სასტიკმან „სიმრგვლე ცისა ჩვენთვის რისხვით წამოჰგრაგნა“, თუ რაოდენ გზის აოხრდა ტფილისი ულმობელ მტერთაგან, რაოდენი მართალი სული დაიკლა, რაოდენი სისხლი დაიღვარა!

მთაწმინდა ის წმინდა ადგილია, საცა დავით მეფე (1505 – 1594 წ.), ბერად აღკვეცილი, მოღვაწეობდა და ზენაარს ავედრებდა თავის სამწყსოს, და აქვე აღესრულა და აქვე შთაიფლა.

მთაწმინდა ის ნუგემის საცემლოა, საცა მეფე ერეკლე II დაბინავდა დროებით და მიეცა გლოვასა და მწუხარებას თავისის შვილის სოლომონის გარდაცვალებისა გამო.

მთაწმინდა ის ძლიერი და საპატრონო ადგილია, რომელსაც ვერ მიეკარნენ აღა-მაჰმად-ხანის მეომარნი 1795 წელს და რომლის ძლიერებამ გადაარჩინა უწყალო სიკვდილისაგან 50 მოქალაქენი, აქ შეფარებულნი.

მთაწმინდა მთაა წმინდა, მთა ძლიერი და მის სალს კლდეზედ დამყარებულია ბედი ქართვლისა!

5. ანჩისხატი აგებულია მტკვრის ნაპირა კლდეზედ კათალიკოზის ბაბილეს მიერ ადარნასეს დროს (614 – 639 წ.) – საოხად ღვთისმშობლის მარიამის შობისა. ტაძრის კამარა და გუმბათი დამყარებულია სამს სვეტზედ. დასავლეთის მხრით მიდგმული აქვს სამრეკლო, რომელიც ააშენა (1675 წ.) კათალიკოსმა დომენტიმ, მეფე ქაიხოსროს ძემ. ტაძრის ეზოში სამხრეთის მხრით ქალაქის აოხრებამდე (1795 წ.) იყო სასახლე, სადგური კათალიკოზის ამალისა. აქვე იყო სასახლე საეკლესიო აზნაურების მაღალაშვილებისა, რომელთაგან აღირჩეოდ-



ნენ ხოლმე კათალიკოზის სახლთ-უხუცესნი. თვით კათალიკოზის სასახლე იყო ეკკლესიის ზღუდის გარედ, ტაძრის ჩრდილოეთის მხრით. ადგილი ანჩისხატსა და სიონს შორის ეჭირა მეფის სასახლეს. ანჩისხატი, მრავალჯერ გაოხრებული, განაახლა (მე-XVII საუკ. დამლევს) კათალიკოზმა დომენტიმ, რომელმაც მასში დაასვენა მაცხოვრის ხატი, მოტანილი ტფილისს ანჩის საეპისკოპოსო ტაძრიდამ. მის შემდეგ თვით ამ ტაძარსაც დაერქვა ანჩისხატი.

ანჩის ხატის სიგრძე $1^1/_2$ ალაბია და სიგანე 1 ალაბი. მაცხოვრის მარცხენა ხელში სახარებაა და მარჯვე-

ნათი ილოცება. ქრისტეს სახე და მთელი ხატი მოჭედილია ძვირფასად და ძვირფასის თვლებით. ლუსკუმა ხატისა გადაკრულია ოქროთი დაფერილ ვერცხლის ფოთლებით. ლუსკუმას კარებზედ გამოყვანილია ხატი ხარებისა, შობისა, მოგვთა თაყვანისცემისა და ნათლისღებისა. ამ უკანასკნელ ხატის ზემო სწერია: «სულსა პატრონისა მანდატურთ უხუცესისა ბექისასა განუსვენე, ღმერთო»; მეორე კარებზე აწერია: «სულსა პატრონისა მანდატურთ-უხუცვსისა და მეუღლისა მისისა მარინასსა განუსვენოს ღმერთმან». – მაცხოვარი თვისის ფეხით ჰმუსრავს ჯოჯოხეთის კარი-ბჭეს და გამოჰყავს იქიდგან ადამი და ევა; მაცხოვრის მარჯვნით ჰხატია იოანე ნათლისმცემელი, მარცხნით ქალწული მარიამ, ძირს ქრისტეს საფლავზე დაყენებული დარაჯი და მაღლა (ზემო მხარეს) ამაღლება. ლუსკუმის კარების ბოლოს აწერია: „ძენი მათნი მანდატურთ-უხუცესნი სარგის, ყვარყვარე და შალვა ადიდნეს ღმერთმან“ *). ხატის ქვეშ სწერია:

---

*) ბექა და მისნი შვილნი სცხოვრობდნენ მე-XIV საუკუნეში. იგინი ჰხატიან საფარის ტაძრის კედლებზედ.



„ბრძანებითა და ნივთის ბოძებითა ღვთივ-გვირგვინოსანის დიდისა დედოფალთ-დედოფლისა თამარისათა მე იოანე ანჩელმან რკნაელმან ჴელ ვჰყავ საშინელისა ამის ხატისა პატივითა მოჭედად; მფარველ მცველ არს მეფობისა მათისა აქა და საუკუნესა. მოიჭედ ჴელითაა ბექასითა. ქრისტე შეიწყალე“.

ლუსკუმას ქვეშე აწერია „ადიდენ ღმერთმან კათოლიკოზი პატრიარქი, რომელმან განაახლა ხატი ესე ჴელით-უქმნელი: პირველ ედესიდგან კონსტანტინეპოლს წარმოესვენებინათ, და ოდეს ლეო ისავრო – *) და სხვანი ხატთ-მბრძოლნი გამოჩნდნენ, მას ჟამსა მუნიდგან წარმოესვენათ და დაესვენა კლარჯეთს, საეპისკოპოსოსსა საყდარსა ანჩისასა. ბრძანებითა და ნივთისა ბოძებითა მეფეთ მეფისს თამარისათა იოანე ანჩელს პატიოსნად მოეჭედა, და ოდეს გათათრდა სამცხე, [2]) მაშინ აღსრულიყო ტფილისის ვაჭარი და ეყიდა ფასითა და მოეხსენებინა ბიძისა ჩვენისა კათოლიკოზ-პატრიარქის დომენტისათვის [3]) და მას ძვირ-ფასად ეყიდნა და დაესვენა საყდარსა საკათალიკოზოსა მეფობასა პაპისა ჩვენისა მეფის ვახტანგისასა; [4]) მას აქეთ დიდად დაძველებულიყო ხე და მოჭედილობა; ჩვენ მეფეთ შარავანდედმან, ყოვლისა საქართველოს პატრიარქმან დომენტი [5]) კვალად განვაახლეთ და მოვჭედეთ გული და კუბო, და შევმატე თგალი და მარგალიტი, ქრისტე ღმერთო, შემინდევ ყოველნი ცოდვანი ჩემნი, სატანჯველისა და ყოველთა მტერთა ხილულთა და უხილავთაგან მიხსენ და შემრაცხე მარჯვენით შენსა და დაიცევ მეფე მეფეთა საქართ-

ველოს ბაგრატოვანი ვახტანგ [6]) და მეუღლე მათი დედოფალი რუსუდან, ბაქარ, გიორგი და ასულნი მათნი ყოველნივე, იხსენ განსაცდელისაგან. ამინ ქ-ნს ტოგ.“ [7]).

---

*) ლეო ისავრო 718 – 741 წ. – [2]) მე-XVII საუკუნეში. – [3]) დომენტი II (1160 – 1675 წ, რომელმაც ანჩის ხატი და მასთან 9 ხატი სხვა, მოტანილნი კლარჯეთიდგან ტფილისის ვაჭრისა ამირჯანისა და მის ძეთა ზურაბისა, მელქუმისა და დავითის მიერ, შეიძინა 2000 მარჩილად – [4]) მეფობდა 1658 – 1675 წ. – [5]) დომენტი III (1705 – 1742 წ. [6]) ვახტანგ VI (1703 – 1724 წ. [7]) 1715 წ.



ამ ხატის კარები მოუჭედინებიათ (1686 წ.) იოთამ ამილახვარსა და მის მეუღლეს თამარს, ასულს მეფის ვახტანგ V-ისას, და ძეთა მათთა ანდუყაფარს და დე-მეტრეს. კარები მოუჭედია და გაუკეთებია ოქრომჭე-დელს ბერუკა დოლაძეს.

სამრეკლოს კედელს აწერია: „ჩვენ ქრისტეს მიერ კურთ-ხეულმან ბატონიშვილმან კათოლიკოზმან დომენტი აღვაშენე სამრეკლო ესე და განვაახლე საყდარი ესე სულისა ჩემისა სა-ოხად მეფობასა ქართლსა შანავაზისსა. ქ-ნსა ტნიგ“ (1675 წ.)

ტაძრის ზარს აწერია *): „ეს ზარი ბუღდან-ბეგმა ამილახ-ვარის შვილმან ბატონს კათალიკოზს დომენტის (შევსწირე) და კათალიკოზმა ქალაქის ღვთისმშობელს (შესწირა).

6. ლურჯი მონასტერი ვერაზედ საოხად ანდრია პირ-ველ-წოდებულისა, აგებული ლურჯის ალგეთის ქვით ძველს დროს. ვახუშტი მას ჰხადის წმ. გიორგის ეკკლე-სიად. ამ საუკუნის დასაწყისს ამ ტაძარში ინა-ხავდნენ თოფის წამალს. ტაძრის კედლების შიგნითი მხარე მთლად დახატული იყო. აღმოსავლეთის კედელ-ზე არის შემდეგი წარწერა:

„ვინიდგან ჩემებრ ბრალეულთაგან სარწმუნოებითა კეთი-ლითა... კეთილად… ქმნილნი… ამისათვის მეცა შვილი ჭეშმა-რიტისა ემბაზისა სახელით ოდენ ქრისტიანე, ხოლო საქმით ურჩი და ყოვლად უშიშო ღვთისა ბრძანებითა უღირსი ბასილი ქართლისა მთავარ-ეპისკოპოს ყოფილი, ძე კეთილ ნაშრომისა იობისა უნდოთა ამათ მცირეთა ნივთთა მიერ გულს მოდგინე-ბით მსასოებელი შენი ცეებრსა ამას გიმკობ საყდარ-სართულ-სა სამოსახლოსა ამას ტაძარსა შენსა ყოვლისა სოფლისა მო-მნადირებელთა სარწმუნოებასა ზედა მართულსა ათერთმეტ თა-

---

*) ყველა ეს წარწერები და საზოგადოდ ტაძრების აღწერა გადმოვიღეთ პ. იოსელიანის წიგნიდამ: „Древности Тифлиса“.

ვად აღრიცხულსა დასსა მოციქულთასა თანამოსაყდრეო დაჰსწრა (?) ანდრია... ხოლო ვაშენებ ნაცვალ საგებელად ჩემთჳს და საყვარლისა ძმისა ჩემისა ე.....უ ქართლისა ამირთა ამირისა რუისთავისა და შვიდთა მთეულელთა პატრონისა აბულ-ასანი-სათვის და უპირმშოისა ძმისა ჩემისა შჳლისა დავითისათვის ვიდრემდის დაუდგრომელსა ამას და წარმომდინარესა სოფელსა შინა ხოლო ……. ვიყუნეთ მშვიდობით დაცულ საძუალეთა ამათ შინა. ქორონიკონსა“.

ამ წარწერის მიხედვით ბროსე ამტკიცებს, რომ ეს ტაძარი აგებულია ან 1505 წელს და 1525 წ. გარნა არც ბროსესა, არც იოსელიანსა და არც მათ მიმდევარ დ. ბაქრაძეს, ჩვენის აზრით, საკმაოდ ვერ აუხსნიათ წარწერა. ჩვენ ვიცით, რომ თამარ დედოფლის დროს ტფილისში სცხოვრობდა ამავე ქალაქის მკვიდრთაგანი თავადი აბულასან, რომელი იყო „მეფეთ მეფისაგან წყალობა – ჴელდასხმული ამირად ქართლისა და ტფილისისა“ (ქარ. ცხ., გვ. 284). ამ აბულასანს ჰყვანდა ძე გუზანი, რომელიც თამარს აემაღლებინა და დაენიშნა გამგედ კლარჯეთისა და შავშეთისა. გუზანმა ბოლოს უღალატა თამარს და იგი მოჰკლეს მთიბავებმა (ქ. ც. გვ. 293, 324). ეს აბულასანი, ალბად იყო გაქრისტიანებული ყიბჩაღელი ან ოსი. მას კარგად უნდა სცოდნოდა ეს ქვეყნები, რადგან თამარისათვის რომ ირჩევდნენ საქმროს, ამან სთქვა: „მე ვიცი შჳლი რუსთა ხელმწიფისა ..... რომელი ექსორია ქმნილ დევნილი, გარდმოიხვეწა და არს იგი ყივჩაყთა მეფისა სვიაჯს ქალაქსა შინა“. ვითარცა თამარი იწოდებოდა მეფედ „შვიდთა სამეფოთა“, „შჳდთა თემთა“, „შვიდთა სვეტთა“, ისე მისი ამირა ანუ ამირთ ამირა, რომელიც ჰფლობდა ქართლიდგან რუისთავამდის (ყარაია), ჰხადის თავის



თავს პატრონად „შვიდთა მთეულელთა“, ე. ი. ყივჩაყისა, ოსეთისა, ქართლისა, ჩაჩნისა, დიდოეთისა, ღლიღვისა და მთიულეთისა.

ანდრია პირველ-წოდებულის ტაძარში ჰმარხია ცნობილი მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი, დიდი მტერი ანტონი კათალიკოზისა.

7. ვერის ტაძარი საოხად ღვთის-მშობლისა, აშენებული ძველად და მიწერილი ანდრია პირველწოდებულის ტაძარზედ. მისგან, პ, იოსელიანის თქმით, დარჩინილია ორი კედელი და აგურის ტრაპეზი. ამ ნანგრევებს ყოველ წლივ, აღდგომის მეორე დღეს მოილოცავდა ხოლმე ერეკლე II-ის ასული ქეთევან; მეუღლე იოანე მუხრან-ბატონისა.

8. წმ. მარინეს ტაძარი ავლაბარში, აგებული ძველს დროს და განახლებული 1824 წ. 1849 წელს. წმ. მოწამეს მარინეს დიდად პატივსცემენ ქართველნი. მის საოხად ბევრგან აგებულია ტაძარი, მაგ. კახეთში და სხ. მარინეს ასე ამკობს კათალიკოზი ანტონი I.

სპეტ-მარგრიტებს, შუჭნება ქალწულისა,
ადამს მტკიცობს, გონება შეუხები,
მრჩობლს გუჭლს აკუდინებს, ყრმაა ბრძენი მარინა,
სხუა და სხუათა მცნები ქედს იფარღულებს მახვილს.

9. წმ. ეკატერინესი, რომელიც ააშენა დავით აღმაშენებელმა სადგურად სინას ქართველთა მონასტრისა, აგებულია საოხად წმ. ეკატერინესი. იგი გაოხრებულ იქმნა ლანგთემურისაგან, ხოლო ალექსანდრე I ისევ აღადგინა 1430 წ. 1795 წ. ეს ტაძარი დაანგრიეს ყიზილბაშებმა, ხოლო სინას ბერებმა მის მაგიერ პატარა ეკკლესია ააშენეს, შემდეგ 1861 წ. კიდევ განაახლეს. ამ ტაძრის სიგელთაგან სჩანს, რომ მისთვის შეუწირავთ:



სიმონ გურიელს 25 მარჩილი ყოველ წლივ (1624 წ.), გიორგი გურიელს (1682 წ.) 40 ყურუში, კახეთის მეფე ალექსანდრე I 90 ლიტრა აბრეშუმი, იმერეთის მეფე სიმონ I 40 მარჩილი, კაცია დადიანს (1783 წ.) 40 მარჩილი, ერეკლე II (1778 წ.) 60 ყურუში (= 37 მან. და 50 კ.) და კიდევ 200 ყურუში, მეფე გიორგი XII (1800 წ). 50 ლიტრა აბრეშუმი და სოფელი მეღრევი ქართლს.

10. კალოუბნის წმ. გიორგი აგებულია უუძველეს დროს და განახლებულია 1850 წ. მღვდლის იოსებ ნამორაძის მეცადინეობით. კალოუბანი იმიტომ ეწოდა ამ ადგილს, რომ აქ, როგორც გადმოგვცემს თქმულობა, ლანგთემურმა გალეწა კალო, რომელზედაც ძნის მაგიერ ყრმები დაალაგებინა.

11. სამების ტაძარი, აგებული ძველის საფუძველზედ (1790 წ.) პეტრე აღნიაშვილის მიერ, განახლებულ იქმნა 1863 წ.

12. კვირა-ცხოველი წმ. თომასი უუძველესი ტაძარია. დანგრეული ლანგთემურისაგან, განახლებულ იქმნა XVII საუკ. მთავარეპისკოპოსის ქრისტეფორეს მიერ.

13. კარის ეკკლესია წმ. გიორგისა, აგებული ძველის წმ. მთავარ-ანგელოზების ტაძრის საფუძველზედ. ეს ძველი ტაძარი შემუსრა ლანგთემურმა 1398 წ.. 1640 წ. მისის ნაშთისაგან როსტომ მეფემ ააშენა სამი ტაძარი.

14. იოანე ნათლის-მცემლისა როსტომის სასახლის წინ.

15. ხარებისა სამეფო მოედნის შუაგულს და წმ. გიორგის (კარის ეკკლესია), რომლის შენება დაამთავრა

ბატონი შვილმა სიმონ ვახტანგის ძემ 1710 წ. და მის წინ
მოედნის მხარეს, აიგო სასახლე. ეს სასახლე გაადიდა
მეფე გიორგიმ XII-მან. წმ. გიორგის ტაძარი კარის ეკკლე-



სიად შეიქმნა. გიორგი გარდაიცვალა ამავე სასახლეში
და მისმა მეუღლემაც აქვე მოჰკლა გენ. ლაზარევი. 1840
წ. ხაზინისაგან ეს სასახლე იყიდა კერძო პირმა, რო-
მელმაც სასახლე გაადიდა და გაამაღლა ისე, რომ ახალმა
შენობამ სრულიად შეავიწროვა და დაჩრდილა წმ. ტა-
ძარი. ამ ეკკლესიაში არის ფრიად მშვენიერი ხატი
წმ. ნინოსი, მოციქულთა სწორისა და ქართველთა გან-
მანათლებელისა.

16. ქვაშვეთი მთავარ-მოწამის გიორგისა, აგებული
ძველი ეკკლესიის ადგილას 1754 წ. გივი (მაჰყული-ხან)
ამილახვრისაგან. ეკკლესიის კარების ზემოდ არის წარ-
წერა: ჩუჷნ ამილახუარმან გივმან, ძემან ანდუყაფარ ამილახო-
რისამან, და თანამეცხედრემან ჩუჷნმან ორბელის ძის ასულმან
ბანგუამ აღუაშენეთ ეკკლესია ესე ღუაწლით-შემოსილისა მთა-
ვარ მოწამისა გიორგისა, ზღუდით, ბურჯით და სახლით, რათა
მეოხ გუჷყოს ჟამსა სიკუდილისასა. ვინც იხილვიდეთ, შენდო-
ბასა გვიბრძანებდეთ. აღეგო მეფობასა კეთილმსახურის გჯრგჯ-
ნოსანის თეიმურაზისასა და ძისა მისისა კეთილ-მორწმუნისა
მეფისა ირაკლისასსა, ხოლო მამათ-მთავრობასა ანტონი დავითია-
ნისა, განხორციელებისაგან სიტჯსა ღუთისასა ჩღნდ (1754 წ.).

წარწერა კარის-ბჭეზედ: სადიდებელად ღუთისა დროსა
სრულიად როსსის იმპერატორისა ალექსანდრე პირველისა და
ექსარხოსობასა საქართუჷლოის და იმერეთის სამღვდელოთა
ზედა მცხეთის მიტროპოლიტის და ტფილისის ვარლაამ ქსნის
ერისთჯს დავითის ძისა აღშენდა კარის-ბჭე ესე წელსა ქრის-
ტესით ჩყივ ქორონიკონსა ფდ. (1816 წ.).

ამ ტაძარში ინახება შესანიშნავი ხატები: ა) შემო-
წირული ინდო გაბაშვილისაგან 1713 წ., ბ) წმ. გიორ-
გისა, მოტანილი სოფელ ენაგეთიდგან, გ) ორი ხატი
ღვთისმშობლისა, შემოწირული ზურაბ სახლთ ხუცესი-



საგან 1665 წ., დ) ღვთისმშობლის ხატი ბეთანიის მონა-
სტრისა *) და სხ. ქაშვეთობა მოდის 10 გიორგობისთვეს.

17. დიდუბის ღვთისმშობლისა (მისი აღწერა იხ. ზემოდ).

18. ღეთისმშობლის საკრებელო ტაძარი ძველ ნანგ-
რევებზე აგებულია (1680 წ.) ელენეს მიერ, რომელიც
იყო ასული მეფე ვახტანგ მე-V-სა. ესეც რომ გაოხრდა,
ხელახლა კიდევ განაახლა (1795 წ.) ერეკლე II-ეს ასულ-

მა მარიამმა. ამ ეკკლესიის ახლოს იყო სასახლე კათოლიკოსებისა ანჩის ხატთან, რომელშიაც სპარსთა ბატონობის დროს სცხოვრობდნენ მათი ხანები.

19. წმ. ირაკლისა და დარიას მონასტერი მეტეხის გორაზედ. ამ მონასტრის უმთავრესი ეკკლესია და თვით სასახლეც ააგო ერეკლე II-ეს მეუღლემ დარია დედოფალმა, რომელიც აქვე სცხოვრობდა შემდეგ ერეკლეს გარდაცვალებისა 1803 წლამდის. ხოლო. ამ წელიწადს იგი გარდაასახლეს რუსეთს, საცა აღესრულა 8 ნოემბ. 1807 წ. ეს სასახლე მისის ეკკლესიითურთ შეიძინა ექსარხოსმა თეოფილაქტემ და აქ გამართა სასულიერო სემენარია და სამრევლო სკოლები. იონა მიტროპოლიტმა (1824 წ. 29 ოქტ.) ტაძარი აკურთხა მაცხოვრის ფერისცვალების მონასტრად. მონასტრის უმთავრეს ტაძარში ჰმარხიან: ეპისკოპოსი გორისა ნიკიფორე ჯორჯაძე († 1851 წ.), მთავარეპისკოპოსი დოსითეოსი († 1829 წ.), რომელსაც 1815 წლიდან ებარა სამწყსო თელავისა და კავკასიისა, არქიმ. ევგენი († 1832 წ.), რექტორი სემენარიისა.

20. ტაძარი სახელსა ზედა ყველა ურვეულთა ნუგეშინისმცემელისა თაბორის გორაზედ სეიდაბადს კათოლიკოსე-

---

*) ბეთანიის ტაძარი აგებულია თამარ მეფისაგან



ბის საზაფხულო სასახლეში. გაოხრებული ტაძარი განაახლა და აკურთხა (1836 წ.) საქართვლოს ექსარხოსმა ევგენიმ. 1849 წ. წლიდგან გაუქმდა ეკკლესიაცა და კათალიკოსების სასახლეც.

21. ტაძარი წმ. ჯვრის გამოჩენის სახელობაზედ კუკიაში აგებული 1815 წ. შემდეგ განახლებულ და გადაკეთებულ იქმნა აწინდელ კუკიის წმ. ნიკოლოზის ტაძრად.

22. ტაძარი წმ. ბარბარესი ქვემო ნათლუხში, აგებული ძველს დროს, დიდი თაყვანის-საცემელია, დღეობას (4 დეკემბ.) აქ იკრიბება დიდძალი მლოცველი. წმ. ბარბარეს მოსალოცად აქ მუდამ მოჰყავთ სახადით მორჩენილი ბავშვები.

23. ტაძარი წშ. ბარბარესი ზემო ნათლუხში, აგებული ამ მიმდინარე საუკუნეში.

24. ტაძარი ელია წმინდა, მახათის მთაზე. აწ დანგრეული.

ამ საუკუნეში კიდევ აგებულ იქმნა შემდეგი ტაძრები:

25. ალექსანდრე ნეველისა (კუკიაში).

26. წმ. ნინოსი კუკიის სასაფლაოზე, რომელსაც აქვს მშვენიერი სასახლე სამრევლო სკოლისათვის.
27. მალაკნების უბნის ტაძარი (კუკიაში).
28. პეტრე-პავლესი ავლაბრის სასაფლაოზე.
29. ხარების (არქიელის კარის ეკკლესია).
30. ივერიის ღვთის-მშობლისა (პირველი გიმნაზიის კარის ეკკლესია).
31 წმ. ნინოს ტაძარი (ქალების ინსტიტუტის კა-
კარის ეკკლესია).
32. წმ. ალექსანდრე ნეველისა (მთაგარ-მართებლის კარის ეკკლესია).



33. წმ. იოანე ღვთისმეტყველისა (სასულიერო სასწავლებლის კარის ეკკლესია).
34. წმ. ანდრია პირველ-წოდებულისა (სემენარიის კარის ეკკლესია), განახლებული 30 ნოემბ. 1862 წ.
35. წმ. ნიკოლოზისა ორთაჭალას ახლოს, აგებული დეკანოზის ბასილის მიერ ბერძენთათვის.
36. წმ. ალექსანდრე ნეველისა (ალექსანდრეს ბაღში).
37. სამხედრო საკრებულო ტაძარი გუნიბის მოედანზედ (ნაკურთხი 21 მაისს 1897 წ. სახელსა ზედა ალექსანდრე ნეველისასა).
38. ქალების 1-ლი გემნაზიის კარის ეკკლესია.
39. იუნკრების სკოლის კარის ეკკლესია.
40. სამისსიონერო ტაძარი (რიყეზედ).
41. ვაჟების 2-რე გემნაზიის კარის ეკკლესია.

### 3. ტაძარნი სომეხთა

1. ვანქი არის უპირველესი, უუძველესი და საეპისკოპოსო ტაძარი სომეხთა. მისი საფუძველი დაიდვა მე-XVII საუკ. გასულს. შარდენის თქმით ვანქი ანუ ფაშა-ვანქი ააშენა ვიღაც ოსმალეთიდგან გადმოხვეწილმა ფაშამ. ეს ცნობა შარდენს გარდასცეს თვით აქაურმა სომხებმ, რომელთაც მაშინ (1673 წ.) ტფილისში ჰყვანდათ თვისი ეპისკოპოსი. ამ ფაშის მიერ აგებულ ტაძრის ნამუსრევზე აგებულ იქმნა (1720 წლის ახლოს) აწინდელი ტაძარი, რომელიც საბოლოოდ განახლებულ იქმნა 1788 წელს.
2. სურბ-ნიშანი (წმ. ნიში), როგორც სჩანს მისის წარწერისაგან, აგებულია 1701 წ., ე. ი. მაშინ, როდესაც საქართველოს მეფედ (უკეთ ვსთქვათ: გამგედ)

სპარსთა ყაენისაგან დანიშნულ იყო ლეონი, მამა ვახტანგ სჯულმდებლისა.

3. წაღკე-ვანქ (ყვავილის სავანე) ნავთლუღში *).

5. ასტვაწაწინ (ლვთისმშობელი), იქვე.

5. წირანავორ ასტვაწაწინ (წითელი სარტყლიანი ღვთისმშობელი) კრწანისში.

6. ლუესავორიჩ (გრიგორ განმანათლებელი) ავლა-ბარში.

7. კარმირ ავეტრან (წითელი სახარება) იქვე.

8. ეჩმიაწინ იქვე.

9. ძორაბაში სურბგევორქ (ხევისთავის წმ. გიორგი) იქვე.

10. სურბ მინას (წმ. მინასა) იქვე.

11. ხოჯევანქ ასტვაწაწინ (ხოჯევანქის ღვთისმშობე-ლი) იქვე.

12. სურბ კარაპეტ (წმ. კარაპეტი) იქვე.

13. ასტვაწაწინ (ღვთისმშობელი) ჩუღურეთში.

14. ასტვაწაწინ (ღვთისმშობელი) კუკიაში.

15. თასდოიან ასტვაწაწინ (თანდოიანთ ღვთისმშო-ბელი) იქვე.

16. სურბხაჩ (წმ. ჯვარი) ვერაზედ.

17. ზრვინანც ასტვაწაწინ (ზვრინაანთ ღვთისმშობე-ლი) იქვე.

18. მოღნინინ სურბგევორქ **) (მოღნინის წმ. გიორ-გი), აშენებ. 1751 წელს.

---

*) სია სომხების ტაძრებისა გადმოგვცა დიდად პატივ-ცემულშა მღვდ. გ. ი. შერმაზანიანცმა, საღმრთო სჯულის მასწაგლებელმა ტფილისის რეალურ სასწავლებლისამ, – რის-თვისაც მას ვსწირავთ უგულითადესს მადლობას.

**) ამის ქვემორე მოხსენებული ეკკლესიები სოლოლაკ-სა და შუაგულ ქალაქშია.



19. ქაშოიანთ ტაძარი.

20. კუსანაც სურბ სტეფანოს (მოლოზნების წმ. სტე-ფანე).

21. ბეთხემინ ასტვაწაწინ ანუ ფეთხაინი (ბეთლე-მის ღვთისმშობელი).

22. ქარაფინ სურბგევორქ (ქარაფის კლდის წმ.

23. დასტი ხაჩი სურბგევორქ (მინდვრის ჯვრის ლმ. გიორგი).

24. ზერეშტავაპეტ (მთავარ-ანგელოზი).

25. სურბ სარქის (წმ. სარქისა).

26. ნორაშენ, აგებული 1793 წელს.

27. ჯიგრაშენ ავეტიაც (ჯიგრაშენი ხარებისა), 1785. წ.

შენიშვნა. ამ ეკკლესიათაგან ვახუშტის დროს 7 ეკუთვნოდა ქართველებს და, მათ შორის ბეთლემი, რომელსაც სომხებმა უწოდეს ფეთხაინი (ბეთხემი); ეს ტაძარი აგებულია 1740 წ., სურბნიშანი წმ. ნიკოლოზისა და წმ. მთავარანგელოზისა, რომელსაც სომხებმა უწოდეს წერეშტავაპეტ (მთავარანგელოზი). ეს ტაძარი უძველეს დროს ბერძნების სალოცავი იყო. და ჯერ ისევ გიორგი მე-XII-ის დროსაც იგინი ამ ეკკლესიისთვის ედავებოდნენ სომხებს *). ამას გარდა ქართველების კუთვნილება ყოფილა კიდევ წინანაურის ტაძარი (კრწანისში), თაბორი (ავლაბრის გორაზე), თელეთის ტაძარი (სოფ. თელეთში).

---

*) იხ. Описаніе древн. Тифлиса, პლ. იოსელიანისა, გვ. 233 და Кавказъ въ древн. памятникахъ христіанства დ. ბაქრაძისა, გვ. 44, საცა მოყვანილია ცნობა შესახებ ვანქისა.



## ზ. კათოლიკეთა საყდრები.

კათოლიკეთა სარწმუნოების გავრცელება მოჰყვა რუსუდან დედოფლის მეფობას. მონგოლები რომ შემოესივნენ საქართველოს და დაამარცხეს ქართველნი, მაშინ რუსუდან დედოფალი, უმწეოდ დაშთენილი, იძულებულ იქმნა მიემართა რომის ტახტისადმი და შემწეობა ეთხოვნა პაპ ჰონორი III-ისა და პაპ გრიგორი IX საგან, და ამასთანავე ამ უკანასკნელს რუსუდანმა შეუთვალა, თუ დამეხმარებით, „მეცა და ჩემი ქვეყანაც რომის ეკკლესიას შევუერთდებითო, ე. ი. კათოლიკობას მივიღებთო“ *). პაპმა გრიგორიმ რუსუდანი შეაქო ამ გვარ განზრახვისათვის, დაჰპირდა დომინიკანელ ბერებს გამოგიგზავნი, ხოლო ლაშქრით შემწეობის შესახებ მოსწერა, რომ რადგან ჩემი ტახტი დიდს განსაცდელშიაო ჩავარდნილი იმპერატორ ფრიდრიხისაგან, ამიტომ ჯერ-ხნობით ვერას შეგეწევიო [2]). მიუხედავად ამისა, პაპმა გრიგორი IX მაინც გამოგზავნა 7 ბერი რუსუდანისა და მისი ერის მოსაქცევად, გარნა რუსუდანმა უარჰყო მათი მოძღვრება. 1289 წ. პაპ ნიკოლოზ IV ხელახლა გამოგზავნა მღვდლები, რომელნიც ქართველობამ პატივით მიიღო, და ნება დართეს ტფილისში ჰყოლოდათ თვისი ეპისკოპოსი. კათოლიკების პირველი ეპისკოპოსი ტფილისში იყო იოანე ფლორენტიელი (1329 წ.).

მისი სადგური იყო იქ, საცა ეხლა კათოლიკეთა ხარეზის ტაძარია [3]). პაპთან მიწერ-მოწერა ჰქონდა აგრეთვე მეფე კონსტანტინე III (1469 – 1505 წ.). ამ გვარ მიწერ-

---

*) იხ. „ივერია“ 1879 წ., № 5, გვ. 195.

[2]) იქვე.

[3]) Опис. др. Тифлиса, გვ. 234.



მოწერისა და აქაურ კათოლიკე ბერების ოსტატურ ქადაგება-გარჯისა გამო კათოლიკეთა მოძღვრებამ ფეხი მოიკიდა საქართველოში და სახელდობრ ტფილისსა, გორსა, ქუთაისსა, სამეგრელოსა, გურიასა და ახალციხესა. თუმცა 1600 წლიდგან კათოლიკეთ აღარა ჰყვანდათ ეპისკოპოსი, არამედ თეატინელი მამები, მაგრამ მაინც მათი რიცხვი გამრავლდა და უფრო მეტად კი 1604 წლიდგან. კათოლიკე ბერები ძლიერ განათლებულნი კაცნი იყვნენ, იცოდნენ ექიმობა და ქართულს ენასაც სწავლობდნენ. ამ ენის შესასწავლად რომის „მოქადაგეთა სკოლაში“ პაპმა დააწესა ქართული ენის კათედრა და პროფესორად გაამწესა ქართველი – ირბახი, რომელიც „მთელს წინა აზიაში განთქმული იყო მეცნიერებითა და სადიპლომატო „ელჩობით“. ამ სკოლიდგან გამოვიდნენ, მაგ., პაულინი, რომელმაც შეადგინა და დაბეჭდა (1626 წ.) ქართული ანბანი და მასში ჩაურთო 3,084 ქართული სიტყვა; მაჯი, რომელმაც შეადგინა ქართული ენის გრამატიკა ლათინურ ენაზე და დაბეჭდა რომს (1643 წ.). ეს წიგნი ისრე სწრაფად გავრცელდა, რომ იგი მალე მეორე გამოცემადაც დასტამბა *) (1670 წ.). ამავე ხანებში რიჯენერანდომ შეადგინა (ქართულის ანბანით) იტალიური და თათრული (ადერბეჟანის) ლექსიკონი, რომელიც 1722 წ. შეუძენია მურადიანთ ტირაცუ იოანეს **). ამას გარდა ქართულად გადმოთარგმნილ იქმნა გორის მკვიდრის ტლუკაანთ დავითისაგან რომს დაბეჭდილი (1733 წ.) წიგნი „საქრისტიანო მოძღვრება“.

---

*) ეს მეორე გამოცემა მაჯის გრამატიკისა დაწვრილებით განხილულია ჩვენ-მიერ („ივერია“, 1895 წ., № 164).

**) იხ. ჩვენი წერილი, „ივერია“ 1895 წ., № 149.



ამნაირად გაჩაღებულმა კავშირმა რომსა და საქართველოს შორის კათოლიკეთა მოძღვრება ჩვენში ბევრმა ირწმუნა. მოგზაური პიეტრო დელლავალლე პაპს

ურბანოსს VIII-ეს მოახსენებს (1627 წ.), რომ „პატრი ფრაჯოვან-თადეო წმ. ელისეს კარმელიტანელი ფეხ-შიშველი საქართველოში იყო, მეფე თეიმურაზმა მას განუცხადა მეგობრობა... როგორც ჩვენებურ ქრისტიან სამღვდელო პირს, საჯაროდ აწირვინა თავის უმთავრესს ტაძარში, იმ ქვეყნის მიტროპოლიტის თანადასწრებით; მეფეს თვითონაც უნდოდა წირვის მოსმენა, მაგრამ არ ვიცი რამ დაუშალა. გარდა ამისა მეფემ უბოძა და ჩააბარა მას მიწა-ადგილი იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში მას, თუ ისურვებდა, გაეკეთებინა ჩვენი რჯულის მონასტერი და ეკკლესია. ერთის სიტყვით, როგორც მეფემ, ისე ალავერდელ მიტროპოლიტმაც, რომელიც ითვლებოდა გონიერ კაცად და რომის საქმის ერთგულ მსახურად, გამოიჩინეს რომის ეკკლესიისადმი ისეთი გულ-კეთილობა, რომ მეტი აღარ შეიძლება“ *).

პატრიარქი დოსითეოზი სწერს **) მეფე შანაოზის ჟამს (1758 – 1675 წ.) მოვიდა ივერიაში ექიმი ანდრია ხიოსელი და შთააგონა მეფეს მოეწვია იეზუიტნი. სომეხთ წაართვეს ორი ტაძარი: ერთი გორში და ერთიც ტფილისში და გადასცეს იეზუიტებს. ამ ბერებმა პაპის ტახტს შესძინეს ზოგიერთნი სომეხნი, ე. ი. მოაქციეს ნისლისაგან წყვდიადისადმი. 1688 წ. მე გავხსენი იეზუიტების წერილები: იგინი სწერდნენ რომაელს, რომ

*) ივერია 1879 წ. № 3 გვ. 33.

**) მ. სელეზნევი. О религиоз. и полит. состян. Грузіи до XVII вѣка, გვ. 229; ჩვენი საქართვ. ისტ., გვ. 359.



პაპისადმი მოვაქციეთ მეფე და სამღვდელოთა უფროსეზიო, ხოლო ეს ტყუილია“.

ეს არც იმდენად ტყუილია, როგორც გვარწმუნებს მართლ-მადიდებელი პატრიარქი დოსითეოზი. მეფე-კი არა, მისი ახლო ნათესავები და მოგვარეები პაპისადმი მიიქცნენ. ესრეთნი პირნი იყვნენ, მაგ., საბა ორბელიანი, რომელიც იყო დედის ძმისწული გიორგი XI-ისა (1676 – 1688 წ.), ანტონი I კათოლიკოზი, ვახტანგ მეფის ძმის იესეს ძე, თვით ისტორიკოსი ვახუშტი ვახტანგის ძე და სხ. ეს ვახუშტი ჯერ ისევ 15 – 16 წლისა იყო, რომ დაუახლოვდა ტფილისის კათოლიკეთა ბერებს; მას კიდეც შესწამეს გაფრანგება, რის გამო აუკრძალეს მისვლა-მოსვა ხსენებულ ბერებთან *).

თვით შანაოზ მეფეც მოწყალედ ეპყრობოდა ტფილისის კათოლიკეთა ბერებს, ჰპატიჟებდა მათ, უმასპინძლდებოდა, თავის სასახლის ექიმებად ამწესებდა და სხ. შარდენი ამბობს, რომ მეფე შანაოზმა მიგვიწვია ქორ-

წილში მე და ტფილისის კაპუცინების პატერი რაფაელ პარმელი, მეფის კარის ექიმიო. ქორწილის დასასრულს პრეფექტმა მეფის ბრძანებით იგალობა იტალიურსა და ესპანურს ენებზე საეკკლესიო საგალობელნი და სიმღერანიო. **).

ამნაირად გაძლიერდა ჩვენში ფრანგობა, რომელსაც მიემხრო თვით ეკკლესიის მამათ-მთავარი ანტონი I. თეიმურაზ მეფეს არ მოეწონა სარწმუნოების რყევა, დაამხო ანტონი კათალიკოზი და საქართველოდგან განდევნა კათოლიკეთა ბერები (1755 წ.), ხოლო მათი დიდი ეკკლესია, ტფილისში სახელსა ზედა ხარებისა მართლმადიდებელთა ეკკლესიას შეჰმატა. კათოლიკეთა ბერები ახალციხეში წავიდნენ, საიდგანაც იგინი დააბრუნა ერეკლე II (1763 წ.), ხოლო ძველი ეკკლესია-კი აღარ დაუთმო მათ. კათოლიკეთა ახალი ტაძარი აგებულ იქმნა 1804 წ. და მასთანვე ააშენა სასწავლებელი ყარაევმა, ერეკლესი და გიორგი მეფეების მკურნალმა. 1844 წ. რომაელების მოძღვრების მაგიერ კათოლიკეთა ეკკლესიას განაგებენ პოლონელთა კსენზები (მღვდლები). ტფილისში მათ აქვთ სამი ეკკლესია: ხარებისა, პეტრე-პავლეს და სასაფლაოსი, სოლოლაკს.

*) იხ, ჩვენი „Известія груз. лѣтоп. и истор. о сѣвер. Кавказ и Россіи“. გვ. 88.

**) Опис. древ. Тифл. 243, 244.



### ფ) გერმანელთა ტაძრები.

1818 წ. საქართველოში გადმოასახლეს 500 კომლი გერმანელთა. ამათგან ზოგი დასახლდა სოფელ კუკიაში, რომელიც 1824 წ. ქალაქ ტფილისს მიეწერა, და 25 სახლობა ტფილისის მოშორებით, მტკვრის პირას; ამათ სოფელს ჰქვიან „შორეული ახალშენი“. გერმანელთ ტფილისში აქვთ ერთი მშვენიერი ეკკლესია მიხეილის ქუჩაზე (აკურთხეს 1897 წ.) და აგრეთვე ერთიც შორეულს ახალშენში.

### თ) ურიათა თორა.

ტფილისში ურიებსაც აქვთ თავისი სამლოცველო. საყდარი – თორა, რომელსაც სთვლიან კერპობის დროინდელ ნაშთად.